

(221.1) 634.8

ქ-21

(221.1) 634.8

ქ-21



ამინან ჭავაერიძე

პაზის
კულტურა
შედე
მართლად

ახორინებული

ვაზის კულტურა შირა ქართლში

საუკუნე-2000 /
ველენევა ულია



42-36(2b)

634.8(47922)

ප 217

සාම්ප්‍රදායික සාහැනුවෙන් තුළ

මිදා ජාරතල කළාසියුරු තොනා ඡාම්පානුරු දා අුනේදරිගාද යේරියාල ගෝරුපූල උපිසි සුශුරු මාලුනොද්‍රියා නාශකම්ඩි ගාන්තිලුල ම රුගින්මේ ඉංත්‍රිය ගාවරුපුලුද්‍රුල මුද්‍රා දා බාහ්‍රිස්ථානි ටේරුදුශ්‍යුපියා මෘමුප්‍රේම වාචිය තිබුණු. මූලුදුල වෙනත් ගාශේන්ද්‍රියා, වාචිය ගාස්තුලා-ශ්‍රාමිකරුදුයා, නිඛාදාගියා නායුමුතුග්‍රුදියා මෘමුලුදුයා දා නාර්ගාම්ඩියා මෘමුලා සායුම්ත්‍රේදි රුගින්මේ නියාග්‍රෑදරියා-ශ්‍රාම්ඩරියා පිරින්දුදියා.

රුපුන්තීයන්දුයා: ඩිම්ප්‍රාගිරුර මේපනීයරුදාතා පාන්දිඳාත්‍රී

ඩ. සාකච්ඡාඡපිලු

සොයුලා මේපරන්දුයා මේපනීයරුදාතා පාන්දිඳාත්‍රී

ඩ. මාතිඟාඡපිලු

සාම්ප්‍රදායික
 ගාන්තිලුදු
 මූලුදු මාලු

3704030900003

ප —————— 94

601 (08) — 94

© සාම්ප්‍රදායික ගාන්තිලුදු මූලුදු මේපරන්දුයා දා පෙළුවා මේපනීයරුදාතා පාන්දිඳාත්‍රී, 1994.

თავი I

საერთო მიმოხილვა

ვაზის კულტურა ქართული სულის განუყოფელი ნაწილია, ხოლო მისი ბედი ქართველი ერის ისტორიის თანაზიარი.

მრავალფეროვანმა ბუნებრივმა გარემომ საქართველოში ასობით ვაზის ადგილობრივი ჯიშის წარმოშობა განაპირობა. ჩეენში ვაზისადმი ხალხის თანდაყოლილმა სიყვარულმა დასაბამი მისცა შორეულ წარსულში მევენახეობისა და მეღვინეობის ჩასხვა-განვითარებას.

3 ჩეენი ერის ყოფაში ერთ-ერთი საარსებო შეკრო მუდამ მევენახეობა იყო, რის გამოც ქართველი კაცის სათაყვანო დარგად იქცა.

მრავალი ისტორიული მასალა, არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი ნაირსახეობის ღვინის ჭურჭელი, მეღვინეობაში გამოსაყენებელი იარაღები და სამკაულები მოწმობენ ჩეენში მევენახეობისა და მეღვინეობის დარგების არსებობას 3—4 ათასეული წლის წინათ ჩეენს წელთაღრიცხვამდე.

სამთავროს არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი თიხის დოქები, სურები, ღვინის სასმელი კათხები და ვიწროყელიანი ჭინჭილები მიეკუთვნება პირველ ათასწლეულს. ჩეენს წელთაღრიცხვამდე, ხოლო ალაზნის ველის სამარხებში აღმოჩენილი ღვინის ჭურჭელი დათარიღებულია ჩეენს წელთაღრიცხვამდე პირველი ათასეულის უკანასკნელი საუკუნეებით.

ჩეენს წელთაღრიცხვამდე 3—6 ათასი წლით აღრეა დათარიღებული თრიალეთის უძველეს სამარხებში აღმოჩენილი ღვინის ჭურჭელი. ძველ სამარხებში ნაპოვნი ნამგლისებური დანები (სასხლავი), რაც გამოყენებული უნდა ყოფილიყო ვაზის გასასხლავად, განეკუთვნება ჩეენს წელთაღრიცხვამდე 3000—3500 წლებს.

ძველ საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს მდიდარი ისტორიული დოკუმენტები. პო-



მეროსის მიხედვით, მეათე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდებრებული კოლხეთში ცირკების მდიდრულად შემრთული სუფრითა და სურნელოვანი, წინწკლების მფრქვევი ღვიძით.

ეხება რა ოგონავტების ლაშქრობას, პოლონიოს როდოსელი (33) თავის ნაშრომში დეტალურად აღწერს კოლხეთის ბარს მდინარე რიონის გაყოლებით. იგი აღნიშნავს, რომ კოლხეთის სატახტო ქალაქ აიაში (ახლანდელი ქუთაისი) მეფე აიეტის სასახლის წინ მისულმა ოგონავტებმა მრავალ მდიდრულ სანახაობასთან ერთად იხილეს ფოთოლმწვანე ვაზი.

შერ კიდევ 431 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე ისტორიულს ქვენთონტეს საქართველოში უზარმაზარი ღვინის ქვევრები უნახავს. იმავე წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში მოგზაური სტრაბონი (33) აღნიშნავდა, რომ საქართველოში იმხანად მევენახეობა და მეღვინეობა აყვავებული ყოფილა. იგი დაწვრილებით აღწერდა ქართლისა და კახეთის მევენახეობას.

კიდევ უფრო განვითარებულა ეს დარგები ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე-მეთობეტე საუკუნეებში.

ცნობილმა ფრანგმა მოგზაურმა ჟ. შარდენმა (33), რომელმაც ჩვენს ქვეყანაში 1672—1673 წლებში იმოგზაურა, მრავალი სიინტერესო ცნობა დაგვიტოვა საქართველოში მევენახეობის შესახებ. იგი აღნიშნავდა, რომ საქართველოდან უხვად გაპქონდათ ღვინო სომხეთში, მიღიაში და სპარსეთის სატახტო ქალაქ ისპაპანში — მეფეთა სასმელად.

მევენახეობა და მეღვინეობა, ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა ჩვენი ერის ეკონომიკური ძლიერების აღმავლობაში. დიდი მეცნიერი ივანე ჭავახიშვილი წერდა, რომ თავისი მაღალი ღირსების გამო ქართული ღვინო უცხოეთში გაპქონდათ საექსპორტოდ ისეთ დროსაც კი, როდესაც ჩვენი ქვეყანა კულტურულად და ეკონომიკურად საკმაოდ რასუსტებული იყო. იგი აღნიშნავდა, რომ „საქართველოსათვის მევენახეობა-მეღვინეობის განსაკუთრებული ეკონომიკური მნიშვნელობა კარგად ესმოდათ მეზობელ მტრებს და სწორებ ამით აიხსნება, რომ მე-14 საუკუნის დამდეგს ოქმურ ლენგმა და მე-17 საუკუნის დამდეგს შაპაბასმა, საქართველოს ეკონომიკურად დასაუძლურებლად თავიანთ ლაშქარს ცენახების გაფაფვა-ამოგდება უბრძანებს“.

თურქი და სპარსი დამპყრობლები საქართველოში ხშირად ანადგურებდნენ ვაზისა და ხეხილის ნარგაობებს, რათა ამით მოესპორ ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის საძირკველი. მოთარეშე მტრე-



ბი ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდნენ მოსახლეობას, ჩეხები და საქართველოს მემკვიდრეობის გართლა და კახეთში, აჭარაში და მესხეთში. საუკუნეების განმავლობაში საქართველოში უცხო დამპყრობთა გაუთავებელი შემოსევებით ნაფურდებოდა მატერიალური კულტურა, ქვეითდებოდა ჩენი ხალხის სათაყვანო დარგები — მევენახეობა-მეღვინეობა და მებაღეობა. მაგრამ ქართველი ერის ოთას-წლოვან ომებში გამობრძმედილმა და გაუტეხელმა ნებისყოფამ საბოლოოდ გაიმარჯვა. მისი თავისუფლებისმოყვარე სული ბედს არასოდეს დამორჩილებია. ამიტომ იყო, რომ ქართველი კაცი კვლავ უბრუნდებოდა დარბეულ თუ ნაცარტუტადქცეულ მშობლიურ აღგილსამყოფელს. და ახალ სიცოცხლეს უბრუნებდა მას. ისევ ითლებოდა და ირწეოდა აკენები, ახლად შენდებოდა ჟამთა სიავით მომსპარი ბაღვენახები.

საუკუნეების მანძილზე ვაზის ფორმათა შერჩევისა და სათანადო მოვლა-პატრონობის შედევრად საქართველოში ხუთასამდე ვაზის აბორიგენული ჯიში ჩამოყალიბდა.

როგორც ისტორიული წყაროები მოწმობენ, შიდა ქართლის დაბლობ და მთისწინა ზონაში მეხილეობასთან ერთად მევენახეობაც დიდად განვითარებული ყოფილა. მოსახლეობას ყურძნის უხვი მოსავალი მოჰყავდა და საუკეთესო ხარისხის ღვინოებსაც აყენებდა. ნულში, არკეთში, ნაცარგორაზე, ახალგორში არქეოლოგიური გათხრებით მიკვლეული მასალები (ჩაკირული საწნახლები, ქვევრები, ღვინის სასმისები და სხვ.) ნატლად მოწმობენ, რომ რეგიონში მევენახეობა-მეღვინეობას უხსოვარი დროიდან მისდევდნენ.

საინტერესო და მდიდარია სოფ. მეგვრისსევში წარმოებული გათხრების მასალები. აქ აღმოჩენილ იქნა ბრინჯაოს თასი, რაც მეცნიერთა აზრით, ღვინის სასმისად გამოიყენებოდა. აყად. მ. კუფტინი მას აუთვნებს ადრეულ ბრინჯაოს ეპოქას, III—II ათასწლეულს ჩეენს ერამდე.

ბ. კუფტინს 1945 წლის ოქტომბერში, ძეელი ნამარხების შესწავლის მიზნით, არქეოლოგიური გათხრები უწარმოებია სოფ. ნულში, სადაც აღმოჩენია ღვინის სასმისები, რომლებიც მისივე გადმოცემით, ჩეენს წელთაღრიცხვამდე მეორე საუკუნეს განეკუთვნება.

სოფ. ზემო აჩაბეთში, ისტორიული ციხის ირგვლივ (950 მ ზ. დ.) აღმოჩენილია ქვევრები, რაც მეტყველებს მევენახეობა-მეღვინეობის დიდი ხნის წარსულზე.

შიდა ქართლის ტერიტორიის მთისწინა ზონის სამხრეთი ექსპოზი-



ცია, მდიდარი ბუნება — შესანიშნავი ნიადაგურ-კლიმატური კულტურული ძალები ბი მრავალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის და მათ შორის ვაზის ფართოდ გავრცელების შესაძლებლობას ქმნიდა.

1948 წელს ქ. ცხანცვალთან ახლოს, ნაცარებორაზე ჩატარებული გათხრებისას არქეოლოგმა გ. გობეგიშვილმა აღმოაჩინა ვაზის წილები იმ ფენებში, რომლებიც განეკუთვნება IV—III საუკუნეებს ჩვენს ერამდე. ამ სოფლების გარდა, უძველესი დროის ლვინის ქვევრები აღმოჩენილია ძარწემში, ხეითში, ყორნისში, მონასტერში, თილვაში, ძალინაში და სხვ.

ცხინვალში ვენახები ჯერ კიდევ XV საუკუნეში იხსენიება. ისტორიკოს მ. ცოტნიაშვილის (37) ცნობით, 1451 წლის სიგელში მცხეთი-საღმი შეწირულ მამულთა რიცხვში მოხსენებულია „ორნი გლეხნი ქრცხილოანს — ლალაძე ერთითა ვენახითა და მისითა და ერთი გლეხი ერგნეთს ჯოხაძე ორითა ვენახითა“.

ვახუშტი ბაგრატიონი (7) ამ მხარეში ბევრ ადგილს „ვენახოვანს“ უწოდებს. იგი იხსენებს ასეთ ადგილებს: „ქანი არს ვენახოვანი, ხეხილიანი“; „ჯარიაშენიდან ვანათამდე არს... ადგილი ვენახოვანი, ხილიანი მოსავლიანი“; „გორიდამ სვერამდე არიან ლიახვის იმიერ და აშერ დაბნები ხილიან-ვენახიანნი“. ვახუშტი აღნიშნავს, რომ „ქრცხინვალი“ გარშემორტყმული ყოფილა ბალებითა და ვენახებით. „კეთილ ჰაოვანი, გარემო წალკოტოვან ვენახოვანი“. ამასთან, მიუთითებს, რომ ქაური ლვინოები „არს თხელი და მომჟავო, სასმელიდ მშვენი“.

დღიდი და პატარა ლიახვის, ქსნისა და ფრონეს ხეობებში დიდ ფართობებზე ყოფილა ვენახები გაშენებული. ამაზე მიგვანიშნებს აღგილების დღემდე შემორჩენილი ძველი სახელწოდებანი: „ნავენახარი“, „ნაფუზვარი“, „ნაზერები“ და სხვ. ქარელის რაიონის სოფ. წორბისიღან 5—6 კილომეტრით დაშორებულ ხევში არის ადგილი, რომელსაც შემორჩენია ძველი სახელი „ნავენახარი“. მის ახლომდებარე ადგილებში აღმოჩენილია ლვინის ქვევრები, იქაურ ზანდაზმულთა გაღმოცემით, ამ აღგილებში ვაზი მაღლარად ხეებზე, ზაბილოებად ყოფილა გაშენებული.

1802 წლის ერთ-ერთი არზის მიხედვით ჩანს, რომ დარეჯან დედოფლას ცხინვალიდან, „აზნაურიშვილებისა და თარხნებისა, კულუხს გარდა, გლეხების კულუხი ერგებოდა წელიწადში სამი საპალნე ლვინო, პურის ღალა 35 კოდი“. ამავე საბუთის მიხედვით, მას ცხინვალში გაუშენებია ვენახი, საიდანაც ცხრა საპალნე ლვინოსა და ნახევარ საპალნე არაყს ლებულობდა (მ. ცოტნიაშვილი, 37).



1816 წელს შედგენილი ბატონიშვილების ყოფილი ქონების აღმდებარებული რაში ნაჩვენებია, რომ სოფ. იქოთში არსებული 80 ვენახის ბალიდან ყოველწლიურად 5000 თუნგ (თუნგში 6 ლიტრი ყვულისხმება) ღვინის აყენებდნენ, სოფ. ახალგორში არსებული 78 ვენახის ბალიდან კა — 9000 თუნგს, სოფ. წირქოლში 34 ვენახის ბალიდან — 4500 თუნგამდე.

გასული საუკუნის 70-იან წლებში მარტო ცხინვალის მიღამოებში მზადდებოდა 400 ათასი ვედრო ღვინო. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ქუთაისში იგზინებოდა შამპანურის დასამზადებლად, ხოლო ნაწილი გორისა და თბილისში საღდებოდა.

6. უღენტი (28) თავის ნაშრომში მიუთითებს, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში ბაგრატიონ მუხრანელმა სოფ. მუხრანში მოაწყო მევენახეობის მეურნეობა ღვინის სარდაფით, რომელიც 7 მარკის სუფრის ღვინოს და 2 მარკის შამპანურს უშვებდა წლიურად 30 ათას ბოთლამდე. იგი ღვინოებს ამზადებდა როგორც საკუთარ მეურნეობაში მოწეული, ასევე გორის მაზრაში (სოფ. თამარაშენში და სხვ.) შესყიდული ყურძნიდან, რასაც თბილისსა და რუსეთის დიდ ქალაქებში ასაღებდა.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში ქ. ცხინვალი ითვლებოდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრად. აქ გასაყიდად მოჰყავდათ პირუტყვი, მოქმედდათ ყველი, ერბო, მატყლი, თაფლი, ტყავი და სხვა. გარდა ამისა, ჩაღდებოდა ვაჭრობა ოდგილზე წარმოებული ღვინით. ღვინო ქედან გაქვინდათ გორში, თბილისში, მთიან რაიონებში და ქუთაისის გუბერნიის რაჭის მაზრაში. თუ აღრე მევენახეობას აღგილობრივი მოხმარების მიმართ ულება ჰქონდა, XIX საუკუნის 80—90-იან წლებში სამრეწველო ხასიათი მიეცა. ამ მიღამოებში 1894 წელს ითვლებოდა 3397 ვენახი, რომელთა საერთო ფართობი 1391 დესეტინას უდრიდა, რაც გორის მაზრაში არსებული ვენახების საერთო ფართობის (4500 დესეტინა) 30%-ს შეადგენდა. მევენახეობა-მეღვინეობა იმ დროისათვის ყველაზე მეტად იყო განვითარებული ცხინვალისა და მის ახლომდებარე სოფლებში: დგვრისში, თამარაშენში, გუჯაბაურსა და ხეითში. მევენახეობიდან მიღებული შემოსავალი ამ მხარეში გაცილებით მეტი ჰქონდათ, ვიზრე გორის მაზრაში. ცხინვალის ზონაში ერთი დესეტინა ვენახიდან 60 მანეთს დებულობდნენ, რაც 20%-ით აღმარტებოდა გორის მაზრის ვენახის შესაბამის ფართობიდან მიღებული შემოსავლის მაჩვენებელს. მრავლის-მეტყველია ის ფაქტი, რომ აქ არსებული ვენახებიდან მიღებული შე-

მოსავალი უდრიდა 360 ათას მანეთს. არც ერთი დარგი ამდენ შემოიტანა სავალის არ იძლეოდა.

ცხინვალში, საზღაც ვენახები თავისი ფართობით ერთ-ერთ პირველ ადგილს იკავებდა ქართლში, 1893 წელს თავი იჩინა ფილოქსერამ. ამის გამო თანადათანობით დაიწყო ვენახების ფართობების შემცირება. 1897 წელს სსენებულ რეგიონში ვენახების საერთო ფართობი 817 დესეტინით შემცირდა და 573,4-მდე ჩამოვიდა. აღნიშნული ფართობიდან — 573,4 დესეტინიდან 461,2 დესეტინა (80,5%) განლაგებული იყო გორისა და ქარელის რაიონების ჩრდილოეთი მდებარე სოფ-ლებში, ხოლო 112,2 დესეტინა (19,5%) — თაღლაკის რაიონში. მე-ვენახეობა წარმოდგენილი იყო 64 სოფელში. 48 სოფელი იყო ისეთი, სადაც ვენახების ფართობი 10 დესეტინაზე მეტს შეადგენდა. თვით ცხინვალში იყო 110 დესეტინა, ხეითში — 32, დგვრისში — 46, თამა-რაშენში — 29, გუჯაბაურში — 23, ცხინვალში არსებული 110 დესე-ტინა ვენახიდან 29 ეკუთვნოდათ ადგილობრივ ვაჭრებს, 30 — მემამუ-ლებებს და 41 გლეხობას. ფილოქსერასთან ერთად ვენახებში კრაქისა და ნაკრის გავრცელებამ განაპირობა ამ კულტურის ფართობების კი-დევ უფრო შემცირება. 1917 წლის აღწერით სსენებულ რეგიონში ბალი და ვენახი შეადგენდა 189 დესეტინს, ანუ 207,1 ჰექტარს.

დიდ-პატარა ლიახვისა და ფრონეს ხეობები ოდესის ცნობილი იყო წითელი ღვინოებით, მაგრამ შემდეგში ფილოქსერამ დასცა იქ მევენახეობა, რის შემდეგ დაიწყეს დაბალი ღირსების ღვინოების და-ყენება.

ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ხელი მოჰყიდეს პირდაპირი მწარ-მოებლების ფრანგულის, ქიშნურასა და იმერულის გაშენებას, რაც დაბლა სწევდა ღვინის ხარისხს (ა. სირბილაძე, 31).

ფილოქსერას გავრცელებამდე, ამ რეგიონში შემავალ სოფლებს შორის მაღალი ღირსების ღვინოებით სამართლიანად ამაყობდა თა-მარაშენი. აქ მცხოვრებ მაჩაბლებს, როგორც ამას ცნობილი მკვლე-ვარი პ. ბიბილაშვილი (5) აღნიშნავს, 10 ჰექტარამდე ვენახი პერნიათ და მიღებულ ყურძენს თავისავე მარაში ამუშავებდნენ. ეს მარანი, რომელშიც დღესაც მოთავსებულია დიდი (1200 ლიტრი) და მცირე (200 ლიტრი) ტევადობის 50 ქვევრი, ყურადღებას იპყრობს თავისი აღჭურვილობით. კუთხეურ საწნახელს, რომელიც დაახლოებით 4—5 ტონას დაიტევს, შუაზე აქვს სპილენძის ღარი, რომელიც ტებილის შემცირებ დაი შევრს უერთდება. ყურძნის ტებილის აღკო-ჰოლური დუღილი ქვევრებში წარმოებდა. ყოველ ოთხ ქვევრს შუა



მოთავსებული იყო პატარა ტევადობის ქვევრი (60 ლიტრიანი); მაგრამ დაყენებული ლვინით ხდებოდა ალკოჰოლური დუღილის შედეგად უძალებული ქვევრების შევსება.

მაჩაბლები ცნობილი ყოფილან საუკეთესო ლვინის დაყენებით, რაც იქმდანაც ჩანს, რომ მაშინდელი მიწათმოქმედების სამინისტროს ქების სიგელით დაუჯილდოვებიათ. თამარაშენში, ლიახვის მარჯვენა მხარეს შავკაპიტოთ, გორული მწვანეობით და თავკვერით გაშენებული ვენახები „ბაგასა“ და „ლამებში“ საუკეთესო ლვინოების მომცემ ყურძნის უხვ მოსავალს იძლეოდა.

სოფ. თამარაშენში მცხოვრები ვახტანგ ილიას ძე კობერიძე საკარმილამო ნაკვეთში სახლის მშენებლობისათვის საძირკვლის. გათხრისას წამტყდა 1200 ლიტრი ტევადობის ქვევრს, რომელიც ირგვლივ შემოკრული იყო მტკიცე დუღაბით. უნდა ვითქმიროთ, რომ ისევე როგორც მაჩაბლების მარანში აღმოჩენილი ჩაღულაბებული ქვევრები, ზემოთ აღნიშნული ქვევრიც დამზადებული და გამოსაყენებლად ჩაღმული უნდა იყოს 150—200 წლის წინათ.

მევენახეობა-მელვინეობის განვითარების თვალსაზრისით ყურადღებას იძყრობს აგრეთვე ქ. ცხინვალის სამხრეთით მდებარე სოფ. გუჯაბაური. აქ საუცხოოდ გვარობს ვაზის ჯიშები შავკაპიტო, გორული მწვანე, ალიგოტე, თავკვერი, ჩინური, ბუდეშური, ძველშავი და სხვ. ამ სოფლის მკვიდრის ლევან ჭავჭავაძის საკარმილამო ნაკვეთზე უკანასკნელ წლებიმდე შეხვდებოდით შავკაპიტოს ხანდაზმულ ვაზის. აქაურთა მარნებში ნახავთ 900—1200-ლიტრიან და მრავალ მცირე მოცულობის ქვევრებს, რომლებსაც, გაღმოცემის თანახმად, 100—150 წლის წინათ იყენებდნენ. ამავე ხნისაა დღემდე შემოჩენილი და დი ტევადობის მარან-საწნახელი.

მთისწინა და დაბლობი ზონის ბუნებრივმა გარემომ განაპირობა შამპანურისა და სუფრის ლვინოებისათვის ძვირფასი თვისებების მქონე მასალის მომცემი ვაზის ჯიშების: შავკაპიტოს, გორული მწვანეს, ალიგოტეს, ჩინურის, თავკვერის, ძველშავის, რქაწითელისა და სხვათა ფართოდ გავრცელება.

როგორც მეხილეობის, ასევე მევენახეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ცხინვალის სახელმწიფო სანერგე მეურნეობამ, რომელიც 1945 წელს დაარსდა. აქ გაშენებული იყო 45 ჰექტარი. ფილოგენიკაგამძლე ვაზის საძირეთა სადედე ვენახი. მეურნეობას გააჩნდა ვაზის ნამყენის გამოსაყვანი 2 სათბური. ყოველწლიურად



იმყნობოდა ნახევარი შილიონი ცალი კვირტი და 200 ათასი გრამუსა შესაბამის გაზის ნამყენს ღებულობდნენ.

გაზის ნარგაობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა მოწინავე მეცნ-ნახეთა პრაქტიკული გამოცდილება, ფართოდ ინერგებოდა წარმო-ებაში მეცნიერების მიღწევები.

შილა ქართლში მეცნიერების განვითარების საქმეში ღიღი ღვაწ-ლი მიუძღვით ცნობილ მეცნიერების სპეციალისტებს არჩილ ჭამპურიძეს და კოტე თვალაშვილს. ცხინვალის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის დაარსებამდე, ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში, მათი ინიციატი-ვით დაიწყო ვაზის ნამყენის გამოყვანა. სოფლებში თამარაშენში, აჩა-ბეთში, კეხეში, ძარწემში, ხეითში, არგვიცეში, ერედვეში, ქსუსიში, იქოთში, ქურთაში, წირქოლში, ყანჩავეთში, ბოლში, ახალ-დაბაში, ახმაგში, ავნევში, თიღვაში, ხულსა და არქეოთში ადგილობ-რივი მცხოვრებლები კარგად იყვნენ დაუფლებული ვაზის მყნობის საქმეს. მაღალი იყო ნამყენის გაზარების პროცენტიც. იმ ხანად იმ-დენად გაიზარდა გორული მწვანის, ჩინურის და სხვა პერსპექტიული ვაზის ჯიშების სარგავი შასალის წარმოება, რომ არამარტო უზრუნ-ველყოფნენ მასზე ადგილობრივ მოთხოვნილებას, არამედ ზონის გარეთაც ღიღი რაოდენობით გაძქონდათ. 1939—1940 წლებში მარტო ახალციხის რაიონისათვის ამ ზონიდან შეისყიდეს 62000 ცალი პირველი ხარისხის ვაზის ნამყენი. არჩილ ჭამპურიძისა და კოტე თვა-ლაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით შენდებოდა თავდაპირველად საზოგადოებრივ სექტორში ვენახების პირველი ჰექტარები წირქოლში, იქოთში, ყანჩავეთში; თამარაშენში, ძარწემში, გუგაბაურში, ერედვეში, ავნევში, ნულში და სხვაგან. ისინი ძალასა და ენერგიის არ იშურებდნენ ამ დარგის აღორძინებისათვის. თავიანთ მდიდარ გამოცდილებას ფართოდ უზიარებდნენ ახალგაზრდა აგრონომებს და პრაქტიკოს მე-ცნიერებს, პრესის ფურცლებზე ეწეოდნენ ვაზის კულტურის გავრცე-ლების პროცეგანდას, იძლეოდნენ საინტერესო რჩევა-დარიგებებს. ვა-ზის ქომაგთა შორის უნდა აღინიშნოს აგრონომების ლევან ბოსიკა-შვილის, გლავარა ახვლედიანის, ელენე მელქონევას, დიმიტრი მინდია-შვილისა და ანდრი მკრტჩიანის წვლილი.

ყურძნის საჰექტარო მოსავლიანობა ერედვეში, თამარაშენში, ძარ-წემში, გუგაბაურში, წირქოლში, იქოთში, ყანჩავეთში, ავნევში ხში-რად 100—120 ცენტნერს აღწევდა. ათეულობით წლების განმავლო-ბაში მეცნიერებას, მეხილეობასთან ერთად შილა ქართლის სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ხველრითი წილი ეკავა და მთელ რივ



საზოგადოებრივ მეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენლა.

ამ კულტურის გაშენებამ მასობრივი ხასიათი მიიღო ორმოცდა-ათიან წლებში. მალე მისმა ფართობმა 760 ჰექტარს მიაღწია საზოგა-დო სექტორში. შემდეგში შემცირდა ვაზის ნარგაობა და სამოცდა-ათიან წლებში საზოგადოებრივ სექტორში 658,29 ჰექტარი დარჩა, ხოლო მოსახლეობაში 650,97 ჰექტარი ითვლებოდა.

უკანასკნელი 15—20 წლის განმავლობაში ძალზე შესუსტდა ამ დარგისამდი ყურადღება. მოუკლელობით გაპარტახდა საზოგადოებ-რივი ზერები, აღარც სანაცვლო შენდებოდა, რის გამოც კატასტროფუ-ლად შემცირდა მათი ფართობები და ოთხმოციანი წლებისათვის 158 ჰექტარამდე დავიდა—აღრინდელთან შედარებით 500 ჰექტარით ნაკ-ლები. ცენახების მცირე ფართობები დარჩა ერედვის, არცევსა და თამარაშვილის მეურნეობებში, ცხინვალის ხეხილსანერგე მეურნეობა-ტექნიკუმში; ახალგორის, კორინთისა და ჭინაგრის მეურნეობებში. ვაზის ნარგაობა მთლიანად გაჭრა აჩაბეთში, კეცვში, ქემერტში, ძარ-წეში, დასევში, ქსუსში, ავნევში, მუგურში, ნულში, ხეთაგუროვში, თერეგვანში, ოქონაში. რევიონში მხოლოდ რამდენიმე თოულ ჰექ-ტარზე იქნა ვენახი გაშენებული და 188 ჰექტარს აღწევს. იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ იმ მეურნეობებშიც კი, სადაც შემორჩა ვე-ნახების მცირე ფართობები, მოსავლიანობა 20—30 ცენტნერს არ აღ-მატება, რაც ყოვლად შეუწყნარებელია.

შექმნილი მდგომარეობა არ შეეფერება არც ამ დარგის მდიდარ წარსულს და არც ამ ზონის მევენახეთა სახელოვან ტრადიციებს. სხვა-დასხვა დროს შიდა ქართლის ვენახებში მკვლევართა მიერ ჩატარე-ბული ცდების შედეგები აღარცურებენ ხსენებული დარგის მაღალ ღონეშე განვითარების შესაძლებლობებს.

პროფ. გ. ბერიძე თავის შესანიშნავ ნაშრომში „ქართული ლი-ნები“ ამ ტერიტორიაზე გამოკითხვების 5 მიურობაიონს, სადაც მიწათ-მოქმედების კულტურის ამაღლების, ვაზის მოვლის აგროტექნიკური ღონისძიებების დროულად და ხარისხიანად გატარების გზით, აგრეთ-ვე ყურძნის გადამუშავებისა და ლვინის დაყენების წესების გაუმჯო-ბებით შესაძლოა მიღებულ იქნეს ძვირფასი მასალა სუფრისა და შამპანური ღვინოებისათვის.

საქართველოში შამპანური ჭიშის ვაზების გავრცელების ზონების დახსასიათებისას ნ. ულენტი (28) დასკვნის, რომ შამპანურის ნედლეულის



წარმოებისათვის ხელსაყრელია თამარაშენ-ქემერტის, ნული-მტკეცულის, ერედვი-ქსუისისა და ახალგორი-ყანჩავეთის მიკრორაიონები.

შიდა ქართლის ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები ახლოს დგას საფრანგეთის სახელგანთქმული შამპანის პროვინციის ნიადაგობრივ-კლიმატურ პირობებთან. მაღალხარისხსოვანი შამპანური ღვინის მისაღებად ნიადაგში კალიუმის შემცველობა საკმარისი რაოდენობით უნდა იყოს, ხოლო აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 3000—3500 გრადუსის ფარგლებში მერყეობდეს. რეგიონის ეს ორი ეკოლოგიური მაჩვენებელი თითქმის მთლიანად ემთხვევა შამპანისას (8).

აქ გავრცელებული ვაზის ჯიშების პროდუქციის შესწავლის მიზნით ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგად უაღრესად საინტერესო და შედარებით სრულყოფილი მონაცემები აქვს მიღებული ცნობილ მკვლევარს ა. სირბილაძეს. მან სხვადასხვა სეზონზე დააყენა 70—75 და 108 სახის ღვინო. საქართველოს მთავრობის სიგელი და პირველი ფულადი პრემია (15 000 მან.) მიეკუთვნათ მორბედაანის (ახალგორის რაიონი), დიდი ძარშემისა და ბერულის (გორის რაიონი) შავკაპიტოსა და გორული მშვანეს ღვინოებს. ა. სირბილაძე ამ რეგიონში გამოჰყოფს იმ მიკრორაიონებს, სადაც შესაძლებელია სამრეწველო მეცნიახეობის ფართო განვითარება. ეს მიკრორაიონებია: ცხინვალის, ქურთის, ძარშემის, ერედვის, ფრონეს (ავნევის) ხეობის, ოქონის, ქსნის ხეობისა და ჭინაგრის.

კ. თვალაშვილმა და დ. ცინცაძემ (18) მრავალწლიანი ცდების შედეგად დაადასტურეს, რომ ამ რეგიონში გავრცელებული ვაზის ჯიშები მაღალი მოსავლიანობით ხასიათდებიან და საშიმპანურე და სასუფრე ღვინომასალაზე არსებულ ტექნოლოგიურ მოთხოვნებსაც სავსებით აქმაყოფილებენ.

ვაზის დატვირთვა-ფორმირების წესების დასაღვენად ნაყოფიერი მუშაობა ჩატარა თამარაშენის მეურნეობაში ცნობილმა სპეციალისტმა პ. ბიბილაშვილმა (5), რომელმაც დაადგინა, რომ დატვირთვის გადიდებით მნიშვნელოვნად იზრდება მოსავლიანობა.

ამ ღონისძიების შემდგომში შესწავლის მიზნით კ. თვალაშვილმა და დ. ცინცაძემ (18) დააყენეს ცდა სოფ. ერედვში და მეტად საინტერესო მონაცემები მიიღეს. მათვე გამოიკვლიერს თამარაშენის ბაზაზე ვენახში სასუქების ღრმად შეტანის ეფექტურიანობა.

კვლევითი მუშაობის შედეგები მოწმობენ, რომ მეცნიერების მიღწევების, დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე და

მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებით შესაძლებელია მეცნიერებების ფართოდ განვითარება ამ ზონაში.

ვინაიდან მეცნიერება შიდა ქართლში პერსპექტიული დარგია, მიზანშეწონილად ვცანით ნაშრომში რეგიონის ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით გაგვეშუქებინა ვენახის გაშენებისა და მოვლის ძირითადი აგროტექნიკური ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ყურძნის უხვი და ხარისხოვანი მოსავლის მიღებას.

თავი II

ვაჭის გაზენების ზონები რეგიონში

1. რეგიონის გეოგრაფიული და ეკოლოგიური დანასიათება

რეგიონის ტერიტორია მდებარეობს საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში ჩრდილო განედის $42^{\circ}3'$ — $42^{\circ}36'$ და აღმოსავლეთ გრძედის $61^{\circ}15'$ — $62^{\circ}17'$ შორის. მას უკავია კავკასიონის მთავარი ქედის კალთები და წინამთები, აგრეთვე მათთან მომიჯნავე ქართლის ვაკის პერიფერიული ნაწილი. თავისი ფეოგრაფიული მდებარეობით იგი მიეკუთვნება საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილს, მაგრამ მცირე ფართობი ჩრდილო დასავლეთ მხარეში შედის მდ. რიონის აუზის შემადგენლობაში და აქვს საქართველოს დასავლეთ ნაწილისათვის დამახსიათებელი ნიშნები.

შედარებით მცირე ტერიტორიის (3,9 ათასი კვ. კმ.) მიუხედავად, რეგიონის ბუნებრივი პირობები მრავალფეროვანია.

რელიეფი. ეს ტერიტორია შეიძლება რამდენიმე ზონად დაყყოთ. ყველაზე ჩრდილოეთი ნაწილი მიეკუთვნება მაღალმთიან ზონას. მასში შედის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთი კალთები სუბალპური და ალპური მდელოებით, აგრეთვე თოვლიანი მწვერვალებით. სამხრეთი არის საშუალო მთიანი ზონა. იგი შეიცავს ტყეებით დაფარულ მთის კალთებსა და მათ მონაცვლე ხეობებს. უკიდურესი სამხრეთით (750—900 მ. ზ. დ.) მდებარეობს მდინარეთა ხეობებისა და ბორცვიანი წინამთების ზონა. ამრიგად, შესამჩნევია სიმაღლეთა დიდი ამპლიტუდა. ეს ტერიტორია საშუალო მაღალმთიან მხარედ ითვლება. კავკასიონის ქედის განტოტევები, ზოგიერთის გამოკლებით, თანდათან დაბლდება და სამხრეთ საზღვართან ქართლის ვაკეს ეკვ-

რის. ქედების ხშირი განტოტვებით, რელიეფის თავისებურებით ასე-
ნება მცენარეული და ნიადაგური საფარის სიჭრელე, ხშირთამდებარე-
ლოგიური ქსელი.

მდინარეთა ხეობების დიდი ნაწილი კარგადაა დამუშავებული. დი-
დი და პატარა ლიახვის, ქსნისა და ფრონეს ხეობებში დიდ ფართო-
ბებზეა გაშენებული ხეხილის ბალები. შესაძლებელზე გაცილებით
მცირე ფართობებზეა წარმოდგენილი საზოგადოებრივი ზერები; მოპ-
ყავთ მრავალი სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურა.

თერმიული რეჟიმი გეოგრაფიული მდებარეობა, რელი-
ეფური თავისებურება და მცენარეული საფარი განაპირობებს აღნიშ-
ნული მხარის კლიმატს. ტემპერატურული რეჟიმის მიხედვით ტერიტო-
რია მოიცავს ორ აგროკლიმატურ ზონას: 1. აღმოსავლეთ კავკასიონის
მთიანეთი, რომელშიც შედის ჭავის რაიონი და ახალგორის რაიონის
უმეტესი ნაწილი; 2. მთისწინა ზონა — მასთან მომიჯნავე შიდა ქართ-
ლის ვაკის პერიფერიული ნაწილით. იგი მოიცავს გორისა და ქარელის
რაიონების ჩრდილოეთ ნაწილს და ახალგორის რაიონის მთისწინა
ზონას.

ჰაერის მრავალწლიური საშუალო ტემპერატურა ზაფხულში (VII)
მთიან ზონაში $18,3^{\circ}$ შეადგენს. ცხინვალში (VIII) — $20,5^{\circ}$. ჰაერის მაქ-
სიმაღლური ტემპერატურა მაღალია და იგი ჭავაში ზოგჯერ 33° შეად-
გენს, ცხინვალში $35,6^{\circ}$ აღწევს. მისი მრავალწლიური მაჩვენებელი
ცხინვალში 31° უდრის. აქვე წლიური საშუალო ტემპერატურა $9,8^{\circ}$
შეადგენს.

ხეხილისა და ვაზის გავრცელების მიერორაიონებში მრავალწლი-
ანი ნარგავებისათვის საზიანო ძლიერი ყინვები შედარებით იშვიათად
იცის. გაზიფხულის წაყინვები საშიშროებას ქმნის ახლად გაშლილი
კვირტებისა და ნორჩი ყლორტებისათვის. უკანასკნელი წაყინვა
ცხინვალში საშუალოდ პრილის დასაწყისშია. გაზიფხულის წა-
ყინვებს ზოგჯერ პრილის შუა რიცხვებშიც ვხვდებით. იშვი-
ათად მესამე დეკადაშიც.

ეტერურ ტემპერატურათა ჭამი 5 და 10 გრადუსს ზემოთ დაბლობ
ზონაში შესაბამისად $3428—3459^{\circ}$ და $3048—3051^{\circ}$ ფარგლებშია.

ნალექები. შიდა ქართლის ტერიტორიაზე ნალექები რეგი-
ონალურად და თვეების მიხედვით არათნაბრადაა. განაწილებული-
ნალექების უდიდესი რაოდენობა მთიან ზონაში მაისსა და ივნისში
მოდის, შესაბამისად $125,8—125,9$, მმ; დაბლობ ზონაში კი ყველაზე
მეტი ნალექებით ოქტომბრის თვე ხასიათდება — $69,4$ მმ.

აქტიურ ტემპერატურათა ჭამი

(კ. კელენჯერიძის მიხედვით)

მეტეოროლოგური (სიმაღლე)	5°-ზე ზევით	10°-ზე ზევით
ახალგორი 760	3459	3051
ცხინვალი 871	3428	3048

მოსული ნალექების რაოდენობა, განსაკუთრებით ვეგეტაციის პერიოდში (ივლისი, აგვისტო, სექტემბერი), შესაბამისად 50,9—48,3—52,5 მმ-ია და ვერ უზრუნველყოფს მრავალწლიან ნარგვებს ტენის საქმაო რაოდენობით. ნალექების წლიური ჭამი მთასწინა ზონაში 830 მმ-ია. გვალვანი პერიოდის საშუალო ხანგრძლივობა 115 დღეა. ამიტომ ვაზის მორწყვა აუცილებელ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს.

როგორც მრავალი მკვლევარი მიუთითებს, შამპანური ჯიშის ყურძნესათვის აუცილებელია ზომიერი ჰავა და ყურძნის თანაბარი დამწიფება. შამპანურით საქვეყნოდ ცნობილ შამპანთან საშუალო საფლეღამისო ტემპერატურითა და ნალექებით ახლოსაა ქარელის, გორისა და ახალგორის რაიონიბის მთისწინა და დაბლობი ზონები. აქ მოყვანილი ყურძნის მოსავალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით ძირითადად ორი მიმართულებისაა: საშამპანურე — 19% -მდე შაქრიანობითა და 8—10% მუავიანობით და სასუფრე ღვინომასალებისა — 19—21% შაქრიანობითა და 7%-მდე მუავიანობით.

ნიდალაგები¹. მთისწინა და ვაკე ადგილები მეხილეობისა და მევენახეობის განვითარების ძირითად ზონას წარმოადგენს. ხეხილის კულტივირება წარმატებით შეიძლება ჩატარდეს აგრეთვე შუამთის ნაწილში. ვაზის გავრცელებისათვის ხელსაყრელი პირობებია ზღ. დ. 1000—1100 მ სიმაღლე, შავმიწისებრი, ნეშომპალა-კარბონატული, მდელოს ალუვიური, ალუვიური და ტყის ყავისფერი ნიადაგები.

¹ შიდა ქართლის ნიადაგების აღწერა მოცემულია ი. ბარათშვილის მონაცემების მიხედვით.



შავმიწისებრი ნიადაგები ნიადაგები. ამ ტიპის ნიადაგების ფორმა სხვადასხვაობით ხსიათდება. მათ ეხვდებით ქართლის ვაკისაკენ შინაგანულ ფერზობებზე, აგრეთვე ყორნისისა და ოქონის ფრონეს წყალგამყოფ ქედზე. ეს ნიადაგები ფართო მასშტაბით არა შარმოდგენილი არგვიცში, ბერულაში, ერედვში, ხეთაგუროვში, ტბეთში, კუსირეთში და ა. შ. მათი მნიშვნელოვანი მასივებია ყორნისა და წორბისში.

შავმიწისებრ ნიადაგებს უმეტესად ახასიათებს ღრმა ჰუმუსოვანი ფენა, მუქი (მოშავო) შეფერილობა, კარგად გამოსახული მაკრო და მიკრო აგრეგატული შედგენილობა, რაც განსაზღვრავს ხელსაყრელ წყალ-ჰაეროვან თვისებებს (მიუხედავად მძიმე მექანიკური შედგენილობისა). ამ ნიადაგებს დიდი სისქე აქვთ — 130—150 სმ.

ი. ბარათაშვილის მონაცემებით დასტურდება, რომ მიუხედავად მუქი შეფერილობისა, მაში ჰუმუსის შედგენილობა შედარებით ნაკლებია — საშუალოდ 2-დან 3,5%-მდე მერყეობს, ხოლო იშვიათად — 6,7%-მდე.

საერთო აზოტისა ($0,15—0,27\%$) და ჰიდროლიზური აზოტის ($41—64$ მგ 100 გ ნიადაგში) რაოდენობა შეიძლება ჩაითვალოს ჩამაგმაყოფილებად, მაგრამ ნაკლებია ფოსფორმეტავა ($0,06—0,09\%$) და განსაკუთრებით ადვილყდ სხნადი ფოსფორმეტავა ($2—7$ მგ 100 გ ნიადაგში), რაც იმაზე მიუთითებს, რომ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ფოსფოროვანი სასუქების გამოყენებას.

შავმიწისებრ ნიადაგებს ახასიათებთ მტკიცე მარცვლოვანი და მარცვლოვან-კოშტოვანი სტრუქტურა, რაც განაპირობებს მათ მაღალ ფორიანობას, კარგ წყალგამტარობას და აერაციას. თუმცა ეს პირობები ცვალებადობს განოყიდვებისა და დამუშავების კულტურის შესაბამისად.

მდელოს ალუვიური ნიადაგები ნიადაგები. ყველაზე ფართოდ წარმოდგენილია დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის, ქსნისა და ფრონეს ხეობების სოფლებში: აჩაბეთში, ღმენისში, თამარაშენში, კეხვში, გუგაბაურში, ქურთასა და ახალგორში. მათ მნიშვნელოვან მასივებს ვხვდებით აგრეთვე წინაგარსა და ორჭოსანში. ეს ნიადაგები გავრცელებულია სწორი რელიეფის პირობებში. ამიტომ მათი საერთო სილრე მნიშვნელოვანია — 100—110 სმ. გ. ტარასაშვილის. გ. ახელედიანისა და მ. საბაშვილის მონაცემებით, ამ ტიპის ნიადაგები ფართოდაა წარმოდგენილი მუხრანისა და შიდა ქართლის ვაკეზე, რომელიც გამოიყენება ხეხილის, ვაზის, მარცვლეულისა

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ, ଏକାଂକୀୟ ଓ ଜୀବନସୂର୍ଯ୍ୟରୀତି ଶ୍ରେଷ୍ଠପ୍ରେସ୍‌ରୋଡ଼ା ଶିଳା ପ୍ରାଚୀତଳୀରେ
ଶାଶ୍ଵତିତ୍ତିରେ ନିରାଗ୍ରହଣ

(ଗ. ଶାଶ୍ଵତାତ୍ମକିଲୀରେ ମିଶ୍ରଭ୍ୟାତ)

ଅନୁଭବରୀତି ଶାଶ୍ଵତାତ୍ମକିଲୀରେ ମିଶ୍ରଭ୍ୟାତ	ପାତାରୀ ଶାଶ୍ଵତାତ୍ମକିଲୀରେ ମିଶ୍ରଭ୍ୟାତ	ପାତାରୀ ଶାଶ୍ଵତାତ୍ମକିଲୀରେ ମିଶ୍ରଭ୍ୟାତ	ପାତାରୀ ଶାଶ୍ଵତାତ୍ମକିଲୀରେ ମିଶ୍ରଭ୍ୟାତ			P_2O_5
			ପାତାରୀ ଶାଶ୍ଵତାତ୍ମକିଲୀରେ ମିଶ୍ରଭ୍ୟାତ	ପାତାରୀ ଶାଶ୍ଵତାତ୍ମକିଲୀରେ ମିଶ୍ରଭ୍ୟାତ	ପାତାରୀ ଶାଶ୍ଵତାତ୍ମକିଲୀରେ ମିଶ୍ରଭ୍ୟାତ	
ପାତାରୀ ଶାଶ୍ଵତାତ୍ମକିଲୀରେ ମିଶ୍ରଭ୍ୟାତ	0 – 10	3,48	0,18	43,14	0,06	7,60
	20 – 30	1,85	0,14	31,47	0,30	3,41
	45 – 55	0,64	0,08	4,79	0,07	9,21
	80 – 90	—	—	—	—	2,89
ପାତାରୀ ଶାଶ୍ଵତାତ୍ମକିଲୀରେ ମିଶ୍ରଭ୍ୟାତ	0 – 10	6,69	0,25	41,17	—	5,30
	15 – 25	3,20	0,20	62,90	—	2,60
	45 – 50	1,76	—	42,34	—	2,06
	85 – 95	1,24	—	—	—	1,48
ପାତାରୀ ଶାଶ୍ଵତାତ୍ମକିଲୀରେ ମିଶ୍ରଭ୍ୟାତ	0 – 10	1,89	0,15	47,30	0,06	4,3
	18 – 28	1,24	0,11	20,97	0,09	2,8
	35 – 45	0,99	0,09	4,80	0,07	2,4
	60 – 70	0,31	—	—	—	4,7
	100 – 110	—	—	—	—	3,9
ପାତାରୀ ଶାଶ୍ଵତାତ୍ମକିଲୀରେ ମିଶ୍ରଭ୍ୟାତ	0 – 10	2,15	0,27	52,80	0,37	17,8
	30 – 40	1,70	0,11	64,10	0,12	13,3
	60 – 70	1,02	—	62,70	0,07	1,8



და ბოსტნეული კულტურებისათვის. ი. ბარათაშვილის მიხედვით მცენარეების აღნიშვნა 2-დან 5%-მდე ჰქონდება. საერთო აზოტის რაოდენობა 0,18—0,29% ფარგლებშია. ყურადღებას იპყრობს ჰიდროლიზური აზოტის დიდი შემცველობა (88,9—92,8 მგ 100 გ ნიადაგში), აგრეთვე მცენარისათვის ადვილად შესათვისებელ ფორმაში არსებული ფოსფორმეთა (15—20 მგ 100 გ ნიადაგში). ნიადაგის რეაქცია pH—7,0—7,7 ფარგლებშია, ე. ი. ნეტრალური ან მცირე ტურიანია.

ალუვიური ნიადაგები კარგი აგრეგატული შედგენილობისაა, რაც დადებითად მოქმედებს წყალ-ჰეროვანი თვისებების გაუმჯობესებაზე. მათ ტიპის ნიადაგები განვითარებულია დიდი და პარაზილიაზე, ქსნისა და ფრონეს ტერაქსებზე. ჰქონდებანი მცურავი რაოდენობით შეიცავს — 1,11%, საერთო აზოტის შემცველობა საქმარისია — 0,28%, მაგრამ მასში მცირეა საერთო ფოსფორი — 0,17%.

ცხრილი 3

შიდა ქართლის ალუვიური ნიადაგების ქიმიური შედგენილობის ზოგიერთი მაჩვენებელი. (ი. ბარათაშვილის მიხედვით)

ნიმუშის აღების სილრმე (სმ)	ჰქონდების % %	საერთო აზოტი % %	P ₂ O ₅		CaCO ₃
			საერთო % %	შესათვისე- ბელი მგ 100 გ ნია- დაგში	
0—15	4,60	0,28	0,17	16,4	31,5
15—25	2,83	0,26	0,15	2,1	32,0
50—60	—	—	—	—	42,6
0—10	1,11	0,178	—	14,70	—
40—50	1,10	0,070	—	8,10	—
80—90	0,89	—	—	—	—

ტყის ყავის ფერი ნიადაგები გავრცელებულია ქარელის რაიონში, გორისა და ახალგორის რაიონების სამხრეთ ნაწილში. მათ ვხვდებით ბალთაში, ღარისთავში, ვახტანაში, ციხიანში, თორმა-



ნეულში, არკნეთში, ახალშენში, საგვარეში, ჩულში, სხლითში, ქართული წყაროში, ხუნდისუბანში, ქედიგორიაში, გდულეთში, წირში, ორხევში, ახმაჯში, ახალდაბაში, ბეჟანაანთკარში, ბოლში, წირქოლში, იქოთში, ხეითში, კიტრიულში, ბიყარში, ანდორეთში და სხვა. გავრცელებულია ავრეთვე მთისწინებისა და დაბალმთიანი ზოლის ფერდობებზე, გვხვდება საშუალო ქანობის ფერდობებსა და თხემებზე, უმთავრესად განვითარებულია ლიოსისებრ ქანებზე.

ეს ნიადაგები ხეხილისა და ვენახებისათვის ყველაზე ხელსაყრელია. ძირითადად გავრცელებულია მთა-ტყის ზონის ქვედა სარტყელში, ზღვის დონიდან 800—1200 მეტრ სიმაღლეზე; ხასიათდებიან საქმაო სიძლიერით. ჰუმუსიანი და გარდამავალი ზონის სიძლიერე 40—50 სმ-ია, აქვთ კარგად გამოხატული მტკიცე მარცვლოვან-კოშტოვანი სტრუქტურა.

ტყის ყავისფერი ნიადაგების ზედა პორიზონტებში საკმაოდ დიდი რაოდენობითაა ჰუმუსი (4,55—6,0%), რომელიც თანდათანობით მცირდება სიღრმის მატებისთან ერთად. საქმაო რაოდენობით შეიცავს საერთო (0,1—0,28%) და პიდროლიზურ აზოტს (73,4—116,4 მგ 100 გ ნიადაგში), მაგრამ მცირება საერთო ფოსფორის შემცველობა (0,06—0,12%), განსაკუთრებით კი მცენარისათვის ადვილად შესათვისებელი ფოსფორმჟავა (3—6 მგ 100 გ ნიადაგში). მათი რეაქცია ზედა პორიზონტებში, ჩვეულებრივ, ნეიტრალურია, ხოლო ქვედა პორიზონტებში — მცირე ტუტიანი (pH—6,9—7,2), ყავისფერი ნიადაგების აგრეგატული შედგენილობა აგრონომიული თვალსაზრისით ხელსაყრელია, ხასიათდება აგრეთვე კარგი წყალ-ჰაეროვანი თვისებებით.

ნებომალ ა-კარბონატული ნიადაგები არ არის ზონალური, გავრცელებულია ყველა მთა-ტყის ზონაში ყომრალი და გაეწრებული ნიადაგების კომპლექსში; გვხვდება მთისწინა ზონაშიც, ხასიათდება მცირე სიძლიერით — 30—60 სმ, ზედა პორიზონტების მურა-მოშავო შეფერვით, მტკიცე მარცვლოვან-კოშტოვანი სტრუქტურით, ფიხიანი ან მძიმე თიხიანი შედგენილობით.

აღნიშნული ნიადაგები ზედა პორიზონტებში შეიცავს მნიშვნელოვანი რაოდენობის ჰუმუსს (3,5—6,6%), საერთო აზოტს (0,24—0,25%) და პიდროლიზურ აზოტს (83—110 მგ 100 გ ნიადაგში), მაგრამ ძალიან ღიარიბია ფოსფორით. ამ ნიადაგების შემადგენლობაში მნიშვნელოვანი რაოდენობითაა აგრონომიული ძვირფასი აგრეგატები (>1 მმ).

პუმუსის, აზოტისა და ფოსფორის შედგენილობა ტყის კავისურ ნიაღაგებში
 (ი. ბარათაშვილის მიხედვით)

აღგილმდებარეობა	სუნარე (ქ.გ.)	კუმეტი 0/0 %	საერთო აზოტი 0/0 %	კიდური გრძელი აზოტი 100 გ ნიაღაგებში	P ₂ O ₅	
					საერთო 0/0 %	შესათვალი შედგენილობაში 100 გ ნიაღაგებში
ძარშემი	0—10	6,08	0,26	110,0	0,12	3,5
	13—23	5,34	0,17	116,4	0,12	3,2
	35—45	4,64	0,11	73,3	0,11	2,5
	65—75	2,11	—	—	—	—
ნული	0—10	4,06	0,28	73,4	0,34	20,2
	30—40	2,97	0,24	74,8	0,28	19,5
	55—65	1,35	—	47,2	—	18,3
ახმაწი	0—10	5,28	0,22	62,9	0,06	2,8
	15—25	4,58	0,22	31,4	0,04	1,4
	35—45	2,34	—	—	—	2,8

ნეშომბალა-კარბონატული ნიაღაგების რეაქცია ნეტრალური (pH—6,9) ან სუსტი ტუტეა (pH—7,2).

ეს ნიაღაგები, როგორც აღვნიშნეთ, მთისწინა ზონაშიც გვხვდება შავშიწისებრ ნიაღაგებთან კომპლექსში. ექ უკეთესი რელიეფური პორბების გამო, მეტი სიძლიერით ხასიათდება (100—110 სმ) და ჰუმურისიანი პორიზონტი 50 სმ აღწევს, თუმცა მისი შემცველობა არც იქაა დიდი — 2,2—2,7 %-ია.

ნეშომბალა-კარბონატული ნიაღაგების დიდი მასივებია ყემულ-თის, წონის, ლარგვისის, კორინთის მიკროზონებში და სხვაგან.

ზემოთ დახსინითებულ ნიაღაგებში, კალიუმის შემცველობა კველ-გან საკმარისი რაოდენობითაა. საქართველოს ნიაღაგებში საერთო კალიუმის შემცველობა დიდ ფარგლებში მერყეობს — 0,3-დან 2 პრო-



ცენტრალური (ო. ონიანი). ამასთან, კალიუმის შემცველობით უფრო მდიდარია აღმოსავლეთ საქართველოს, მათ შორის, შიდა ქართლის ნაკლებობაზე გები. თუმცა განირჩევა სხვადასხვა ტიპის ნიადაგებიც, მაგრამ მათი ნაკლებობა არ შეიმჩნევა ხეხილისა და ვაზის გაშენების ზონებში.

მდიდარე პატარა ლიახვის ხეობაში მდელოს ალუვიურ ნიადაგზე ღრმად განვიყირების შედეგად მნიშვნელოვნად გადიდდა 40—60 და 60—80 სმ ფენაში მოძრავი კალიუმის შემცველობა და 100 გ შურალ ნიადაგში 29,7—28,7 მგ-ს მიაღწია. საკონტროლო ვარიანტის (ზედაპირულად განვიყირებული) ნაკვეთის იმავე ფენებში 26,3—23,0 მგ იყო. საგულისხმოა, რომ უსასუქო ვარიანტის აღნიშნულ სილრმეზე 21,8—20,0 მგ დარჩა.

აზოტიანი, ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქების გამოყენებისას აუცილებელია ნიადაგებში მათი შემცველობის გათვალისწინება, აგრძობებსონალი ყურადღებით უნდა მოვეკიდოს აგროქიმიური კარტოგრამების გამოყენებას.

2. მეცნიერების თანამედროვე მდგრადიობა და

განვითარების პერსპექტივები

შიდა ქართლის ბუნებრივი პირობები სრულიად დამატებულფილებელია იმისათვის, რომ გორის, ქარელისა და ახალგორის რაონების მთისწინა და დაბლობ ზონაში (ზღვის დონიდან 1000—1100 მეტრამდე) მეცნიერებას მიეცეს ფართო სამრეწველო სხსიათი.

აღნიშნული ზონის ზომიერი ჰავა, შავმიწისებრი, მდელოს ალუვიური, ალუვიური, ტყის ყავისფერი და ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები ქიმიური შედეგებით, ფიზიკური თვისებებითა და სტრუქტურით ხელშემწყობი ფაქტორებით შამპანური და სუფრის ღვინომასალებისათვის ყურძნის უხვი და ხარისხოვანი პროდუქციის მისაღებად. ეს ზონა საშპანურე ვაზის ჯიშების გასავრცელებლად კლასიფიცირდა. ამდენად, მეცნიერება აქ პერსპექტიული დარგია.

მიუხედავად ამისა, მეცნიერების დღევანდელი წონე არსებულ შესაძლებლობებზე გაცილებით დაბლა დგის. როგორც აღვნიშნეთ, აღრე არსებული 760 ჰექტარის ნაცვლად ბოლო წლებში მხოლოდ 188 ჰექტარი დარჩა. ნარგაობის გარკვეული ნაწილი ხანდაზმულობის გამო მოიძირკვა, ნაწილი კი მოუვლელობით გამოვიდა მწყობრიდან. მათ სანაცვლოდ კი აღარ შენდებოდა ახალი.

კუთხის მიწისა რაოდენობა ჭიშების მიხედვით საზოგადო ცენტრში



კუთხის დასახელება	შეღა ქართლი		უფლის ცხინ- ვალის რაობი		გაეს რაობი		ახალგორის რაობი		ყორნებული მასშტაბი პირული მასშტაბი	
	მიზან დენები	% %	მიზან დენები	% %	მიზან დენები	% %	მიზან დენები	% %	მიზან დენები	% %
აღეჭვანიშვილი	5117	0,3	—	—	—	—	—	—	5173	1,4
აღიგოძი	138191	8,4	37096	5,4	—	—	39251	6,7	61344	16,5
ბრდეშერი	24127	1,5	1529	0,2	—	—	22472	3,9	126	0,0
გორგლი მუვანი	563400	34,1	222877	32,7	—	—	197611	34,0	142912	38,1
თავრიში, განწერი	56	0,0	—	—	—	—	—	—	56	0,0
ჩერითელი	20104	1,2	3449	0,5	—	—	5591	1,0	11064	3,8
საჯურავი	663	0,0	—	—	663	5,0	—	—	—	—
თავკური	63743	3,9	12079	1,8	—	—	38736	6,7	12928	3,4
წინური	534637	32,4	197877	29,1	12655	95,0	255225	43,9	68880	18,4
თხლატე	2460	0,1	—	—	—	—	2460	0,4	—	—
შეკვაპიტო	219131	13,3	161230	23,7	—	—	8193	1,4	49708	13,3
შასალა თეთრი, ვარდისლერი და მრუსატისებრი	1886	0,1	—	—	—	—	—	—	1886	0,15
სპოლასხევა	57311	3,5	31021	4,6	—	—	11862	2,0	14428	3,8
ს უ ლ	1630812	98,8	667158	98,0	13318	100,0	581401	100,0	369005	98,4



შექმნილი მდგომარეობა გულსატკენია იმიტომაც, რომ დარჩენილი ცალი ფართობებზეც არ იგრძნობა მზრუნველი ხელი. ზერებში უნდა ჩატაროს აგრძელებული ლონისძიებების უხარისხობა, ხშირ შემთხვევაში კი — მთელი რიგი სამუშაოების შეუსრულებლობაც.

საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვს, რომ მევენა-ხეობა აღსდგეს იმ სოფლებში, სადაც კი სამისო პირობებია. ამასთან, იგი ყველგან მაღალტენტაბელური უნდა გავხადოთ.

ამ რეგიონში მევენახეობის შემდგომი განვითარება უდიდესი სამეურნეო და ეკონომიკური მნიშვნელობისაა, ქართლის ზონასთან ერთად მან გარკვეული ხვედრითი წილი უნდა დაიკავოს რესპუბლიკაში საშამპანურე მიმართულების ვაზის მოსავლიანობის გადიდებაში.

ვენახების აზალი ფართობების გაშენებასთან ერთად მეურნეობათა ხელმძღვანელებშა და აგროსპეციალისტებმა ყურადღების ცენტრში უნდა დაყენონ მათი მოვლა-პატრონობის საკითხი. ყველა აგროლონისძიება ახალგაშენებულ ვენახებში უნდა სრულდებოდეს დროულად და ხარისხიანად. კაშს თავიდანვე უნდა შეეუქმნათ ყოველგვარი პირობები, რათა არ გამეჩერდეს და ნარგაობა სრულფასოვანი გვქონდეს. მეტ ყურადღებას მოითხოვს აგრეთვე ძეველი ზერები, გასათვალისწინებელია, რომ ბევრგან მოუვლელობით მცენარე დაწინებულია და მათ უნდა შეეუქმნათ მაღალი აგროტექნიკური ფონი. ასეთ ნარგაობებში, მეჩერიანობის აღმოფხვრასთან ერთად, მკვეთრ გაუმჯობესებას მოითხოვს ნიადაგის დამუშავების კულტურა. საჭიროა თანდათანობით მოხერხდეს 80—90 სანტიმეტრამდე შტამბის ამაღლება, რომელიც წლების განმავლობაში არასწორი სხვლითა და აღზრდით დადაბლდა და დამახინვდა. ახალგაშენებულ ვაზს კი მიეცეს 1—1,2 მეტრი სიმაღლის შტამბი.

ვენახების ფართობების მკვეთრმა შემცირებამ, ზოგან კი ძვირფასი კულტურის მთლიანად მოსპობამ, საერთობლად შეამცირა ამ დარცვი მომუშავევი კვალიფიციურ მუშავთა რიცხვი. რაიონების აგროპერსონალის გადაუდებელი ამოცანაა საჭირო რაოდენობით მოაზადონ კვალიფიციური მევენახები ვაზის გასხვლა-ფორმირების, მწვანე ოპერაციების, წამლობის და სხვა მნიშვნელოვან ლონისძიებათა ჩასატარებლად.

რეგიონში მევენახეობის სათანადო დონეზე განვითარებისათვის, აღნიშვნული ლონისძიებების განხორციელებასთან ერთად, საჭირო გადაწყდეს სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც.



აუცილებელია ცხინვალის სანერგე მეურნეობა-ტექნიკუმში და დგეს ვაზის მყნობის ორგანიზაცია შემდეგი მოსაზრების გამო:

1. მეურნეობებს დიდი მანძილით დაშორებული სანერგებიდან აღარ მოუწევთ ვაზის ნამყენის შემოზიდვა.

2. სხვა სანერგები მათ ხშირად ვერ უზრუნველყოფენ სასურველი ვაზის ჯიშის ნამყენით. ეს გამსაკუთრებით ითქმის გორული მწვანესა და შავეაპტოს შესახებ. ოთხმოცაან წლებში გაშენებული 61 ჰექტარი ვენახიდან არც ერთი ჰექტარი არ გაშენებულა ამ ჯიშით, გაშინ როცა ისინი წამყვანებია აღნიშნული ზონისათვის. ცხინვალის სანერგე მეურნეობა-ტექნიკუმი, მყნობის შემთხვევაში გაითვალისწინებს დარიალობული ჯიშების გამრავლების აუცილებლობას და საკვირტე მასალასაც ახლომდებარე მეურნეობებში დაამზადებს. ძველ ნარგაობაში გორული მწვანე 30—35%-ს შეადგენს, შავეაპტო—13—15%-ს. გარდა ამისა, შავეაპტოს 3 ჰექტარამდე ფართობი—70—75% ჯიშური სიწმინდითაა გაშენებული თამარაშენის მეურნეობაში.

3. უკვე რამდენიმე წელია აღგილზე შეუძლებელია ვაზის სხვა-დასხვა ჯიშის ნამყენზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაქმაყოფილება, რაც დიდ სიძნელეებს ქმნის.

ზემდგომი ორგანოების საზრუნვი ყოველთვისაა სასოფლო-სამეურნეო კულტურების სარწყავი წყლით უზრუნველყოფს საკითხი. დამთავრდა კენევის სარწყავი არხის რეკომენტრუქციის მეორე რიგის სამუშაოებიც. გორჩა და ქარელის რაონებში მეურნეობებს ამ სისტემით მნიშვნელოვნად გაუდიდდათ სარწყავი წყლის დებეტი. მათ ყაირათიანად უნდა გამოიყენონ იგი და გაზარდონ სარწყავი ფართობები, რომლებიც შეიძლება ვაზის ნარგაობასაც დაეთმოს.

რაც შეიძლება დროულად უნდა გადაწყდეს ორჭოსან-აბრევის მიმართულებით სარწყავი სისტემის დაპროექტება-მშენებლობა, რომელიც ტამატებით გასასარწყავებს 100 ჰექტარს. ასევე აუცილებელია დაიწყოს სარწყავი არხის მენენებლობა მდინარე ქსნის მარჯვენა სანაპიროზე ერედა-ახმავის მიმართულებით, სადაც გასასარწყავდება 200 ჰექტარი საზოგადოებრივი და 100 ჰექტარზე მეტი საკარმილიამო სახნავი სავარგულები. ეს ღონისძიება გამსაკუთრებით ხელსაყრელი იქნება იხალვირის მეურნეობისათვის, სყდაც დრიდ ფართობზე შესაძლებელი ვენახების გაშენება.

მეურნეობები უფრო ეფექტურად უნდა იყენებონ გადასადგილებელ წყალსაჭაბ ტექნიკას. მათი საშუალებით ყოველწლიურად



უესაძლებელია 800—900 ჰექტარი ფართობის მორწყვა. ფაქტობურაფიან
მხოლოდ 250—300 ჰექტარი ირწყვება. მევენახეობის შემდგომი აზერები
ლობისათვის მცირე მელიორაციასაც დიდი სამსახურის გაწევა შე-
უძლია.

ვენახების გაშენებისას მხედველობაშია მისაღები ზონის ტერიტო-
რიაზე წარმოებული ცდებით მიღებული შედეგები.

მდინარე დიდი ლიახვის თამარაშენის ქვეზონაში, როგორც ეს-
კ. თვალაშვილის (18) მიერ ჩატარებული ცდებით ირკვევა, მიღალი მო-
სავლიანობით გამოიჩინა — გორული მწვანე, შავეპიტო, თავკვერი
და ალიგოტე. მათგან თავკვერის მოსავლიანობა შეიძლება 130 ცენტ-
ნერამდეც კი გავაღილოთ ერთ ჰექტარზე, გორული მწვანესა და შავ-
კაპიტოსი — 100—100-მდე. მაგრამ როგორც ჩვენი დაკვირვება ადას-
ტურებს, ამ ზონის სოფლებში: თამარაშენში, აჩბეთსა და გუჯიბაურში
თავკვერს ზოგჯერ ზაბალი შაქრიანობა აქვს — 16—17,5%. ამიტომ ამ
ჯიშმა დიდი ფართობია არ უნდა დაიკავოს საერთო ნარგაობაში. მას-
მეტი პერსპექტივა აქვს: ახალგორის რაიონში.

აღნიშნული ოთხივე ჯიში ასევე კარგი მაჩვენებლებით ხსიათდება
ქსნისა და ფრონებს ხეობებში.

ქსნისა და ლიახვის ხეობებში გორულ მწვანეს შაქრიანობა 18,6—
20,7%-ია, მეუკიანობა — 6,8—7,4%, ოც იყმაყოფილებს მაღალხარის-
ხოვან სასუფრე და საშამპანურე ღვინომასალაზე არსებულ ტექნი-
ლოგიურ მოთხოვნებს.

აღსანიშნავია, რომ შავეპიტო ზშირად განსხვავებულ მაჩვენებ-
ლებს ამჟღავნებს. როგორც ლიახვის, ასევე ქსნის ხეობებში მისი შაქ-
რიანობა 19—21%-ის ფარგლებში მერყეობს, რაც აღვილობრივი
კონკრეტული პირობებითაა გამოწყვეტული.

მკვლევარი დაასკვნის, რომ მომავალში ახალი ვენახების გაშენე-
ბისას აღნიშნული მონაცემები მხედველობაშია მისაღები. მისი რჩე-
ვით ქსნის ხეობაში უნდა გაშენდეს: გორული მწვანე, შავეპიტო, ალი-
გოტე, რქაწითელი; ლიახვის ხეობაში: გორული მწვანე, შავეპიტო,
ალიგოტე.

ქვევ დაგსძენთ, რომ თავკვერი, როგორც ძვირფასი საკუპავე ჯი-
ში, მაინც უნდა გაშენდეს სამიერ რაიონში, ოღონდ მეტი ფართობი
დაეთმოს ახალგორის რაიონში, შავეპიტოს კი გორის რაიონში.

ა. სირბილაძის მიხედვით, შამპანური და სასუფრე ღვინომასალე-
ბის მისაღებად ვაზის ჯიშების მასობრივედ უავრცელებლად უპირა-
ტესობა ენიჭება შემდეგ მიკრორაიონებს:



გორის რაიონში:

ცხინვალის მიკრორაიონი — გუჯაბაურში, თამარებაშენიშვილის სტრიქში, ქართულ ფრისში, ქვემო აჩაბეტში (ავტორის უწერია ზემო აჩაბეთი, რაც მექანიკურ შეცდომად მიგვაჩნია — ა. ჭ.) ვაზის ჯიშები — შავკაპიტო, გორული მწვანე და ალიგოტე გვაძლევენ შამპანურისა და სუფრის ღვინომასალებს. ამ სოფლებში ღვინოები მსუბუქი და ხალი-სიანი დგება.

ქურთის ზიკრორაიონი — ზემო აჩაბეტში, ქურთაში, კეხვში გორული მწვანე და შავკაპიტო გვაძლევს შამპანურის ღვინომასა-ლებს. სოფ. კეხვში მაღალი მუვაიანობის გამო ყურძნის პროდუქცია შეიძლება საკუპაჟედ გამოვიყენოთ.

დიდი ძარწევის მიკრორაიონი — დიდ და პატარა ძარ-წევში, მინდიანთ უბანში, ვალის უბანში, მაღალდაანთში, ქემერტში უჭავოდ სუფრის ღვინის გარდა გორული მწვანესა და შავკაპიტოსა-გან მიიღება საუკეთესო ღვინომასალა შამპანურისათვის.

ერედვის მიკრორაიონი — არვიცულში, ბერულაში, ერედვ-ში, ქსულში, სათიხარში, ვანათში, ზემო და შუა დმენისებში სუფრის ღვინოები უჭავოდ მიიღება. აქ გორული მწვანეს, შავკაპიტოსა და თავკვერისაგან მიიღება ღვინომასალა შამპანურისათვის. პერსპექტი-ული ჯიშებია ჩინური და ბუდეშური. ამ მიკრორაიონიდან პროფ. გ. ბერიძე გამოყოფს სოფ. ერედვს, სადაც თეთრი და წითელი ღვი-ნოები ხასიათდებიან არაჩეულებრივი სიმსუბუქით, ნაზი სხეულით და ხალისიანი მუვაიანობით. ვაზის ჯიშებიდან აქ პერსპექტიულად ასა-ხელებს გორულ მწვანესა და ალიგოტეს.

ქარელის რაიონში:

ავნევის მიკრორაიონი — დიდმუხაში, მუგუთში, ავნევ-ში, ნულში, არქნეთში — გორული მწვანე და ხარისთვალა გვაძლევენ ხარისხოვან სასუფრე და შამპანურ ღვინომასალებს.

ოქონის მიკრორაიონი — ოქონაში, ხუნდისუბანში, ახალ-შენში, ნაბაკევში, სუნისში, ქვემო ოქონაში, ველებში, ძვილეთში, ნედ-ლათში მიიღება სუფრის ღვინოები. გორული მწვანე, თავკვერი და რქაშითელი გვაძლევენ საშამპანურე ღვინომასალებს.

გ. ბერიძის მიხედვით, იმავე მიკრორაიონებში ვენახები შეიძლება გაშენდეს აგრეთვე ბუდეშურით და ძველშეგვით.

ახალგორის მიკრორაიონი ორ კვეზონად იყოფა. პირვე-ლი (სარწყავი) მოიცავს ახალგორის მოსაბრუნს, იყოთს, კორინთის, მეო-რეს განეკუთვნება: ქურთა, ერედა, ბაზუაანი, წირქოლი, ქვემო ბოლი,



ზემო ბოლი, ვაშლოვანი, ბეჭაანთკარი, ახალდაბა, ახმაგი, მორბედაწერილი ყანჩიანი, საღაც გორულ მწვანეს, ალიკოტეს, ბუდეშურის ღვიძების ებს ქვეს მაღალი ალკომლური და ზომიერი სხეული.

აქაური ღვინოები ჩალისფერია, გადაპკრავს სასიამოვნო მოწვანო ფერი, ახასიათებს ნაზი სხეული და ხალისიზი მევიანობა, რაც ფართო პერსპექტივს ქმნის საშამპანურე წარმოებისათვის;

წინა გრის მიკრორაიონი — წინაგარში, ქედიგორაში, აბრევში, გლულეთში, ძუკაანთკარში, ორჭოსანში მიღება მჩატე სუფრის ღვინოები, რომლებიც სასიათლებიან ნაკლები შინაარსით და მაღალი მევიანობით.

როგორც ვანხილული მასალიდან ჩანს, გორის რაიონში შემავალ მიკრორაიონებში არ არის შეტანილი ხეითი და დისევი, რომლებიც ვაზის ზრდა-განვითარებისა და პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით შევიძლია დავაყენოთ ამ დარგით სახელგანთქმული სოფლების: გუჯაბაურის, თამარაშენის, ერევის და სხვათ გვერდით. აქ გავრცელებული ვაზის ჯიშების შავკაპტოს, გორული მწვანეს, ალიკოტესა და ჩინურის გარდა შეიძლება გაშენდეს თავკვერი და ძველშავი. მიღებული პროდუქცია საუკეთესოა როგორც თეთრი და წითელი ღვინოებისათვის, ასევე საშამპანურედ. უჭიჭოდ სუფრის ღვინოების დაყენება შესაძლებელია აგრეთვე ტებეთა და წუნარში.

ქარელის რაიონში ვენახების გაშენებისას გასათვალისწინებელია ბალთოსა და ქალეთის ხელშემწყობი ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები (განსაკუთრებით ტყის ყავისფერი ნიადაგების ქომიური შედგენილობა და მტკიცე მარცვლოვან-კოშტოვანი სტრუქტურა).

ამრიგად, ამ რეგიონში ეკოლოგიური პირობების გათვალისწინებით, მევრნახეობის მიკრორაიონები შეიძლება დაიყოს ორ გუფად:

1. საშამპანურე და ხარისხოვანი სუფრის ღვინომასალების მისაღებად პერსპექტიული მიკრორაიონებია:

ახალ გორის — ერედა, ქურთა, კორინთა, წირქოლი, იკოთი, ყანჩიანი, ბოლი, ახმაგი, ბეჭაანთკარი და მორბედაანი.

წინა გრის — წინაგარი, აბრევი, ორჭოსანი და ძუკათიკარი.

არცევის — არცევი მასში შემავალი უბნებით.

ერედვის — დისევი, ქსუისი, ერედვი, ბერული, არგვიცი, ოსფრისი და ქართული ფრისი.

თამარაშენის — თამარაშენი, გუჯაბაური, ხეითი და ქვემო აჩაბეთი.



ძარშე მ-ქე მე რტის — დიდი და პატარა ძარშემი, მდგრადულობა-
ანთუბანი, ქემერტი, მინდიანთუბანი და ჭალისუბანი.

ავნე ვის — ნული, არკნეთი, ავნევი, დიღმუხა და მუგუთი.

თიღ ვის — ზემო და ქვემო ოქონა, სუნისი, ხუნდისუბანი, ბალ-
თა, ქალეთი, სხლითი, თერევეგანი და თიღვა.

2. უჭაჭოდ სუფრის ლვინოების მისალებად ვენახების გაშენება შე-
საძლებელია შემდეგ მიქრორაიონებში:

ვანათი-დ მე ნისის — ზემო, შუა, ქვემო დმენისები, სათიხარი,
სარაბუკი, ვანათი და ბელოთი.

ქურთის — ზემო აჩაბეთი, ქურთა, კეხვი და მონასტერი.

ველების — აერთიანებს ველებს, გვარგვინს, ქვათეთის, ძვი-
ლეთს და ფრინევს.

ბეყარის — წორბისი, ყორნისი და ბეყმარი.

რეგიონში ვაზის ნარგაობა შეიძლება გავჭარდოთ სულ ცოტა 700—
800 ჰექტარამდე.

უალეულ სოფლებში ვენახების გაშენებისას მიზანშეწონილია
შემდეგი ჯიშების გაშენება (სქემა 1):

სქემა 1

ვაზის გავრცელების ზონები და გასაშენებლად
რეკომენდებული ვაზის ჯიშები

სოფლების დასახელება	გასაშენებლად რეკომენდებული ვაზის ჯიშები
თამარაშენი, გუჯაბაური, ხეითი, ქვემო აჩაბეთი, არცევი	გორული მწვანე, შავეაპიტო, ალიგოტე- ჩინური, გორულა, ქელშავი, თავევერი, რქაწითელი, პინო შავი, მასლა ვარ- დისფერი, განჯური, ქართლის თითა, ბულეშური წითელი, მასლა ვარდის- ფერი
ქართული ფრისი, ოსფრისი, არგვიცი, ბერულა, ერედვი	ალიგოტე, ჩინური, შავეაპიტო, გორული მწვანე, თავევერი, გორულა, პინო შა- ვი, ბულეშური თეთრი, ბულეშური წითელი, რქაწითელი
სათიხარი, დმენისი, ვანათი	ალიგოტე, გორული მწვანე, ქართლის თითა, შავეაპიტო

ქსუისი, ხელშა, დისევი	ალიგორე, გორული მწვანე, შავკაპიტო, ჩინური, პინო შავი, ქართლის თითა, გორულა.
ქემერტი, ძარწემი (მათში შემავალი უბნებით)	გორული მწვანე, შავკაპიტო, ალიგორე,
ზემო აჩაბეთი, მონასტერი, კეხვი, ქურთა	გორული მწვანე, ალიგორე, შავკაპიტო, ქართლის თითა
ტბეთი, კვერნეთი, ხოდი, ხეთაგუროვი	გორული მწვანე, ალიგორე, შავკაპიტო, ქართლის თითა
მუგური, ჭორბაული, ზემო დვანი დიდ-მუხა, ავნევი, არქეთი, ნული	გორული მწვანე, თავკვერი, ძელშავი, ჩინური, შავკაპიტო, ბუდეშური თეთრი, ბუდეშური წითელი, ალიგორე, ქართლის თითა, ხარისხობა, განჯური, მასლა (თეთრი, ვარდისფერი)
ბეჭმარი, თორმანეული, წორბისი, ყორნისი	ალიგორე, გორული მწვანე, ქართლის თითა
გვირვერია, ძვილეთი, ველები, ტრინევი ქვათეთი	შავკაპიტო, ალიგორე, გორული მწვანე, ქართლის თითა
თერეგვანი, ქვემო ოქონა, ზემო ოქონა, სუნის, თიღვა, ხენდისუბანი, ტყისუბანი, ნაბაკევი, სხლითი, ბალთა, ქალეთი	გორული მწვანე, შავკაპიტო, თავკვერი, ბუდეშური თეთრი, ბუდეშური წითელი, ძელშავი, ჩინური, რქაწითელი, ქართლის თითა, განჯური, მასლა (თეთრი, ვარდისფერი), გორულა
ქურთა, კორინთა, წირქოლი, ერედა, ყანჩავეთი, იკოთი, ბოლი, ახმაჭი, ბე-ჟაასთაკარი, ახალდაბა, მორბედაანი	გორული მწვანე, შავკაპიტო, ალიგორე, გორულა, თავკვერი, თხლაფა, ბუდეშური თეთრი, ბუდეშური წითელი, ჩინური, რქაწითელი, ქართლის თითა, პინო შავი, მასლა (თეთრი, ვარდისფერი)
წინაგარი, ძუკაანთქარი, ორჭოსანი, აბ-რევი	ალიგორე, გორული მწვანე, ჩინური, ქართლის თითა, გორულა

შავკაპიტო

შავკაპიტო აღგილობრივი წარმოშობის წითელყურძნიანი ვაზის ჯიშია. ქართულ, უნიკალურ ჯიშებს შორის მას თვალსაჩინო აღგილო უკავია. ძირითადად გავრცელებულია შიდა ქართლის რაიონებში. ვენახების აღწერის მონაცემებით, ზონის საზოგადოებრივ სექტორში ამ ჯიშს ვაზის საერთო ნარგაბის 13,3% ეკავა. ყველაზე მეტიდ წირმოდგენილი იყო ყოფილ ცხინვალის რაიონში — 23,7%, შემდეგ ქარელის რაიონში — 13,3%. მცირე რაოდენობით — ახალგორის რაიონში — 1,4%. შავკაპიტოს ძირითა საერთო რაოდენობა საზოგადო სექტორში შეადგენდა 219.131-ს, ანუ 64,5 ჰექტარს. მათ შორის: ყოფილ ცხინვალის რაიონში — 47,7, ქარელის რაიონში — 14,6 და ახალგორის რაიონში — 2,2 ჰექტარს. მეტამდ ამ ძვირფასი ჯიშის რაოდენობა მნიშვნელოვნადაა შემცირებული, თამარაშენის მეურნეობის ვენახში მას 2 ჰექტარამდე ფართობი უკავია, რესპუბლიკის ზოგად სექტორში 115 ჰექტარი ეკავა, მოსახლეობაში — 16 ჰექტარი.

სამეურნეო დანიშნულებით მისი პროდუქცია განკუთვნილია ხარისხვანი ღია წითელი ფერის ღვინოების დასაყენებლად, იძლევა ძვირფას ღვინომასალის შამპანურის დასამზადებლად. სპეციალურ ლიტერატურაში, აგრეთვე მოსახლეობაში ცნობილია სახელწოდებით: „შავკაპიტო“, „შავი კაპიტო“, „შავკაპიტო“.

ეს ჯიში მრავალ მკვლევარს აქვს დახასიათებული. შედარებით უფრო დაწვრილებით აღწერა იგი პროფ. ს. ჩოლოყაშვილმა (20), რომელიც ნიშან-თვისებათა მიხედვით სამართლიანად აკუთვნებს ქართლის ჯიშთა ჯგუფს. ასევე ქართლის ჯიშთა ჯგუფს აკუთვნებს მას ნ. ჩხნაშვილიც (35). აღგილზე წარმოებულმა დაკვირვებებმა ცხადყო, რომ შავკაპიტო თვისის მორფოლოგიურ-ბიოლოგიური ნიშნებით და სამეურნეო თვისებებით ტიპური ქართული ვაზის ჯიშია და ეკოლოგიური პირობების მიხედვით ქართლის ვაზის აბორიგენულ ჯიშთა ჯგუფს მიეკუთვნება.

შავკაპიტო წარმომდგარია კულტურული ვაზის ჯიშების ფორმათა კერიდან. მის გავრცელებას საკმაოდ დიდი ხნის წარსული აქვს. ეს ჯი-



ში იძლევა ხარისხოვან ღია წითელი ფერის ღვინოს, რომელიც ხელოვანურა
ათდება სიმსუბუქით, სინაზითა და ხალისიანი მუავიანობით. მღებავი
ნივთიერებანი მხოლოდ კანუა, ამიტომ უჭაჭოდ დაყენებული ღვინო
ოდნავ მოწითალო-მოვარდისფროა. მისგან აყენებენ ევროპული ტი-
პის სუფრის ღვინოს და როგორც აღინიშნა, იძლევა ძირფას ღვინო-
მასალას შამპანურის დასამზადებლად. დიდი მოწონებით სარგებლობს
მოსახლეობაში.

შავეაპიტო — მიწის ხიბლი,
ჩვენი სუფრის მშვენება;
არც ყველას დავლევა,
არც ყველას შეერგება.

მართლაც, ყველა არ არის ღირსი შესვეს დალოცვილი, ნალობი-
ავებელი, სამკურნალო თვისების ღვინო. ეს ჯიში ძირითადად გავრ-
ცელებულია გორის, ქარელის, კაბისა და ახალგორის რაიონებში.
საუკეთესო პროდუქტის იძლევა ხიდისთავის, თამარაშენის, ძარწე-
მის, ერედვისა და ახალგორის მიკრორაიონებში.

შავეაპიტოს ახალგაზრდა ყლორტის წვერო და პირველი ფოთო-
ლაკი შებუსულია და შეფერილია თეთრი მოვარდისფრო არშიით.
ამგვარი შეფერვა მომდევნო ფოთლებსაც ახსაითებს. ფოთლის ნაპი-
რები და განსაკუთრებით კბილების წვერის ნაწილები წითლადაა შე-
ფერილი. ახალგაზრდა ყლორტი მრგვალია და ღია მწვანე; მზის მხრი-
დან მოყავისფროა და ძლიერ არის დაფარული ბეჭვისებრი ბუსუსით,
განსაკუთრებით წვერისაკენ. შემოსული რქა საშუალო ან საშუალო-
ზე წვრილია და მოყავისფრო, ოდნავ მოწითალო ელფერი დაჰკრავს.
ზრდადამთავრებული ფოთოლი მომრგვალო მოყვანილობისაა, 3 ან
5-ნაკვთიანი, საშუალო სიღირდის ან საშუალოზე მცირე, შეფერილია
მუქ-მწვანედ. ფოთლის ქვედა მხარე შებუსულია საშუალო სისქის
აბლაბუდისებრი ბუსუსით. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი ღიაა.

მტევანი საშუალო ზომისაა — სიგრძით — 14—16 სმ, სიგანით —
8,5—12,5. დადი მტევანის სიგრძე 24 სმ აღწევს, სიგანე 12,5 სმ-ს.
მტევანი ცილინდრულ-კონუსისებრია ან კონუსისებრი. აგებულებით
საქმიოდ კუმისი; ზოგჯერ აქვს ფრთა, რომლის სიგრძე თითქმის მტევ-
ნის სიგრძის ნახევარს უდრის.

მარცვალი საშუალო ან საშუალოზე მცირეა, შავი. ჩვეულებრივ
ტებილია, საქმიოდ ხორციანი და წვნიანი; თხელი, მაგრამ საქმიოდ
მაგარი კანი აქვს.



ყვავილი ორსქესიანია, ნორმალურად განვითარებული ჰაუტკუპი
და მტერიანებით.

3. ბიბილაშვილის (5) აღწერით, შავეაპიტოს კვირტის გაშლა სოფ.
თამარაშენში 20—25 აპრილიდან იწყება, ყვავილობა 15—20 ივნისი-
დან. სრული სიჩრიფე დგება ოქტომბრის მეორე ნახევარშა.

შავეაპიტო კარგად გვარობს და სათანადო მოვლის პირობებში
უხევ მოსავალს იძლევა თამარაშენში, გუჯაბაურში, ხეითში, აჩაბეთში,
ქემერტში, ძარწევში, ბერულაში, ფრისში, არვიცში, ერელვში, ქსუ-
სში, დისევში, ავნევში, მუგურთში, ნულსა და მორბედანთში. ეს ჯი-
ში 120—130 ცენტნერ მოსავალს იძლევა.

მოსავლის უფრო მეტად გაზრდა შესაძლებელია დატვირთვის გა-
დიდებით და ფორმირების შეცვლით, რაც 3. ბიბილაშვილმა ცდებით
დაამტკიცა. სოფ. თამარაშენში მაღალი დატვირთვის ფორმებიდან მან
ორმენივე შეალერი და მრავალსაკავებლიანი ფორმა გამოცადა. ეს
ფორმა მოსავლის მკვეთრ მატებას იძლევა. სხვადასხვა დატვირთვის
პირობებში მისი მოსავალი 125-დან 185 ცენტნერამდე მერყეობს,
რაც იმას ადასტურებს, რომ იგი ერთ-ერთი მაღალმოსავლიანი ჯიშია.

ყურძნის შაქრიანობა შეადგენს 18,1—18,4 % -ს, ტიტრული მეავი-
ანობა 8,5—8,6 % -ს. ოქტომბრის მეორე ნახევარში მოკრეფილ ყურ-
ძნენს აქვს 18,5—22% შაქრიანობა და 9—11% ტიტრული მეავიანობა.
ლაბორატორიულ პირობებში წვენის გამოსავლიანობა 84% -მდეა.

მრავალი წლის მანძილზე წარმოებული დაკვირვება აღასტურებს,
რომ შავეაპიტოს ყურძნიდან კარგი სუფრის ღვინო დგება.

რეგიონში გავრცელებული ვაზის ჯიშების პროცენტის შესწავ-
ლის მიზნით ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგად
ა. სირბილიძემ (31) მეტად საინტერესო მონაცემები მიიღო. მან 1946
წლის სეზონზე დააყენა 40 სახის ღვინო, 1947 წელს—75, 1948 წელს—
108 სახის. 1947 წლის ნიმუშებიდან დადგენილია მორბედანის (ახალ-
გორის რაიონი), ძარწემისა და ბერულის (ვორის რაიონი) შავეაპიტო-
სა და გორული მწვანეს ღვინოების მაღალი ლილება.

შავეაპიტო კარგ გამძლეობას იჩენს სოკოვან დაავადებათა მიმართ.
ყვავილუენას და წვრილმარცვლიანობას ჯიში უმნიშვნელოდ განიც-
დის.

ვაზის ეს უნიკალური ჯიში კატასტროფულად შემცირდა უკანასკ-
ნელ წლებში. მექანიზმი რესპუბლიკის საზოგადოებრივ სექტორში მხო-
ლოდ 15 ათასი ძირი ითვლება, მისგან 9390 ძირი (სამ ჰექტარზე ნაკ-
ლები) ამ ზონაზე მოდის. ძალზე უმნიშვნელო რაოდენობითაა მოსახ-



ლეობის საკარმილამო ნაკვეთებზეც. შავკაპიტო გადაშენებიდან უნდა გიხსნათ, რადიკალური ღონისძიებების გატარებაა საჭირო. მცხოვრის რაიონის ქანდის სახელმწიფო სანერგე მეურნეობას ქართლის ზონი-სათვის პერსპექტიული ვაზის ჯიშების სარგავი მასალა გამოყავს, გარდა შავკაპიტოსი. ამ საკითხს მომავალში დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს.

ზემოთ აღნიშნული თამაჩაშენის მეურნეობის მსხმოიარე ნარგა-ობაში არსებული 2 ჰექტრამზე ფართობის გარდა, შავკაპიტო 1988 წელს გაშენდა ერედვის მეურნეობაში 1,5 ჰექტარზე — მის აღსაღე-ნად პირველი ნაბიჭი გადაღვეს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვი-ნეობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა.

ამ საკითხს მომავალშიც სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს.

გორული მწვანე

გორული მწვანე საქართველოს მევენახეობის რაიონებში ფართოდ გავრცელებული ჯიშია. მისი სინონიმებია: მწვანე, მუხამწვანე, სურა-მულა, ქვიშენური, ჯიშიანი მწვანე, ოეთრიცოთოლა მწვანე და სხვ.

მეტად მცირე ცნობებია მოცემეული ამ ჯიშის თაობაზე აქად. ივ. გაგახიშვილის (20), ი. ყანდურალოვის, ვ. გევასკისა და გ. შარერის ნაშრომებში. მათ ეს ჯიში მხოლოდ „მწვანეს“ სახელით აქვთ მოხსე-ნიებული და როგორც მაღალხარისხსხვანი პროდუქციის მომცემ ჯიშს ქართლის ვაზის ჯიშებს შორის, უთმობენ პირველ ადგილს. უფრო დაწვრილებითი ცნობები გორული მწვანეს შესახებ მოცემულია პროფ. ს. ჩილოყაშვილის (20) ნაშრომში, რომელიც გორულ მწვანეს აკუთხენებს ქართლის ენდემურ ვაზის ჯიშთა ჯგუფს. როგორც ირკვევა, გორული მწვანეს პროდუქცია განკუთვნილი ყოფილი ძირითადად თეთრი ხარისხსხვანი სუფრის ლვინოების დასამზადებლად. ყურ-ძებს დაწურვისას აკუპაუებდნენ ავრეთვე ჩინურთან და ამ თრი ჯიშის ნარევს აღუღებდნენ თავკვერის ტებილსა და ჭაჭაზე. ამის შედეგად იღებდნენ ცნობილ ხიდისთაურ წითელ ლვინოს, რომელიც გემური თვისებებით წარსულში განსაკუთრებულ ყურადღების იმსახურებდა. ქართლის თეთრყურძნიან ჯიშებს შორის გორული მწვანე ძევლთა-განვეა ცნობილი, როგორც მაღალხარისხსხვანი პროდუქციის მომცემი საღვინე ჯიში, რის გამოც ამ მხარისათვის ძირითად სტანდარტულ ჯი-შადაა მიჩნეული.

გორული მწვანე ქართლის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით შიდა ცენტრალურ რაიონებში, ფართო მასივების სახით. ყოფილია ფართო ლებული, ქართლის ძევლი მემამულე ბაგრატიონ-მუხრანელი თავის მამულში. (სოფ. მუხრანში) ღვინოს ძირითადად გორული მწვანესა-გან ამზადებდა და ეს ღვინო განთქმული იყო რუსეთის ფარგლებს გარეთაც, რომელსაც არაერთხელ მიუღია მაღალი შეფასება.

ვენახების ოწერის მასალების მიხედვით, ჩეგიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში გორულ მწვანეს ყველაზე დიდი ფართობი ეკავა—საერთო ნარგაობის 34,1%; ძირითა საერთო რაოდენობა შეადგენდა 563,400-ს, ანუ 165,8 ჰექტარს. როგორც სხვა ჯიშების, ასევე გორული მწვანეს ნარგაობა სავრმნობლად შემცირდა უკანასკნელ ხანს. ზონის საზოგადოებრივ სექტორში 80-იანი წლების ბოლო პერიოდში 40,5 ჰექტარი დარჩა.

გორული მწვანეს ახალგაზრდა ყლორტი მომრგვალოა; ფუძესთან დაფარულია მოთეთრო-მონაცრისფერო ბუსუსით. შებუსვა ძლიერდება წვეროსაკენ. კვირტები გაშლის პერიოდში მოვარდისფრობა, დაფარულია ქეჩისებრი ბუსუსით, ზრდის კონუსი გაუშლელი ფოთოლაკებით — ქეჩისებრი, თეთრი ბუსუსით და წვეროსაკენ გადაპერავს ოდნავ ვარდისფერი. პირველი ახლად გაშლილი ფოთოლი ორივე მხრიდან დაფარულია ქეჩისებრი თეთრი ბუსუსით, ხოლო ნაპირებს გადაპერავს მოვარდისფრო ელფერი. მომდევნო ფოთლები ზედა მხრიდან მცირდადა შებურვილი.

ერთწლიანი, შემოსული ჩემ საშუალო სიმსხოსი (8—10 მმ), ლია ყავისფერი ან მოყვაისფრო. ღრმად დანაკვთული. ყვავილი ორსქესიანია, ნორმალურად განვითარებული ბუტკოთი და მტვრიანებით.

• გორულ მწვანეს აქვთ განიერ კონუსისებრი ძლიერ განტოტვილი კუმისი მტევნი. მარცვალი მზით განათებულ მხარეზე ყვითელ-მომწვანია, ოდნავ მოვარდისფრო. მტევნის წონა 240 გ-მდეა. სიგრძე 16—20 სმ-ია, სიგანე — 12—15.

გორული მწვანეს ბოლოგვეური განვითარების ფაზებზე ფენოლო-გიური დაკვირვებანი ჩაატარა დოც. ნ. ჩახანაშვილმა ცხინვალის რაიონში. როგორც მონაცემებიდან ჩანს, კვირტების გაშლა 20 აპრილიდან იწყება, ყვავილობა — 9 ივნისს, ყურძნის შეთვალება აღნიშნულია 24 ივნისს, სრული სიმწიფე — 15 ოქტომბერს. სავეკეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 178 დღეა. ჩეგიონის პირობებში გორული მწვანე საშუალო ზრდით ხსიათდება. კირვი ნიადაგისა და მოვლის პირობებში ძლიერ განვითარებასაც აღწევს.



ვაზი საშუალო მოსავლიანობით გამოირჩევა: მოსავლის მომცურავა
განვითარებული ყლორტების 80—90%. ახასიათებს ყვავილცვენდებული
წვრილმარცვლიანობა; ნ. ჩახნაშვილის (35) მიხედვით, ეს ჯიში სუს-
ტი თვითდამტვერუნარიანია. დავვირვება ცხადყოფს, რომ ყვავილცვე-
ნის საკრძნობლად ანელებს ყვავილცვის წინ ყლორტების წვერის
წაწყვეტა.

გორული მწვანე მგრძნობელობას იჩენს ჭრაქის მიმართ, ხოლო ნა-
ცრისადმი შედარებით გამძლეა. ეს ჯიში ვაკე და ორმა, ღონიერ ნიადა-
გებზე ძლიერი ზრდითა და უხვი მოსავლიანობით ხასიათდება, მაგრამ მდ-
გვარ პირობებში მიღებული პროდუქციის ღირსება შედარებით და-
ბალია. ხარისხოვან პროდუქციას იძლევა სამხრეთო და სამხრეთ-აღ-
მოსავლეთით დახრილ, კალციუმის კარბონატებით მდიდარ ნიადაგებ-
ზე. ასეთ ნიადაგებზე ყურძნის წვენის შაქრიანობა 23—24%-ს აღ-
წევს. ქსნისა და ლიახვის ზეობებში გორული მწვანეს შაქრიანობა
20,7%-ია, მეავიანობა — 6,8—7,4%. დაუზიანებლად იტანს 14—18°-
მდე ყინვებს.

გორული მწვანე ხარისხოვან საღვინე ჯიშთა კვუფს მიეკუთვნება.
ქართლის აბორივენულ ჯიშთა შორის მას მნიშვნელოვანი აღვილი
უკვეიდა.

ტკბილში შაქრიანობისა და მეავიანობის საერთო შეფარდებით
გორული მწვანე აქმაყოფილებს საშამპანურე ღვინომასალისადმი წა-
ყენებულ მოთხოვნას და იგი მ დანიშნულებით შეიძლება წარმატე-
ბით იქნეს გამოყენებული. ზონის პირობებში მისვან მიღებული პრო-
დუქციიდან მეტად ხალისიანი თეთრი სუფრის ღვინოები მზადდება,
როგორც აღვნიშნეთ, ა. სირბილაძე ზოგიერთ მიკროზონაში (ძარწე-
მის, ბერულის, ახალგორის) შავეაპტონია და გორული მწვანეს ღვინო-
ების მაღალი ღირსება დამტკიცა. მ რევიონში გორული მწვანე მე-
ტად პერსპექტიული ჯიშია და განკუთვნილი უნდა იყოს ხარისხოვანი
ევროპული ტიპის სუფრის ღვინის, ხარისხოვანი შამპანურის დასამ-
ზადებელი საკუპავე მასალის მისაღებად, ამიტომ ეს ჯიში უნდა
გავრცელდეს შიდა ქართლის მთისწინა და დაბლობი ზონის საზოგა-
დოებრივ მეურნეობებში.

ალიგორიტე

ალიგორიტე ფრანგული თეთრყურდნიანი ვაზის საღვინე ჯიშია. შიდა
ქართლის პირობებში იგი იძლევა საუკეთესო საშამპანურე ღვინომა-
სალის და მაღალი ხარისხის სუფრის ღვინოს. ამის გამო იგი საქარ-



თველოს ვაზის ასორტიმენტშია შეტანილი. ალიგოტე ჩვენური და განკურებული ტანილია XX საუკუნის ქასაწყისში. იგი პირველად გაუშენებით მცხაობის მეცნახეობის ზონაში (მცხეთის რაიონი), საიდანაც მოკლე დროში თავისი პროდუქციის მაღალი ღირსების გამო ფართოდ გავრცელდა შიდა ქართლის მეცნახეობის რაიონებში (მცხეთა, კასპი, გორი), შემდეგ კი სხვა ჯიშებთან ერთად ზემო და შუა იმერეთში შამპანური ღვინოების წარმოების გაზრდასთან დაკავშირებით. ბოლო დროს რეგიონის საზოგადოებრივ-ზერებში ითვლებოდა ალიგოტეს 138.191 ძირი, ანუ 40,6 ჰექტარი, რაც საერთო ნარგაობის 8,4%-ს შეაღენდა. ამ ჯიშის სუფთა ნარგაობა გაშენებული ჰქონდა ერედვის მერქევეობა-მეცნასტენეობის მეურნეობას 10 ჰექტარზე, რომელიც შემდგომ წლებში ამოიძირკვა, როგორც ამორტიზებული.

ალიგოტეს ახალგაზრდა ყლორტის ზრდის კონცესი მოთეთრო-მოწითალია, დაფარულია მოქრისტორ ბუსუსით. პირველი და მეორე ახლად გაშლილი ფოთლები ზემოდან ღია მოწვანო-მოყვითალია. ფირფიტის კიდურებსა და კბილანებს ემჩნევა მოწითალო-ღვინისფერი. ქვემ მხრიდან აქვს მოთეთრო-ნაცრისფერი სქელი ბუსუსი. მომდევნო ფოთოლაყები ზემო მხრიდან ღია მწვანეა, მოყვითალო ბრინჯაოს-ფერი და ორნავ არის დაფარული მონაცრისფრო ბეჭვისებრი ბუსუსით, ხოლო ქვემ მხრიდან ფოთლები საქმაოდ სქელი ნაცრისფერი ბეჭვისებრი ბუსუსით.

ახალგაზრდა ყლორტი მთელ სივრცეში ხშირად მოწითალო-ღვინის-ფერია მოყავისფრო ელფერით, ზოგჯერ ღია მწვანეა და დაფარულია ოდნავ მონაცრისფრო ბეჭვისებრი ბუსუსით. შემოსული რქა მოწითალო-ყავისფერია, მუხლები თათქმის საშუალო სიმსხვისა, მოისფრო, უხვად მოფენილი სანთლისებრი ცვილით.

ზრდადამთავრებული ფოთოლი ღია მწვანეა, ზოგჯერ მუქიც და მოყვითალოც, მომრგვალო და ორნავ დანაკვთული მისთ სიგრძე 16,8—17,4 სიგანე — 17,1—17,7 სმ-ია. ყვავილი ორსქესიანია, მტევანი საშუალო ან საშუალოზე მცირე სიღიძის, სიგრძით — 11—14,5, სიგანით — 8—9,5 სმ, ფორმით ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსური, ძლიერი კუმისი, რის გამოც მარცვლები მტევანში ხშირად დეფორმირებულია. მარცვალი თეთრი, მომწვანია, მზის მხრიდან მოყვითალო, ღიად მტევნის წონა 230 გ-მდე იღწევს, მცირესი — 78 გ-ს.

შიდა ქართლის პირობებში ალიგოტეს სავეგეტაციო პერიოდი კვირტების გაშლიდან ყურძნის სრულ სიმწიფემდე 154 დღეა, იქ გავ-

რცელებულ სხვა ჯიშებთან შედარებით ამ ჯიშის სრული სიმწიფე
თითქმის 15—20 დღით აღრე დგება.

ალიგოტე საშუალო სიძლიერის ზრდით ხასიათდება, მოსახლე-
ობაშიც მოწონებით სარგებლობს, ოლონდ ზრდის სიძლიერის თავი-
სებურების გამო მას სახეოვნედ ნაკლებად იყენებენ.

ხელშემწყობ ეკოლოგიურ პროცეციის კარგი მოვლა-პატრონბით
მისგან შეიძლება უხევი მოსავლის მიღება. ჰეტრაზე 80-მდე ცენტნე-
რი ყურძენი მიიღება, ხშირად მეტიც. კარგ მოსავალს იძლევა მაღალ-
მთიან მევენახეობის რაიონებშიც. ყვავილუკენა და წვრილმარცვლი-
ანობა მცირე იცის, სოკოვან ვადმყოფობათა მიმართ საქმაო გაძლე-
ობა ახსიათებს. მაღალხარისხოვან პროდუქციას იძლევა მზით უხევად
განათებულ სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით დახრილ ნაკვე-
თებზე, სადაც მზის სხივებისა და აერაციის გაძლიერებული მოქმედე-
ბით უზრუნველყოფილია როგორც ვაზის ნორმალური ზრდა-განვითა-
რება, ისე მაღალხარისხოვანი პროდუქციის მიღება. კალციუმის კარ-
ბონატების შემცველი ალუვიურ-თიხნარი ნიადაგები იძლევა პროდუქ-
ციას სხეულიანი და მაღალხარისხოვანი სუფრის ღვინოების დასამზა-
დებლად.

ჯიშის ბიოლოგიური თავისებურებებიდან, აღსანიშნავია მისი მოსავ-
ლიანობა როგორც შემცვლელ, ისე ძველი ნაწილებიდან განვითარე-
ბულ ყლორტებზე, რის გამოც ვაზზე იშვიათად გვხვდება უმოსავლო
ყლორტები.

ალიგოტეს ახსიათებს სუსტი ყინვაგამძლეობა. ზიანდება მინუს
15—16°-ზე. თავისი სუსტი ზრდა-განვითარების გამო მისი ძლიერი
დატვირთვა დაუშვებელია. გასხვლის ფორმებიდან საუკეთესოა ქარ-
თული ორმხრივი შპალერი. გაორებული შტამპით, სადაც ვაზის სა-
ერთო დატვირთვა 16—18 კვირტს არ დღემატება. ვერ იტანს გრძლად
გასხვლას. მისთვის ნორმალურად უნდა ჩაითვალოს რქის 7—8 კვირტ-
ზე გასხვლა. მეგვარდ ფორმარებული ვაზი აგროტექნიკის მაღალ
ფონზე, იძლევა ვეგეტატიური ნაწილების ნორმალურ განვითარებას,
უხვ და ხარისხოვან პროდუქციას.

ალიგოტეს პროდუქცია განკუთვნილია ხარისხოვანი სუფრის ღვი-
ნისა და საშამპანურე ღვინომასალის დასამზადებლად. შაქრიანობა
მერყეობს 18—22% -მდე, მეავიანობა — 8—10% -მდე.

მაღალხარისხოვანი სუფრის ღვინოების მიღების მიზნით რთველი
უნდა ჩატარდეს მაშინ, როდესაც ტკბილში შაქრიანობა 20—21% -ს,
ხოლო მეავიანობა — 8,5—9% -ს მიღწევს, ხოლო საშამპანურე ღვი-



ნომისალის მისაღებად — როცა შაქრიანობა 17—19%, საერთო კურკვევა ანობა 9—10% იქნება. მისი პროდუქცია წარმატებით გამოიყენება სუფრის ღვინის, საშამხანურე ღვინომასალის, ყურძნის წვენისა და სადესერტო ღვინოების დასამზადებლად.

ზონის საზოგადოებრივ სექტორში (ახალგორის რაიონში) ალი-გოტე მხოლოდ 3,6 ჰექტარი შემორჩა. როგორც აღრეული მწიფობის ჯიში, იგი წარმატებით შეიძლება გავრცელდეს შიდა ქართლის მევე-ნახეობის ყველა მიკრორაიონში.

ჩინური

საქართველოს თეთრყურძნიან ვაზის ჯიშებს შორის ჩინური გან-საკუთრებულ ყურადღებას იყენობს, როგორც ხარისხოვანი პროდუქ-ციის მომცემი საღვინე და ადგილობრივი მოხმარების სუფრის ყურძ-ნის ჯიში.

ჩინურის სინონიმებად ცნობილია „კასპური“ და „კასპური თეთ-რი“. ამ ჯიშის აბორიგენობის დამატებულებელია მისი წმინდა ქარ-თული სახელწოდება „ჩინური“. ღილი მეცნიერის ივ. ჯავახიშვილის (20) მიხედვით, „მისი სახელი ყურძნის ამ ჯიშის მარცვლების ფერის მაუწყებელი უნდა იყოს“. სრული მწიფობის პერიოდში ჩინური ყურ-ძენი იღებს მომწვანო-მოქარებასფრთ ლამაზ შეფერვას, რითაც წააგის „ზეთის ხილის ფოთლის ფერს“, რომელიც ძველ ქართულში „ჩინის“ სახელწოდებით იყო ცნობილი. ქართველმა კაცმა, საქართველოში წარმოქმნილ მკვიდრ ჩინურს, მსგავსად სხვა ადგილობრივი ჯიშებისა, რომელთაც ფერის მაუწყებელი სახელები აქვს შერქმეული, მისი მარცვლის ფერის აღმნიშვნელი სახელი „ჩინი“ დაუდო საფუძვლად და ჩინური უწოდა. მას „ჩინებულსაც“ უწოდებენ, რადგან ამ ჯიშს ახასიათებს მთელი რიგი დადებითი ნიშნები. სოქოვან ავადმყოფობა-თა და ფილოქსერის შემოჭრამდე ჩინური ფართო მასივების სახით იყო წარმოდგენილი შუა ქართლში, ძირითადად კი გორისა და კას-პის რაიონებში. გადმოცემის თანახმად, მისი პროდუქცია განკუთვნი-ლი იყო როგორც ყურძნად მოსახმარად, სე მაღალხარისხოვანი თეთ-რის სუფრის ღვინოების დასაყენებლად, რომელიც იმ დროს ცნობილი იყო ე. წ. „ატენური ღვინის“ სახელწოდებით.

ჩინურის ახალგაზრდა ყლორტი მრგვალია და მზის მხრიდან ლია მომწვანოა. მცირედ შებუსვილია მოთეთრო-ნაცრისფერი ბეწვისებრი ბუსუსით. შემოსული რქა საშუალო სიმსხვისა, სრული მწიფობის



პერიოდში ღია-მოყვავისფროა ან მუქი მიხაკისფერი. ზრდადამთაშორისობა
ბული ფოთოლი საშუალო სიღიძისაა, მომრგვალო. მისი საშუალო
სივრცე 16,5—17,8 სმ, სიგანე 16,4—17,5 სმ-ია, ღია მწვანე-მოყვითა-
ლო შეფერებისაა. ყვავილი ორსქესიანია, ნორმალურად განვითარებუ-
ლი ბუტკოთი და მტვრიანებით. მტევანი უფრო ხშირად ცილინდრუ-
ლია; ზოგჯერ ცილინდრულ-კონუსური. გვხვდება ფრთიანი მტევანიც.
ახასიათებს საშუალო სიკუმსის მტევნები, ხოლო ზოგჯერ კუმსი და
თხელი ონაგობის მტევნებიც გვხვდება. მტევნის სივრცე 14,2-დან
23 სმ-მდე აღწევს, სიგანე 6,5-დან 13,5 სმ-მდე. მტევნის საშუალო წონა
172—175,5 გ-ია. სრული მწიფობის პერიოდში მარცვალი მომწვანო-
მოყვითალო ან ღია ქარვისფერია, — ყურძნის წვენის გამოსავლიანობა
76—78%-ია.

ჩინურის ზრდის სიძლიერე საშუალოა, ხოლო სათანადო მოვლის
პირობებში ძლიერი ზრდის უნარს ამჟაფნებს. იყი უხევი მოსავლი-
ანობით ხასიათდება. მოსახლეობა ფართოდ მისიდევს მის გადახევი-
ნებას, 50—60 კვირტით დატვირთვისა და სათანადო მოვლის პირო-
ბებშიც შძლავრად ვითარდება და უხევი მოსავალს იძლევა, ხოლო უფ-
რო ძლიერი დატვირთვა მის ზრდა-განვითარებაზე უარყოფითად
მოქმედებს. ასეთ პირობებში ხშირად რქების მნიშვნელოვანი რაოდე-
ნობა მოუმწიფებელი რჩება.

შპალერზე გაფორმებული ჩინურისათვის გამოიყენება მრავალსა-
კავებლიანი ფორმა 36—40 კვირტის დატოვებით და ორმხრივი შპა-
ლერი 20—24 კვირტით.

უკანასკნელ ხასი მევენახეობაში დამკვიდრდა ვაზის ნარგაობის
გაშენება ფართო მწყრივთშორისებით და მისი აღზრდა მაღალ შტამბ-
ზე. ვაზის კვების არესთან ერთად იზრდება მცენარის საერთო ძალა,
მისი დატვირთვაც. ამიტომ მკვლევართა ჭვეულმა მიზნად დაისახა „ჩი-
ნურისათვის“ კორდონული ფორმების შესწავლა გადადებულ ($30 \times$
 $\times 1,5$ მმ) კვების არეზე.

ქართლში, გალავნის ექსპერიმენტული მეურნეობის ჩაზაზე ჩატა-
რებული ცდებით დაღისტურდა, რომ ცალმხრივ კორდონულ ფორ-
მასთან შედარებით 47 კვირტით დატვირთვისას, ორმხრივი კორდონუ-
ლი ფორმით სხვლისას (80 სმ-იან შტამბზე) ჰექტარზე 13 ცენტინერით
მეტი მოსავალია მიღებული.

სამეურნეო დანიშნულების მიხედვით, ჩინურის პროდუქცია ვან-
კუთვნილია ხარისხოვანი თეთრი სუფრის ღვინოების დასაყენებლად
და საკუპაჟე მასალად ქართული შამპანური ღვინის დასამზადებლად.



სუფრის ღვინო ღია მოჩალისფრო, მეტად სუფთა, რბილი და წარმატებულია და მეგავიანობის ნორმალური შემცველობის გამჭვირვალებულის ხოვან სუფრის ღვინოთა რიგებშია. საშამპანურე ღვინომასალის მისაღებად ქართლის ზონაში რთველი უნდა ჩატარდეს მაშინ, როდესაც ყურძენში შექარი 17—18%, ხოლო მეგავიანობა 9—10%-ია.

აღსანიშნავია, რომ ქართლის მეცვენახეობის ზონებისაგან განსხვავებით მთისწინა ზონაში ჩინური შედარებით მეტად მეტად განვითარებული ავადმყოფობათა მიმართ, რის გამოც მეტ ყურადღებას საჭიროებს. იგი შეიძლება გავრცელდეს წინავრისა და ახალგორის მიკროზონაში, გორისა და ქარელის რაიონების დაბლობ ზოლში.

გორულას

გორულას ერთეული ძირების სახით ვხედებით საკარმიღამო მიწის ნაკვეთებზე. მაღალი სამეურნეო თვისებებისა და ნაყოფის სილამაზის გამო მოსახლეობაში დიდი მოწონებით სარგებლობს. იგი ქართლის თეთრყურძნიანი ვაზის აბორიგენული ჯიშია. მიეკუთვნება ხერისხოვანი სუფრის ყურძნის ჯიშთა ჯგუფს, რისი დამადასტურებელიცაა მტევნის სილამაზე, სიდიდე, მოყვანილობა, მარცვლის ფერი, სიმსხო, ხორციანობა და კარგი გემო, ნაყოფის შენახვისუნარიანობა, ძლიერი ზრდა და უხვი მოსახლეობისა. იგი ცნობილია „სუფრის გორულას“ და „გლდანურას“ სახელწოდებითაც. გორის რაიონში გავრცელებულია ორი სახის გორულა: გორული მწვანე (საღვინე) და გორულა (სასუფრე). ამ ორი ჯიშის გამოსახჩევად პირველს „მწვანე ვაზს“ უწოდებენ, ხოლო მეორეს „გორულას“.

გორულას აბორიგენობის ერთ-ერთ მთავარ პირობად აკად. ი. ვ. ჯავახიშვილს მიაჩნია მისი სადაურობის მაუწყებელი სახელი (20).

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის შემოქრამდე გორულა გავრცელებული ყოფილი ძირითადად შეიძა ქართლის ტერიტორიაზე, სახელდობრი: ქარელის, გორის, კასპის, მცხეთის, დუშეთისა და თბილისის გარეუბნებში.

ამ ჯიშის ახალგაზრდა ყლორტის ზრდის კონუსი ღია მწვანეა, ოდნავ მოყვითალო ელფერით უხვად შებურვილი თეთრი ბეწვისებრი ბუსუსით. ახლად გაშლილი პირველი და მეორე ფოთოლი ზედა მხრიდან ღია მწვანე-მოყვითალო, ხოლო ნაპირები ზემოდან წითელ-ღვინისფრად არის შეფერილი. ერთწლიანი რქა საშუალო სიმსხოსი (8—



10 მმ) და სრული მწიფობის პერიოდში გაჰყება მუქი ყავისფეროვანი ჭვრილი სიგრძივი ზოლები.

ზრდადასრულებული ფოთოლი საშუალო სიდიდისაა, მომრგვალო ან ოდნავ ოვალური. მისი საშუალო სიგრძე აღწევს $15,0 - 18,5$ სმ-ს, სიგანე — $14,6 - 18,3$ სმ-ს. იგი ხუთნაჯვთიანია. ყველილი ორსქესიანია, ნორმალურად განვითარებული ბუტკოთი და მტკრიანებით.

მტევანი ცილინდრული ფორმისაა, ზოგჯერ ცილინდრულ-კონუსისებრი, იშვიათად ფრთიანი. ახსიათებს საშუალო, ზოგჯერ ძლიერი სიკუმშე. მტევნის სიგრძე $11,5 - 19$ სმ-ს და სიგანე $7 - 10,5$ სმ-ს უდრის. მტევნის საშუალო წონა $210,5$ გ-ს აღწევს.

მარცვალი ღია მწვანეა და სრული მწიფობის პერიოდში იღებს მოყვითალო მეტად ლამაზ შეფერებს. კანზე მრავლად უვითარდება მუქი მოყავისტრო ჭვრილი ჭერტილისებრი ლაქები. ჭვენის გამოსავლიანობა $72 - 73,3\%$ -მდე მერყეობს.

გორის რაიონში ამ ჯიშის სავეგატაციო პერიოდის ხანგრძლივობა $166 - 170$ დღეა. გორულა საშუალოზე ძლიერი, ხშირად ძლიერი ზრდა-განვითარებით ხსიათდება.

დიდი დატვირთვის მიუხედავად ივითარებს საქმიან ღონიერ ჩქებს, რომელთა სიგრძე ხშირად $2 - 2,5$ მეტრს აღწევს. მისი მოსავლიანობა ხეივნებში მნიშვნელოვნად იზრდება. ახსიათებს სუსტი ყვავილუვენა. ეს ჯიში სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ საქმიან გამძლეა, გამძლეა ზამთრის ყინვების მიმართაც.

სხვა ადგილობრივ ჯიშებთან შედარებით გორულა რამდენიმე დღით ადრე მწიფდება. ყურძნის სიმწიფის პერიოდში შაქრიანობა $18,15 - 19,3\%$ -ს არ აღემატება, ხოლო საერთო მუვიანობა $5,6 - 6,1\%$ -ს აღწევს. ყურძნის დაგვიანებით დაკრეფა იწვევს მასში შაქრის $1,5 - 2\%$ -ით გაფიდებს, მაგრამ სამაგიეროდ მუვიანობა ეცემა, რაც პროდუქციის ღირსების მნიშვნელოვნად ამცირებს (ყურძნი ბლანტი და უხალისო საჭმელი ხდება), ამიტომ ამ ჯიშისათვის $18 - 19\%$ -მდე შაქრის შემცველობა ნორმალურად ითვლება და პროდუქციის ღვანიდ გამოყენება მიზანშეუწონელია, რადგან მისგან ცალკე დაყენებული ღვინო ხსიათდება ნაკლები პარმონიულობით, დაბალი მუვიანობით. გამოიყენება საკუპაჟედ ორდინარული ტიპის ღვინის დასამზადებლად.

ხეივანი ამ ჯიშისათვის პერსპექტიული ფორმაა, სადაც ძლიერი დატვირთვით ნორმალურ ზრდა-განვითარებასთან ერთად შესაძლებელია უხვი და ხარისხოვანი მოსავლის მიღება, ვენახებში კი შეიძლება გა-



მოვიყენოთ ორმხრივი კორდონი, თითოეულ მხარეზე ორჯერ გადასაცავის ფორმო რგოლით და მრავალსაკავებლიანი ფორმა ძირზე, ვაზის განვითარების შესაბამისად, 3—5 სანაყოფე რგოლის დატოვებით, საერთო დატვირთვა — 36—40 კვირტით. გასხვლის აღნიშნული ფორმები მაღალი ავროტექნიკის ფონზე უზრუნველყოფს ვაზის ნორმალურ ზრდა-განვითარებას, უხვი მოსავლის მიღებას პროდუქციის ხარისხის შენაჩუნებით.

საკარმილამო ნაკვეთებზე, აგრეთვე მეურნეობათა სატრანსპორტო გზების, ეზოების გასაფორმებლად შეიძლება გამოვიყენოთ გორულს ვალახეივება.

ბუდეშური თეთრი

ადგილობრივი წარმოშობის თეთყურძნიანი ვაზის ჯიშია. იგი ცნობილია „თეთრი ბუდეშურის“ სახელწოდებითაც, განსხვავებით შავი, ანუ წითელი ბუდეშურისაგან.

ბუდეშური საყურადღებოა, როგორც ყურძნისა და ორდინარული პროდუქციის მომცემი საღვინე ჯიში.

წარსულში ბუდეშურის პროდუქცია გამოყენებული ყოფილა როგორც სუფრის ყურძნად, ისე საოჭახო ღვინის ღასამზადებლად. იგი როგორც შედარებით აღრე მწიფობის ჯიში, ფართოდ ყოფილა გავრცელებული ქართლისა და მესხეთის რაიონებში. სოკოვან დაავადებებით მნიშვნელოვნად შემცირდა ბუდეშურის ნარგაობა, ხოლო ზოგიერთ რაიონში სრულიად მოისპო.

ბუდეშურის ახალგაზრდა ყლორტის ზრდის კონტსი და ახლად გასაშლელი პირველი ფოთოლავი სქლად არის შებუსვილი მოთეთრო ბეწვისებრი ბუსუსით, რომლის ნაპირებს გადაჰქრავს ღია მოწითალო ან მოვარდისფრო ელფერი. ახლად გაშლილი პირველი და მეორე ფოთოლი ორივე მხრიდან სქლად არის დაფარული მოთეთრო მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით; ფოთლის ნაპირებს ემჩნევა ღია მოვარდისფრო შეფერვა. მომდევნო ფოთლებზე შებუსვა ზედა მხრიდან თანდათან მცირდება.

ერთწლიანი რეა საშუალო სიმსხოსია (8—9 სმ), სრულ სიმწიფეში ღია მოყვითალო მონაცრისფრო ელფერით. მუხლითაშორისი სიგრძე 7—11 სმ-ია.

ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სიღიღისაა მომრგვალო ან ოვალური. საშუალო სიგრძე 18,5—19,6 სმ, ხოლო სიგანე — 18,5—



19 სმ-ია. ღია მწვანეა. ყვავილი ორსქესიანია, ნორმალურიად განვითარებული რებული ბუტკოთი და მტვრიანებით.

მტვანი საშუალო სიგრძესაა, უფრო ხშირად განიერ-კონუსისებრია; გახვედება განტორცვილი და უფორმო მტვენებიც, ავტოლებით — საშუალო სიკერძესა ან კუმსი, ზოგჯერ ძლიერ კუმსი ან თხელი. მტვანის სიგრძე 12,5-დან 19 სმ-მდე, ხოლო სიგანე — 7,5-დან 12,5 სმ-მდე აღწევს. დიდი მტვენის წონა 350 გ-ს, ხოლო მცირესი 75-ს უდრის. საშუალოდ იგი 190 გ-მდე აღწევს. წვენის გამოსავალი 62,15%-ია.

სრული მწიფობის პერიოდში მარცვალი მწვანეა, მზის მხრიდან ოღნავ მოყვითალო. მარცვლის კანი თხელია და ჩაღილობს აღვილად არ სცილდება. წვნიანია და ხორციანი, ჩვეულებრივზე მეტად ტკბილი გვემთი.

ტანას ხეობაში მოწეული ბუდეშურის ცალკე დაყენებული ღვინო არ გამოიჩინება მაღალხარისხოვნობით. იგი უფრო ორდინარული თვისებების მატარებელია. ალკოჰოლი ჩვეულებრივ 8,5—9,3° შორის მერყეობს. შედარებით შემცირებულ ალკოჰოლს თან სდევს დაბალი მუავიანობა (5,01—6,1%), რაც ნაკლებ ხალისიანს ხდის ღვინოს. კახეთში ბუდეშური შაქარის 18—19%-მდე აგროვებს, ხოლო მუავიანობა მასში მკვეთრად ეცემა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ღვინის ხარისხზე.

ქართლში ბუდეშურის საეეგეტაციო ხანგრძლივობა კვირტის გაშლიდან ყურძნის სრულ სიმწიფეშიდე 159 დღეა... ეს ჭიში სრული სიმწიფით მნიშვნელოვნად უსწრებს ჩინურს, თავკვერს, შავეაპიტოს, გორულ მწვანესა და სხვა ჭიშებს. ამიტომ ამ რეგიონში ყურადღება უნდა მიექცეს მოკლე საცემეტაციო ჭიშების შესრჩევას, რომელთა შორის ბუდეშურმაც გარკვეული ადგილი უნდა დაიკავოს.

ხელშემწყობი ეკოლოგიური პირობები და აგროტექნიკის მაღალ დონეზე ჩატარება ხელს უწყობს ბუდეშურის საშუალო ზრდას. სავგეტაციო პერიოდის ქალასრულს ცალკეული რქების სიგრძე 1,5 მეტრს და მეტს აღწევს. ქართლის მთელ ჩივ მიკრორაიონებში სათანადო მოვლის პირობებში ბუდეშურის საპექტარო მოსავლიანობა 150 ცენტნერიამდეა.

ბუდეშური ნაკლებად გამძლეა სიკოვან ავადმყოფობათა მიმართ. განსაკუთრებით ავადდება იგი ნაცრით. ამ მიზეზის გამო საჭარმიდამო ნაკვეთებზე, ხშირად კი ხევნებზე აფრიმებენ, სადაც უფრო ნაკლებია დავადებათა გავრცელება.

ბუდეშური ნორმალური ზრდა-განვითარების უზრუნველსაყოფად

მოითხოვს საშუალო დატვირთვას (ორმხრივი შპალერული წესით) თითოეულ ძირზე უნდა დაეტოვოს 22—24 კვირტი, ხევიანური 40-იანი 50. სათანადო მოვლით ბუდეშურის ვაზის განვითარება და მოსავლი-ანობა ხევიანზე დამაკმაყოფილებელია და მიღებული პროდუქცია, როგორც შედარებით საადრეო, გამოყენებულის სუფრის ყურძნად. ეს ჯიში საკმაოდ გამძლეა ზამთრის ჟინვების მიმართ.

სამეურნეო დანიშნულებით ბუდეშური სუფრის ყურძნისა და საღვინე ვაზის ჯიშთა ჯგუფს განეკუთვნება. ცალკე დაყენებული ბუდეშურის ღვინო არ გამოიჩინა მაღალხარისხოვნობით. იგი უფრო ორდინარული თვისებებით ხასიათდება.

ბუდეშური წითელი

წითელი ბუდეშური ადგილობრივი ჯიშია, იძლევა კარგი ღირსების სასუფრე ყურძებს. იგი წარმოშობილია კულტურული ვაზის ჯიშების ფორმათა წარმოქმნის ადგილობრივი კერიდან. ძველად იგი საქართველოს თითქმის ყველა რაიონში იყო გავრცელებული. აღმოსავლეთ საქართველოს სასუფრე ყურძნის ჯიშებიდან საგრძნობლად გამოიჩინა მტევნების სილამაზითა და სასიამოვნო გემოთი.

წითელი ბუდეშურის ახალგაზრდა ყლოტრის გვირჩვინი და პირველი ორი გაუშლელი ფოთოლაკი შებუსვილია აბლაციურისებრი ბეჭვით და მორუხო-თეთრი ფერისაა, მოვარდისფრო არშიით გვირჩვინისა და ფოთოლაკების ირველი. ქვედა ფოთლები კარგას ზედა მხრიდან ბუსუსს და იღებს მოვეითალო მწვანე ფერს მოვარდისფრო იერით, ხოლო ქვედა მხრიდან შებუსვას ინარჩუნებს.

ერთწლიანი ჩეის ფერი მოყვითალო-წითელია მოვარდისფრო იერით. მუხლოშორისების სიგრძე 10—12 სმ-ია. ფოთლები საშუალო-ზე დიდია — 20—22 სმ, ფორმით მომრგვალო ან ოდნავ ოვალური, ხშირად სამნაკვთიანი, ზოგჯერ — ხუთნაკვთიანი. ყვავილები ორსქესიანია, მტერიანები სწორმდგომი. წითელი ბუდეშურის ზრდის სიძლიერე ჰავისა და ნიადაგური პირობების შესაბამისად ცვალებადობს.

მტევნები საშუალო სიღიღისაა — სიგრძით — 14—22, სიგანით — 8—13 სმ-ის კონუსისებრი თხელი ან საშუალო სიმკვრივის. ზოგჯერ მხრიანია, მხრების სიგრძე ძირითადი მტევნის ერთი მესამედი, ხან ნახევარია. მარცვალი საშუალო-ზე მსხვილია, ვარდისფერი. არათანაბარი სიმწიფის გამო ხშირად ჭრელია, გადამწიფებისას კი მუქი ვარდისფერი ან თითქმის შავი. მსხმოიარობის კოეფიციენტი ცვალება-

დობს 0,7-დან, 2,0-მდე, ხოლო მტევნის საშუალო წონა — 120 გ-მდე 250 გ-მდე. წითელი ბუდეშურის მოსავალი კახეთში მკვლევართა მონაცემებით, ჰექტარზე 58-დან 117 ც-მდე მერყეობს.

ე. მირიანშვილის დაკვირვებით, დიღმის მეურნეობაში წითელი ბუდეშურის მოსავლიანობა 20—22 კვირტით დატვირთვისას 160 ცენტნერს უდრის, 36—40 კვირტით დატვირთვისას ორმხრივი მოკლე კორდონის შემთხვევაში — 178 ცენტნერს, ხოლო მრავალსაკავებლიანი ფორმის დროს — 193 ცენტნერამდე. აღსანიშნავია, რომ დატვირთვის გადიდებით შემცირდა განვითარებული ყლორტების პროცენტი, მოსავლიანობის კოეფიციენტი და მტევნის საშუალო წონა. დატვირთვა 20—22 კვირტით ამ ჯიშისათვის ნორმალურად უნდა ჩაითვალოს.

წითელი ბუდეშური სხვა სასუფრე ვაზის ჯიშებთან შედარებით მაღალი შაქრიანობით ხასიათდება, მაგრამ სასუფრე ლვინისათვის შაქრიანობის შეფარდება მუავიანობასთან არ არის დამაქმაყოფილებელი, განსაკუთრებით, ხარისხოვანი სასუფრე ლვინის მისაღებად. წითელი ბუდეშურის შაქრიანობა მერყეობს 16-დან 20%-მდე, ხოლო მუავიანობა 4-დან 6,8%-მდე.

წითელი ბუდეშურის მოსავალს იყენებენ ძირითადად ადგილობრივ სასუფრე ყურძნად. მისი თხელი ან საშუალო სიმკერივის ლამაზი მტევნები, მარცვლების ოვალური ფორმა, ვარდისფერი შეფერვა, ჰარმონიული გემო, აღმოსავლეთ საქართველოს სასუფრე ყურძნის ჯიშებს შორის მას პირველ ადგილზე აყენებს.

წითელი ბუდეშურის გამძლეობა სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ დამაქმაყოფილებელია. ზამთრის ყინვების მიმართ საქმაოდ გამძლეა, ხოლო გვალვის მიმართ საშუალო გამძლეობით ხასიათდება.

ამ ჯიშისაგან დამზადებულ ლვინოს არა აქვს მაღალი ღირსება.

წითელი ბუდეშური პერსპექტიული ჯიშია, ვინაიდან როგორც აღნიშნა, იძლევა მაღალი ღირსების სასუფრე ყურძენს, რომელსაც ლამაზი გარეგნული შეხედულება და ნაზი, სასიამოვნო გემო აქვს.

იმის გამო, რომ იგი მდრე მწიფებულება, მისი გვარცულება შეიძლება შიდა ქართლის მეცნიერებების თითქმის ყველა მიკრობაიონში.

წითელი ბუდეშური კარგი მოწონებით სარგებლობს მოსახლეობაში. ნარგაობის დროული მოვლა, ხარისხიანად ჩატარებული აგროტექნიკური ღონისძიებები ხელს უწყობს მოსავლიანობის გადიდებას.

თავკვერი ქართლის წითელყურძნიანი ვაზის აბორიგენული ჯიშია— დიდი გატაცებით მისდევენ მის გაშენებას საკარმყარამო ნაკვეთებზე. თავკვერის ყურძენს ხშირად იყენებენ კუპაჟიდ აღვილობრივი სუფრის ღვინოების ღასამზადებლად, ზოგჯერ კი ცალკე იყენებენ მის ღვინის, რომელიც თვალწარმტაცი ლალისფრია.

ვენახების ფართობის შემცირებამ, ცნობია, ამ ჯიშის ნარგაობაზეც უარყოფითად იმოქმედა. ბოლო აღწერით ამ ზონის საზოგადოებრივ სექტორში მხოლოდ 8 ჰექტარი ითვლება.

თავკვერი სამეურნეო დანიშნულებით განკუთვნილია ღია წითელი ორდინარული ღვინოების ღასამზადებლად. ამავე ღრის იძლევა აღვილობრივი მოხმარების სუფრის ყურძენს.

როგორც ირვევა, თავკვერი წარსულში გაერცელებული ყოფილა მთელ აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ფართოდ მდ. ტანას, ლეხეურისა და ლიახვის ზეობებში. მოსახლეობა მის პროდუქციას მოიხმარდა როგორც საჭმელ ყურძნად, ისე აღვილობრივი მოხმარების, საქმაოდ ხარისხოვანი ღია წითელი ფერის ღვინოების ღასამზადებლად. ზოგჯერ მის ყურძენს იყენებენ როგორც საკუპაჟე მასალას თეთრყურძნიან ჯიშებთან (ჩინურთან და გორულ მწვანესთან) შერევით და ამზადებლნენ ღია წითელი ფერის ხალისიან ღვინოს, რომელიც ცნობილი იყო „ხიდისთაური წითელის“ სახელწოდებით.

არსებობს თავკვერის მრავალი ფორმა, რომელსაც ეხვდებით კახეთისა და ქართლის რაიონებში, ესენია შავი თავკვერი, საფერავისებური თავკვერი, ღიღმარცვალი თავკვერი, თეთრი თავკვერი და სხვ.

თავკვერის ახალგაზრდა ყლორტის ზრდის კონუსი ღია მწვანე მონაცრისფროა და გადაპრაგას მოწითალო ფერი. ახალგამლილი პირველი ფოთოლი ღია მწვანე-მოწითალოა, ზედა და ქვედა მხრიდან მცირედ დაფარულია მოთეთრო-მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით. მომდევნო მეორე ფოთოლი ღია მწვანე-მოყვითალო-მოწითალო ელფერით და ზედა მხრიდან უმნიშვნელოდ, ხოლო ქვედაზე მოფარული მონაცრისფრო ბუსუსით. მომდევნო მესამე და მეოთხე ფოთლები უმნიშვნელოდა შებუსული. ახალგაზრდა ყლორტი საშუალოზე მსხვილია, მისი ბაზალური ნაწილი უფრო გამსხვილებულია და შიშველი, მოწაბლისფრო, მკვეთრი მოიისფრო ელფერით.

შემოსული ჩა საშუალოზე მსხვილია (9—11 კმ), ღია ყავისფერი და ხშირად გადაპრაგას ღია მოწითალო ფერი.



ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო ან საშუალოზე დიტაქტურული სიგრძით 21,4 სმ და სიგანით — 19,6 სმ. ოვალურია, საკმაოდ ღრმად ჭრისათვალით. ყვავილი მდეტრობითია, ზოგჯერ გვხედება ორსქესი-ანიც.

მტევანი ცილინდრულ-კონუსსებრია, გვხედება ავრეთვე ცილინდრული და ზოგჯერ კონუსისებრი მტევნებიც. ნორმალური დაყვავილების შემთხვევაში მტევანი კუმისი ან ძლიერ კუმისია, რის გამოც მტევანში მარცვლები ხშირად დეფორმირებულია. ღიღი მტევნის წონა 300—400 გ-ია, მტევნის საშუალო წონა 200—240 გ აღწევს. მტევნის საშუალო სიგრძე 15—17 სმ, ხოლო სიგანე 11—12 სმ-ია. ღიღი მტევნის სიგრძე 20 სმ-ს, მცირები — 11,5 სმ-ს უდრის.

მარცვალი მუქი ლურჯია (თითქმის შავი), შავ-წელში განიერი, ბოლო გაბრტყელებული, სიმეტრიული და საქმიანი სქელკანიანი. მარცვლის კანი უხვადაა დაფარული ფიფქით. კანი რბილობს ადვილად სცილდება. საქმიანი ხორციანია და უფრო წვნიანი, ჩვეულებრივ ტებილი, ოდნავ მომჟავო გემოთი. შემფერავი ნივთიერებანი საკმაო რაოდენობითაა მარცვლის კანში. თავკვერის ყურძნის წვენის გამოსავლიანობა საქმიანი მაღალია — 84 %-ს შეადგენს.

თავკვერის სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა გრძის რაონში 187—188 დღეა. მისი მოსაკრეფი სიმწიფეს პერიოდი ოქტომბრის 20—25 რიცხვებში დგება.

ხელშემწყობ კეოლოგიურ პირობებში და მაღალი აგროტექნიკის ფონზე თავკვერი ძლიერი ზრდა-განვითარებით ხასიათდება, რის გამო მას ხშირად ხეივნადაც აფორმებენ.

თავკვერი კარგი მოყვა-პატრონობის პირობებში 250—300 ცენტნერამდე მოსავალს იძლევა ჰექტარზე. ჯიში დეფაქტური მტერიანებით ხასიათდება და საჭიროებს ნორმალური ორსქესიანი ყვავილების მქონე ვაზის ჯიშთა შორის ევშენებას. არანორმალური განაყოფიერების შემთხვევაში მტევანში მასობრივად ვთარდება პართენოკარბული მარცვლები, რაც ხშირად 65—67 %-მდე აღწევს. მსხმოიარობის კოეფიციენტი 1,2—1,3 უდრის.

სოკოვან ავაღმყოფობათა მიმართ თავკვერი მცირე გამძლეობას იჩენს. განსაკუთრებით აღვილად ავადდება ჭრაქით. აღსანიშნავია აგრეთვე ნაცრისფერი სიღამბლის უარყოფითი გავლენა ვაზზე. თავკვერი საქმიანი ყინვაგამძლეა.

თავკვერი გასხვლის სიგრძისა და ფორმირების მიმართ არ იჩენს მგრძნობიარობას. იგი აღვილად ეგუება როგორც მოკლე, ისე გრძელ



სხვლას, აგრეთვე მცირე და დოდ დატვირთვასაც. მაგრაუკულების შემთხვევაში ძლიერი ზრდა-განვითარება ახასიათებს, დატვირთვის გადაწყვების შესაძლებლობას იძლევა, რამთვისაც მიზანშეწონილია გაფორმდეს ორ-მხრივი შპალერული წესით 20—24 კვირტის დატოვებით, ხოლო ღონიერ ნიადაგებზე მიეცეს მრავალსაკავებლიანი ფორმა 40—48 კვირტის დატოვებით. დამაქმაყოფილებელ შედეგს იძლევა აგრეთვე ხეივნისებრი წესით ფორმირებისას, სადაც შესაძლებელია მრავალი გადადება ორჯერ და მეტად შპალერულ ფორმებთან შედარებით.

არაშესერი დაყვავილების შედეგად მტევაში აღვილი აქვს მასობრივ წვრილმატულიანობას, რაც უარყოფითად მოქმედებს როგორც მოსავალზე ისე პროდუქციის ხარისხზე. დადასტურებულია, რომ როგორც კუპაჟი, ისე ცალკე დამზადებული ღვინო ხასიათდება მსუბუქი სხეულით, საშუალო ალკოჰოლით და ოდნავ მომატებული საერთო მფლივანობით.

შედარებით კარგი მაჩვენებლებით გამოიჩინევა მისი ღვინო შავკაპიტოსთან კუპაჟში, რომელსაც აქვს მაღალი გემური თვესებები და მეტად სასიამოვნო ლალისფერი. ქართლში (ზოდისთავი) თავკვერის შაქრიანობა 19,7—20%-ია, მევაიანობა 7,7—8,1%. ამ ჭიში შედარებით ნაკლები შაქრიანობა ახასიათებს მთისწინა ზონაში. ამიტომ ამ რეგიონში ეს ჭიში უნდა გაშენდეს დაბლობ ზონაში — სამხრეთით მდებარე სოფლებში. ამასთან ერთად, ყურძენი უნდა მოიკრიფოს ოქტომბრის მეორე ნახევარში.

ძელ შავი

ძელშავი ადგილობრივი ვაზის ჭიშია, იძლევა კარგი ლირსების საკუპაჟე მასალის შამპანურისათვის და საშუალო ღირსების სუფრის ვარდისფერ ღვინოს. ეს ჭიში ცნობილია „ძელშავის“, „ადგილობრივი ძელშავის“ და „სახელის ძელშავის“ სახელწოდებითაც. აკად. ივ. ჯავახიშვილი ძელშავს აკუთვნებს საქართველოს უძველეს ვაზის ჭიშთა ჯგუფს.

მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებებისა და გავრცელების აჩვენას მიმედვით ძელშავი იმერული ვაზის ჭიშია.

ძელშავის ახალგაზრდა ყლორტის გვირვენი და პირეული ორი გაუშლელი ფოთოლი ორივე მხრიდან შებუსვილია სქელი იბლაბულისებრი ბეწვით, მორუხო თეთრი და ბაუი ვარდისფერი ორშია აკრავს. მესამე და მეოთხე ფოთლები ზედა მხრიდან კარგავს შებუსვას და

იღებს მოყვითალო მწვანე ფერს მონარინჯისფრო იერით, ქვედა
მხრიდან ფოთლების შებუსეა მცირდება.

ზრდასრული ფოთლების ზომა საკმაოდ დიდია, სიგრძე — 16—
22 სმ, ხოლო სივანე — 16—20 სმ-ია. ფოთოლი ოვალურია, იშვიათად
მომრველოც გვხვდება, უფრო ხშირად სამაკვთიანია, ზოგჯერ ხუთ-
ნაყვითიანიც. ყვავილი ორსქესიანია.

მტევნები საშუალოზე დიდი ზომისაა, სიგრძით — 12—20, ხოლო
სიგანით — 8—16 სმ. მტევნი განიერ-კონუსისებრია, ხშირად დატოტ-
ვილი, იშვიათად ცილინდრულ-კონუსისებრიც გვხვდება, მკვრივი ან
საშუალო სიმკვრივის, მტევნის წონა 141,03—351,98 გ-ის ფარგლებ-
ში მერყეობს. მარცვლები მომრველოა. ახსნიათებს მცირეოდენი
წვრილმარცვლიანობა. მარცვლის კანი უხეშია. რბილობი წვნიანია,
წიპწებთან ოდნავ შესქელებული. წვენი უფერულია, ტებილი, გიმუ-
რი არომატი სუსტად აქვს გამოსახული. მარცვალი მუქი წითელი,
თითქმის შავი ფერისაა, დაფარულია სქელი ცვილისებრი ფიფქით.
წარმოების პირობებში წვენის გამოსახლიანობა 76—78%-ია.

ძელშავის სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა მეტყევია. იმე-
რეთში (საქარა) ძელშავის სრული სამწიფებასთვის საჭიროა 168 დღე
3477° აქტიურ ტემპერატურათა ჯამით, მაშინ როდესაც უკრაინაში
მოკლე სავეგეტაციო პერიოდის პირობებში კვირტის გაშლიდან სრულ
სიმწიფემდე ჯიში 146 დღეს ანდომებს და კმაყოფილდება 3077° აქტი-
ურ ტემპერატურათა ჯამით. კახეთში 162 დღეს ანდომებს დამწიფე-
ბას, 3174° აქტიურ ტემპერატურათა ჯამით. სავეგეტაციო პერიოდის
ხანგრძლივობის ასეთი მეტყევია გამოწვევლია კლიმატური პირობე-
ბით. ივი შეიძლება რეკომენდებულ იქნეს იმერეთში უფრო გრილ-
ჰავიან რაიონებში გასურცელებლად. ერთწლიანი რქები ყურძნის
სრული სიმწიფის მომენტისათვის თავისუფლად ასწრებს მომწიფებას.
ეს ჯიში ძლიერი ზრდით ხსიათდება. ჰექტარზე იძლევა 150 ცენტნერ-
ზე მეტს (ტყის ღონიერ კარბონატულ ნიაღავებზე).

ძელშავი შედარებით კარგიდ უძლებს ნაცარს, მაგრამ აღვილად
ზიანდება ჭრაქით.

ჯიშს შაქრის დაგროვების საკმაო უნარი აქვს, რაც იმის საშუალე-
ბას იძლევა, რომ რთველის შესაფერის ვალებში ჩატარებით დამზად-
დეს როგორც სუფრის ღვინო, ისე საშამპანურე ღვინომასალა. შამპა-
ნურისათვის ძელშავი უნდა დაიკრიფოს მაშინ, როცა ყურძნის შაქ-
რიანობა 18—19%-ს, ხოლო მევარიანობა — 9—10%-ს მიაღწევს, სუფ-
რის ღვინისათვის კოტა გვიან უნდა დაიკრიფოს.



ძელშავისაგან დამზადებული სუფრის ღვინო საშუალო კულტურული საა. შეა იმერეთში მისგან ღია წითელი ან მოვარდისფრანგულება სხეულიანი, მაგრამ ენერგიული და ხალისიანი ღვინო დაგება, ზემო იმერეთსა და რაჭაში კი უფრო თხელი და ნაკლებშინაარსიანი.

გაცილებით უკეთესი ხარისხის მასალას ძელშავი შამპანურისათვის იძლევა.

მეურნეობებში ამ ჯიშს არ ვხვდებით. სამავიეროდ იგი საკმაო რაოდენობითა გავრცელებული საქართვიდამ ნაკვეთებზე. ზონის ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები ხელშემწყობია ამ ჯიშს წარმატებით კულტივირებისათვის.

ძელშავს მომავალში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს.

შავი პინო

შავი პინოს ნერგით ვენახები პირველად გაშენდა 1984 წელს — ერთვის, არცევის, ახალგორის მეურნეობებშია დარგეს — შესაბამისად 23,2 და 7 ჰექტარზე. სამწუხაოოდ, ვაზის გაშენებისა და მოვლის აგროწესების უგულებელყოფისა და უყურადღებობის გამო ახალგორის მეურნეობაში შავი პინოს 7 ჰექტარი ნარგაობა მომდევნო წელს ვე გახმა და მთლიანად ამოიძირევა.

შავი პინო ფრანგული წითელყურძნიანი საღინე ვაზის ჯიშა, მისი პროდუქცია გამოიყენება ხარისხოვანი შამპანური ღვინის დასამზადებლად.

საქართველოში შავი პინო შემოტანილ იქნა XX საუკუნის დასაწყისში და გავრცელდა მცირე ნარგავების სახით — კახეთში, ქართლ-სა და იმერეთის რაიონებში.

ამ ჯიშს ახალგაზრდა ყლორტის ზრდის კონტინუაცია და მთლიანად მოფენილია აბლაბუდისტრი მოთეთრო ბუსუსით, ზედა პირზე ემჩნევა მოვარდისფრო ლაქები. პირველი სამი ფოთოლი როგორც ზედა, ასე ქვედა მხრიდან შებუსვილია მოთეთრო ბერვისებრი ბუსუსით. შებუსვა უფრო ძლიერია ფოთლების ქვედა მხრიდან. ყლორტი ღია მწვანეა, შიშველი, ბრჭყვიალი და მწვანე.

შემოსული რქა საშუალო სიმსხოსია ან საშუალოშე წვრილი, ღია ყავისფრი, შავი წერტილებით დაფარული.

ზრდადამთავრებული ფოთოლი მუქი მწვანეა, საშუალო სიდიდის 14,5—17,7 სმ სიგრძის და 14,6—17,2 სმ სიგანის. ფორმით მომრცვალოა ან ოდნავ ოვალური, სამნაკვეთიანია, გვხვდება ხუთნაკვეთიანიც.



უცავილი ორსკესტანია ნორმალურად განვითარებული ბუტკორსიაში მცირიანებით. უცავილედში უცავილების რიცხვი 200—260 აღწევს.

მცევანი მცირეა, სიგრძით — 8—12 სმ, სიგანით — 6—8,5 სმ. ხშირად ცილინდრულია ან ცილინდრულ-კონუსისებრი. მარცვალი მუქი ლურჯია, საშუალო სიღრღის ან საშუალოზე, მცირე, მომრგვალო, შუაწელში განიერი და ბოლო მომრგვალებული. თხელკანიანია, ნაფლებ-ხორციანი და ზედმეტწევნიანი, სასიმოვნო ტკბილი გემოთი, მარცვლის კანი დაფარულია ცვილისებრი ფიფქით.

შავი პინოს საცეცეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა კვირტის გაშლიდან უურძნის სრულ სიმწიფემდე საქართველოს პირობებში 145—155 დღეა.

შავი პინო საშუალო ზრდა-განვითარებით ხასიათდება. საცეცეტაციო პერიოდის დასასრულისათვის ცალკეული რქის სიგრძე 1,5—2 მეტრს აღწევს. მცხრანის მეცენახეობის ზონაში შპალერული წესით ფორმირებას, 16—18 კვირტით დატვირთვის შემთხვევაში, ერთი ძირის მოსავალი 2—2,5 კგ-ზე აღწევს. განუვითარებელი კვირტები ეთბზე 30—35%-მდე მერყეობს. მოსავლიანი ყლორტების რაოდენობა 70—90%-ს უდრის. რქის პროდუქტულობა 1,5—1,7-ია, მოსავლიანობის კოეფიციენტი 1,1-დან 1,3-მდე მერყეობს. არ ახსიათებს დოდი მოსავლიანობა, პექტინზე საშუალოდ 60—70 ფენტნერს იძლევა.

გრძელ უცავილცვენა და წერილმარცვლებრინობა ნაფლებად ახსიათებს. შესამჩნევია მასზე სოკოვან დავადებათა მაქნე მოქმედება. ზამთრის ყინვებისაღმი საქმაოდ გამძლეობა.

შავი პინოს გასხვლა-ფორმირებისას უნდა გამოვიყენოთ ორმხრივი შპალერისა და მრავალსაკავებლიანი ფორმა — საშუალოდ ვაზის 16—24 კვირტის დატვირთვით. უხვმოსავლიანი ყლორტები შავ პინოს უფრო მეტად უცავთარდება ბაზისიდან ზევით 4—8 მუხლებზე, ამიტომ იგი უნდა გაისხლოს 5—7 კვირტის დატოვებით.

მეცენახეობის განვითარებასთან დაკავშირებით სხვა აღრეულ ჯაშებთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს შავი პინოს გავრცელებას. ყურძნის ნაადრევად დამწიფების უნარი და პროდუქციის მაღალი ღირსება იმის საფუძველია, რომ მისკან შესაძლებელია დამზადეს აღვილობრივი მოხმარების საქმაოდ ხარისხოვანი სუფრის ღვინო და საკუპაცე მასალა მაღალხარისხოვანი შემპანური ღვინოების მისაღებად.

აღრეული მწიფობის გამო შავი პინო ფართოდ შეიძლება გავრცელდეს რეგიონის როგორც სამხრეთ, ასევე მთისწინა ზოლშიც.



რქაწითელი საქართველოს სტანდარტული, ფართოდ გავრცელებული ცაზის გიშია. იგი ადგილობრივი კახური გიშია.

რქაშითელი გავრცელებულია ყოფილი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა თითქმის ყველა რაიონში. იძლევა მაღალხარისხს ეკრო-პული და კახური ტიპის სუფრის თეთრ ღვინოს, მაგარ და საღესერტო ღვინომასალას, აღვილობრივი მნიშვნელობის კარგი ღირსების სუფრის ყურძენს.

ახალგაზრდა მოზარდი ყლორტის წევრი გვირგვინთა და ჯერ კი-
დევ გაუშლელი პირველი ორი ფოთოლაყით შებუსვილია საშუალო
სისქის აბლაბუდისებრი ბეჭვით, მორუხო-თეთრი ფერისაა და ოღნავ
მოვარდისფრო არშია დაჰუცვება გვირგვინისა და ფოთოლაყების ირგვ-
ლივ.

ერთწლიანი ტქა სწორად მოზარდი და საშუალოზე წვრილია, მომ-წიფებისას მოწითალო-წაბლისფერია. მუხლთაშორისები საშუალო სიგრძისაა კა საშუალოდ, 7,5-დან 12 სმ-მდეა.

ფოთოლი მომრგვალოა, მუქი მწვანე, 19×18 სმ-ის, მეტწილად სამნაკვთიანი, იშვიათად ხუთნაკვეთიანი.

ყვავილი ნორმალური აგებულებისაა, რასს ქვესიანი.

აქვს საშუალო ზომის მტევანი. მისი სიგრძე 12-დან 24 სმ-მდეა, ხოლო სიგანე 5-დან 12 სმ-მდე მერყეობს.

რქაწითლის სავეგოტაციო პერიოდის ზანერმლივობა მეცნიერების ცალკეული რაონების ჰავის მიხედვით მერყევია. როგორც მკელევართა დაკვირვებით დასტურდება, მისი გაერტყელების საზღვარი შეიძლება ვაღარების მი ზონამდე, საღაცც კი ატრიუმ ტემპერატურათ გამისაშუალოდ 3000—3100 გრადუსს ღრმვეს.

გარემო ტემპერატურის დონე, ნალექების რაოდენობა და ნიადაგობრივი პირობები შესაძლებლობას ქმნის ეს ჯიში უფრო ფართოდ გავრცელდეს ამ ზონაში.

საქართველოში რქაშითლის სამუშაო მოსავლიანობა 100—120 ცენტნერს აღწევს, ხოლო კარგი მოვლის პირობებში დალგეულ ნაკვეთებზე შეიძლება 200 ცენტნერს მიაღწიოს.

რქაწითელი სოკოვან ივალიყოფიბათა მიმართ დამაკმაყოფილებელი გამძლეობით ხსიათდება. ჭრაქს უკეთ უძლებს, ვიდრე ნაცარს. კარგი ყინვაგამძლეა.

მთისწინა ზოლში რეაწითელი ცერ ამერლავნებს გამძლეობის კარგ

უნარს სოკოვან დაავადებათა მიმართ. უფრო მეტად ავალდება  რაო. ძლიერი დატვირთვის პირობებში ზოგჯერ რქის ნაწილი მოუტარებულია ფეხებით რჩება. ამიტომ ამ რეგიონში ვაზი უნდა დაიტვირთოს სიძლიერის შესაბამისად და გამახვილდეს ყურადღება სოკოვან დაავადებათა წინააღმდეგ საბრძოლველად.

ჩვენი ქვეყნის მეცნიერების ზონებში რქაწითლის ფართო გაზრდება განპირობებულია გარემო პირობებისადმი კარგი შეგუებით. მისი ყურძნიდან მიიღება მაღალხარისხის სოკოვანი სურათი ლირსების კახური ტიპის ღვინო, კარგი ხარისხის მაგარი და სადესერტო ღვინო, აგრეთვე საუკეთესო ლირსების ყურძნის წვენი. მარცვლის სასურველი წვნიანობა, წვენის მაღალი შაქრიანობა, საკმაო მეავიანობა და სასიამოვნო არომატი აპირობებს რქაწითლის ძირითადად სუფრის და სადესერტო მაღალხარის სოკოვანი ღვინის დასაყენებლად გამოყენებას.

ფიზიოლოგიური სიმწიფის დაწყებიდან თითქმის გაღმწიფებამდე რქაწითელი ინარჩუნებს შაქრიანობამეავიანობის სასურველ შეფარდებას. დღიდი რაოდენობით (30%-მდე) აგროვებს შაქარს და თან ახლავს საჭირო მეავიანობა. სამხრეთ რაიონებში ამ პერიოდში დაახლოებით ერთი თვის მანძილზე ამ ჭიშის ყურძნიდან თითქმის ყველა ტიპის ღვინის დაყენება შეიძლება. მისგან მზადდება აგრეთვე საშინაო მოსახმარად ბადაგი, ჩამიჩი, ჩურჩხელა, თათარა და სხვა ტკბილეული.

უნდა ოლინიშნოს აგრეთვე ზოგიერთი რაიონის რქაწითლის ღვინის განსაკუთრებული სიმსუბუქე, სინაზე და სიხსალისე, რაც იძლევა მისი შამპანურ მეღვინეობაში ფართოდ გამოყენების საშუალებას.

რქაწითელს არ ახასიათებს ძლიერი ზრდა-განვითარება, ამიტომ არც დიდ კვების არეს საჭიროებს. აქვთ შედარებით მოკლე მუხლოშორისები, რაც ხელს უშლის რქის გრძლვად გასხვლას. მისი დატვირთვა უნდა განისაზღვროს კონკრეტული პირობების გათვალისწინებით.

ამ რეგიონში ვაზის საერთო წარმოების შემცირების გამო, სხვა ჭიშებთან ერთად, რქაწითელის რაოდენობამაც მკვეთრად იყლო. აქაურ კოლოგიურ პირობებში გამომელავნებული შეგუების კარგი უნარი და პროდუქტულის მაღალი ლირსება მომავალშიც მისი ფართოდ გავრცელების შესაძლებლობას ქმნის. მეცნიერების ზონებიდან რქაწითლის გაშენებისათვის საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს ქსნის ხეობის სამხრეთი ნაწილი ახალგორის რაიონში, ბალთა-ქალეთისა და ფრონეს ხეობის სამხრეთი ნაწილი ქარელის რაიონში.

საქართველოში თითას ვაზის ჯიშის მრავალი წარმომადგენელია ცნობილი. ესენია: კახეთში — კახური თითა ყურძენი; მესხეთში — ცხენის ძუძუ, იგივე თითა; რაჭაში, გურიასა და აჭარაში — თითა ყურძენი, სამეგრელოში — დედოფლის თითი.

თითას სახეობათა შორის ყურადღებას იპყრობს ქართლში ძველ-თაგონე ცნობილი ვაზის აბორივენული ჯიში — თითა. სხვა თითა ყურძნისაგან გამსხვავებით მას „ქართლის თითას“ უწოდებენ. ქართლის მოსახლეობაში ცნობილია აგრეთვე სხვა სახელებითაც: „თითა“, „თითა ყურძენი“, „რბილთითა“ და „ატენის თითა“, ზოგჯერ მას „ქართლის თითასაც“ უწოდებენ.

ქართლის თითა თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშია. იგი სუფრის ყურძნის ჯიშთა ჯგუფს განეკუთვნება. ადრე მწიფდება, ხსიათდება უხვი მოსახლიანობით, ყურძნის გარევნული სილამაზით და მაღალხარისხოვანი გემური თეისებებით. ქართლის თითას საზოგადოებრივ მეურნეობათა ზრდებში ორ ეხვდებით. სამაგიეროდ მოსახლეობა დიდი გატაცებით აშენებს საკარმილო ნაკვეთებზე და ძირითადად ხეიფანზე აფორმებს.

ქართლის თითას ახალგაზრდა ყლორტის ზრდის კონუსი ღია მწვანეა და შებუსვილია მოთეთრო-მონაცრისფრო ბეწვისებრი ბუსუსით. გასაშლელ ფოთოლაკებს ნაპირებზე ემჩნევა მოვარდისფრო შეფერვა. ახლად გაშლილი პირველი ფოთოლი ზედა და ქვედა მხრიდან დაფარულია მოთეთრო-მონაცრისფრო ქეჩისებრი ბუსუსით, ფოთლის ნაპირები კი შეფერილია ვარდისფრად. ახალგაზრდა ყლორტი მომრგვალოა, მომწვანო მუქი ყავისფერი ან მოწაბლისფრო ზოლებით.

ერთწლიანი რქა საშუალო სიმსხოსია (8—10 მმ), მოწითალო-მოისფროა და გასდევს ნათლად გამოსახული მუქი ფერის ზოლები.

ზრდადამთავრებული ფოთოლი მუქი მწვანეა, საშუალო სიღიღის, სიგრძით — 14,5—19,5 სმ და სიგანით — 14—19 სმ, მომრგვალო ან რვალური.

ყვავილი ორსქესიანია ნორმალურად განვითარებული ბუტკოთი და მტერიანებით.

მტევანი ცილინდრულ-კონუსისებრი და ფრთიანია. აგებულებით კუმსია, ზოგჯერ საშუალო სიკუმსის ან თხელიც. მტევნის სიგრძე



12—18,5 სმ-ს, ხოლო სიგანე — 7,5—13 სმ-ს აღწევს. მარცვალი კუტავის წერილი, სრული მწიფობის პერიოდში მოყვითალო. მზის მხარეზე მოვარდისფრო-მოყავისფრო მუქი ფერის მეტად წვრილი წერტილებით. მტევნის საშუალო წონა 155-დან 180 გ-მდე მერყეობს. დღიუ მტევნის წონა 282 გ-ია, მცირესი—70 გ. ქართლში ყურძნის წვენის შაქარიანობა 19,8%-ია, ხოლო მევეიანობა — 6,0%.

ქართლის თითას სავაგეტაციო პერიოდის ხასგრძლივობა კვირტის გაშლილან ყურძნის სრულ სიმწიფემდე შუა ქართლში 167 დღეს აღწევს. ეს ჯიში ძლიერი ზრდა-განვითარებით ხასიათდება. წლის ბოლოს ცალკეული ნაზარების სიგრძე 3 მეტრს აღემატება. ხეივნად ვაფორჩებისას 40—50 კვირტით იტვირთვება. ზოგჯერ შესაძლებელია გაცილებით ძლიერი დატვირთვაც. მიზანშეწონილია მისი ფორმირება ხეივნად ან მრავალსაყვებლიანი ფორმის მიცემა. მკვლევართა დაკვირვებებით დაზარულებულია, რომ ნაყოფის მომცემი ყლორტები 85—88% შეადგენს. მსხმოიარობის კოეფიციენტი 0,95-დან 1,1-მდე მერყეობს. ჯიში ყვავილცვენას და წვრილმარცვლიანებას არ განიცდის. მხოლოდ არახელსაყრელი ამინდის პირობებში დაყვავილება მრანორმალურად მიმდინარეობს, რაც ყვავილის ცვენასა და მოსავლის შემცირებას იწვევს.

ქართლის თითა სოკოვან ავაღმყოფობათა მიმართ არ იჩენს გამძლეობას. განსაკუთრებით აღვენდად ავაღდება ნაცრით, ყინვების მიმართ საკმაოდ ამტანია.

როგორც დასტურდება, ქართლის თითა ეკოლოგიური პირობების მიმართ არ იჩენს დიდ მგრძნობიარობას. ეგი წარმატებით ვითარდება როგორც ვაკე და ლრმა, ლონიერ ნიადაგებზე, ისე ფერდობ და ქვალორის შემცველ ნაკვეთებზე. მისი ეგაშენებისას უპირატესობა უნდა მიეცეს უფრო შემაღლებულ და მზით განათებულ აღგილებს.

როგორც ადგილობრივი მოხმარების სუფრის ყურძნის ჯიში, ქართლის თითა ყურადღების ლირსია. მევენახეობის ზონებში პერსპექტიულ ჯიშად უნდა ჩაითვალოს — შედარებით აღრე (სექტემბრის მესამე დეკადაში) მწიფდება, ხასიათდება საკმაოდ უხვი მოსავლიანობით, ყურძნის გარევნული სილამაზითა და მაღალხარისხოვანი გემური თვისებებით.

ვენახის გაზენება და ახალშენი ნარჩაობის მოვლა

1. ნიადაგის მომზადება და ვენახის გაზენება

ს ა ვ ე ნ ა ხ ე ა დ გ ი ლ ი ს შ ე რ ჩ ე ვ ა. ვენახის გასაშენებლად ნიადაგის სწორად შერჩევაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ნარგაობის ხანგრძლივი ექსპლუატაცია. ვაზის, ისევე როგორც ხეხილის საარსებო არეს ძირის აღდანის დრომა ნიადაგი წარმოადგენს, სიიდანაც მისი ფესვთა სისტემა წყლითა და საცვები ნივთიერებებით მარაგდება. ნიადაგური პირობების გაუმჯობესება უზრუნველყოფს ყურძნის უხევი და ხარისხოვანი მოსავლის მიღებას. ვენახის მიღალ აგროტექიურ დონეზე გასაშენებლად საჭირო წინასწარ მოვარდეს მთელი რიგი სამეურნეო-ორგანიზაციული და აგროტექნიკური ხასიათის საკითხები.

საყურადღებოა სავენახე ადგილის შერჩევა. პირველ რიგში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილის ოლივფს, ომელზედაც გარკვეულ-წილად არის დამოკიდებული კლიმატური ფაქტორების ცვალებადობა. ეს კი გავლენას ახდენს ვაზის ზრდა-განვითარებაზე. სავენახედ უნდა გამოვიყენოთ ძირითადად სამხრეთისაკენ, სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ დასაცელეთისაკენ ზომიერად დაქანებული ფერდობები და სწორი რელიეფის მქონე ნაკვეთები. უნდა უერთიდოთ ვენახების გაშენებას ტაფობ ადგილებში, სადაც ვაზი ხშირად სხვადასხვა მიზეზით ზიანდება.

სავენახე ნაკვეთის შერჩევის შემდეგ ხდება მისი მოსწორება, რათა ცალკეულ უნდებში ვაზი თანაბაზ პირობებში მოექცეს, ამასთან, შესაძლებელი გახდეს ნაკვეთის შეუფერხებელი მორწყვა.

როგორც ცნობილია, მდინარეების: დიდი და პატარა ლიახვის, ქსნის, ყორნისის ფრონესა და ოქონის ფრონეს ხეობებში მცირე ან საშუალო დაქანების მრავალი ნაკვეთია ვარგისი ვენახის გასაშენებლად. წინასწარი მოსწორების გარეშე ყველა ნაკვეთი როდი გამოდგება ამ მიზნისათვის. ამიტომ, აღნიშნულ ღონისძიებას ადგილებზე სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. შესაძლებლია ზოგიერთ ფართობზე გაკეთდეს დაბაქანება ნარგაობისათვის უკეთესი პირობების შესაქმნელად. რაც დიდია ქანობი, შედარებით ვიწრო ბაქანი კეთდება მასზე. კონკრეტული პირობების შესაბამისად, ბაქანი შეიძლება მოზადდეს როგორც ერთი, ისე სამი და ოთხი მწერივისათვის.



ტერიტორიის ორგანიზაციია აუტოლებელ ლონგის ებადით ითვლება. ვენახის გაშენების წინ გასათვალისში ინებელია: მაჯურობა ზის მწკრივების მიმართულების დადგენა; 2. მთავარი, ირგვლივი და კვარტალთშორისი გზების დაგეგმვა; 3. ქარსაფრისათვის აღვილის განსაზღვრა; 4. სარწყავი ქსელის დაგეგმვა; 5. კვარტალების სიდიდეთა დაზღვნა.

ვაკე და მცირე დაქანების ფართობებზე ვენახები შენდება 36 ჰექტარიან თარგებად (სიგანით — 100 მეტრი და სიგრძით — 300—600 მეტრი). თარგთა შორის იტოვება ექვსი მეტრის სიგანის გზა. კვარტალის სიდიდე საზღვრება 30—50 ჰექტარით. კვარტალის სასაზღვრებზე შენდება ქარსაფარი ზოლები, გაბატონებული და ძლიერი ქარების მიმართულების პერპენდიკულარულად ეწყობა მთავარი (10 მეტრის სიგანის), ხოლო საწინააღმდეგო მიმართულებით, დამზმარე (5 მეტრის სიგანის) ზოლები. ნარგაობის დაჩრდილვისაგან ასაცილებლად ვაზის პირველი მწკრივიდან ქარსაფარი ზოლი დაშორებული უნდა იყოს არანაკლებ 10—12 მეტრით. ონიშნული დატოვებული მანძილი გამოიყენება მთავარ გზებად.

ტერიტორიის დაგეგმვა ამა თუ იმ მეურნეობაში წყდება აღვილზე ნაკვეთის რელიეფის, ნიადაგური პირობების, გაბატონებული ქარების მიმართულების, სარწყავი სისტემის მოწყობისა და სხვა კონკრეტული პირობების გათვალისწინებით. თუ მეურნეობას პერსპექტიული გეგმის მიხედვით მომდევნო წლებში კიდევ აქვს ვენახები გასაშენებელი და ამავე დროს ისინი მიმდინარე წლებს გაშენებული ვენახების გაგრძელება იქნება, ტერიტორიის ორგანიზაციისთვის დაკავშირებული ზემოთ ონიშნული საკითხებიც ამის შესაბამისად გადაწყდება.

ქარსაფარი ზოლის გაშენება. დიდია მისი მნიშვნელობა ვაზის ზრდა-განვითარების საქმეში. ქარსაფარი ზოლი ვაზის ნარგაობას იტარს ქარის მავნე მოქმედებისაგან. ხშირი და ძლიერი ქარები იწვევს ნიადაგის გამოშრობას, აძლიერებს ყინვების მავნე მოქმედებას, რის შედეგადაც ხშირია ვაზის ნაწილობრივ დაზიანება ზამთრის პერიოდში. განსაკუთრებით საზიანო ქარების მოქმედება ვაზის ყვავილობის დროს, რაც საბოლოოდ ყურძნის მოსავლისანობის შემცირებით გამოიხატება.

განსაკუთრებულ ზიანს აუქნებს ვაზს ძლიერი ქარები იმ პერიოდში, როცა ყლორტები საქმით მოზრდილებია, ფოთოლიც საშუალო სიგრძისაა და მტევანიც გამოსახული და ქარის შეხების ფართი ვაზზე დიდია, ყლორტიც კი ჭერ არ არის ძლიერ გამაგრებული. ხშირად

ყლორტების დიდი რაოდენობაც იყარება, მიიტომ ვენახის გაშენება
ბისას აუცილებელია ქარსაფარი ზოლის მოწყობაც.



ძირითადი ქარსაფარი ზოლები, როგორც აღინიშნა, შენდება ძლი-
ერი და გაბატონებული ქარების პერპენდიკულარულად, ერთი მეორი-
საგან 200—300 მეტრის დაცილებით, მათ პერპენდიკულარულად კი
დამხარე ზოლები, რომელთა შორის მანძილი 400—600 მეტრით ვან-
საზღვრება. ძირითადი ზოლი შეიძლება იყოს 6—8 ან 10-მწკრივიანი,
დამატებითი კი 2—4 მწკრივიანი. ქარსაფარი ზოლებში მანძილი მწკრი-
ვებს შორის 1,5—2,5 მეტრია, მწკრივში მცუნარეთა შორის 1,5—2.
ქარსაფარი ზოლების გასაშენებლად ისეთი ხე-მცენარეები შეიჩევა,
რომლებიც კარგდ ეგუებან აღვილობრივ პირობებს, ტანმაღლებია
და ამ დანიშნულებისათვის გამოდგებიან. შიდა ქართლის პირობები-
სათვის სარწყავ ზონაში ქარსაფარი ზოლების გასაშენებლად ურჩევენ:
ძირითად ზოლში — ალვის ხეს, კანადურ ვერხვს, შავ ფიჭვს, კავკა-
სის ფიჭვს, ევროპულ ნაძვს, გრძელყუნწა მუხს, თელას, ნეკერჩხალს,
მინდვრის ცაცხვს, იფანს; განივი (დამატებითი) ზოლებისათვის: თუ-
თის, კაჯალს, პანტას, ხეჭვურს; ქვეტყის ჯიშებიდან: შინდს, ჭო-
ჭოლს, ტყემალსა და ჭერამს.

საღრენაჟი ქსელის მოწყობა. მდინარე დიდი ლიახ-
ვის ხეობის სოფლების: ქვემო აჩაბეთის, ზემო აჩაბეთის, ქურთისა და
კეხვის ის ფართობები, რომლებიც მდინარის მარჯვენა ნაპირზე მდე-
ბარეობენ 0,5—1 კილომეტრის სიგრძის ზოლზე, დიდი ნალექების ან
მოსაზღვრე ნაკვეთების ჩრდილი ბჟირად წყლით იფარებიან, რაც
არასასურველ შედევებს იწვევს. ასეთ ფართობებზე, საწრეტი ქსელის
მოწყობის შემდევ მოსახლეობას ყურძნისა და სილის მაღალი მოსა-
ცალი მოჰყავს. ამავე ზონაში მეურნეობების საუკეთესო ხეხილის
ნარგაობაცაა მოქცეული.

ჭარბწყლიან ნაკვეთებზე საწრეტი კვლების გარეშე ძნელდება
ნიადაგის დამუშავება, ფერხდება ქიმიური და მიკრობიოლოგიური
პროცესების ნორმალური მსვლელობა; ამის გამო მცირდება ნიადა-
გის ნაყოფიერება, უარესდება ფიზიკური თვისებები და სტრუქტურა.
როგორც წესი, ამგვარ ნაკვეთებს უკეთდება დრენაჟი როგორც ლია,
სევე დახურული წესით. დახურული დრენაჟის მოწყობა არა დიდ
სიძნელეებთან დაკავშირებული, ამიტომ ლია წესთან შედარებით უპი-
რატესობა მას უნდა მიენიჭოს, ვინაიდან ფართობში მანქანა-იარაღე-
ბის მოძრაობა და სხვადასხვა სახის სამუშაოების შესრულება უფრო
გაიოლდება. დახურული დრენაჟისათვის კეთდება 1—1,5 მეტრი



სიღრმის კვლები, მასში ჩიყრება მსხვილი ქვა-ლორლი, რომელიც გამოიყენებული ზემოდან ჯერ ბრტყელი ქვები ეწყობა, შემდევ კი მაწა ეყრდნობა იმავე მას.

ხელსაყრელია ღია წესით დრენაჟის მოწყობა. იგი გამოყენებული ქვეს კეხვის მეურნეობას 8-ჰექტარიან მსხმიარე ხეხილის ბაღში. სამწუხაროდ, მას ყველა საჭირო შემთხვევაში როდი იყენებენ. მის გვირდით მდებარე აჩაბეთის მეურნეობას, ამგვარ ნიაღავზე გაშენებული ჰქონდა 1,5 ჰექტარი ვენახი. იმის გამო, რომ არ განხორციელდა დაშრობითი ღონისძიება, ნარგაობა დაკნინდა და ამოიძირკვა.

საღრენაჟე კვლების რაოდენობა, სიღრმე, სივრცე დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე; ესენია: ნიაღავის ზედაპირიდან წყლის დონეს სიღრმე, ნაკვეთის რელიეფი და მისი კონფიგურაცია, აგრეთვე სხვა კონკრეტული პირობები.

ნიაღავის ღრმა ხვნა (პლანტაცი). საცენაზე ნიაღავის საპლანტაცი ხენამდე წინასწარ ტარდება სამუშაოები მის კულტურულ მდგომარეობაში მოსაყვანად. ნიაღავი თავისუფლდება დაკავებული კულტურისაგან, იწმინდება ნარჩენებისაგან, გროვდება და ფართობიდან გაზიდება ქვა-ლორლი, ამოიძირკვება ბუჩქ-ჯაგნარი და გასუფთავდება მისგან, კარგად მოსწორდება დღიული და თუ საჭიროა, გაუკეთდება საღრენაჟო არხები.

აღნიშნული სამუშაოების შესრულების შემდევ წარმოებს საცენაზე აღგილის ღრმა ხვნა (პლანტაცი).

დღიდი ხანია დადასტურებულია საპლანტაცი ხვნის კეთილმყოფელი გავლენა ვაზის ნარგაობის ნორმალური ზრდა-განვითარების საქმეში, რაც თავს იჩენს 3—4 წლის განმავლობაში.

საპლანტაცი ხვნის შემდევ ნიაღავის ზედა, ჰუმუსიანი, ნაყოფიერი შრე მოექცევა 50—60 სანტიმეტრის სიღრმეზე, რათა ვაზის ფესვთა სისტემის განვითარების ზონაში შეიქმნას გარემო პირობათა საუკეთესო, შენამებული კომპლექსი. გარდა ამისა, პლანტაციის შედევად ხდება ღრმა ჩახვნა ნიაღავის ზედა ფენებში, არსებული სარეველა ბალახებისა და მათი თესლისა, რაც სარეველებთან ბრძოლის ერთ-ერთი კარგი საშუალებაა. ღრმა ხვნა აუმჯობესებს მძიმე მექანიკური შედენილობის ნიაღავის აერაციას, ხელს უწყობს ატმოსფერული ნალექების დაგროვებას, აძლიერებს სასარგებლო მიკროორგანიზმების მოქმედებას.

ნიაღავის ღრმა ხვნა არა მარტო ნალექების დაგროვების, არამედ მცენარის ფესვთა სისტემის გავრცელებისათვის კარგი საშუალებაცა.



ამას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გვალვების დროს, განკუთხული რებით უწყვავი ზონის პირობებში.

როგორც გ. ონიანი (51, გვ. 14) მიუთითებს, პლანტაციის ოპტიმალური სიღრმე უნდა დაფინდეს ნიაღავის თვისებათა შესატყვისაღებება რა საქართველოს ყავისფერი ნიაღავების დაპლანტაციების საკითხს, იგი აღნიშნავს, რომ მათი 60 სმ სიღრმეზე დაპლანტაციება ყურძნის მოსავლიანობას სხვა ვარიანტებთან შედარებით 29 ცენტნერით, ხოლო 6 საათში გატარებული წყლის რაოდენობას 100 მმ-ით ზრდის. მისი აზრით, ნიაღავების პლანტაციები უნდა ჩატარდეს $H+B$ პორიზონტების მიხედვით, რაც თავის მხრივ განაპირობებს მცირე ($A+B=40$), საშუალო ($A+B=50$) და დიდი სისქის ($A+B=60$ სმ და მეტს) ყავისფერი ნიაღავების სხვადასხვა სიღრმეზე დაპლანტაციებას. ამ და მისი მსგავსი ნიაღავების პლანტაციები უნდა წარმოებდეს შესაბამისად 50, 60 და 70 სმ სიღრმეზე.

პლანტაციის ჩატარებისას მხედველობაშია მისაღები ნაკვეთის თავისებურება. ფერდობებზე შედარებით მეტი სიღრმეზეა საჭირო მოხვნა, რას შედეგადაც მეტი სიღრმეზე გროვდება ტენი, რაც ხელს უწყობს ვაზის კვების პირობების გაუმჯობესებას. პლანტაციის სიღრმე სწორ რელიფზე 50—60 სმ-ია. ფერდობებზე კი შეიძლება მეტიც იყოს—70—80 სმ.

იმისათვის, რომ საპლანტაციე ხვნამ უკეთესი შედევი მოგვცეს და ნიაღავმაც დიღხანს შეინარჩუნოს მისგან შეძენილი გაუმჯობესებული თვისებები, საჭიროა ამ ღონისძიების დროული და ხარისხიანი ჩატარება. საცენახე ნაკვეთის დამუშავება შეიძლება გაგრძელდეს გაზაფხულ-ზაფხულის მთელ პერიოდში, ოღონდ სექტემბრის შუა რიცხვებზე გვიან არ უნდა დამთავრდეს, რათა ხნულმა მოასწოროს სათანადოდ დაშლა, დროულად გადაიხსნას, დაიფარცხოს, მოსწორდეს და გვიან შემოდგომით შესაძლებელი იყოს ფხვიერ ნიაღავზე ცენას გაშენება. თუ ვენახს გაშენება ვერ მოხერხდა გვიან შემოდგომით, პლანტაციის ჩატარებლობის გამო, მაშინ ვენახი აღრე გაზაფხულზე უნდა გაშენდეს, რისთვისაც საჭიროა პლანტაციის შემოდგომით ჩატარება. ბოლო წლებში ზონის მეურნეობებში 65 ჰექტარზე გაშენდა ხეხილის ბალი და 61 ჰექტარი ვენახი. უნდა ითქვას; რომ ზოგან ეს ღონისძიება დაბალ აგროტექნიკურ დონეზე შესრულდა, რაც გამოწვეული იყო ნაწილი ფართობების გვიანი დაპლანტაციებით. ეს მომავალში გასათვალისწინებელია. ვენახი კარგად მომზადებულ ნიაღავზე უნდა შენდებოდეს, რათა საბოლოო შედევიც მივიღოთ. ნიაღა



ვის ნაყოფიერების მიაღლების და ახალნაშენი ნარგაობის ზრდა-გაფართოებული თარებისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად საკენატე ნაკე-
ვეთხე შევავჭვს 40—50 ტონა ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკე-
ლი) და მინერალური სასუქები: 400—480 კგ ფოსფორი, 300—320 კგ
კალიუმი (მინერალური ელემენტები იანგარიშება მოქმედი ნივთიერე-
ბის საჩით). ორგანულ-მინერალური სასუქების აღნიშნული რაოდენო-
ბის ნახევარი შეიტანება საპლანტაციე ხვნის წინ, ხოლო მეორე ნახე-
ვარი — პლანტაციის ვადასასწორებლად წარმოებული ხვნის წინ. მინე-
რალური სასუქების შეტანისას, ორგორც ითვა, გასათვალისწინებელია
ნიადაგში ფოსფორისა და კალიუმის შემცველობა, რასთვისაც საჭი-
როა აკროჭიმიური კარტოგრამების გამოყენება.

კვების არც კენახის გაშენებისას კვების არის ანუ. თითოეულ
ჰექტარზე ცაზის დასარგავ ძირთა რაოდენობის დასაღვენად მხედვე-
ლობაშია მისაღები ვაზის ჯიშური თავისუბურება და ნიადაგობრივ-
კლიმატური პირობები. ღრმა და ნაყოფიერ ნიადაგებზე მეტი კვების
არც ეძლევა, ვიდრე შედარებით თხელი ნიადაგური საფარისა და საკ-
ვები ელემენტებით ნაყლებად მდიდარ ნაკვეთებზე. ასევე დიდი კვე-
ბის არც ეძლევა ძლიერ მოზარდ ჯიშებს. ეს საკითხები წინასწარ კარ-
გად უნდა იქნეს შესწავლილი და საბოლოოდ დაზუსტდეს, მეურნეობა
რომელ ნაკვეთზე რა ჯიშის ვაზს აშენებს, ამის მიხედვით იქნება
შეძენილი ამა თუ იმ ჯიშის სარგავი მასალა, შემუშავდება ვაზის გა-
ფორმების უფრო მისაღები წესი.

სადლეისოდ საქართველოს მევენახეობის იმ რაიონებში, სადაც მე-
ქანიზაცია ფართოდ გამოიყენება ვაზის მწყრივთამორის მანძილს
2,1 მეტრს სტოკებენ, მწყრივში მცენარეთა შორის 1,25—1,5 მეტრს.
ძლიერი ზრდა-განვითარების პირობებში, ასევე სასუფრე ჯიშებისათ-
ვის კვების არც მიღებულია $2,1 \times 2$; $2,5 \times 2$ მეტრი.

ამ ზონის მეურნეობათა ზერებში ცაზი ძირითადად გაშენებულია
 $2 \times 1,5$; $2,1 \times 1,25$ მეტრზე. მაგრამ ხშირია შემთხვევა, როცა კენახში
მომუშავე მექანიზმები აზიანებენ მცენარეებს, წყვეტენ შპალერის
მავთულებს. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მწყრივთა შორის
მანძილის 2,2 ან 2,3 მეტრამდე გადიდება.

უკანასკნელ წლებში შეცნიერთა რეკომენდაციით საქართველოში-
ფართოდ ინერგება კენახების გაშენება 2,5—3,0 მ სიგანის მწყრივთა-
შორისებით, მწყრივში მცენარეთა შორის 1,25—2 მ მანძილით და ვა-
ზის აღზრდა 1—1,2 მ სიმაღლის შტამბზე. ზონაში $2,5 \times 1,5$ და $2,5 \times$
 $1,25$ მ კვების არით 37 ჰექტარზეა გაშენებული ახალი ნარგაობა



მიგვაჩნია, რომ მწერივში მცენარეთა შორის 1,5-ზე ნაკლები მატერიალური დატოვება არა მიჩნევს მონიტორის მიზანს.

მწერივების მიმართულებას ნაკვეთზე მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს. იმ მიერობაში, სადაც ხელსაყრელი პირობებია სოკოვან ავადმყოფობათა გავრცელებისათვის, მწერივებს უნდა მიეცეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულება, რათა მზემ ამოსვლისთანავე მწერივის ორივე მხარეზე თანაბრად გააშროს ნამით დასველებული ვაზის მწვანე ნაწილები. მხედველობაშია მისალები მორწყევის შესაძლებლობის საკითხი, ნაკვეთის რელიეფი და ა. შ. ისეთ ადგილებში, სადაც ქანობი საშუალო სიძლიერისაა, მწერივების მიმართულება დაქანების პერსენტიკულარული უნდა იყოს. სოფლების: დასევის, ხელჩუის, ერედვის, ძარწემის, ქემერტის, ხეითის, ქურთის, კეხვის, ზემო და ქვემო აჩაბეთის ვენახისათვის გამოსაღვევი ნაკვეთები სხვადასხვა სიძლიერისა და დაქანებისაა, ამიტომ, მწერივების მიმართულებაც სხვადასხვა იქნება. მაგალითად, დასევის დასავლეთისაკენ მიმართულ ფერდობებზე ვაზის ძირითადი სამხრეთ-ჩრდილოეთის მიმართულება უნდა მიეცეს. სერივე წესით უნდა გაშენდეს მწერივები ხეითისა და ძარწემის ფართობებში, ქურთის, კეხვის, ზემო და ქვემო აჩაბეთის აღმოსავლეთის დაქანების ფერდობებზეც. სრულიად განსხვავებული რელიეფის ფართობები აქვს ერედვის მეურნეობას. ანალოგიურ სურათს ვხედავთ ქარელის რაონის სოფლებში. თვით ერთსა და იმავე სოფელშიც ხშირად ვხედებით სრულიად განსხვავებულ პირობებს. ამიტომ ზემოთ აღნიშნული საკითხი ყოველთვის წყდება კონკრეტული მდგომარეობის გულდასმით შესწავლისა და კარგად მოფიქრების შემდეგ.

ნაკვეთის დაგვეგვია. მას შემდეგ, როცა დაზუსტდება კვების არე, თარგებისა და კვარტალების სიღიღე, განსაზღვრება მწერივების მიმართულება და ა. შ. იწყება ნაკვეთის დაგეგმვა. ქარსაფარი ზოლისა და მისი მიმღებარე მთავარი გზისათვის სპეირო ფართობის გამოყოფის შემდეგ, ფართობის თავში, ნაკვეთის კუთხეში მოინიშნება ის წერტილი, საიდანაც იწყება დაგეგმვა. ნაკვეთის ზუსტად დაგეგმვის მიზნით აუცილებელია სწორი კუთხის აგება. ამიტომ, აღნიშნული წერტილიდან ნაკვეთის ერთი გვერდის მიმართულებით ვაიჭიმება ზუსტად 8 მეტრი სიგრძის თოვი ან მავთული. იმ თოვის (მავთულის) პერსენტიკულარულ ნაკვეთის მეორე გვერდის მიმართულებით საწყისი წერტილიდან გაიჭიმება 6 მეტრი სიგრძის მეორე



მავთული. ორივე მავთულს ერთი საერთო საწყისი წერტილი განკუთხულია მათ ბოლო წერტილებს შორის მანძილი ზუსტად 10 მეტრი უნდა გაიკუთხოვა მოვიდეს (პითაგორის თეორემის თანახმად). თუ ცალკე აღებული ზუსტად ათმეტრიანი მავთულის ბოლო წერტილები ზუსტად არ ემთხვევა 8 და 6-მეტრიანი მავთულების ბოლო წერტილებს, მაშინ ამ უკანასკნელთაგან ერთ-ერთის ბოლო წერტილს გამოძრავებთ (გადავადგილებთ) იმგვარად, რომ შეორე მავთულის ბოლო წერტილამდე მანძილმა ზუსტად 10 მეტრი შეადგინოს. ეს დამადასტურებელი იქნება იმისა, რომ მართი კუთხე მიღებული გვაქვს.

სწორი კუთხის აგების შემდეგ სამკუთხედის აღნიშნული 8 და 6-მეტრიანი უვერდები გაგრძელდება ნაკვეთის ბოლომდე, რაც თვალზომით სარების დასიმით ხდება. ზუსტი დაგეგმვისათვის, აღნიშნული გვერდების გამოყენებით, საჭიროა შეიკრას სწორკუთხედი, რისთვისაც გამოიყენება 110 მეტრი სიგრძის მავთული. მას თავსა და ბოლოში 5—5 მეტრის გამოტოვებით გაუკეთდება აღნიშნები. მონიშნულ წერტილებს შორის დარჩება ზუსტად 100 მეტრი, რომელიც გადაიზომება სამკუთხედის ორ გვერდზე. თითოეული მათგანის ბოლო წერტილებიდან მათს პერპენდიკულარულად გადაიზომება 100—100-მეტრიანი მანძილი და სწორკუთხედით შეიკრება. მწყრივებს შორის მანძილი სწორკუთხედის ორ მოპირდაპირე გვერდზე გადაიზომება. ამისათვის მავთულზე გაკეთდება ნიშნები მწყრივებს შორის მანძილის გათვალისწინებით (ვთქვათ 2,2 ან 2,0 მეტრი). მავთული გაევლება გვერდზე და ნიშნების აღვილას პალოები დაესობა. ამისვე დაკეთებით მის მოპირდაპირე შეორე გვერდზე. აღნიშნები ზუსტი უნდა იყოს, რათა შემდეგში რიგები არ აირიოს. ამის შემდეგ, ზემოთ აღნიშნული 110-მეტრიან მავთულს, რომელსაც თავსა და ბოლოში 5—5 მეტრის გამოტოვებით აღნიშნები იქვს გაკეთებული, პირველი ნიშნიდან გაუკეთდება აღნიშნები იმ მანძილზე, რაც საჭიროა მწყრივში მცენარეთა შორის (ვთქვათ, 1,5 ან 1,25 მეტრი). მავთული გაიჭიმება პირველ პარალელურ წყვილ გვერდებს შორის და ყოველ ნიშანთან დაისიმბა პალოები. ასე გაგრძელდება, ვიდრე არ დაიგეგმება ის ზოლი, რომელიც სწორკუთხედშია მოქცეული. ეს ის აღვილები იქნება, სადაც ორმოები უნდა ამოვილოთ ვაზის დასარგებად. ამავე წესით დაიგეგმება თარგში (კვარტალში) მოყოლილი დანარჩენი ფართობი.

ვაზის დარგა. ვენახის გაშენება დასაშვებია მხოლოდ პირველხარისხოვანი სარგავი მასალით. პირველხარისხოვან ვაზის ნამყენერებს უნდა ჰქონდეს არანაკლებ 2—3 კარგყდ დამსხვილებული ფეს-

ვი. ნამყენს ფესვები ეჭუცება 10—15 სმ-ზე, რაც საჭიროა მათი დო-
მკლებისა და ჭრილობის განახლებისათვის. ნამყენის ნაზორები ურთიერთ
3 კვირტზე მოკლდება.

ვაჩის დარგვის სხვადასხვა წესი არსებობს. თავისი უპირატესო-
ბით გამოირჩევა ორმოში დარგვა, მცენარე ზრდა-განვით რებისათვის
ხელსაყრელ პირობებში ეჭუცება. ორმოს სიღრმე განისაზღვრება 40—
50 სმ-ით; სივანე — 30 სმ-ით. დარგვის დროს ორმოში შევვეჯვს 5—
6 კლოგრამი გადამწევაზი ნაკელი, რომელიც წინასწარ ჯნდა შეერთ-
ოს ორმოში ჩასაყრელ მიწას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა
მიექცეს მწკრიცში ნერგის ერთ სწორ ხაზზე განლაგებას და ორმო-
ში ვერტიკალურად დაყენებას. მყნობის ადგილი მიწის ზედაპირიდან
2—3 სანტიმეტრით მაღლა უნდა იყოს. მიწა „დაჭდება“ და
ნამყენსაც 1—2 სანტიმეტრით დაბლა დასწევს. დარგვის შემდეგ ნერგს
ზემოდან უკეთდება ფხვიერი მიწის კოკოლა 8—10 სანტ-ზეტრის სი-
მაღლეზე.

როგორც წესი, ვენახი ერთწლიანი ნამყენით შენდება. ვაგრამ არას
შემთხვევები, როცა რამე მიზეზების გამო სანერგეში ბრუნდება ნამ-
ყენი და მომავალ წელს დაორწლიანებული ნერგი გამოყავს. 1984
წელს ქანდის სანერგე მეურნეობას თითქმის 80 ათასამდე ცალი 2 და
3-წლიანი ნამყენი ჰქონდა სარეალიზაციოდ. ნამყენი კარგი ზრდა-გან-
ვითარებისა იყო — 2—3 ძლიერი ნაზარდით და ასევე ძლიერი ფესვ-
თა სისტემით. მეურნეობათა ხელმძღვანელები და სპეციალისტები იმ
მოტივით, რომ ნარგავი ძნელად გაიხარებდა, ერიდებოდნენ მას გა-
ტანას, რაც არამართებულად მიუვაჩნია.

ორწლიანი ნამყენი ხშირად ძლიერი ზრდა-განვითარებისაა, აქვს 2
ან 3 ნაზარდი, რომელიც გრძელი მუხლთშორისებით ხასიათდებიან. ასეთი ნამყენის დარგვისას ურჩევენ 1—2 კვირტზე გადაჭრას და კო-
კოლას გაეკეთებას. ჩვენი აზრით, დარგვის ეს წესი არასწორია. იმის
გამო, რომ მუხლთშორისები საქმაო სიგრძისაა, ფხვიერი მიწის კოკო-
ლა ვერ გაუკეთდება ისე, რომ მან ზამთრის პერიოდში ნამყენი და-
იცვას ამოშრობისა ან ყინვისაგან. მიგვაჩნია, რომ ნამყენს უნდა დარ-
ჩეს 1 კარგად განვითარებული (სასურველია ცენტრალური) ნაზარდი,
დანარჩენი კი წაეპრას ბაზალურ ნაწილში. დატოვებული ჩქა ხელ-
უხლებლად უნდა დარჩეს შეკვეცის გარეშე. ამგვარად დარგულ ნამ-
ყენს, შეიძლება გარშემო 8—10 სმ სიმაღლეზე შემოვაყაროთ ფხვა-
ერი მიწა ყინვისაგან კვირტების დაზიანების თავიდან ასაცილებლად.
ადრე გაზაფხულზე ყინვების საშიშროების გავლის შემდეგ, მიწა შე-



მოსცილდება და ნაზარდი 2 კვირტშე გაისხვლება. ამ მეთოდით უფრო უძველესია უნდა ვენახი ერედვის მეურნეობაში 2-წლიანი ნამყენით, იმავე უძველეს 1-წლიანი ნამყენითაც. უნდა ითქვას რომ გახარების თვალსაზრისით, 1 და 2-წლიანი ნერგით გაშენებულ ფართობებში შორის სხვაობა არ არის. 2-წლიანი ნერგით გაშენება, თუკი ეს მაინც ხდება გარკვეული კითარების გამო, სრულიად ნორმალურ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ და მისი ღარევისას ხსენებული წესი გამოვიყენოთ.

2. ახალგაზისი ნარგაობის მოვლა

ვენახის მოვლა პირველ წლებში ნარგაობა მომავალში მაღალპროდუქტიული რომ იყოს, საჭიროა იგი თავიდანვე ზრდა-განვითარების ხელსაყრელ პირობებში მოვაეციოთ. მხედველობაში გვაქვს გაშენების პირველ წლებში ცენახის მოვლის ღონისძიებების სწორად და რაოროგლად გატარება.

როგორც ცნობილია, ვენახი შენდება ღრმად მოხნულ (პლანტაჟირებულ) ნიადაგზე, სადაც პირველ წელს სარეველების გავრცელება შეფერხებულია. მაგრამ მეცენახემ ყურადღება არ უნდა მოაღწნოს, რათა ხელსაყრელ პირობებში მათ განვითარების საშუალება არ მიეცეთ. ვეგეტაციის პერიოდში საჭიროებისამებრ ტარდება მწყრივთა შორის კულტივაცია და მწყრივში თოხნა. საჭიროა გაშენების პირველ წლიდანვე შეუფერხებულად წარიმართოს ფაზის ფესვთა სასტრუმის ჩამოყალიბება, რაზედაც დიდად არის დამოკიდებული მიწისზე და ორგანოების ზრდა-განვითარება.

ვარდა აღნიშნული სამუშაოებისა, ვენახის გაშენების პირველ წელს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებას, როგორიცაა სოკოვან დაავადებებთან ბრძოლა. ჭრაქი საშიში დაცვადებაა ახალგაზრდა ვაზისათვის, მისი ჯერ კიდევ განუვითარებელი ყლორტებისათვის. მის სიცინააღმდეგობრივ მიმართავენ 1%-იანი ბორბოს სპნარის შესხურებას. პირველ ხანებში ეს ღონისძიება უნდა ტარდებოდეს ჭმირად—კვირაში ერთხელ, გოგირდის შეფრქვევა წარმოებს საჭიროების მიხედვით ნაცრის წინააღმდეგ.

მცენარის ზრდა-განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის ახალგაზრდა ნარგაობის რწყვა, რის ჩატარებაც საჭიროა 2—3-ჯერ. ამ სამუშაოს უნდა დავუკავშიროთ მინერალური სასუქებით გამოკვე-
5. ა. ჭაბურიძე



ბა. ახალგაზრდა ვენახში საჭიროა 80—100 კგ აზოტი (მოქმედობა თერმორეგულირების სახით) ანუ 240—300 კგ ამნიუმის გვარიშილა ჰქონის. სასუქის ონიშნული რაოდენობა მყენება: სავეგეტაციო პერიოდში ნაწილ-ნაწილ. მისი შეტანა შეიძლება რიგორულისების დამუშავებელისაც (თოხნა, კულტივაცია). მიზანშეწონილია აგრეთვე ახალშენი ნირგაობის გამოკვება ახალი ნაკელის წუნწუხით. ნაკვეთის თავში, სადაც სარწყაფი კვლები გადას, კეთდება 2—3 მეტრი სიგრძის, 1,5—2 მეტრის სიგანისა და 1 მეტრი სიღრმის ორმო. მასში ჩაიყრება ახალი ნაკელი. რწყვებს დროს წყალს მიუშევებენ ორმოში, საიდანაც უნდა მიედინებოდეს მწყრივებში. მრწყველების გარდა დამატებითი მუშის გამოყოფა აუცილებელია. ის მუდმივად ურევს ნაკელს თოხით. ნაკელი კარგად იხსნება წყალში, რომელსაც თანაბრად მიაქვს ახალი ნაკელი წუნწუხის სახით გაზის რიგებში და ანოუირებს ნიადაგს.

მევენახეს მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს კოკოლების დათვალიერება. დროთა განმავლობაში ისინი ფხვიერდება და იშლება. კოკოლების დაშლას იწვევს აგრეთვე ქარები და ძლიერი წვიმები (განსაკუთრებით დაქანებულ ნაკვეთებზე). არასასურველი შედეგი შეიძლება გამოილოს არაწესიერად ჩატარებულმა ჩწყვამაც. მრწყველმა უნდა გაითვალისწინოს ნაკვეთის რელიეფი. დაქანებულ ადგილებში ჩწყვა მეტ სიფრთხილეს საჭიროებს. ასეთ ფართობებში მწყრივებს წყლის მცირე ნაკადი მიეწოდება, რათა წყალმა არ დაბრამოს მწყრივი და სრულიად ნორჩი, გაუმაგრებელ ყლორტებს კოკოლის ფხვიერი ფენა არ გამოიცალოს. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში საჭიროა კოკოლების დაუყორნებლივ, ფრთხილიად შესწორება. სავეგეტაციო პერიოდში ვაზი 2—3-ჯერ უნდა შემოწმდეს საძირიდან ამონაყრების შეცვლის მიზნით. კოკოლების მესამე გახსნის შემდეგ ნამყენს მიწა არ მიეყრება, რათა მისი ნაზარდის ფუძე გარემო პირობებს შეეგუოს და გამავრდეს.

ონიშნული აგროტექნიკური ღონისძიებების დროულად და ხარისხიანად გატარების შედევად ვაზის ზრდა-განვითარება ნორმალურად მიმდინარეობს. განსაკუთრებით კარგ შედევს იძლევა რწყვა და გამოკვება. სათანადო მოვლა სტიმულს იძლევა ყლორტების ზრდას. ასეთ პირობებში ვაზი რამდენიმე ყლორტს ივითარებს, რას გამოცა აუცილებელი ხდება ზოგიერთი მწვანე ოპერაციის ჩატარება: ყლორტების დანორმება და ნამხრევების შეცლა, რას საფუძველზეც უზრუნველყოფილი იქნება ძლიერი განვითარებისა და საჭირო რაოდენობის ყლორტების აღზრდა. ვაზზე ვტოვებთ 2 უკეთესად განვითა-



რებულ ყლორტს. თუ ვაზზე თავიდანვე ერთი ყლორტია, მეტად ყლორტის აღზრდა ხდება ბაზისთან ახლომდებარე ნამხარის გამოშუქრებით. აუცილებელია ვეგეტაციის პერიოდში დატოვებულ ყლორტებს მთელ სიგრძეზე შეეცალოს ნამხრევები მათი განვითარების დასაწყისშივე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი ყლორტი დაზიანდა, შეიძლება ნამხარი მის გამაგრძელებლად გამოვიყენოთ.

მეტად სერიოზული სკითხია ყლორტების სწორად აღზრდა, რის-თვისაც საჭიროა სარის შეფერი. თუ ეს შემოდგომით გაშენებისთანავე ცერ მოხერხდა, ეს სამუშაო სრულდება ყლორტების ინტენსიური ზრდის პერიოდის დაწყებამდე. სარჩე ყლორტი ვერტიკალურად აიკრება. რათა შტამბი სწორი გამოვიდეს.

ზაფხულზე ვენახში შპალერიც მოეწყობა. განვითარების პირველ სტადიაში ყლორტი-სარჩე აიკრება გარკვეულ სიმაღლემდე. როგორც ცნობილია, ვიწოდომშეკრივიან ვენახებში (აღმოსავლეთ საქართველოში) შტამბის სიმაღლედ მიღებულია 60 სმ. მეურნეობათა აგროპერსონალმა გაბეღულად უნდა თქვას უარი აღნიშნულ ზომაზე და ვაზი აღზარდოს 100 სანტიმეტრიან შტამბზე, რაც უკეთესყველ უზრუნველყოფს ნარგაობის აერაციას, მპვენებელ-დავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის შეტე ეფექტუანბას, სარეველა მცენარეების მავნე მოქმედების შესუსტებას, ვაზის მწვევან ნაწილების უკეთეს განათებას მის ქვედა ნაწილში. ზრდის პროცესში რეგულარულად ტარდება ყლორტების ჯერ სარჩე და შემდეგ მავთულზე პრინზიპურად დამაგრება.

ვენახის გაშენების მეორე წელს მოეწყობა აგრეთვე საყრდენები და პირველად გაისხვლება.

შპალერის მოწყობა. ვაზის საყრდენებს შორის მთელი რიგი დადგებითი მხარეებით გამოიჩინება შპალერი. შპალერის მოწყობის დროს გასათვალისწინებელია ვაზის ზრდა-განვითარების სიძლიერე. ხშირად მწვევან თერაციების ჩატარების შემდგაც კი ვაზი დაბურულია, რაც გამოწვეულია ვაზის სივრცეში განლაგებისათვის არა-საკმაო სიკრცით. ეს განსაკუთრებით იგრძნობა წვერების დამოკლების (ცის გახსნის) შემდეგ. შპალერის სიმაღლე ვერ უზრუნველყოფს შედარებით შეტი სიგრძის მქონე ყლორტების დაკავება-განლაგებას. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ოთხმავთულიანი შპალერის მოწყობა. ოთხმავთულიანი, მაღალი ტიპის შპალერის მოწყობასთან დაქავშირებული დამატებითი მატერიალური და შრომითი დანარჩენები სხვა ტიპის შპალერებთან შედარებით უმნიშვნელოა. საშაგიეროდ მაღალ შპალერზე გაფორმებული ვაზის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის

უფრო ხელსაყრელი პირობებია შექმნილი — აერაცია გაუმჯობესებულია, ამიტომ ჩატარებული მწვანე ოპერაციების, მავნებელ-დაავადებათა წინააღმდევ ბრძოლის ეფექტიანობაც უფრო მაღალია, ნაყოფიც უკეთესად მწიფდება.

შპალერის მოსაწყობად საჭიროა მავთული და ორი სახის ბოძი — თავბოძები და შუალედი ბოძები. ხშირად გამოიყენება სპეციალურიად დამუშავებული ხის ბოძები, მაგრამ უფრო მიზანშეწონილია რეინაბეტონის საყრდენების გამოყენება, როგორც მუდმივი და ეკონომიურად უფრო გამართლებული. მთავარი ბოძებისათვის (თავბოძისათვის) დაყენების ორგვარი წესია მიღებული: ვერტიკალური და დახრილი. მთავარი ბოძების სისქე 10 სმ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს, ხოლო შეა ბოძებისა — 6×8 სმ-ზე ნაკლები. თავბოძები თავსიღება 40—50 სმ-ის სიღრმის ორმოში და მავრდება მავთულით 60—70 სმ-ის სიღრმის ორმოში ჩაგდებულ ღუზაზე. ღუზისათვის გამოიყენება მოგრძო, ბრტყელი ქვები. შეა ბოძები დგება ერთიმეორისაგან 6—8 მეტრის დაცილებით.

შპალერის მოსაწყობად იყენებენ სხვადასხვა ღიამეტრის მოთუთიებულ მავთულს: უმეტესად ურჩევენ 2—3 მ-ის განკვეთის მავთულს. ბოძებზე მავთული სხვადასხვა ხელსაწყოს დახმარებით გაიძა, მება. მათ შორის უპირატესობა ბერკეტიან ხელსაწყოს უნდა მიენიჭოს, კინაიდან მისი გამოყენებით მავთულის გაბმა უფრო გააღვილებულია და მუშაობაც სწრაფად სრულდება.

პირველ მავთულს მიწის პირიდან შტამპის სიმაღლეზე აბამენ. მეორეს — მისგან 40 სმ-ის დაცილებით, მესამეს მეორისაგან და მეორეს მესამისაგან 50—60 სმ-ის დაშორებით.

პრაქტიკით დადასტურებულია, რომ ხშირად სხვადასხვა მიზეზის გამო დროულად ვერ სრულდება ვენაზში ჩასტარებელი აგროტექნიკური ღონისძიებები, რაც კიდევ უფრო ართულებს დაბალ შტამბზე აღზრდილი ვაზის მოვლა-პატრონობას. ამის შესახებ ჩვენ უკვე აღნიშნეთ.

კარგი იქნება, თუ წარმოების მუშავები ფართოდ დანერგავთნ წყვილმავთულიანი შპალერის მოწყობას. მისი დადებითი მხარე ისაა, რომ ყლორტები არ აიკვრება, მათ ატარებენ მავთულებს შორის. ეს კი მუშახელის მნიშვნელოვანი რაოდენობით დაზოგვს იწვევს.

ვაჭის ხევლა და ცორმირება

I. ვაჭის ხევლა

ვენახის მოვლის აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსში ძნელია მოიძებნოს სხვა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც უფრო მჭიდროდ, ორგანულად იყოს დაკავშირებული ვაზის ბიოლოგიურ თავისებურებებთან და უფრო მეტ ზეგავლენას ახდენდეს მის ზრდასა და მოსავლიანობაზე, ვიდრე სხვლა და ფორმირება.

ეს ისეთი ღონისძიებაა, რომლის შესრულება მოითხოვს დაკვირვებულ, ამასთან თითოეული ვაზისადმი ინდივიდუალურ მიღვმას. ამ სამუშაოს შესრულებისას საჭიროა გამოყიყნოთ კვალიფიციური მუშახელი, რათა თავიდან ავიცილოთ არაწესიერად ჩატარებული სხვლით გამოწვეული მთელი რიგი უარყოფითი შედეგები.

სხვა მრავალ ღონისძიებათა შორის, რაც განაპირობებს ვაზის ზრდა-განვითარებისათვის ნორმალური პირობების შექმნას, სხვლა და ფორმირება ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. ყოველწლიურად წესიერი სხვლის შედეგად შესაძლებელი ხდება უხვი, რეგულარული მოსავლის მიღება და ხარისხის გაუმჯობესება. ამას კი მაშინ მივაღწევთ თუ მისი შესრულებისას გათვალისწინებული იქნება შემდეგი ძირითადი მოთხოვნები:

გასხვლის დროს თითოეული ვაზის ზრდა-განვითარების პირობები სწორად უნდა შეეუფარდოთ აღვილობრივ ეკოლოგიურ გარემოს მოსავლის გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად, მთავარი ის არის, რომ ვაზს მიეცეს ისეთი ფორმა, რომელიც უკეთესად უზრუნველყოფს აგროტექნიკური ღონისძიების გატარებას და მექანიზაციის ფართოდ გამოყენებას ვენახში. ამასთან, ვაზის საწარმოო მომსახურების პერიოდი უნდა გავახანგრძლივოთ. დასახელებული ამოცანების წარმატებით გადატრისათვის აუცილებელია შემდეგი საკითხების შესწავლა და დაზუსტება:

ვაზის პოლარობის რეგულირება; ვაზის საერთო ძალისა და სხვადასხვა ორგანოს განვითარების რეგულირება მათ შორის უკეთესი დამკიდებულების დამყარებით; ვაზის ორგანოების სივრცეში განლაგება.

ბიოლოგიური თავისებურებების გამო, ვაზი მიიღოვის სიმაღლეში



ზრდისაკენ და თავის ტანის ზემოთა ნაწილში იტოტება. ამასთან უკავშირობის ლაპე მეტად ვითარდება ის ორგანოები, რომლებიც დაშორებულია მისი ბაზისიდან: გასხვლის შემდეგ, თუ რქას ვერტიკალურ მდგომარეობაში დავაყენებთ, ვნახავთ, რომ ის ზედა მჩარის კვირტებიდან უფრო ძლიერი ყლორტები განვითარდება, ვიზრე ქვედასი. რაც უფრო მეტია რქის გადახრის კუთხე ვერტიკალური მდგომარეობიდან, მით უფრო მეტი სტიმული ეძლევა მის ქვედა კვირტებიდან წარმოშობილ ყლორტებს, თუმცა ყველაზე ძლიერ ვითარდება ის ყლორტები, რომელიც მეტად დაშორებულია რქის ბაზისიდან.

ვაზის სხვლა და ფორმირება მჭიდროდ უკავშირდება პოლარობის მოვლენას. ვაზის დადაბლება გასხვლის შედეგად გამოწვეულია სწორედ იმ აუცილებლობით რომ ვაზის პოლარობის ძალა გადავიტანოთ შეძლების დაგვარად მცენარის ტანის ქვედა ნაწილში და ამით მის ზრდა-განვითარებას მივცეთ უფრო „გეგმაზომიერი“ ხასიათი.

ვაზის სხვლა, მისი სიძლიერე მჭიდროდ არის დაკავშირებული ჯიშურ თავისებურებებთან. ამასთან, ის უკავშირდება აგრეთვე აღგილობრივ ეკოლოგიურ პირობებს.

ძლიერი სხვლით შეიძლება სტიმული მივცეთ ვაზის ზრდას ან პირიქით — სუსტი სხვლით შეიძლება დადებითად გყდავწყვიტოთ მოსავლიანობის გადიდების ამოცანა ღროვანით, მაგრამ ამ ღონისძიებამ შეიძლება უარყოფით შედეგამდეც მიგვიყვანოს — მომავალი წლისათვის ვაზის აღარ აღმოაჩნდეს სათანადო ენერგია ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არ შეიძლება თუნდაც ერთი და იგივე ჭიშის მიმართ სხვადასხვა კონკრეტულ პირობებში სხვლის ერთნაირი წესის გამოყენება. ამ ღონისძიებას მხოლოდ მაშინ ექნება მეტი ეფექტი, თუ ის შეფარდებული იქნება იმ კონკრეტულ პირობებს, რომლებიც განსაზღვრავენ ვაზის სიძლიერეს. ვაზის საერთო ძალისა და მისი სხვადასხვა ნაწილის განვითარების რეგულირებას რომ მივაღწიოთ, რაც სხვლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, საჭიროა ვგრძნობდეთ რა სიძლიერისაა ვაზი, რა სიღიძისაა მისი საერთო ძალა და ვაზის ამა თუ იმ სიძლიერით გასხვლა-დატვირთვა რა შედეგს მოგვცემს. რაც უფრო მეტი პოტენციური შესაძლებლობისაა ვაზი, მით უფრო მეტი ნაზარიდისა და მოსავლის მოცემა შეუძლია.


ვაზის საერთო ძალის შემცირებით შესაძლებელია გამოვიწვიოთ ცალკეული ყლორტების სავეგეტაციო ძალის გადიდება; საწინააღმდეგო მოვლენას ექნება აღვილი, თუ ცალკეული ყლორტების სავე-



გერაციო ძალის შევამცრებთ — ამით ჩვენ მივაღწევთ წლისათვის ზის საერთო ძალის გადიდებას. ორივე შემთხვევაში ადგილო ფქვეულობრივი უარყოფით მოვლენებს და ვერც ერთი დადგებით ვერ გადაწყვეტს გაზის ნორმალური ზრდა-განვითარების და საბოლოოდ, მოსავლიანობის გადიდების ამოცანას. პირველ მაგალითში, როდესაც ვაზის საერთო ძალის შემცირებით ვაღწევთ სავეგეტაციო ძალის გადიდებას, ე. ი. ცალკეული ყლორტების ძლიერ განვითარებას, ვაზის მთელი ენერგია ზრდაშეა მიმართული. ამიტომ საკვების ცალმხრივად აგრესიული ხარჯვის გამო ნაყოფი მცირე რაოდენობით ისახება მომავალი წლის კვირტებში. მეორე შემთხვევაში კი, როდესაც ვაზის საერთო ძალა დიდია, რაც შეიძლება განსაზღვროს ნაზარდების საერთო წონით, მაგრამ ცალკეული ყლორტების სავეგეტაციო ძალა შემცირებულია, ნაყოფის ჩასახვა და მისი შემდგომი განვითარება შეზღუდულია და ასეთი ვაზი ნაკლები რაოდენობის მოსავლით ხასიათდება.

ამიტომ, ყოველი კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე, მევენახემ სხვლის წინ უნდა განსაზღვროს დატვირთვის ხასიათი. კარგად გათვალისწინოს რომ ვაზის ძლიერი დატვირთვა გასხვლის დროს იწვევს იმ წლის მოსავლის გადიდებას, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ყლორტები სუსტადაა განვითარებული, რის გამოც მომდევნო წლისათვის ალარ ხდება მოსავლის ჩასახვა.

მხედველობაში ისიცაა მისაღები, თუ კვეშის რა პირობებშია ვაზი მოქცეული. ნაყოფიერ, ღრმა ჰქონდა ნიადაგებზე ვაზის ზრდა-განვითარებაც ნორმალურია. ასეთ პირობებში მისაღებია ზომიერად დატვირთვა. მსხველელი ითვალისწინებს რა წინა სავეგეტაციო ძალის ცალკეული რების განვითარების მიხედვით, ის სხვლის დროს თითოეულ ვაზზე ტოვებს განსაზღვრული რაოდენობის კვირტებს. თუ სავეგეტაციო ძალა კარგადაა გათვალისწინებული, მაშინ სავეგეტაციო ძალასა და მოსავლიანობას შორის წონასწორობა დამყარებულია. მსხველელის მოვალეობაა ვაზის მისცეს ხელსაყრელი აგებულება და აპასთან, გასხვლის უნდა მიუდგეს ცალკეული ვაზის სიძლიერის მიზედვით. მან კარგად უნდა წარმოიდგინოს ის, თუ გასხვლის შემდეგ ვაზს როგორი განვითარება მიეცემა. ამიტომ, ყოველი ცალკეული შემთხვევისათვის ყოველი ცალკეული ვაზისათვის სწორად შეარჩიოს გასხვლის უკეთესი წესი და მიდგომა, რის საფუძველზე შესაძლებელი იქნება ვაზის საერთო პოტენციური ენერგიის წესიერად განაწილება მის სხვადასხვა ორგანოში და საბოლოოდ — რეგულარული მაღალი მოსავლის მიღება.



ვაზის ზრდა-განვითარების სიძლიერისა და აღვილობრივი განვითარების პირობების შესაბამისად ჩატარებული ზომიერი სხვლა აღიზრულ გვაზის საერთო მწვანე ზედაპირს, უზრუნველყოფს წლიური ნაზარდის უკეთესად მომწიფებას, ამყარებს სწორ შეფარდებას ფოთლების რაოდენობასა და ნაკოფტს შორის მოსავლის ხარისხის უზრუნველსაყოფად; ამასთან, განაპირობებს მომავალ წელს კიდევ უფრო მეტი ეფექტის მიღებას.

მსხველელს კარგად უნდა ესმოდეს დატვირთვის ცნება. დატვირთვა შეიძლება გარკვეულ დონეზე ვაწარმოოთ როგორც ერთეულ ნაზარებზე კვირტების რაოდენობის, ასევე ყლორტების რიცხვის გადადებით.

როგორც ვ. ქანთარია და მ. რამიშვილი (33) აღნიშნავენ, ვაზის დატვირთვასთან დაკავშირებით ყლორტების რიცხვის გადიდება განსაზღვრულ ფარგლებში იწვევს წლიური ნაზარდის საშუალო წონის მატებას და მის მეტ რაოდენობას იძლევა 18—20-ყლორტიანი ვაზი. ყლორტების რიცხვის შემდეგი გადიდება იწვევს ნაზარდის წონის შემცირებას. ასეთი კანონზომიერება ახასიათებს მოსავლის წონასაც: ყლორტების რიცხვის გადიდება იწვევს მოსავლის წონით მატებასაც მხოლოდ გარკვეულ საზღვრებამდე, ხოლო ყლორტების რიცხვის შემდეგი მატებით მოსავალი კლებულობს. მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ გასხვლის დროს დასატოვებელი კვირტების რაოდენობა განისაზღვრება არა მარტო შერჩეული სანაყოფე რქის სრმისხოს, ანუ მისი წინა წლის სავეგეტაციო ძალის, არამედ წლიური საერთო ნაზარდის, მ. ი. ვაზის საერთო სიძლიერის მიხედვით.

შეიძლება, ერთ შემთხვევაში, ვაზის განვითარებული ჰქონდეს ძლიერი რქები, მაგრამ მათი რაოდენობა არ იყოს დიდი. თუ ავილებთ მეორე შემთხვევას, როცა ვაზზე არსებობს რქების რაოდენობა აღმატება პირველისას, მაგრამ თთოვეული მათვანი ზრდის სიძლიერით ჩამორჩება ან ვაზი მეტად დატვირთვის საშუალებას იძლევა, ვიდრე პირველი ვაზი, გასხვლისას დატვირთვა უნდა მოხდეს წლიური საერთო ნაზარდის სიძლიერის მიხედვით.

მევენახეთა პრაქტიკაში ხშირად ხდება დატვირთვის გადიდება ზრდარ საფუძველზე — ვაზზე ძლიერი განვითარების რქების მიხედვით. არის შემთხვევები, როცა ვაზს განვითარებული აქვს საკმაო სიძლიერის ერთეული რქები. მათი ძლიერი დატვირთვა იწვევს სავეგეტაციო ძალისა და მოსავლის ხარისხის მკვეთრად შემცირებას, ამიტომ

დატვირთვის განსაზღვრა უნდა ხდებოდეს ვაზის საერთო ნაზარეთის შუალედ გათვალისწინების საფუძველზე.

ვაზის როგორც ზედმეტად, ასევე ნაკლებად დატვირთვა უარყოფით გავლენას ახდენს მოსავლიანობაზე. ამიტომ ეს ღონისძიება მეტად საპასუხისმგებლოა. ეს კი მოითხოვს, ყველა მეურნეობაში საკმაო რაოდენობით გვყვადეს კვალიფიციური მსხვლელები. კარგი იქნება, თუ მსხვლელებზე მიმაგრებული იქნება გარკვეული რაოდენობის ფართობი და ყოველწლიურად ერთი და იგივე მსხვლელი ჩატარებს მას გასხვლას.

ვაზის წესიერი სხვლა და ფორმირება მარტო დატვირთვის სწორდ განსაზღვრას როდი გვლისხმობს. გასხვლის შემდეგ დარჩენილი ვაზის ორგანოები სწორად უნდა განლაგდეს სივრცეში. საჭიროა ეკოლოგიური პირობებისა და ჯიშის ბიოლოგიური თვისებების გათვალისწინება. ყლორტების ზრდა-განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ტენიანობა. როგორც ცნობილია, ნიადაგის ზედაპირიდან სიმაღლის მატებასთან ერთად მნიშვნელოვნად კლებულობს ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა. ეს შეიძლება უარყოფით მოვლენა-დაც მივიჩნიოთ, რათა მაღალი ფორმების დროს ყლორტები განვითარების არახელსაყრელ პირობებში ექცევიან. მაგრამ იმასაც უნდა გაეწიოს ანგარიში, რომ ზოგიერთი ჯიშისათვის მაღალ ფორმაზე აღზრდა უფრო უკეთესი იყოს. როგორც ცნობილია, ვაზის ჯიში ჩინური, ერთ-ერთი საუკეთესოა, მაგრამ ზოგიერთ სარწყავ ზონაში (გუჯაბაური, თამარაშენი და ა. შ.) იგი ნაკლებად იტანს ნიადაგის ზედაპირთან შედარებით ახლო გაფორმებას. ასეთ პირობებში, მაშინ როცა ვაზის ჯიშები — გორიული მწვანე და შავვაპიტო ძლიერ გამძლეობას იქნენ სოკოვან დავადგებათა მიმართ, ჩინური უფრო ვერ იტანს ჰაერის შეფარდებითი სინოტივის გაზრდას. ამიტომ, უნდა ვეცადოთ ეს ჯიში გაფორმდეს ნიადაგის ზედაპირიდან გარკვეული მანძილის დაცილებით. ყოველივე ეს თავიდანვე უნდა იქნეს სწორად გათვალისწინებული და სოკოვინ დაავადებათა მიმართ შეკრძობიარე ჯიშებს მეტი სიმაღლის შტამბი მიეცეს. ვაზის ფორმირების დროს, ზემოთ აღნიშნულის გარდა, მხედველობაშია მისაღები ზამთრის ყინვებისა და გაზაფხულის წაყინვებისაგან ნარგაობის მოსალოდნელი დაზიანება. იყო შემთხვევები, როცა ზამთრის ყინვებისაგან დაზიანდა ვაზი თამარაშენის მეურნეობაში, მაშინ როცა ძარშემ-ქემერტის, ერედვისა და სხვა ფერდობ ადგილებზე ვაზმა დაუზიანებლად გადაიტანა ყინვები. მს იმის შედევი იყო, რომ თამარაშენში გაშენებული 36 ჰექტარი ვა-

ნახი მდებარეობს დაბლობ აღვილას. მას დასავლეთის მხრიდან, მარცხნივ ვრება ზეგანი, რომელიც აბრკოლებს ჰაერის მასების მარცხნივიდან, რაც ყინვისაგან დაზიანების მიზეზი გახდა. ისეთ აღვილებში, სადაც ვენახები გაშენებულია დაბლობში, ამასთან ჰაერის ციფრ მასების მოძრაობა შეზღუდულია ან ნაკლებად აქვს გადაადგილების საშუალება, ზამთრის ყინვების დროს მოსალოდნელია ვაზის სანაყოფე კვირტების დაზიანება. ავროპერსონალმა კარგად უნდა გაითვალისწინოს ეს არასასიმოვნო მოვლენა და შტამბიც ვაზს თავიდანვე მაღალი მიეცეს და მომდევნო წლებში მიწის ზედაპირიდან უფრო მაღლა გაფორმდეს. გარდა იმისა, რომ ზამთრის ყინვებისა და გაზაფხულის წყინვების დროს ნიადაგის ტედაპირიდან დაშორებული ნაწილები შედარებით ნაკლებად ზიანდება, სოკოვანი დავადებების გაერცელება შეზღუდულია, უკეთესი აერაციის გამო ნაყოფიც ნაკლებად ლპება. ნიადაგის ზედაპირიდან ვაზის ორგანოების დაშორების უპირატესობა ისცაა, რომ ვაზის დატვირთვისათვის უკეთესი პირობები იქნება.

როგორც ცნობილია, ითვალისწინებენ რა ჯიშის თავისებურებებსა და სხვადასხვავგვარ ეკოლოგიურ პირობებს, ვენახის გაშენებისას ვაზს ძლევენ სხვადასხვა კვების არეს. იმ უკანასკნელზეა ძირითადად დამკიდებული ვაზის სხვლისა და გაფორმების სისტემა.

სადღეისოდ, ვასხვლისას წარმოებაში ძირითადად გამოყენებულია ვაზის გასხვლა-ფორმირების შემდეგი სახეები: ქართული ორმხრივი შპალერი, თავისუფალი ფორმა და ორმხრივი მოკლე კორდონი. მცირე კვების არეზე გაშენებულ ვენახებში ურჩევენ ცალმხრივ შპალერულ ფორმასაც. გარდა ამისა, უკანასკნელ ხანს წარმოებაში ფართოდ ინერგება ვაზის დაჩქარებით აღზრდა-ფორმირება ფართომშეტრივთა-შორისიან და მაღალშტამბიან ნარგაობაში.

ქართული ორმხრივი შპალერი. მთელი რიგი დადებითი მხარეების გამო, წარმოებაში ფართოდ გამოიყენება ქართული ორმხრივი შპალერული ფორმა. ეს ფორმა ითვალისწინებს ვაზის თავისუფალ აგებულებას და სხვლის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ვაზის ორგანოების განლაგებას სიკრცეში იმგვარად, რომ ნაკლებად ექნეს აღვილი ერთმანეთში მათ გადახლართვას და დაჩრდილვას. ეს ფორმა გამოიყენება იმ ვენახებში, სადაც კვების არ 2,5 კვ მ არ აღემატება.

გასხვლის პირველ წელს ვაზზე შეირჩევა 2 რქა, რომლებიც შტამბის სიმაღლეზე გაისხვლება და ვერტიკალურად იკვერება. კვირტების ვანვითარებისას, მასის შუა რიცხვებში თითოეულ შტამბზე შეირჩე-



ვა ზემოთ მდებარე 2—4 კულორტი, დანარჩენები მოკლება. მეტობების წელს თითოეულ მხარეზე დარჩება 2 რქა. ქვედან ქვედა გაისხვებულია 2—3 კვირტზე სამამულედ, ზედა კი — სანაყოფედ — 6—8 კვირტზე. მომდევნო წლებში, ზრდის სიძლიერის შესაბამისად, სანაყოფე 7—10 კვირტით იტვირთება.

თავის უფალი ფორმა. ამ წესით სხვლისას, ვაზის ზრდა-განვითარების შესაბამისად, მასზე რჩება ექვსამდე სანაყოფე და ამდენივე ან ნაკლები სამამულე. შემდევ წლებში საფორტე ელემენტების რაოდენობა იცვლება ვაზის სიძლიერის მიხედვით და ძირითადად მრავალსაკვებლიან ფორმას ღებულობს. ამ ფორმას მიმართავენ იმ შემთხვევაში, როცა ვაზი ძლიერი ზრდის პირობებშია მოქცეული და მისი კვების არე 3 კვ. მეტრი და უფრო მეტია.

ვაზის გასხვლა-ფორმირების თავისუფალი ფორმა არ ითვალისწინებს იმის აუცილებლობას, რომ სანაყოფე რჩები ერთიმერობისაგან თანაბარი მანძილით იყოს დაშორებული ან ერთნაირ სიმაღლეზე მდებარეობდეს. მათი მდებარეობის მიხედვით, ნაწილი პირველ მავრულზე დაკავდება, ნაწილი — მეორეზე. სანაყოფე რჩები ისხვლება 6—10 კვირტზე.

ვაზის გაშენებიდან მომდევნო წელს, გასხვლისას, ვაზზე შეირჩევა 2—3 რქა. ისინი გაისხვლება ზოგი პირველი მავრულის, ზოგი — მეორე მავრულის სიმაღლეზე. გაფურჩენის დროს თითოეულ მათგანზე დაიტოვება 2—3 ზედა ყლორტი. შემდგომი გასხვლისას ვაზზე შეიძლება დავტოვოთ 4—6 რქა. მაგრამ ნაწილი გაისხვლება სამამულედ, ნაწილი — სანაყოფედ, როგორც აღინიშნა, საფორტე ელემენტების რაოდენობა შემდგომ წლებში უნდა გაისაზღვროს ვაზის საერთო სიძლიერის მიხედვით.

ორმხრივი მოკლე კორდონის მასალებად, კუნახის გაშენების მომდევნო წელს ვაზზე შეირჩევა ორი რქა და გაისხვლება შტამბის სიმაღლეზე. თითოეულ მათგანზე დაიტოვება ორი ზედა ყლორტი, დანარჩენი შეეცლება. ახალშენი კუნახის გასხვლის მეორე წელს, მუდმივი მხრების შესაქმნელად, ქვედა რჩები გაისხვლება იმგვარად, რომ თითოეული მათგანი მისწვდეს მის გვერდით მყოფი ვაზის მხარს. ზედა რჩები კი ძირში იჭრება. დატოვებული რჩები შპალერის ქვედა მავრულზე დამაგრდება ჰორიზონტალურად.

გასხვლის მესამე წელს თითოეულ მხარეზე რჩება ორი სასხლავი რგოლი, 20—25 სმ-ის დაცილებით, ყოველ რგოლზე რჩება ერთი რქა, რომელიც 2—3 კვირტზე ისხვლება სასხლავი რგოლების შესაქ-



მნელად. მათზე განვითარებული რებილან ქვედა გაისხვოლება 3—
3 კვირტზე სამამულედ, ზედა კი — სანაყოფედ, 6—8 კვირტზე. შე-
სამე რეა უნდა შეეჭრას.

ორმხრივი მოკლე კორდონის ფორმა დამოიყენება ეაზის ძლიერი
ზრდის პირობებში, სადაც კვების არე სამი კვაღრატული მეტრი და
მეტრია.

ვაზის დაჩქარებითი აღზრდა აფ თრმირება ფარ-
თომწყრივთშორისიან და მიღილშტამბიან ნარ-
გაობაში. უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში ფართოდ ინერგება ვე-
ნისების გაშენება $3 \times 1,5$; 3×2 ; $2,5 \times 1,5$; $2,5 \times 1,2$ მეტრ კვების არე-
ზე და ვაზის ოღზრდა 100—120 სანტიმეტრის სიმაღლის შტამბზე. ვა-
ზის გაშენება ფართო მწყრივთაშორისებით და მისი ოღზრდა მაღალ
შტამბზე მოვლის ინტენსიური ტექნოლოგიით იძლევა ხელით შრომის
შეცირების, პროდუქციის გაიაფების, მექანიზაციისა და ქიმიზაციის
ფართოდ გამოიყენების საშუალებას.

როგორც ზემოთ ოღინიშნა, რეკიონის მეურნეობებში უკანასკნელ
ხანს ასობით ჰქეტარი ვაზის ნარგაობის მწყობრიდან გამოსვლა
ძირითადად გამოწვეული იყო მოუელელობით. შექმნილ მდგომარე-
ობას კიდევ უფრო ართულებდა 2 მეტრის სიგანის მეონე მწყრივთ-
შორისებში ნიადაგის მექანიზებულად დამტუშვების, ვაზის სოკოვან
დაავადებებთან და მავნებლებთან ბრძოლის შეზღუდულობა, გაძნელე-
ბული იყო აგრეთვე ჰქებიციდების გამოიყენება. ფართომწყრივთაშო-
რისებით ვენახების გაშენება მნიშვნელოვნად გააითლებს აღნიშნუ-
ლი ღონისძიებების გატარებას და აამაღლებს მათ ეფექტიანობას. მას-
თან, საშუალება იქმნება სასიღერატო კულტურების წარმოებისათვის.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ფართო მწყრივთაშორისე-
ბით ვენახის გაშენება და ვაზის მაღალ შტამბზე ოღზრდა მაღალი
ეფექტის მომცემი მაშინ იქნება, თუ ნარგაობას თავიდანვე მაღალ-
აგროტექნიკურ ფონს შეეუქმნით და კულტ ტექნოლოგიურ პროცესს
თანამიმდევრულად და ღროულად შევასრულებთ.

აგროტექნიკური ღონისძიებების ღროულად და ხარისხოვნად შეს-
რულება იწვევს ვაზის აღრე შესვლას მსხმოიარობაში, რაც შემდგომში
უარყოფითად არ მოქმედებს მის ზრდა-განვითარებაზე. ვენახის გა-
შენების წელსვე ყლორტების დანორმებით, ნამხერევების შეცვლით,
საყრდენზე ოღზრდით, ვაზის საასიმილაციო ზედაპირი, წლიური ნა-
ზარდი და ფესვთა სისტემა ორგერ და კიდევ მეტად იზრდება ვა-



უფურჩნავ და უსაყრდენოდ დატოვებულ ვაზთან შედარებით. ამრა-
გად, თავიდანვე დღიდი აკებულების ფორმების შექმნა და მისი საჭიროობა
ფუძველზე დატვირთვის გეგმაზომიერი გადიდება უზრნის მაღალი,
რეგულარული მოსავლის მიღებისა და ნარგაობის საექსპლოატაციო
პერიოდის გახანგრძლივების საფუძველია.

ფართომწერივთშორისიან ნარგაობაში რეკომენდებულია 100—
120 სმ-ის სიმაღლის შტაბის გამოყვანა. სწორმდგომი შტაბის აღზრ-
დისათვის ვაზს დარგვისთანავე უნდა შეედგას 1,5 მეტრი სიგრძის სა-
რი. ყლორტებზე 4—5 ფოთლის განვითარებისას ტარება პირველი
დანორმება, მეორე კი 10—15 დღის შემდეგ უპირატესობა ეძლევა
ერთშეტანილი ცალმხრივი ან ორმხრივი კორდონის ფორმებს. დასაშ-
ვებისა აგრეთვე ორშტამბიანი ორმხრივი კორდონიც. ამ შემთხვევაში
ორივე შტაბი მცირდებოდ მოეკვრება სარს.

ერთშტამბიანი ცალმხრივი კორდონის გამოყვანისას, ყლორტი ჯერ
სარჩე აღიზრდება ვერტიკალურად, შემდეგ კი შვალერის პირველ
გვეთულზე პორიზონტალურად. როცა ყლორტი პორიზონტალური
მიმართულებით მიაღწიეს მხრის სასურველ სიგრძეს, წვერს აწყვეტენ,
რათა დაჩქარდეს ნამხრევების განვითარება; უკეთესი განვითარების
ნამხრევებს 15—20 სმ-ის დაცილებით ტოვებენ, დანარჩენი ეცლება.
დატოვილი ყლორტები აღიზრდება შვალერზე ვერტიკალურად. მომ-
დევნო წელს, ნორმალური განვითარების ნამხრევების მსვლება 2—
2 კვირტზე სასხლავი რგოლების შესაქმნელად. მათი რაოდენობა შერ-
ყეობს მთელ მხარეზე 4-დან 6-მდე. მომდევნო წელს მხარზე უკვე გვექ-
ნება სასხლავი რგოლები სამამულე და სანაყოფე რქებით, შესაბამი-
სად 2 და 4—5 კვირტით. ამრიგად, ფორმირება ორი წლით ჩაირდება.

ერთშტამბიანი ორმხრივი კორდონის გამოყვანისას ძლიერი ზრდის
პირობებში, ვაზზე დატოვებული და აღზრდალი ყლორტი როცა მი-
აღწიეს შტამბის სასურველ სიმაღლეს, მას წვერი წაეწყვეტება და
ყლორტის წვერის ზონაში განვითარებული ზედა ორი ნამხარი აიგ-
რება შპალერის პირველ მავთულზე პორიზონტალურად. მათ გამო-
იყენებენ მუდმივი მხრების შესაქმნელად, ქვედა მდებარეობის ნამხ-
რევებს კი შეაცლიან. როცა დატოვებული ყლორტები მიაღწიეს
მხრის სასურველ სიგრძეს (გვერდით მდგომი ვაზის ყლორტიდე)
მას კელავ წაეწყვიტება წვერი მეორადი ნამხრის მისაღებად. ნორმა-
ლური განვითარების ნამხრევები მეორე წელს გაისხვლება 2—2
კვირტზე სასხლავი რგოლების შესაქმნელად. მეორე განვლისას მხარ-
ზე ოსებულ ნეკებზე განვითარებულ 2—2 რქიდან ქვედა გაისხვლება



სამამულედ, ხოლო ზედა — სანაყოფედ. მესამე სავეგეტაციული რეაქციების ბოლოს კორდონზე ფორმირება დასრულდება.

საშუალო სიძლიერის, რქა პირველი გასხვლისას გადაიჭრება შტამპის სიმაღლეზე. მასზე დაიტოვება ზედა 2—3 ყლორტი, დანარჩენი შეეცდება. ცალმხრივი კორდონის გამოსაყვანად ერთი მათვანი აღიზრდება პორიზონტალურად, ხოლო ორმხრივი კორდონისათვის ორი ყლორტი შპალერის პირველ მავთულზე ურთიერთსაშინააღმდევო მამართულებით. შემდეგში შესასრულდებელი პროცესები ისეთივეა, როგორც ზემოთაა აღწერილი.

ორმხრივი მოკლე კორდონის გამოყვანისას თითოეულ მხარეზე შეიმნება 2—3 სასხლავი რგოლი.

ვაზი თუ სუსტი ზოდისაა, პირველი გასხვლისას დაზინდება-გაისწვლება 2—3 კვირტზე და ყლორტების მიმართულებითი ორზრდა განხორციელდება მეორე წლიდან. თუ ერთწლანი ნაზარდი რქა სიძლიერის მიხედვით იძლევა ერთდროულად შტამპისა და მხარის გამოყვანის საშუალებას, მაშინ იგი გაისხვლება შტამპისა და მხარის სასურველი სიგრძის გათვალისწინებით. ვეგეტაციის დასაწყისში შტამპის ქვედა ზონაში მდებარე ყველა ყლორტი შეეცდება განვითარების დასაწყისშივე, მხარზე კი დაიტოვება სასხლავი რგოლებისათვის გათვალისწინებული ყლორტები, რომლებიც მომდევნო გასხვლისას გადაიჭრება ორ-ორ კვირტზე; მესამე გასხვლისას მათზე ჩამოყალიბდება სასხლავი რგოლები სამამულითა და სანაყოფით.

ყურჩნის მოსავლიანობასა და ხარისხზე რიგთაშორისისა და შტამპის სიმაღლის გავლენის მიზნით ა. დგალაშვილის, ბ. ცუხიშვილისა და ი. შენგელიას (12) მიერ გალივნის ექსპერიმენტულ მეურნეობაში ჩატარებული ცდით დასტურდება, რომ $3,0 \times 0,5$ მმ კვების არის 100 სმ სიმაღლის შტამპზე ყურჩნის საპეტარო მოსავლიანობამ 147,8 ცენტერს მიაღწია 1 ჰექტარზე, შექრიანობამ — 21,52%-ს, ხოლო ტიტრულმა მუვიანობამ — 10,3%-ს.

ყურჩნის მოსავლიანობის გადიდების მნიშვნელოვანი ლონისძიებაა ვიწრომწკრივიანი ვენახების რეკონსტრუქცია ფართომწკრივიან და მაღალშტამპიან ფორმებზე გადაყვანით. როგორც შევლევარები (გ. გაფრინდაშვილი და სხვები, 10) მიუთითებენ, ასეთ ვენახებში მოსავალი ჩატულობს 146%-ით, მიღება მაღალხარისხოვანი პროდუქცია, უმჯობესდება მექანიზაციის დონე (75 — 80 %-ით), მცირდება პროდუქციის თვითღირებულება, იზრდება უკუგება.

შტამპის ამაღლება უკეთესად უზრუნველყოფს ნარგაობას იერა-



ციათ, მაღლდება მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით გამოიყენება ტიანობა, სუსტდება სარეველა მცენარეების ზემოქმედება ვაზზე, კუთხით გონიერება და მტევნების განათება. რიგ-თაშორის ნიაღავის ხვნა და კულტივაცია იოლდება; სასუქების გამოყენებასთან ერთად, პერიოდულად რეგთაშორის სიდერატების თესვა და ჩახვნა ამაღლებს ნიაღავის ნაყოფიერებას.

გასხვლა-ფორმირებისას აღნიშნულ სახეთა შაბლონური გამოყენება არ იყარებს. როგორც ეს ზემოთაც აღვნიშნეთ, ვაზი უნდა დაიტევითოს ზრდის სიძლიერის მიხედვით. ამიტომ ვერ ვიტყვით თუ ზუსტად რამდენი კვირტი უნდა დაეტოვოს ვაზს, ციდრე ას ადგილზე არ შემოწმდება საგულდაგულოდ. ქართული ორმხრივი შპალერის დროს ხშირად სანაყოფე რქის გასხვლის 12 კვირტზეც კი ურჩევენ. ჩვენ ეს არ მივაჩინო მართებულად და ამ რატომ: ამვერაც გასხვლის დროს, ვაზის ბოლოგიური თავისებურებიდან გამომდინარე, ადგილი აქვს ზედა კვირტების ძლიერ განვითარების, ციდრე შუა და ბაზალური ნაწილისას. მომდევნო წლებში ამ ადგილებიდან სასხლავი ელემენტების შეტანება, ზოგჯერ მათთვის განვითარების გამო, რამდენადმე განვითარებულია. ამიტომ, უნდა ვეცადოთ, რომ გრძლად არ გავსხლათ რქა. მაგალითად, თუ ვაზი, თავისი სიმძლავრიდან გამომდინარე, უნდა დავტვირთოთ 28—30 კვირტით, უმჯობესია 12-კვირტიანი 2 სანაყოფე რქის ნაცვლად დავტვოთ სამი სანაყოფე რქა თითოეულზე 8 კვირტის მიცემით. ვფიქროთ, საერთო ძალის განაწილება ვაზზე ამ შემთხვევაში უფრო ადვილადაა მისაღწევი.

ვაზის დატვირთვა-ფორმირების წესების დასაღვენად ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა სოფ. თამარაშენში (ჩ. დ. 875 მ). 3. ბიბილაშვილმა (5). მისი ცდების შედეგად დადასტურდა რომ დატვირთვის გადიდებით მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსავლიანობა. მსა ცდაში გამოყენებული ჰქონდა სხვადასხვა სიძლიერის დატვირთვა; მაგალითად, ცალმხრივი შპალერი (10—12 კვირტი), ორმხრივი შპალერი (16 კვირტი), ორმხრივი შპალერი (20—24 კვირტი) და მრავალსაკავებლიანი ფორმა (28—30 კვირტი). როგორც მიღებული მონაცემებით ირკვევა, საკონტროლოსთან (ცალმხრივი შპალერი) შედარებით მოსავლის მარება შეადგენდა: ორმხრივ შპალერზე 20—24 კვირტით დატვირთვის — 42,8 % -ს და მრავალსაკავებლიან ფორმაზე 28—30 კვირტით დატვირთვისას — 61,6 % -ს, რის შედეგად მკვლევარი დასკვნის, რომ ვაზი ხშირად არ არის სათანადოდ დატვირთული, რაც იწვევს მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილის დაფარევას.

БІЛБОЛ 6

Шаўгаспадарчыя ўстановы аграрнай сістэмы ў сістэме аграрнага комплексу Беларусі
 дадзены ў табліцы (т. 8). Сіміністэрства аграрнага комплексу Беларусі

Виды производств для сельского хозяйства	Большевицкі рэгіён рэспубліканскі 1 паштова								
Інфраструктура сельскага хозяйства	23,5	18,3	77,8	14,2	77,6	15,5	1,01	3,8	100
Інфраструктура сельскага хозяйства	35,2	27,7	78,6	25,3	84,8	26,7	0,96	5,8	152,6

კ. თვალიაშვილმა და დ. ცინცაძემ (18) სოფ. ერელვში საცდელო
აიღეს სატრიუაცი ნაკვეთი, მუქი ყავისფერი ნიადაგით. გამოიცა მარტინ გამომარტინ მხრივი ქართული ფორმა, მოკლე კორდონი, თავისუფალი ფორმა და
ოთხშტამბიანი მარაო. ცდის შედეგებით დადასტურდა, რომ დატვირ-
თვის გადაიდებით საკრძნობლად გაიზარდა სავეგეტაცია ძალა. ყვე-
ლაზე მეტი ანასხლავის წონა თავისუფალი სხელის ფორმას და ოთხ-
შტამბიან მარაოს აღმოაჩნდა, ხოლო შედარებით ნაკლები — ორმხრივ
ქართულ ფორმას, რომელიც ვარიანტებში საკონტროლოდ იყო აღ-
ბული. დატვირთვის პარალელურად გაიზარდა მტევნების რაოდენო-
ბა ვაზზე და შესამჩნევად გადიდდა მოსავალი. საკონტროლოსთან შე-
დარებით მოსავლიანობის პროცენტული შეფარდება უდრიდა: ორ-
მხრივ მოკლე კორდონზე — 126,2%-ს, თავისუფალი სხელის ფორმა-
ზე — 132,4%-ს და ოთხშტამბიან მარაოზე — 131,7%-ს.

ვაზის დატვირთვის საკითხის შესწავლის მიზნით წარმოებული
ცდების შედეგად მეტად საინტერესო მონაცემებია ქვეს მიღებული
ბ. ცუ ხიშვილს (36) — ვაზის დატვირთვის გადიდება 30 კვირ-
ტამდე უარყოფითად არ მოქმედებს პროდუქციის ხარისხზე. უფრო
მეტით — აუარესებს ხარისხს.

კორულ მწვანეზე თპტიმალური დატვირთვა უნდა განისაზღვროს
30 კვირტით, რაც საგრძნობლად უწყობს ხელს ყურძნის უხვი და მა-
ღალხარისხოვანი მოსავლის მიღებას.

ბ. ცუხიშვილის (36) ცდებით ძალაც ირკვევა, რომ ვაზის თანაბარი
ზატვირთვის პირობებში გასხვლის სიგრძის მეტ-ნაკლებობა (ისწავ-
ლებოდა სანაყოფებზე 4—6—8—10 კვირტის დატოვება) მნიშვნელო-
ვან გვლენას ახდენს მოსავლიანობაზე. ყველაზე მეტი მოსავალი —
2,069 კგ მიღებულია იმ ვაზიდან, რომელიც სანაყოფებზე 8 კვირტის
დატოვებით ისხვლებოდა. ალნიშნულ ვარიანტზე საკონტროლოსთან
შედარებით მოსავალი 38,9%-ით გაიზარდა.

საყურადღებოა ვაზის სასუფრე ჯიშების დატვირთვა-ფორმირება.
სუფრის ჯიშების უმრავლესობა ძლიერი ზრდა-განვითარებით ხსი-
ათდება, ამიტომ განსაკუთრებულ მიღვომასაც საჭიროებს. მრავალ-
წლიანი დაკვირვებიდან გამომდინარე, ვაზის სასუფრე ჯიშების დატ-
ვირთვა-ფორმირებაზე საინტერესო დასკვნებს გვთავაზობს. გ. ბიბი-
ლაშვილი (5). მას მიაჩნია, რომ ვაზის სასუფრე ჯიშები 50—60 კვირ-
ტით უნდა დაიტვირთოს. ვაზის ჯიშებიდან უპირატესობა ეძლევა 2—
3 შტამბზე გაფორმებულ მრავალსაკვავებლიან ფორმას და ორმხრივ
მოკლე კორდონს. ალნიშნული ფორმირების დროს მოსავლიანობის

ვაზის დატვირთვის გავლენა გორულ მწვანეზე
(ბ. ცუხიშვილის მიხედვით)

ვარიანტი	მოსაქალა კგ-ზე	მოსაქალი კგ/კ	უფარდებითი შრა- საფალი 0,0/0-ობით	უცრის წევნის განაწილება %-ობით	უცრის წევნის მეურნეობა %-ობით
ვაზის დატვირთვა 18 კვირ- ტით (საკონტროლო)	1,847	61,57	100	20,95	8,55
ვაზის დატვირთვა 24 კვირ- ტით	1,993	64,44	104,7	20,65	8,1
ვაზის დატვირთვა 30 კვირ- ტით	2,264	77,45	125,8	20,36	7,9
ვაზის დატვირთვა 36 კვირ- ტით	2,104	70,14	113,9	18,05	8,5

ზრდასთან ერთად საგრძნობლად უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი ამ ფორმებისათვის გამოიყენება 4—5-მავთულიანი შპალერი.

ვაზის სასუფრე ჭიშების გასხვლისას, ბიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, მას რჩება 3—4 და ზოგ შემთხვევაში 5—6 კრძელი საკავებელი, ამდენივე ან ნაკლები სამამულე რქა. წინასწარ დგინდება ვაზის ზრდის სიძლიერე, ამის მიხედვით კი დატვირთვის ოდენობა. მაგალითად, თუ წინა წელს ვაზზე დატოვებული იყო 3 საკავებელი და 3 ნეკი, განვითარდა 25—26 ყლორტი და 1,15 მეტრზე შეტემი სიგრძის 10-მდე საღი რქა, მაშინ დატვირთვა განისაზღვრება 40—45 კვირტამდე, ე. ი. ვაზზე უნდა დარჩეს 4—5 სანაყოფე და 2—3 სამამულე რქა. მაგრამ თუ წინა წელს დატვირთულ ვაზზე საგრძნობლად შემცირდა საღი რქების რაოდენობა, მაშინ ან იგივე რაოდენობით დავტვირთოთ, ან დავამოკლოთ სანაყოფე რქები.

სასუფრე ვაზის ჭიშების გასხვლისას ფართოდ უნდა გამოიყენოთ თავისუფალი ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს დიდ დატვირთვას. ამ ფორმების გამოყანისას ვაზის ღრმული ხდება 80—100 სანტიმეტრის სიმაღლის შტამბზე.

უცრის მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შორის უ-



რაღლებას იმსახურებს ხეივნის გაშენება და მოვლა. ხეივნად შეაძლება გამოვიყენოთ როგორც ჩვეულებრივ სავნახედ განკუთვნილი ნაკვეთი, ასევე იგი შეიძლება მოეწყოს საზოგადოებრივ მეურნეობათა ადმინისტრაციული შენობების მისახულელ უზებსა და ეზოებში, სხვა-დასხვა სავარგულის განაპირა ადგილებში, რომლებიც არ იხმარება სხვა მიზნებისათვის. ა. მექანზაციის გამოყენება არა მოსახერხებელი, ზოგიერთი შიდასამეურნეო სარგებლობის სარწყავი კვლების, ნაპირებში, მაღაც ადგილებში სხვა დანიშნულებით ვერ გამოვიყენებთ და ა. შ. ხეივანს ვაზის სხვა ფორმებთან შედარებით მთელი რიგი უპირატესობები გააჩნია. მასზე ვაზი ჰორიზონტალურად ერთ სიბრტყეშია განლაგებული, რის გამოც მზას ენერგიას მცენარე მაქ- სიმალურად იყენებს, ეს კი ყურძნის ხარისხსობრივ მაჩვენებლებს აუმჯობესებს. გარდა ამისა, ხეივანზე ვაზი მეტ ყინვაგამძლეობას იჩინს, ვინაიდან ჰაერის ციფი მასები ნიაღავის ახლოს კრცელდება, მისგან 2 მეტრის ზემოთ კი ყინვა 3—4 გრადუსით ნაკლებია. ხეივანზე გაფორმებულ ვაზზე შეგვიძლია უფრო სრულყოფილი დატეიროვა. ვაზს აქვს სივრცეში განვითარება-აგავრცელების მეტი საშუალება, ამიტომ სრული ფორმირების შემდეგ მწვანე ნაწილების ოპერაციები მინიმუმადეა შემცირებული. ამ ფორმის ვაზზე სოკოვან დაავალება-თა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებიც უფრო მეტად ეფექტიანია. კრაქის წინააღმდეგ სრულყოფილი წამლობა ხდება ფოთოლის ქვედა. მხრიდან, საიდანაც ინფექცია იჭრება. შესხურებული პრეპარატი წვი- მისაგან ნაკლებად ირეცხება და მისი მოქმედება გახანგრძლივივებულია, რაღაც ფოთოლის ზედაპირი მას ჩამორეცხვისავარ იცავს. ხეივანზე მოსავლიანობა ჩვეულებრივ ნარგაობასთან შედარებით შეიძლება ორჯერ მეტი მიცილოთ.

გ. მანგავიძეს (44) მიზანშეწონილად მიაჩნია სახეივნედ გაშენდეს ვაზის ჭიშები: განჯური, ბულვარული, ჰუსაინე, ნიმრანგი, როზავი, თამარეული, სუფრის გორული, თბილისური, მუსკატური, რქაწითელი და ა. შ. ხეივანი შენდება 3×3 ან $3,6 \times 3,6$ მეტრ კვების არეზე. ვაზის დარგვამდე ეწყობა საყრდენი.

გაშენების პირველ წელს, როდესაც ვაზს აქვს 4—5 ფოთოლი, შეირჩევა კარგი განვითარების ერთი ყლორტი, დანარჩენი კი შეეცლება. ყლორტს რეგულარულად ეცლება ნამხარი და პწყალი. 15—20 სმ-ით გაზრდისთანავე ყლორტი სისტემატურად უნდა დამაგრდეს

საყრდენშე. ვეგიტაციის პერიოდში ტარდება ცინებით (მურენის დებში) და ბორბლის სითხით წამლობა 10—12-ჯერ.

კარგი მოვლა-პატრონობის პირობებში ფარგვის პირველ წელს ვაზი ივითარებს 3—5-მეტრიან ჩქას.

თუ ვაზი კარგი ზრდა-განვითარებისაა, გაისხვლება შტამბის სიმაღლეზე — 2—2,5 მეტრზე, საიდანაც ძირითადი მხრების მისალებად, წევრის ორი ყლორტი ურთიერთ მოპირდაპირე მხარეზე, პორიზონტალურად, მიმართულებითი წესით აღზრდება. მეორე გასხვლის დროს, ძირითადი მხრების გამოსაყვანად, როგორც გ. მანჯავიძე (44) ვკირჩევს, წინა წელს აღზრდილი ნორმალური ჩქაბი გაისხვლება გრძლად — ვაზებს შორის არსებული მანძილის ნახევრის შესაბამისად (1,5—1,8 მეტრი), ისე, რომ ორი მეზობელი ვაზის მხარი ერთობორის სწრედებოდეს. თუ ჩქა სუსტი განვითარებისაა, მხარის ვამყვანა თანადათანობით ხდება. სასხლავი რგოლების ჩამოყალიბების მიზნით, მუდმივ მხარეზე, 25—30 სმ-ის დაცილებით ზედა მდებარეობის ყლორტები თავისუფლად იზრდება დამაგრების გარეშე, ხოლო მეორადი მხრების მისალებად — 60 სმ-ის დაცილებით. კარგი მდებარეობის ყლორტები ერთ მხარეზე, პორიზონტალურად, მიმართულებითი წესით აღზრდება. ვაზის მესამე გასხვლისას 25—30 სმ-ის დაცილებით დატოვებული ჩქაბი სასხლავი რგოლების მისალებად ისხვლება 2—3 კვირტზე, ხოლო 60 სმ-ით დაცილებული 1,5—2 მეტრზე. კვირტების გამოფურჩქნის პერიოდში 25—30 სმ-ის დაცილებით ვტოვებთ ზედა ყლორტებს, ხოლო დანარჩენს ვაცლით მეოთხე და შემდეგ წლებში გასხვლა-ფორმირების დროს მუდმივ მხარზე 30—40 სმ-ის დაცილებით უნდა შეიქმნას და ჩამოყალიბდეს სასხლავი რგოლები 2—3-კვირტიანი სამამულისა და 4—5-კვირტიანი მოკლე სანაყოფის სახით. მოდევნობ წლებში ვაზი კვლავ თავისუფალი მიღდომის წესით ისხვლება. ვაზისათვის განკუთვნილი პორიზონტალური სივრცე მთლიანად უნდა ავითვისოთ და ვაზის ძალაც მის შესაბამისად თანაბრად გაერთიანოთ.

3. ბიბილაშვილს (5) მიხნია, რომ სასუფრე ვაზის ჯიშების სახე-ივნედ გაშენებისას ვაზებს შორის მანძილი, ვაზის ზრდის სიძლიერის მიხედვით შეიძლება იყოს 1,5; 2,0; 2,5 მეტრი, ხოლო ხეივნის სიგანე — 3—4 და სიმაღლე — 2,5 მეტრი. ნაკვეთები, სადაც არ ხდება მექანიზებული დამუშავება, ხეივნის სიმაღლე შეიძლება შემცირდეს 1,8—2,0 მეტრისდე.

დარგვის პირველ წელს, ვაზის ზრდის სიძლიერის მიხედვით საჭი-



რომ დავტოვოთ 1—2 ყლორტიღა და დავაკავოთ სარჩე სწორი შტატი
გამოყვანის მიზნით.

პირველი ვეგეტაციის ბოლოს ვაზე გვექნება 1—2 ძლიერი —
1,5—2 მეტრი სიგრძის რქა, რომლებსაც შესაბამისად 1—1,5 მეტრის
სიგრძეზე კლებული გამლის შემდეგ ვაზს რჩება 2 ზედა
ყლორტი, დანარჩენი კა ეცლება. დატოვებული ყლორტები მაგრდება
სარჩე. თუ მათი ზრდა 2 მეტრს გადააჭირდებს, ამაგრებენ ხეივანზე პო-
რიზონტალურ მდგომარეობაში.

მეტრი გასხვლისას ძლიერი რქები მსხვლება 8—10 კვირტზე და
ხეივნის პორიზონტალურ შპალერზე კავდება. მესამე და მეოთხე გას-
ხვლისას ხეივანი შეიძლება სამოლოოდ გაფორმდეს ნაზარდები გაისხ-
ვლება შერეულად: ერთი მათგანი 8—10 კვირტზე, ხოლო მეორე —
2—3 კვრტზე — სამამულედ.

ხეივნის მოწყობისას ორ მოპირდაპირ შტერივში ერთმანეთის პირ-
დაპირ ჩაისმევა ბოძები 70—80 სანტიმეტრის სიღრმეზე. მათ შორის
გაიდება სათანადო სიგრძის ლარტყა, ლარტყებზე გაიბმევა შპალერის
7—8 მავრული.

ხეივანზე ვაზის ძლიერი დატვირთვის გამო აღარ არის საჭირო
მწვანე ოპერაციების ჩატარება, რადგან მინიმუმმდებარებული შემცირებული
ნამხრევისა და უნაყოფო ყლორტის განვითარება.

გარდა წესიერად ჩატარებული გასხვლა-ფორმირებისა, ვაზის ნორ-
მალური ზრდა-განვითარებისა და ყურძნის მოსავლიანობის გაღიძე-
ბისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ვაზის ოპტიმალურ ვადა-
ში ვასხვლის. როგორც ვ. ქანთარია და მ. რამიშვილი (33) მიუთიხებენ,
ვაზის სხვლის საუკეთესო ვადად მიჩნეულია ის პერიოდი, როდესაც
მცენარე მაქსიმალურად ამუღავნებს შესვენებას და ფიზიოლოგიური
პროცესები მინიმუმმდებარებული. ეს პერიოდი იწყება ფო-
თოლცვენიდან 20 დღის შემდეგ და ფრეკულდება წვენთა მოძრაობის
დაწყებამდე. სხვლის დაწყების დროს ამა თუ იმ მეურნეობაში სხვადა-
სხვა ფაქტორი განსაზღვრავს. სხვლის ვადის დაზღვენა უნდა მოხდეს
თითოეული მეურნეობის თითოეული ნაკვეთის მიხედვით. ვაკე ადგი-
ლებში, ტაფობში (მით უმეტეს თუ ისინი სარწყავია) ადვილად
გროვდება ციფი ჰაერის მასა, ადგილი ქვს მეტ ტენინობას ნიაღაში
და ვაზის სავეგეტაციო ნაწილებში ვაზის ყაზვაგამძლეობის უნარს
აქვეითებს. გარდა მასა, შიდა ქართლის მევენახეობის ზონებში ზამ-
თრის პერიოდში მოსალოდნელია ყინვებისაგან ვაზის დაზიანება. ამი-
ტომ უმჯობესია სხვლა ჩატარდეს ყინვების საშიშროების გავლის შემ-



დეგ. საერთოდ, ვაზის ბიოლოგიური თავისებურებიდან გამომდინარებული უძვინდესია ვაზის გასხვლა იმ პერიოდში, როდესაც მცენარეული მცენარეა პლასტიკურ ნივთიერებათა რაოდენობა. პლასტიკური ნივთიერებები ვაზში მაქსიმალური რაოდენობით არის ფოთოლცვენისა და კვირტების გაღვიძების პერიოდში. ამ დროს ჩატარებული სხვლა დიდი რაოდენობით საკვები ნივთიერებების დაფარვების და ვაზის საერთო ძალის შესუსტებას გამოიწვევს. ზამთრის პერიოდში კი, როცა აღნიშნული უარყოფითი მოვლენების საშიშროება გამორიცხულია, სხვა წინააღმდეგობას ვაწყდებით — მოსალოდნელი ყინვებისაგან ვაზის დაზიანებას. ვაზის გაცრცელების ზონებში, საღაც ზამთრის განმავლობაში მოსალოდნელია ტემპერატურის — 12°-ის ჭვევით დაცემა სხვლა უნდა ჩატარდეს საზიანო ყინვების საშიშროების ვავლის შემდეგ. ზონის პირობებისათვის, როდესაც ყინვების საშიშროება გავლილია, ეს პერიოდი განისაზღვრება 10—15 თებერვლიდან 10—15 მარტიდან. რა თქმა უნდა, ეს ვადებიც შეიძლება იცვლებოდეს კლიმატური პირობების შესაბამისად. 1985 წლის თებერვლის პირველ დეკადაში თამარაშვინის მეურნეობაში შეუდგნენ ვაზის სხვლას. მაგრამ მალე გაუარესდა ამინდები, დიდონოვლობას მოჰყვა ყინვები, რაც მარტის პირველი დეკადის ბოლომდე გაძყვა. მართალია, ასეთი ფაქტები გამონაკლისია, მაგრამ თუკი პროცენტის მიხედვით არახელსაყრელი კლიმატური პირობების გაგრძელება იქნება ნავარაუდევი, ამ ღონისძიების ჩატარდაზე ხელი უნდა უკიდოთ დროებით. სამაგიეროდ, უნდა გატარდეს ღონისძიებები, რათა გამოამინდებისთანავე დროულად ჩატარდეს სხვლა, შესაძლებელი იყოს მისი დამთავრება ვაზში წვენთა მოძრაობის დაწყებამდე.

ძელ ნარგაობებში ბევრია გადაბერებულ-დაყოფრილ შტამბიანი ვაზები. დადგენილია, რომ შათრან შედარებით ახალგაზრდა შტამბი მნიშვნელოვნად აღიყებს მოსავალს. ამიტომ აღვილებზე აგრძისპეციალისტები ყურადღებას უნდა უთმობდნენ ამ საყითხს და ზრუნავდნენ შტამბების გათხალგაზრდავებაზე. 2-შტამბიან ვაზზე თითოეული მათგანი უნდა შეეცვალოთ 5—6 წელიწადში ერთხელ. ამისათვის საჭიროა შესაცვლელ შტამბზე ნიაღავის ზედამირთან გამოტანილი ყლორტი დაჩქარების წესით აღვზრდოთ და შემდეგ წელს შტამბიდ გამოვიყენოთ. ამ ყლორტს საბოლოო ფორმის მისაღებად პირველი მავთულის სიმაღლეზე წვერი უნდა წავაწყვიტოთ და განვითარებული ნამხრევებიდან ორი დავტოვოთ. მათგან ზედა სანაყოფე გამოვიყენოთ, ქვედა კი სამამულედ.

ვაზის მწვანე ნაწილების ოპერაციების დანიშნულებაა მცენარის ზრდა-განვითარების სიძლიერის ამაღლება, არადანიშნულებისამებრ ვაზის ენერგიის ხარჯის ალევეთა და მისი გამოყენება პროდუქტი-ულობის გასაღიდებლად. რეგიონში ამ ფრიად საპასუხისმგებლო ღონისძიებას ხშირად არ ექცევა სათმაცო ყურადღება. ვაზის მწვანე ნაწილების ოპერაციებში შედის: გაფურჩქნა, ანუ ზედმეტი ყლორტების შეცლა, ყლორტების წაწყვეტა, ნამხრევების შეცლა და კის ვახსნა.

ზედმეტი ყლორტების შეცლა ამ ღონისძიებას აწარ-მოებენ სამამულესა და სანაყოფებები დარჩენილი ყლორტების უკეთე-სი ზრდა-განვითარების მიზნით. ამ სამუშაოს, თავისი დანიშნულები-დან გამომდინარე, სხვლის ოპერაციის ჯაგრძელებადაც მიიჩნევენ.

ზედმეტი ყლორტების შეცლის მიზნი ისიცაა, რომ შევცვალოთ ვაზის მიღრეკილება არასასურველი აგებულებისაკენ. ასეთი მოვლენა კი შეიძლება გამოწვეულ იქნეს მსხვლელის დაშვებული შეცდომე-ბით, ან მისგან დამოუკიდებლად, ზოგიერთი კვირტის განუვითარებ-ლობით, მისი დაზიანებით და სხვა. ამ ღონისძიების ჩროს ვაზის აც-ლიან შტამბიდან გამოსულ ყველა ყლორტს. შეიძლება დატოვებული იქნეს ის ყლორტები, რომლებიც საჭიროა მომავალ წელს გადასაწიდ-ნად, შტამბის გასახლებლად ან სასხლავი რომლის შესაქმნელად. ვა-ზის სამამულე ჩაქაზე წყვილად გამოსული ყლორტებიდან ეცლება ერთ-ერთი, ამასთან ნაკლებდა განვითარებული.

ზედმეტი ყლორტების შეცლა უკეთესად ივითარებს ნაზარდებს, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს უხვი და ხარისხოვანი მოსავლის მი-ლებას.

ყლორტების წვერის წაწყვეტა. ყურძნის მოსავლი-ანობის გადაღების საქმეში ყურადღებას იმსახურებს ყლორტების წვერის წაწყვეტა. ამ ღონისძიების პრაქტიკული მნიშვნელობა გამო-იხატება როგორც ყლორტების ზრდის რეგულირებაში, ისე მტევნის გათხელების წინააღმდეგ საბრძოლველად, რასაც ზოგიერთი ჯიში-სათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ვაზის ყვავილობის დამთავრების შემდეგ ყვავილების რაოდენობას-თან შედარებით გაცილებით ნაკლება მტევანშე გამონასკვეული მარც-ვლები. ეს იმის შედეგია, რომ ყვავილობაში და ზოგიერ მანამდეც ცვა-ვა ყვავილები. ამ უარყოფითი მოვლენის გამომწვევი მიზეზი მრავა-



ლია. ყვავილცვენის უშუალო მიზეზი ხშირად მტევნების არანორმულური კვებაა. მტევნების არანორმალური კვების მიზეზები კი სხვადასხვაა: ვაზის საერთო კვების პირობების გაუარესება, ყლორტებისა და ფესვების გადაჭირებული ზრდა, მტევნებისა და მარცლების ზრდის სტიმულის შესუსტება და სხვ.

ვაზის, კვების პირობების გაუმჯობესება მნიშვნელოვანი ფაქტორია მტევნის გათხელების წინააღმდეგ საბრძოლველად. აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნიადაგის დამუშავებას და ორგანულ-მინერალური სასუქებით განვიყიდებას. კარგ შედეგს იძლევა აგრეთვე დამატებითი გამოყვება ახალი ნაკელის წუნწუხოთ ან აზოტოვანი სასუქებით. კვების პირობების გაუარესება შეიძლება არასწორად ჩატარებულმა სხვლამაც გამოიწვიოს. ვაზის ძლიერი დატვირთვისას შეუძლებელი ხდება ყლორტების ნორმალური ზრდისათვის საკვები ელემენტებით უზრუნველყოფა.

არაწესიერად ჩატარებულმა სხვლამ შეიძლება სხვა უკიდურესობაც გამოიწვიოს. ვაზის საერთო სიძლიერესთან შედარებით გაცილებით ნაკლებად დატვირთვის შემთხვევაში აღვილი ქვეს ფესვებისა და ყლორტების გადაჭირებულ ზრდას, რის შედეგადაც მტევნებში ნაკლები საკვების მიწოდება ხდება.

ონიშნულიდან გამომდინარე, გამაგებია ყლორტების წვერის წაწყვეტის მნიშვნელობა. ამ ონისტიდების გატარებით ვარეგულირებთ ყლორტების ზრდას, ვაწესრიგებთ საკვებ ნივთიერებათა ხარჯვას, რაც საბოლოოდ აუმჯობესებს ყვავილების გამონასყვას და აღიდებს მოსავლიანობას. ამ ოპერაციამ დადებითი გავლენა რომ მოახდინოს მტევნის გათხელების საწინააღმდეგოდ, საჭიროა იგი ჩატარდეს ყვავილობის დაწყებამდე 2—3 დღით ადრე. ყლორტებს უნდა მოსცილდეს 5—7 სმ სიგრძის ნორჩი ნაწილი წვეროში. ზრდის შეჩერების პერიოდში ამ პროცესის ნააღრევად ჩატარებისას მოსავლიანი ყლორტები ვერ ასწრებენ გენერაციული ორგანოების განვითარებას, განაყოფიერებასა და გამონასკვას. ამიტომ საკვებ ნივთიერებათა უმეტესი ნაწილი ხმარდება ნამხარის ზრდას და ყვავილედები კვების უარეს პირობებში ექცევიან.

ნამსარევების შეცლა. ვეგეტაციის დროს ფოთლის იღლიაში ისახება კვირტი, საოდანაც ვითარდება ვერდით ყლორტად, ანუ ნამხრად. ყლორტის ქვედა ზონაში მდებარე ნამხრევები უფრო ძლიერი ზრდისაა. ყლორტის ზრდასთან ერთად მის ზედა ნაწილში თანდათანობით იზრდებიან ნამხრევები, რომლებიც შედარებით სუსტად



კოთარდებიან. ყვავილობის დაწყების დროს ნამხარი ყლორტი ჭავჭავაშვილი ზონაში მხოლოდ განვითარების საწყის პროცესშია. ქვედა ზონაში კი განვითარებული, მაგრამ ჯერ კიდევ ნორჩია. ზოგიერთ ჯიშზე ქვედა ზონის ნამხრევების ყვავილობამდე შეცლა აუმჯობესებს მტევნების კვებას. მარცვლების გამონასკვას და მოსავლასინობის ზრდას.

ნამხარი მაშინ ეცლება, როდესაც ის ჯერ კიდევ ნორჩია. ამ დროს მცირე საასიმილაციო ზედაპირის გამო არ გამომუშავდება პლასტიკური ნივთიერებებია. ამიტომ მისი მოცილებით არც ვაზი ზარალდება. ამ პერიოდში ნამხარის ზრდაზე მნიშვნელოვანი რაოდენობის საკვები იხსრება, ვიღრე ის ქმნის. მგვარად, ნამხარის შეცლა დროულად უნდა ხდებოდეს. დაგვიანებით ჩატარების დროს, მისი მოლისანად მოცილება არასწორია. ასეთ შემთხვევაში ნამხარი იმგვარად უნდა მოცალდეს, რომ მის ქვედა ნაწილში 2—3 ფოთოლი დარჩეს. ნამხრევების შეცლით ვაზს შორიდება ზრდის ზედმეტი წერტილები.

ამრიგად, ვაზის ძლიერდ ზრდის დროს ნამხრევების მოლისანად მოშორება მათი განვითარების დასაწყისშივე ამცირებს ყვავილტცვების და აღიდებს გამონასკვეული მარცვლების რაოდენობის მტევანზე. ამ სამუშაოს დაგვიანებით შესრულება იწვევს მოსავლის საგრძნობი ნაწილის დაკარგვას. მევენახეს უნდა ახსოვდეს, რომ ნამხარის შეცლისას სპიროა სიფრთხილე, მისი ძირშივე შეცლისას მოსალოდნელია ფოთლის იღლიაში ასებული სამომავლო კვირტის დაზიანება. ამიტომ ნამხარი 2—3 სანტიმეტრის ზემოთ ეცლება.

ცის განას ნა. ცის განსნის მიზანია მეტი ჰაერი და მზის სხივი მოხვდეს მტევანს. თუ ვაზი სუსტი ზრდას განვითარებისაა, ამ ღონისძიებას არ ატარებენ. ცის განსნა ჩარტივი აგრძოტექნიკური ღონისძიებაა. იგი გულსხმობს ყლორტზე მოუმწიფებელი ნაწილის მოცილებას, რას შედეგადაც უმჯობესდება მტევნის განათებისა და აერაციის პირობები.

ჩრაქტიკული დაკვირვებებიდან ცნობილია, რომ არასწორად ჩატარებული ღონისძიებით უარყოფით შედეგს მივიღებთ. ზოგჯერ მევენახე ამ პროცესის ჩატარების დროს ყლორტებს წვეროებს თანაბრად აქრის, რაც ეწინააღმდეგება ვაზის ბიოლოგიურ თავისებურებებს. მეაცრად და ნააღრევად ჩატარებული ცის განსნა მნიშვნელოვნად ზღუდვებს ვაზის ფიზიოლოგიურ აქტივობას. როგორც ცნობილია, ქვედა იარუსიდან ზემოთ თანდათანობით მატულობს ფოთლის ასიმილაციის უნარი და ვეგეტაციის მეორე ნახევარში გრძელდება ყლორტის



ზრდა, ახალგაზრდა და საღი ფოთლები უფრო ინტენსიურად, მაგრამ უცვებენ ასიმილაციას ვიდრე ყლორტის ქვედა ნაწილში მდებარეობულ რებული ფოთლები.

აღნიშნული ბიოლოგიური თვესებურებიდან გამომდინარე, ცის გახსნის დროს საჭიროა თავი ავარიდოთ ყლორტის ზედა ნაწილში მდებარე ფოთლების დიდი რაოდენობით მოცილების და რაც შეიძლება მაღლა გადავაჭრათ წვერი მსხმიარე ვაზს. ამასთან, თუ ამ სამუშაოს გატარებთ ზრდის შეჩერების პერიოდში, იგი საქმით ეფექტურია. პრაქტიკული გამოცდილება ადასტურებს, რომ მეკაცრად და ნააღრევად ჩატარებული ცის გახსნა იწვევს ყლორტის ზრდის განახლებას საქმაო ინტენსიონით, რაც უარყოფითად მოქმედებს ვაზის ნორმალურ განვითარებაზე. ყლორტის წვერი გარკვეულ სიგრძეზე მოუმწიფებელი რჩება, ამის გამო პლასტიკურ ნივთიერებათა დაგროვება ფერხდება და ვაზის ყინვაგამძლეობის უნარიც მნიშვნელოვნად ქვეითდება.

სამწუხაოოდ, ზოგიერთ საზოგადოებრივ მეურნეობაში ცის გახსნის ოპერაცია ხშირად არასწორად ტარდება, რაზედაც დაიდა პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამ დარგში მომუშავე სპეციალისტებს. წინა წლებში დაშვებული შეცდომები აღარ უნდა განმეორედს. ცის გახსნის დროს ვაზს ეცლება წვერის მხოლოდ ნორჩი მოუმწიფებელი ნაწილი, ახალგაზრდა ვაზს კი პირველი ორი წლის განმავლობაში თავის გადაჭრა ას სჭირდება.

* * *

ვაზის მწვანე ნაწილების ოპერაციების დადებითი გავლენა ვაზის ზრდა-განვითარებასა და მოსავლიანობაზე დადასტურებულია პრაქტიკოს მეცნიერებათ მდიდარი გამოცდოლებით და მკვლევართა მიერ მიღებული მონაცემებით. ამ ღონისძიებების ჩატარებისას გასათვალისწინებელია როგორც ადგილობრივი ეკოლოგიური პირობები, ასევე ვაზის გიშური თავსებურებები. კონკრეტულ პირობებში სჭიროა ვაზის მწვანე ნაწილების ოპერაციების დაიფერენცირებული წესით ჩატარება. თუ ვაზი ოპტიმალურადაა დატვირთული და ყლორტები ნორმალური ზრდით ხასათდებას, ნამხევების შეცლა სჭიროა მათი განვითარების დასაწყისშივე. მაგრამ ფოთლებში სხვადასხვა მი-



ზეზით დაზიანების გამო თუ ყლორტი სუსტი ზრდა-განვითარების სამსახურის მიერ შემთხვევაში სწორად მიაჩინათ ნამხარის წევრის წაწყვეტა, გრძელებული თა აღსრულებული განვითარებისავან იცავს ძირითად კვირტებს, რაც აუმჯობესებს ვაზის ზრდა-განვითარებას. ეს საკითხი ვაზის ზოგიერთ ჭიშხე საფუძვლი-ანად გამოიყვლია ზ. ჯინგარაძემ (40). ნამხარზე 2—3 ფოთლის და-ტოვების შედეგად ძირითადი კვირტები უკეთესად ვითარდებოდა, ვიდრე ნამხარის მთლიანად შეცვლისას. ნამხარევების დატოვებით ჩი-ნურზე მოიმატა ორმტევნიანი ყლორტების რაოდენობამ, გაიზარდა მსხმოიარობის კოეფიციენტიც და რქის პროდუქტიულობაც, ორმტევნი-ანი ყლორტების რაოდენობა საკონტროლოსთან შედარებით (ნამხარ-შეცვლელი) მთლიანად შეცვლილზე 12,9%-ით გაიზარდა, 2—3 ფო-თოლზე დატოვებულ ვარიანტზე — 23,2%-ით. ამასთან ამავე ვარი-ანტზე მოსავალიც შესაბამისად 538 და 1301 გ-ით მეტია მიღებუ-ლი. ამ მონაცემებით იჩვევა, რომ ნორმალურად განვითარებული ნამ-ხარის ფოთლები გამოიმუშავებს პლასტიკურ ნივთიერებათა მნიშვნე-ლოვან რაოდენობას, რაც ძირითადად ყლორტების კვებას ხმარდება.

ვაზის მწვანე ოპერაციებზე სხვა დაკვირვებიდან გამომდინარე ზ. ჯინგარაძე (40) დასკვნის, რომ მათი დროულად გამოყენე-ბით ორჯერ და მეტად იზრდება ვაზის ფესვთა სისტემა გაუფურჩნავ ვაზთან შედარებით. ამით კი საფუძველი იქმნება ვაზის ფორმირები-სა და მსხმოიარობის დაწერებისათვის. ყლორტების ნორმირებისა და ნამხარშეცვლილ ვარიანტში მოსავლის კეირტების რაოდენობა 40%-ია. ემბრიონული მოსავალი კვედა ორ მუხლზე არ აღინიშნება. იგი მცირე რაოდენობითაა მეტად და მეოთხე კვირტში. მისი შესამჩ-ნევი მატება იწყება მეხუთე კვირტიდან და მაქსიმუმს აღწევს 9—12 მუხლის ზონაში. ემბრიონული უვავილედების რაოდენობა აღნიშ-ნულ ვარიანტზე იზრდება მეოთხეობერთ კვირტამდე, ხოლო მულჩირე-ბულ ვარიანტში — მეოცე კვირტამდე.

უნდა გვაძისოვდეს რომ ვაზის მწვანე ნაწილების ოპერაციები მნიშვნელოვანი ღონისძიებებია. ისინი ყველგან დროულად და ხარის-ხოვნად შესრულებას საჭიროებენ.

შინვისა და სეტყვისაგან დაზიანებული ვაზის მოვლა

შინვა ქართლის ვაზის გავრცელების ზონებში, თუმცა არა ხშირად, მაგრამ ზოგჯერ მაინც ხდება ვაზის დაზიანება ყინვისა და სეტყვისა-გან. ამიტომ მიზანშეწონილია მოკლედ შეფეხოთ ყინვისა და სეტყვი-საგან დაზიანებული ვაზის მოვლის საყითხებს.

აღნიშნულ ზონებში ყინვისაგან ვაზი დაზიანდება:

1. გაზაფხულზე წაყინვებისაგან, როცა პარის ტემპერატურა ეცე-მა — $1 - 2^{\circ}$ -მდე; ზიანდება ახლად გაღვიძებული კვირტები და ნორ-ჩი ყლორტები.

2. ოქტომბრის მეორე ნახევარში. — 4° -მდე ტემპერატურის დაცე-მა აზიანებს როგორც ფოთლებსა და ახალგაზრდა ყლორტებს, ასევე ნაყოფსაც.

3. ზამთრის პერიოდში. ტემპერატურის დაცემა — 15° -ზე ქვემოთ აზიანებს კვირტებს. — 18° -ის დროს ზიანდება ნაზარდიც, ხოლო — 22° ყინვის შემთხვევაში შეიძლება ვაზი მთლიანად დაიღუპოს.

ვაზი სეტყვამ შეიძლება დაზიანოს ვეგეტაციის სხვადასხვა პერი-ოდში.

როგორც ყინვისაგან, ასევე სეტყვისაგან ვაზის დაზიანების ყველა შემთხვევაში საჭიროა გულდამით შევიწწივლოთ შექმნილი მდგომა-რებია და თითოეული სახის დაზიანების ზარისხის მიხედვით შესაბა-მისი ღონისძიებები გავატაროთ.

I. შინვისაგან დაზიანებული ვაზის მოვლა

გაზაფხულზე წაყინვების აგან დაზიანებული ვაზის მოვლა. გაზაფხულზე პარის ტემპერატურის დაცემა — $1 - 4^{\circ}$ -მდე კვირტების გაღვიძების შემდეგ, აზიანებს ვაზის სხვადასხ-ვა ნაწილს: კვირტებს, ნორჩი ყლორტებსა და ფოთლებს. ახლად გაშ-ლილი კვირტები და ნორჩი ყლორტები იღუპებიან — 1° ტემპერა-ტურაზე, ხოლო გაუშლელმა კვირტმა შეიძლება გაუძლოს ტემპერა-ტურის — 4° -მდე დაცემას.

ვაზის მოყინვით დაზიანების სამი სახეობა არსებობს:



1. ძირითადი ყლორტებისა და შემცველელი კვირტების მოყინვებულებების წროს გამორიცხული ყლორტების განვითარება შესაძლებელია ფართული კვირტებიდან, რის გამოც საჭიროა ყველა დაზიანებული ყლორტის ბაზისთან მოქმრა. ყვავილები ფარული და ზოგიერთ შემთხვევაში მარტივი კვირტებიდან ვითარდებიან, მაგრამ მევენაბის ძირითადი ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ მეორადი ყლორტები აღიზარდოს სეთ აღვილზე, რომელიც უკეთესად უზრუნველყოფს ვაზის ნორმალური ფორმის აღდგენას და მეტი მოსავლის მიღებას.

2. ახლად განვითარებული ყლორტები მთლიანად არ არის დაზიანებული, დაზიანების ზონაშია მოყოლილი ყვავილედები და გადაოჩენილია ბაზალური კვირტები. ასეთი დაზიანების შემთხვევაში ახალგაზრდა ყლორტები უნდა გაესხლოთ 1—2 მუხლზე და მივიღოთ ზომები შემცველელი, ანუ დამატებითი კვირტებიდან მეორადი ყლორტების განვითარებისათვის. შეორენდი მოსავლის მიღება შესაძლებელია აგრეთვე იღლიას კვირტებიდანაც. ამას რომ მივაღწიოთ, ყვავილობის დასაწყისში ყლორტებს წევრი წავუწყიოთო, რითაც მომავალი წლის კვირტებიდან მოსავლიანი ყლორტები განვითარდება.

3. გაზაფხულის წაყინვებით მხოლოდ ყლორტების ნორჩი ნაწილები დაზიანდება, ყვავილედები კი გადაოჩება; ამ შემთხვევაში რაიმე ოპერაციების ჩატარება ან ვაზების გასხვლა საჭირო არ არის, სამავისოდ ყურადღება უნდა გამახვილდეს აგროტექნიკური ლონისძიებების დროულად და ხარისხოვნები გატარებაზე. საჭიროა დამატებითი ვამკვება და სხვა, რათა მცენარეებ დაძლიოს უარყოფითი გარემო პირობებისავან გამოწვეული შეფერხება ზრდა-განვითარებაში და მოკლე ხანში აღიდგინოს ის პოტენციური ენერგია, რაც საჭიროა მომავალ წელს მეტი მოსავლის მისაღებად.

გაზაფხულის წაყინვების უარყოფითი გავლენის შესამცირებლად ან თავიდან ასაცილებლად მიმართავენ დაგვიანებით სხვლის. ამ ღონისძიებით შესაძლებელია 10—12 დღით გადავწიოთ კვირტების გაშლა. ამავე მიზანს ემსახურება გვიანი შეყელვაც. შეუყელივ ვაზზე კვირტების უმეტესი ნაწილი დაშორებულია ნიადაგის ზედაპირიდან, რის გამოც უფროა დაცული დაბალი ტემპერატურისავან. კვირტების გაშლას საგრძნობლად აგვიანებს აგრეთვე ნამხრევების 1—2 კვირტზე დატოვება. პირველად იშლება ნამხრევების კვირტები და შემდეგ — ძირითადი, რაც წაყინვებისაგან მათ დაცვას უწყობს ხელს. ნამსრევებზე კვირტები უნდა მოცილდეს გაშლისთანავე, რათა კონკურენცია არ გაუწიოს ძირითად კვირტებს საკვების ხარჯვაში. დაბ-



ლობ აღვილებში ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე შტამპური უნდა გადასახლდება.

ვაზის ნარგაობის დაცვის გაზაფხულის წაყინვებისაგან მივაღწევთ აგრეთვე დაბოლებით. ამ ღონისძიებით შესაძლებელია ჰერის ტემპერატურის $1-2^{\circ}$ -ით გადიდება. დასაბოლებლად შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა მასალა (წალამი, ფოთლისა და სარეველა ბალახების ნარევი, ჩალა, ნამჯა, მანქანის საბურავები და სხვ.). თოთოეულ ჰექტარზე საჭიროა $50-60$ კროვა. დაბოლების ეფექტისამდე თვალსაჩინოა უქარი ამინდში, დაბლობ აღვილებში.

გაზაფხულის წაყინვებით ვაზის დაზიანების თავიდან ასაცილებლად ურჩევენ ნარგაობის წყლით დატბორვას. ამ ღონისძიებით ცირკულაცია ნიადაგის სხივთაფრქვევა. ამასთან, გაზაფხულზე მორწყვა გამოიწვევს კვირტების დაგვიანებით გაშლას, რითაც ავიცილებთ წაყინვების უარყოფას მოქმედებას. დადებით შედეგს იძლევა აგრეთვე ნიადაგის ზედაპირის გაფხვიერება, ნაკვეთის გაშმენდა სარეველებისაგან.

შემოდგომის წაყინვებისაგან ყურძნის მოსავლის დაცვა დაზიანებული ვაზის მომტანია ვაზისათვის შემოღომის წაყინვები. ამ დროს ფოთლები ნააღრევად იღუპება, რაც აფერხებს ვეგეტაციის ნორმალურად დამთავრებს, ნაზარდი მოუმწიფებელი ჩხება, რის გამოც მოსკვენების პერიოდში ზამთრის არასხლსაყრელი პირობებისადმი ვაზი ნაკლებად გამჭრე ჩდება. ტემპერატურის დაცვითად მოქმედებს აგრეთვე განსაკუთრებით მოუმწიფებელ ნაყოფზე -3° -ზე აღვილად ზიანდება და მნიშვნელოვნად უარესდება პროდუქციის ხარისხი.

აღნიშნული წინასწარ უნდა გავითვალისწინოთ და ვენახები არ გავიშნოთ ტაფობ და ძლიერ მოყვუდროებულ აღვილებში. გარდა ამისა, ვენახები პირველ რიგში უნდა გავაშენოთ ცივი ქარებისაგან ბუნებრივად დაცულ ნაკვეთებში. ამასთან, გაშენებისთანავე აუცილებელ ღონისძიებად უნდა ჩაითვალის ქარსაფარი ზოლების მოწყობა, რომლებიც ფაზის ნარგაობას დაიცვენ გაბატონებული ქარების მავნე მოქმედებისაგან.

1965 წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში შემოდგომის ცივ ამინდებს მოყვევა წაყინვები, რამაც გააუარესა ყურძნის ხარისხი. წაყინვების შემდეგ დაიჭირა თბილი, მზიანი ამინდი. ნაყოფი სწრაფად გაშავდა და ლპობა დაიწყო. ფოთლებიც ნააღრევად ჩამოცვიდა.



ძლიერ დაზიანდა ჩინური, გორული მწვანე და სხვა ჭიშები. იმსახურებული კი, რომ შემოღომაზე წაყინვებით დაზიანებული ნარგაობა არის ფაქტობრივი და დაიკავებული სოკოვან უვადშოთობათა და ნაყოფის დაავადების კერად, დაზიანებული ნაყოფი სწრაფად უნდა დაიკრიფის ლპობის დაწყი-ბამდე, მომდევნო ვეგეტაციის პერიოდში კი გამსაკუთრებული ყუ-რადლება დაეთმოს სოკოვან დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღო-ნისძიებათა დროულად და ხარისხოვნად გატარებას. კვირტების გაშ-ლისთანავე კარგია გორგადის შეფრქვევა, რაც უვავილობის დაწყი-ბამდე 2-ჯერ კიდევ განმეორდება.

აღრე გაზიაფხულზე ჩატარდება გასხვლა. დაგვინების შემ-თხვევაში ისედაც პლასტიკური ნივთიერებებით ღარიბი მცენარე კი-დევ უფრო დასუსტდება. ანასხლავი დროულად გაიზიდება ნაკვეთი-დან. სავალდებულო ღონისძიებად ითვლება რივთაშორისი ხვნა და მწყრივების გამობარეა, რასაც წინ უსწრებს ორგანულ-მინერალური სასუქების შეტანა.

შემოღომის წაყინვების უარყოფითი მოქმედების თავიდან ასა-ცილებლად მნიშვნელოვანი ღონისძიებაა ნაკვეთის დაბოლება, რასაც ზემოთ უკვე შევეხეთ.

ზამთრის ყინვების გაზიარებული დაზიანებული ვაზის მოვლა. ამ რეგიონის მთისწინა და დაბლობ ზონაში ვაზისათვის საზიანო ძლიერ და ხანგრძლივ ყინვებს არა აქვს სისტემატური ხასი-ათი. იმიტომ აღნიშნული უარყოფითი ფაქტორისაგან ვაზის დასაცა-ვად ყველაზე საიმედო პროფილაქტიკურ ღონისძიებას — ვაზის მიწა-ში მიმარხებას, არასოდეს იყენებენ.

ზამთრის ყინვების უარყოფითი გავლენა ვაზის ზრდა-განვითარე-ბაზე დაკავშირებულია მთელ რიგ სხვა მიზეზებთანაც. ესენია: ვაზის ჭიშობრივი თავისებურება, ვენახის ნაკვეთის რელიეფური და ნიაღა-გური პირობები, წინა სავეგეტაციო პერიოდში ვენახში გატარებული ავროტექნიკური ღონისძიებების შესრულების დონე, ყინვების ინტენ-სივობა, ხანგრძლივობა და სხვ. ზამთარში დაბალი ტემპერატურით ვაზის დაზიანების შემთხვევაში საჭიროა სერთი ღონისძიებების გატა-რება, რომლებიც უზრუნველყოფენ დაზიანების შედეგების შემცირე-ბას და გააადვილებენ ვაზის საერთო მდგომარეობის გამოსწორებას.

ყინვისაგან ვაზის დაზიანების შემთხვევაში წინასწარ გამოიყვლე-ვა დაზიანების ხარისხი. როგორც აღნიშნა, დაზიანების ხარისხი მთელ რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული. ყინვების ერთნაირი ინტენსივო-ბისა და ხანგრძლივობის დროსაც კი აღვილი აქვს სხვადასხვა ხსი-

ათის დაზიანებას ერთი და იმავე ვაზის ჯიშის მიმართ, დაზიანების ხარისხის გამოსაკვლევად ვაზის ნარვაობის თითოეული პერიოდების სხვადასხვა აღვილას აღვება 10—15 ჩქა და მოთავსდება 18—20° ტემპერატურის შენობაში. კვირტების გაშავება დაზიანების ვანიშნებულია. შეიძლება დაზიანებული იყოს მხოლოდ ცალკეულ კვირტები. ამ დროს ვაზის გამოსწორება აღვილია სხვლით და ნორმული რაოდენობის მოსავლის მიღებაც შეიძლება. თუ ძირითადი კვირტების უმეტესი ნაწილი დაზიანებულია, ნაწილობრივ — შემცველი კვირტებიც, შესაძლებელია სხვლის სწორად ჩატარებით გარკვეული მოსავლის აღდგენა, მაგრამ თუ უკველა ძირითადი და შემცველი, აგრეთვე ერთწლიანი ნაწილებიცაა დაზიანებული მოსავლის კერ მივიღებთ. აქ მთავარია საფორმე ელემენტების დაჩქარებითი აღდგენა.

ძირითადი კვირტების ნაწილის დაზიანების შემთხვევაში, გაზაფხულზე გასხვლის დროს, საჭიროა დადგინდეს დაზიანებული კვირტების პროცენტი, რის მიხედვითაც იცვლება დატვირთვა. კვირტების 50%-ით დაზიანებისას დატვირთვა 2-ჯერ გადიდდება მოუყინავთან შედარებით.

ძირითადი კვირტების უმეტესი ნაწილი თუ ყინვითა უაზიანებული, ხოლო შემცველის ნაწილი გადარჩენილი, სათანადო ადგილებში საფორმე ელემენტების შექმნას უნდა მივაღწიოთ. კვირტები შეიძლება დაზიანდეს ჩქის სხვადასხვა ნაწილში. დაზიანებული კვირტების უმეტესი ნაწილი ზოგჯერ რქის წვეროშია მოქცეული. მოსავალი რომ მივიღოთ, საჭიროა ერთი ან რამდენმე გრძელი სანაყოფებულებრივოთ. სამაშულე კი უნდა მოინახოს დაუზიანებელი რქის ბაზალურ ნაწილში. თუ ამის საშუალება არ ვავქვს ბაზალური კვირტების დაზიანების გამო, დაზიანებული რქა ძირში უნდა მოიჭრას, რათა მომავალი წლისათვის საფორმე ელემენტები ფარული კვირტებიდან მიეღოთ. დაუზიანებელი კვირტები შეიძლება რქის ბაზალურ ზონაში იყოს მოქცეული, მაშინ რქის დატვირთვა დაუზიანებელი კვირტებით ხდება. სანაყოფე შეიძლება გაისხლოს როგორც მოკლედ (2—3 კვირტზე), ასევე საშუალო ზომაზე (4—5 კვირტზე) და გრძლოდ. გადარჩენილი კვირტები თუ მოქცეულია ბაზისისა და წვერის ზონებში, მაშინ ვაზის ვტვირთავთ რქის გრძლება და მოკლედ დაუენებით. მაგრამ უნდა გვასხოვდეს, რომ უმჯობესია დატვირთვა მოკლე გასხვლით, რათა მომავალ წელს გავვიადვილდეს საფორმე ელემენტების შერჩევა.

კველა ძირითადი და შემცველი კვირტების დაღუპვის შემთხვევა-

ვაში ვაზის მთლიანად ეჭრება ერთწლიანი ნაზარდები, რჩება მხოლოდ /
შტამპი და მრავალწლიანი ნაწილები. ორის მომენტი, როცა მრავალწლიან
წლიანი ნაწილებიც აქვს დაზიანებული. ორივე შემთხვევაში ნა-
ზარდი შტამპიდან და მრავალწლიანი ნაწილებიდან შილება, შეირ-
ჩევა ერთი შედარებით სწორად მდგომარეობის და გადამტრება იგი
პირველი მავთულის სიმაღლეზე, დანარჩენი კი ძირში. ორნიშნულ და-
ტოვებულ შტამპზე ოღიზრდება ყლორტი, რომელიც შტამპად იქნება
გამოყენებული. ვეგეტაციის პერიოდში, სხვა ღონისძიებებთან ერთად,
სერიოზული ყურადღება მიექცევა მწვანე ოპერაციების დროულად და
ზარისხოვნად ჩატარებას. ამონაყრებიდან 2—3 შეირჩევა ქვედა ზონი-
დან, დანარჩენი შეეცლება. ორნიშნული ყლორტების სიგრძე პირვე-
ლი მავთულიდან 10—15 სმ-ით გადაჭარბების დროს ვერტიკალურად
აიწვევა და წაეწყვიტება წვერი 3—4 მუხლშორისის მოცილებით.
მსხმოიარე ვაზე 10—12 ნამზარი დაზრდვება, არამსხმოიარეზე — ნაკ-
ლები. კარგი მოვლა-პატრონობის პირობებში ნამხრევების განვი-
თარებაც ნორმალურია. ისინი გამოდგებიან საფორმე ელემენტებად.

2. სეტკვისაგან დაზიანებული ვაზის მოვლა

როგორც ალინიშნა, სეტკვისაგან ვაზის დაზიანების შეიძლება ადგი-
ლი ჰქონდეს ვეგეტაციის სხვადასხვა პერიოდში. დასეტკვილ ვენახში
გასატარებელი ღონისძიებები დამოკიდებული სტიქიის სიძლიერესა
და იმაზე, თუ განვითარების რომელ ფაზაშია ვაზი დაზიანებული. და-
სეტკვილი ვაზის საერთო მდგომარეობის ნაწილობრივი გამოსწორე-
ბა შესაძლებელია გასხვლით. დიდი მნიშვნელობა აქვს შექმნილი
მდგომარეობის სწორად შეფასებას. გასხვლას მივმართავთ მაშინ, რო-
დესაც ჩქა, ფოთლები და ახალგაზრდა ყლორტები ძლიერად დაზიანე-
ბული. მა ღონისძიებით შესაძლებელი მივაღწიოთ ფარული, მარტი-
ვი და შემცულელი კვირტების ნააღრევად განვითარებას, აგრეთვე მე-
ორადი ყლორტებისა და მოსავლის მიღებას.

როდესაც ვაზი დასეტკვილია ყვავილობამდე და მასმათან ძლი-
ერად, უმჯობესია პრაველადი ნაზარდი მთლიანად ბაზისთან მოიკრის
და განვითარდეს მეორადი ყლორტები ფარული, მარტივი. და შემ-
ცვლელი კვირტებისაგან, რომლებიც უფრო მოსავლიანია, ვიღრე
ფოთლის იღლის კვირტები. მა დროისათვის მომავალი წლის ყვავი-
ლები არ არის. ჩასახული, თუმცა მარტივი და ფარული კვირტებიდან

განვითარებული ყლორტები უმეტესად უმოსავლო ან ნაკლებმოსავლი ანია. უფრო მეტი მოსავლაანობით ხასიათდებიან. შემცველელთა უკვე ტებიდან განვითარებული ყლორტები, მაგრამ დანორჩევის დროს ვაცლით უნაყოფო ყლორტებს და ვტოვებთ იმ ყლორტებს, რომლებიც მომავალ წელს გამოდგებიან საფორმე ელემენტებად.

ვაზი შეიძლება დაისეტყვის კვავილობის ფაზაში. ამ დროს ფოთლის იღლიას კვირტებში მომავალი წლის მოსავალი უკვე ჩასახულია. როგორც ვ. ქანთარია და მ. რამიშვილი კვირჩევენ, ამ პერიოდში სეტყვისაგან დაზიანებული ვაზის სხვლა დამოკიდებულია ძირითადად სამამულე ყლორტების დაზიანების ხარისხზე. ის ვაზი, რომელთა სამამულე ყლორტებშე ბაზალური კვირტები გადარჩებიან — გასხვლას არ საჭიროებენ, ხოლო ყლორტების ბაზალური ნაწილის ძლიერი დაზიანების შემთხვევაში სხვლა უნდა ჩატარდეს მათი მთლიანი მოჭრით. ყლორტების ბაზისის გადარჩენის ან უმნიშვნელოდ დაზიანებისას, როცა ზედა ნაწილი ძლიერ დაზიანებულია, საჭიროა სხვლა ჩატარდეს ყლორტების 1—2 მუხლიან ბაზისის დატოვებით და მეორადი ყლორტები და მოსავალიც შეიძლება მივიღოთ ფოთლის იღლიას კვირტების ნაძღრევი ზრდა-განვითარებით, რისთვისაც საჭიროა მცენარეს შევუქმნათ საჭირო პირობები. ყვავილობის ფაზაში დასეტყვილი ვაზის ძირითად ყლორტებშე წვეროების წაწყვეტით იქმნება ხელშემწყობი პირობა ნაშენების ნააღრევი გთვითარებისა და მოსავლის მიღებისათვის.

ყვავილობის შემდეგ ფაზაში დასეტყვილი ვაზის გასხვლისას ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ დაზიანებული პირველიდი ნაზარდი უფრო. მომწიფებულია და მოსავლის მიღებისათვის უკეთესია, ვიდრე მეორადი ნაზარდი. ეს მდგრამარეობა გასათვალისწინებელია და თუ აუცილებლობა არ მოიხოვს, პირველადი ნაზარდი ბაზისში არ მოეჭრება.

ყველა ზემოხსენებულ ვადებში ვაზის დასეტყვისას სანაყოფე რქის შემოკლება აუცილებელ ღონისძიებადაა მიჩნეული, რათა ვაზის შევუქმნათ ხელშემწყობი პირობები მეორადი ყლორტების განვითარებისა და მტევნის უკეთ დამსხვილებისათვის.

ნასეტყვარი ვაზის გასხვლის შემდეგ, დასეტყვიდან ორი-სამი დღის განმავლობაში საჭიროა ჭრიანისა და ნაცრის გავრცელების აღსაკვეთად 1,5—2% ბორდოს სითხით წამლობა და გოგირდის შეფრქვევა.

მეჩეთის სალიკვიდაციო ღონისძიებები

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ უკვე გავეცნით რეგიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში მეცნიერების თანამედროვე მდგრადი მიზანის სამოწმონის აღნიშვნა, ეს დარგი თავის შესაძლებლობებთან შედარებით გაცილებით დაბალ დონეზე დგას. ჩამორჩენა კა ძირითადად დაბალი ყვროტექნიკისა და უურადლებობის შედეგია. ყურძნის მცირე მოსავლიანობის მიზეზი, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, ნარგაობის მეჩერიანობაცაა. მეცნიერების ინტენსიფიკაცია მრავალ ღონისძიებას ითვალისწინებს, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მეჩერიანობის აღმოფხვრა. მა გზით ყურძნის მოსავლიანობა შეიძლება 15—20 პროცენტით და უფრო მეტადაც გაიზარდოს. ზონის მეურნეობებში ვაზის ნარგაობას თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ აკლია 500—600 ვაზი, რას გამოც ყოველ წელს 15—18 ცენტინერი მოსავალი იყარება. ამასთან, უქმიდ იქარგება გაცდენილი აღვილების დაშუავებაზე გაწეული შრომა და ზატერიალური საშუალებანი, რაც საშუალოდ ჰექტარზე 60—70 მანეთს შეადგენს, ხოლო დაკარგული მოსავლის ღირებულება თითოეული ჰექტარიდან 600 მანეთზე მეტს უდრის.

აღსანიშნავია, რომ ის ღონისძიებები, რაც ხორციელდება ზერების მეჩერიანობის სალიკვიდაციოდ, საღდეისოდ სრულიადაც არა და მაკმაყოფილებელი. თუმცა ყოველწლიურად გარკვეული ოდენობათ სწარმოებს გაცდენილი აღვილების შევსება, მაგრამ შემდეგში მათ აღარ ექცევთ სათანადო ყურადღება და წლების განმავლობაში მეჩერიანობის აღმოფხვრა კვლავ გადაუწრელ პრობლემად ჩეხება. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, თითოეული მეურნეობის ხელმძღვანელობისა და აგროპრესონალის წინაშე მოხლი პასუხისმგებლობით უნდა დაისვას სიმეჩხრის სრული ლიკვიდაციის საკითხი. ახალ შენი ვენახის მოვლა მაღალ აგროტექნიკურ დონეზე უნდა წარმოებდეს ყოველთვის, რათა ნარგაობა მეჩერი არ გამოვიდეს. მეჩერი აღვილების გამოჩენისთანავე საჭიროა თავიდანვე მივიღოთ გადამჭრელი ზომები.

ახალშენი ვენახების მეჩერიანობის მოსპობის მიზნით საჭიროა გაცდენილი აღვილების შევსება იმავე ჯიშის პირებელი ხარისხის ნამყენის გამორვით. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვაზი დავრგოთ ორ-

მოში, წინასწარ ორმოში ჩაყრილ მიწას შეერევა 8—10 კილოგრამზე
გადამწვარი ნაკელი.

საქართველო
უნივერსიტეტი

ზოგჯერ ხდება, რომ ამა თუ იმ ნაკვეთის მეჩერი აღველების შე-
სავსებად დროულად ვერ ხერხდება სასურველი ჭიშის ნაშენის მო-
ძარავება, რაც აქვევს დაგვიანების ნარვაობის აღდგენაში და წლო-
ბით მოსავლის დაკარგვას. ასეთ შემთხვევაში უარი არ უნდა ვთქვათ
საკუთარ რქაზე დაფესვიანებული ვაზით გამორჩევეც, თუკი აღვი-
ლი არა აქვს ფილოქსერის გავრცელებას. მსხმოიარე ვენახში კი უნდა
გამოვიყენოთ მხარის გაგრძელებისა და გადაწილვნის მეთოდები.

საკუთარ რქაზე დაფესვიანებული ვაზის დარცვით სიმეჩერის
ლრკვიდაციის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, შოკლედ შევჩერ-
დებით რქით ვაზის გამრავლების საკითხებზე, შევეხებით აგრეთვე
მსხმოიარე ვენახში მხარის გაგრძელებისა და გადაწილვნის მეთოდებს.

რქის დაფესვიანებული ვაზის დარცვით სიმეჩერის
მივიღოთ, საჭიროა ზუსტად დავიცვათ რქის დაფესვიანების აგრო-
ტექნიკური წესები. ვაზის რქა უნდა იყოს საჟსებით მომწიფებული
და პლასტიკური ნივთიერებებით მდიდარი, რათა კარგად დაფესვიან-
დეს. დასაფესვიანებლად რქები წინასწარ შეიჩინევა უხვად და რე-
გულარულად მსხმოიარე, კარგი ზრდა-განვითარების ვაზიდან. ისი-
ცაა გასათვალისწინებელი, რომ მიზანშეწონილი არაა დასაფესვია-
ნებლად ძლიერ მსხვილი რქების შერჩევა. მათ დაფესვიანების ნაკ-
ლები უნარი აქვთ, ხოლო შემდეგ ასეთი რქიდან მიღებული ვაზი
ძლიერი ზრდითა და მცირე მოსავლიანობით ხასიათდება ან დასაფეს-
ვიანებლად შეიჩინევა 8—12 მმ სიმსხოს რქები. რქები აიღება მსხმ-
ოიარობაში ახლად შესული ვაზიდან. მიზანშეწონილი არაა ხანდაზმუ-
ლი ვაზიდან რქების აქრა გასმრავლებლად. გასმრავლებლად ამზა-
დებენ უბრალო, ქუსლიანსა და ყავარენიან რქებს. რიგი მიზეზების გამო
უპირატესობა ენიჭება უბრალო რქების აჭრას.

რქის აქრა-დამზადება დასაფესვიანებლად ხდება როგორც შემოდ-
გომით, ასევე ადრე გაზაფხულზე. შემოდგომით დამზადებას იმ შემთხ-
ვევაში მიმართავენ, თუ მათ შემოდგომითვე დარგავენ დასაფესვიანებ-
ლად მუდმივ ადგილზე. ამ ღონისძიებას აუცილებლად მიიჩნევენ, თუ
ესა თუ ის მოკრორაონი მეოცეი ზამთრით ხასიათდება. იქ კი, სადაც
ზამთარი ზომიერია, უმჭობესია ვაზებიდან რქები აიჭრას ადრე გა-
ზაფხულზე, ვინაიდან რქა ვაზზე გაცილებით უკეთ ინახება, ვიდრე
ქვიშაში. შიდა ქართლის პირობებისთვისაც, იღნიშნული მოსაზრები-

დან გამომდინარე, უმჯობესია რქების დამზადება აღრე გაზაფხულზე /
დასაფესვიანებელი რქების სიგრძე 30—40 სმ-ია. დაჭრის დროს 0,5 სართული
ბოლო ნაწილი გადაიჭრება უკანასკნელი მუხლიდან 0,5 სმ-ზე, ხოლო
მისი წვერის კვირტიდან 1,5 სმ-ზე. რქის ბოლო და მის მომდევნო
მუხლზე მდებარე კვირტები უნდა „დავაბრმავოთ“, — დანით ავაცა-
ლოთ იმგვარად, რომ ლრმა ჭრილობა არ მივაყენოთ. ეს ოპერაცია
ასტრიმულირებს ფესვების წრემოშობას, რქაზე საბოლოოდ რჩება
ორი კვირტი, ერთი წვერთან და მეორე მისი მომდევნო. დამზადებუ-
ლი რქები დალბება წყალში ერთი დღე-დამის განმავლობაში. მიჩნე-
ულია, რომ ვაზის საკუთარ ძირზე გაშენება, შეიძლება როგორც უბ-
რალო — დაუფესვიანებელი რქებით, ისე დაფესვიანებულით. მაგრამ
მანც უკეთეს ლონისძიებად მიგვაჩნია, გრე დავაფესვიანოთ. და შემ-
დევ ისე დავრგოთ მუდმივ აღვილზე — ორმოში. ამ წესით დარგვის
დროს საშუალება გვეკნება სარგავ თრამოში შევიტანოთ გადამწვარი
ნაკელი, რაც მეტ გარანტის იძლევა ვაზის გახარებისა და შემდეგში
მისი ნორმალური განვითარებისათვის. ეს უხვი და რეგულარული
მოსავლის მიღების საწინდარია.

გასამრავლებლად დამზადებული რქები ირგვება ლრმა მოხნულ
ნაკვეთზე, სადაც რიგთაშორის მანძილი ერთი მეტრი იქნება, დასა-
ფესვიანებლად დარგულ რქებს შორის მანძილი კი — 8—10 სმ. დარგ-
ვა სწარმოებს წინასწარ გაელებულ სწორ ხაზებზე სარგავი პალოს
საშუალებით. დარგვის დროს რქის წვერთან მდებარე კვირტი ნიადა-
გის ზედაპირიდან 2—3 სმ-ით მაღლა უნდა დავიჭიროთ. დარგვის
შემდევ რქის გვერდით პალოს კვლავ ვასობთ და გვერდზე მიწევით
ვარებებით იმგვარად, რომ რქის ნიადაგთან საკმაო შეხება ჰქონდეს
და ორი თათის წავლებით აღვილად არ იმოვარდეს. დარგვის შემდეგ
რქებს წვეროებზე უკეთდება ფხეფირი მიწის ბაზო 8—10 სმ-ის სი-
მაღლეზე.

ვეგეტაციის პერიოდში საჭიროა სანერგეს მიექცეს დროული უ-
რაღლება. ყოველი ძლიერი წვიმის შემდეგ საჭიროა ბაზოების გა-
ფხეირება, რათა წარმოქმნილმა ნიადაგის ქრექმა არ შეაფერხოს
ყლორტის განვითარება. სათუთა მობყრობა ესავიროება განსაკუთრე-
ბით სარეველებისაგან გაწმენდის დროს, რომ არ დავაზიანოთ ნორჩი
ყლორტები. საჭიროების მიხედვით წარმოებს რიგთაშორისების
კულტივაცია. სანერგეს შეიძლება 2—3-გრ მორწყვაც დასჭირდეს.
ყოველი მორწყვის შემდევ, ნიადაგის შეშრობისთანავე, საჭიროა ბა-
ზოების დათვალიერება. არასწორი მორწყვის შემთხვევაში შესაძლე-



ბელია. მწყრივების თავზე ფხვიერი მიწის დაშლა, რაც დაუყოვნებელი უნდა აღსაღების. სანერგეში სწარმოებს ბრძოლა სიკოვან დამატებულის თა წინააღმდეგ ბორდოს ხსნარითა და გოვირდით. ავეისტოს პირელ ნახევარში მწყრივებს მოსცილდება ბაზოსებურად მიყრილი მიწის ფხვიერი ფენა, ამით მიწაში არსებული რქის ნაწილსა და მასზე არსებული კვირტებიდან განვითარებულ ყლორტებს მიეცემა ზრდის დასრულებისა და მომწიფების საშუალება.

სანერგიდან დაფესვიანებული სარგავი მასალის მომლება უმჯობესია დავუკავშიროთ ვენახში გაცდენილი აღჭილების შევსების მომენტს. თუ შემოდგომით ვფიქრობთ მეჩხერი აღვილების გამორგვას, დაფესვიანებული რქებიც შემოდგომით უნდა ამოვილოთ, ხოლო გაზაფხულზე დარგვისას, ნერგიც გაზაფხულზე ამოვილოთ. ამით შემოდგომით ამოლებული ნერგის შენახვაზე საჭირო ზედმეტ შრომასაც ავიცილებთ და ახლად ამოლებული ნერგით გაშენებული ვაზების გახარებაც უფრო გარანტირებული იქნება.

ვაზის რქების გადაწილვა ვაზის რქის გადაწილვა მეჩხერიანობის მოსპობის მეტად ეფექტური ღონისძიებაა. რქის დაფესვიანება, დარგვა და შემდეგში მისი აღზრდა გარკვეულ ღროს მოითხოვს. ამგვარად აღზრდილი ვაზი მოსავლიანობაში მესამე-მეოთხე წლიდან შედის. გადაწილნული ვაზი კი იმავე წლიდან იძლევა მოსავალს, ვინაიდან გადაწილნული რქა თავიდანვე დედა მცენარესთანაა დაკავშირებული და მისგან საზრდოობს. რქის გადაწილვის რამდენიმე წესი არსებობს.

ჩვეულებრივი წესით რქის გადაწილვა შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ვაზის გვერდით მდებარე მოცდენილი ადგილის შესავსებად, ასევე უვარევისი და სუსტი ძირის შესაცვლელად. ამისთვის გაცდენილი ადგილის მიმართულებით გაითხრება 30—40 სმ-ის სიგანისა და 40 სმ სიღრმის ორმო. წინასწარ შერჩეულ უკეთესი განვითარების რქის შეეცლება პწყალები და ნამსრევები და ჩაიწილება ორმოში. ორმოს ზემოთ ამოშვერილ რქის გაღიარებიან შტაბბის სიმაღლეზე და მიაკრავენ საზე. ორმოს მიაყრიან ნაკელ-შერეულ მიწას და მიტცებნიან. გადაწილნული რქიდან ძლიერი განვითარების ყლორტების მისაღებად საჭირო შეეცალოს განვითარებისთანავე ცველა ყლორტი ტედა ვაზიდან მიწის პირამდე, აგრეთვე ამოშვერილი რქის ბაზალურ ზონაში, ისე, რომ გასზე სამომავლოდ დარჩეს 2—3 ყლორტი.



ვაზის, ვეგეტაციის დაწყებისთანავე განვითარებას იწყებენ მასში მოვალეობა
წილნული ჩქის კვირტები და იმავე წელს მოსავალსაც იძლევთ. პირველ ხანებში რქა დედა მცენარისაგან საზრდოობს, ამასთან თან-
დათანობით მიმდინარეობს რქაზე ფესვების წარმოქმნა და განვითა-
რება, ვეგეტაციის პერიოდში საჭიროა 2—3-ჯერ მორწყვა, ხოლო თუ-
გვალვანი ამინდებით დაუდგა შეიძლება მეტჯერაც მორწყვა. ეს
ღონისძიება ხელს უწყობს რქის უკეთესად დაფესვიანებას. შემოდ-
გომით გადაწილდული ნერგი შეიძლება მოცილეს დედა მცენარეს.

მწვანე გადადად აწი იდვნა. მოცილენილი აღგილების შესავსებად
მიმართავენ ავრეთვე ყლორტის გადაწილდენის ვაზის მაქსიმალური
ზრდის პერიოდში — იცლისში და აგვისტოს პირველ დეკადაში. ამ
მეთოდს ფარვეული უპირატესობა გააჩნია — ყლორტის დაფესვიანე-
ბა უფრო ინტენსიურად და მოკლე დროში მიმდინარეობს და მსხმო-
იარობასაც აღრე იწყებს. სამწუხაროა, რომ შეჩერიანობის აღმოფხვ-
რის ამ ეფექტურ ღონისძიებას არ იყენებენ მეურნეობებში.

მწვანე ყლორტის გადაწილდენის შესრულების პრინციპი იგივეა,
რაც ჩვეულებრივი ჩქის გადაწილდენისა. იგი ტარდება იმ პერიოდში,
როდესაც ყლორტები სასურველ სიგრძეს მიაღწევენ და მათი ბაზა-
ლური ნაწილი გახევებას დაიწყებს. ძირითადად უნდა შეირჩეს სა-
ნაყოფე ყლორტი. თუ ამის საშუალება არ გვაქვს, დასაშვებია შტაბ-
ბირდან ამონიარიც გამოვიყენოთ აღწნიული მიზნისათვის. ყლორტი
რომ უფრო სწრაფად განვითარდეს და გადასაწილნად გამოსადევი
იყოს, საჭიროა პორიზონტულურიად დამაკრდეს პირველ მავთულზე.
მანამდე კი მას უნდა შეეცალოს ნამხრევები. მიაღწევს რა სასურველ
სიგრძეს, გაითხრება არხი იმგვარად, როგორც ეს კეთდება ჩვეულებ-
რივი რქით გადაწილდენისას. ჩაწილენის წინ ორმოში მოსათავსებელ
ყლორტის ნაწილს მოლიანად მოეცლება ფოთლები, შწალები, ნამხ-
რევები. ორმოდან ზემოთ ამოსაშვებ ყლორტს მხოლოდ ნამხრევები
ეცლება, ზრდის კონუსი, ფოთლები და პწალები კი ეტოვება. ამოშ-
ვერილი ყლორტი ხაზშე აიკრება, ორმო კი შეივსება ნაკელნარევი
ფტვიერი მიწით. გადაწილდენიდან 7—10 დღის შემდეგ ყლორტს წა-
წყვეტინ წვერს 5—6 ფოთლის დატოვებით, რაც ხელს უწყობს
ყლორტის უკეთ დაფესვიანებას, ამასთან სტამულირდება ნამხრევების
ზრდა-განვითარება. მათგან 1—2 უკეთესად განვითარებული ნამხარი
გამოიყენება მომავალ წელს საფორმე ელემენტებად.

ვაზიდან ან რამდენიმე რქის გადადად აწი იდვნა. ხშირია
შემთხვევა, როდესაც ძლიერად განვითარებულ ვაზთან ახლომდებარე-



აუგილზე მოცდენილია არა ერთი, ასამედ რამდენიმე ვაზი. მათ წარმოადგენილია ვაზის აღზრდა შესაძლებელია ღონიერი ვაზიდან რამდენიმე რქის გადაწყვიდვით იმავე ხერხით, როგორც ეს ჩვეულებრივი გადაწყვიდვისას ხდებოდა. ვარდა რამდენიმე რქის გადაწყვიდვისა, შეიძლება ღონიერი ვაზიდან რამდენიმე რქის დაფესვიანებაც, რათა შემდეგში ისინი გადავიტანოთ სხვა აღვილზე. ასეთ შემთხვევაში ღრმა ორმოების გათხრა საჭირო არ არის. შეიძლება მისი სილრმე 25—30 სმ-ით განისაზღვროს, სიგანე — 35 სმ-ით. ჩაწიდვნის შემდეგ ორმოს ზემოთ რქები 2—2 კვირტზე წაეჭრება. დედა ვაზზე ერთი ნეკი დარჩება 4—5 კვირტით, შესაძლებელია დატესტის ორი ნეკიც. ეს დამოკიდებულია ვაზიდან გადასაწირნი რქების რამდენობაზე, რაც 4—5-ს არ უნდა აღმატებოდეს. ვეგეტაციის პერიოდში გადაწირნილი რქები 3—4-ჯერ ირწყევება. ყლორტების დანორმება და ფურჩენა დროულად და ხარისხოვნად უნდა ვაწარმოოთ.

ჩინური წესით გადაწირვნა მნიშვნელოვანი ღონისძიებაა დაფესვიანებული სარგავი მასალის მისაღებად. იმ მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია 6—8 ახლად დაფესვიანებული ნერგის მიღება. საამისოდ საჭიროა შეირჩეს საქმაო სიგრძის კარგად განვითარებული რქა, რომელსაც ეცლება პწყალები, ნამხრევები და წვერის განუვითარებელი ნაწილი. ჩაწიდვნა ხდება 25 სმ-ის სილრმისა და 30—35 სმ-ის სიგანის არხებში. ყურადღება უნდა მიეცეს იმს, რომ არხის ძირი კარგად გაფხვიერდეს და შეერთოს გადამწვარი ნაკელი, ჩაწიდნული რქა რამდენიმე ადგილს მყვრდება ხის კაუჭებით. რქის ჩაწვენილი ნაწილი იფარება ფხვიერი მიწის 4—5 სმ-დე სისქის ფენით, მიწის ზემოთ მდებარე კველა კვირტი ეცლება, რათა საკვები ნივთიერებები მოხმარდეს მხოლოდ არხში მდებარე კვირტების განვითარებას. კვირტებიდან ნორმალური ყლორტების განვითარებისათვის საჭიროა ყლორტების დანორმვა. სასურველია 6—8 ყლორტის დატოვება ერთიმეტრისაგან თანაბარი მანძილის დაშორებით; როდესაც ყლორტების სიგრძე ნიაღავის ზედაპირს ამოცდება, არხი იცსება გადამწვარი ნაკელით შერეული ფხვიერი მიწით, მოიტკეპნება და მოიჩყვება. ჩაწიდნულ რქაზე მუხლებთან ვთთარდება ფესვები. მათი ინტენსიური წარმოქმნა-განვითარება დამოკიდებულია მოვლის პირობებზე. ვეგეტაციის პერიოდში საჭიროა 3—4-ჯერ მოტწყვა. ვეგეტაციის დასასრულისათვის ფესვთა სისტემა საქმაო სიძლიერის განვითარებას აღწევს, რაც განპირობებულია როგორც ხსენებული ღონისძიებების გატარებით, ასევე დედა ვაზიდან მიღებული საზრდოოთ,



ყლორტების შეუფერხებელ განვითარებას ისიც შეუწყობს ხელმისამართის დელა მცენარეს მოკლედ გავსხლავთ.

გვიან შემოდგომით ან აღრე გაზაფხულზე ყველა ნაზარდი თავისი ფესვთა სისტემით იჭრება ცალკე ნერგებიდ, რაც მოცდენილ აღვი-ლებზე დაირგვება.

მხარის გაგრძელება-გადახევა იკნება. ეს ღონისძიება ზეღმეტ ხარჯებს არ მოითხოვს. სრულმოსავლიან ვენახში ამ მეთო-დის გამოყენება მეტად უფერტიანია სიმეჩერის აღსავეთად. გაც-დენილი აღვილის შევსებისათვის საჭიროა შტამპზე წინასწარ აღ-ზარდოს ამონაყარი — ერთი საუკეთესო მდებარეობის ყლორტი. კარგი განვითარების მიღწევის მიზნით იგი შპალერის პირველ ზავ-თულზე დამატებულება და პერიოდულად შეეცლება ნამხრევები. კარ-გად მომწიფების შემდევ რქა გადახევნდება გაცდენილი აღვილის მიმართულებით. ამასთან, დედა მცენარეზე მცირდება დატვირთვა ხოლო გადახევნებულ რქაზე მოსავლიანი ყლორტების გარკვეული რაოდენობა ყვავილობის დაწყებამდე შეეცლება. მუდმივ მხარზე შე-იქნება სასქლავი რკოლები, თითოეულზე სამატულესა და სანაყოფეს დატოვებით. გადახევნებულ ვაზზე გასხვლა-ფორმირება ჩდება კორ-დონის მსგავსად. ყურადღება უნდა მიექცეს გადახევნებული ვაზის ნიაღავის დამუშავებას და ორგანულ-მინერალური სასუქებით განკ-ყიერებას.

თავი VII

ვენახის ნიაღავის ნაყოფიერების ამაღლება

1. ნიაღავის ნაყოფიერება და მისი გაუმჯობესების გზები

ნიაღავს ნაყოფიერს უწოდებენ, თუ იგი აქმაყოფილებს მცენარეს საკვები ნივთიერებებით, წყლით, ჰაერითა და სითბოთი, აქვს კეთილ-მყოფელი რეაქცია და არ შეიცავს ტოქსიკურ ნივთიერებებს. ამ თვი-სებებით განისაზღვრება ნიაღავის, როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი საშუალების სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა. ნაყოფიერება ნიაღავის რთული თვისებაა, რაც დამოკიდებულია მასში მიმღინარე ქიმიური, ფიზიკური და ბიოლოგიური პროცესების ერთობლიობაზე. განასხვავებენ ნიაღავის ბუნებრივ და ხელოვნურ ნაყოფიერებას. ბუნებრივი ნაყოფიერება დამოკიდებულია კლიმატ-

ზე, ნიადაგის ქიმიურ, ფიზიკურ და ბიოლოგიურ თვისებებზე, საკუნძულო ელემენტების შემცველობაზე. ხელოვნური ნაყოფიერება კი მარტინულად აღამიანის მიერ ნიადაგზე აგრძოტექნიკური და მცლიორაციული ზე-მოქმედებით, რაც გულისხმობს ნიადაგს დამუშავებას, განვითრებას, დაშრობას, გასარწყავებას, მოკირიანებას და ა. შ.

ცვენასის, ნიადაგის მოვლისა და განვითრებისას მეცნიერულად დასაბუთებული ისეთი ღონისძიებები უნდა გატარდეს, რაც ამაღლებს მიწათმოქმედების კულტურას, გაზრდის ნიადაგის ნაყოფიერებას. ვა-ზის, ისევე როგორც სხვა სასოფლო-სამეცნიერებო კულტურების გან-ვითარება და მაღალი მოსავლიანობა უშუალოდ დამოყიდებულია ნი-ადაგის ნაყოფიერებაზე, რომელსაც მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს. მათგან არსებითი მნიშვნელობა იქვს ნიადაგის მექანიკურ შედგენი-ლობას, ნიადაგის წყლიერ თვისებებსა და წყლის რეჟიმს, პაროვან თვისებებსა და პაერის რეჟიმს, ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს. ნი-ადაგობრივი ფაქტორების გაფლენით ნორმალურად რომ წარიმართოს ვაზის ზრდა-განვითარების პროცესები, საჭიროა ნიადაგი ფცვიერი იყოს, რათა. ფესვთა სისტემს დიდი წრინააზმიდებობის დაძლევა არ მოუხდეს. უნდა ჰქონდეს წყლის საემაო მარაგის დავავების უნარი, რომლის მეშვეობითაც მცენარე მთელ სავეგეტაციო პერიოდში ტენით იქნება უზრუნველყოფილი. ნიადაგში საემაო რომელნობით უნდა მოიპოვებოდეს მცენარისათვის საჭირო საკვები ნივთიერებები. მექა-ნიკური შედგენილობის თვისებურება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ნიადაგში ჰუმუსისა და საკვები ნივთიერებების დაგროვების დონეს. სილნარ ნიადაგებში მაღალი აერაციის რეჟიმის გავლენით სწრაფად მიმდინარეობს ორგანული ნაწილის მინერალიზაციის პროცესი, თიხ-ნარ ნიადაგებში კი ეს პროცესი გაცილებით შენელებულია. მცენარის ფესვების სუნთქვისა და ფუნქციონირებისათვის აერაციის ოპტიმა-ლური რეჟიმის შექმნა შესაძლებელია კარგი სტრუქტურის მქონე ნი-ადაგში.

მცენარეთა ნორმალურ ზრდა-განვითარებაზე დიდ გავლენას ახ-დეს ნიადაგის ფორმიანობა. რაც უფრო მეტად ფორმიანია ნიადაგი მით უფრო გაიოლებულია მასში წყლისა და პაერის ჩაღწევა-დაგრო-ვება. ასეთ ნიადაგებში მცენარეთა ფესვების ზრდაც ნორმალურად მიმდინარეობს. ნიადაგის ფორმიანობის დონე დამოკიდებულია მექა-ნიკურ შედგენილობაზე, სტრუქტურიანობაზე ორგანული ნივთიერე-ბების შემცველობაზე, ნიადაგის ტენიანობასა და დამუშავების ხარისხ-ზე. ფცვიერ ნიადაგში ფორმიანობაც მაღალია. სილრმის მატებასთან



ერთად ფორიანობაც კლებულობს, რაც ზღვდავს ტენისა და ჰერცოგინია შემცველობას. ქვედა ფენებში აერაციის რეზიმის გაუარესება ფქვუნების გავრცელებას აფეხსებს. სტრუქტურულ ნიადაგებში საერთო ფორიანობა 50—65%-ს შეადგენს. ნიადაგის სტრუქტურა არსებით გავლენას ახდენს ნიადაგის ნაყოფიერებაზე, განსაკუთრებით მის წყლიერ-ჰაეროვან რეზიმზე. მცენარეთა ნიარმალური ზრდა-განვითარებისათვის საუკეთესოა კომტოვან-მარცვლოვანი სტრუქტურა. აგრონომიულად სრულფასოვანი აგრეგატების ზომა 1-დან 10 მმ-მდე მერყეობს, მათგან პატიმალურად 2—5 მმ ზომის ნაწილაკები ითვლება. აგრეგატების სიმტკიცეს დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის სტრუქტურის წარმოქმნისა და შენორჩუნებისათვის. ამ თვისებას მათ ნიადაგის ორგანული მასა და კოლოიდების მიერ შთანთქმული კალციუმი ანიჭებენ. სტრუქტურა ნიადაგის ზედა ფენებში უკეთესია, ვიღრე ქვედაში, ვინაოდან სილირმის მატებასთან ერთად ნიადაგში კლებულობს ორგანული მასის შემცველი ნივთიერებანი. სილირმის მატებასთან ერთად უარესდება აერაციის რეზიმი. ნიადაგის ზედა ფენებში უანგბადის რაოდენობა 20%-მდეა, ნახშირორეზნი კი 3%-ს არ აღმატება.

ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის მეთოდები მრავალგვარია. მათი გამოყენებით ესპონტ ნიადაგის უარყოფით და ვაძლიერებით დადებით თვისებებს. ნიადაგის რაციონალური დამზადება, სასუქებისა და მელიორაციის გამოყენება, თესლბრუნვა, ტერიტორიის სწორი, მეცნიერული ორგანიზაცია და სხვა ღონისძიებები მკვეთრად აღიდებენ ნიადაგის ნაყოფიერებას.

ნიადაგის დამზადება არეგულირებს მის წყლიერ-ჰაეროვან და კვებით რეზიმს. ნიადაგის დამზადების მეთოდის შემუშავებისას მხედველობაში მიღება ჰუმუსოვანი ფენის სილირმე, ქვედა ჰორიზონტების თვისება, მექანიკური შედგენილობა და სხვა თვისებები. ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება-შენარჩუნების ყველაზე სწრაფი და საუკეთესო საშუალება ორგანულ-მინერალური სასუქების შეტანაა. აქაც მხედველობაშია მისაღები ნიადაგის თვისებები და მათი შედგენილობა. სასუქების შეტანის ეფექტუანობა მნიშვნელოვნად იზრდება სარწყავი წყლის რაციონალური გამოყენებით.

ნიადაგის ეფექტუანი ნაყოფიერების ამაღლების მნიშვნელოვანი ღონისძიებაა ნიადაგის ღრმად კულტივირება. მისი განხორციელებით შესაძლებელია მრავალწლიანი ნარგავების ფესვთა სისტემის ფუნქციონირებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა, რაც მოსავლი-ანობის გაღიდებას უზრუნველყოფს.

ვაზის ნორმალური ზრდა-განვითარებისა და უხვი, ხარისხოვანი მოსავლის მისაღებად უდაცოდ დიდია ნიადაგის დამუშავების ოლოი. კენახის გაშენებამდე თუ სრულყოფილად ჩატარდა ისეთი აგროტექნიკური ღონისძიებები, როგორიცაა საპლანტაჟე ხენა და ორგანულ-მინერალური სასუქების საჭირო რაოდენობით შეტანა, 2—3 წლის განმავლობაში ნიადაგი მაღალნაყოფიერია და არც საჩეველა მცენა-რებია ძლიერ გავრცელებული. ამ პერიოდში ჯერ კიდევ საქმიანობა გამოხატული პლანტაჟები ჩატარებითა და ორგანულ-მინერალური სა-სუქების შეტანით გამოწვეული კეთილმყოფელი გაფლენა ნიადაგის ქიმიურ შედგენილობასა და ფიზიკურ თვისებებზე, რაც თავის მხრივ დადებით გამოხატულებას პოვებს ნიადაგის წყალ-ჰაეროვანი თვი-სებებისა და მცენარის კვების რეჟიმის გაუმჯობესებაზე. მიზრამ გარ-კვეული წლების შემდეგ ნიადაგი თანდათანობით პკარგავს ღრმად და-მუშავების შედეგად შეძენილ დადებით თვისებებს. ეს კი აბრკოლებს ფესვთა სისტემის განვითარებას.

როგორც ახალშენ, ასევე მსხმოიარე ვენახში ნიადაგის დამუშავე-ბა აუცილებელ სამუშაოდაა მიჩნეული. მისი მთავარი მიზანია სარე-ველი ბალახების მოსპობა, ნიადაგის ფიზიკური თვისებების გაუმჯო-ბესება, ეს თავის მხრივ იწვევს ვაზის ფესვთა სისტემისათვის წყალ-ჰაეროვანი და კვების რეჟიმის ხელშემწყობი პირობების შექმნას.

აღსანიშნავია, რომ რეგიონის მეურნეობებში ბევრგან ნიადაგი არ არის სათანადოდ შოვლილი. ხშირია შემთხვევები, როცა ვენახში წლების განმავლობაში მწყრივები არ იძარება, ხოლო მარტო მწყრივ-თაშორისების დამუშავებით, ისიც ზოგჯერ უხარისხო დამუშავებით, სასურველ შედეგს ვერ ვლებულობთ. ხანგრძლივი ღროით მცენარე-თა შორის მწყრივში ნიადაგის დაუმუშავებლობა იწვევს მის დატებე-ნა-გაკორდებას. ამ მიზეზით ვაზის ფესვთა სისტემის გავრცელების გარევეულ არეზე შეზღუდულია ერაცია და წყლის რეჟიმი. ამიტომ ვენახში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ნიადაგის დამუშავებას, გან-საქუთრებით მწყრივებში. მართალია, მწყრივთა შორის ნიადაგის და-მუშავება გაიოლებულია მექანიზაციის ფართო გამოყენებით, მაგრამ მისი ეფექტი უფერულდება მწყრივების დაუმუშავებლობის გამო. აღვილებზე უნდა განხორციელდეს შრომის თრგანიზაციის ღონისძიება. მწყრივებში ნიადაგი უნდა იძარებოდეს ორ წელიწადში ერ-თხელ მაინც 20 სმ სიღრმეზე. ამ ღონისძიების გაუტარებლობა სხვა



უარყოფით შედეგებსაც იწვევს: მხოლოდ რიგთაშორისებს სისტემაზე
ტურქი, ერთი მიმართულებით ნაღარიად სცნა იწვევს მიწის გურიაშე
შტატებზე, ნიადაგის ფენა ამ ზოლში მაღლდება და შტატი დაბლ-
დება, რასაც თავის მხრივ სხვა უარყოფით შედეგებამდე მიყყავართ —
ვაზის ქვედა ნაწილის ორგანოებს ეზოუდება აერაცია, იზრდება
დავაჯებათა გავრცელების საშიშროება და სარეველების სათანადო
მოქმედება.

ვაზის ნორმალურ განვითარებას დიდად აფერხებენ სარეველა შე-
ნარები. განსაყუთრებით უარყოფით შედეგების მომტანია მრავალ-
წლიანი ბალახები. ვენახებში სარეველების ძლიერი გაფრცელება მრა-
ვალმხრივა საზიანო: საგრძნობლად მცირდება ვაზის მავნებელ-და-
ავადებათა წინააღმდეგ გატარებული ღონიძიებების, აგრეთვე ვაზის
მწვანე ნაწილების ოპერაციების ეფექტი, ფერხდება ვაზის ორგანო-
ების ზრდა, უარესდება ყლორტების მომწიფების პირობები, ნიადაგ-
ში მცირდება აგრძნომიულყად მაღალი ღირსების მქონე აკრეგატების
შედგენილობა; სარეველები დიდ კონკურენციას უწევენ ვაზის ფესვ-
თა სისტემის წყლისა და მასში განსწოლი საკეთო ელემენტების ხარჯ-
ვაში, ხელს უშლიან მტევნებს დამწიფებაში. ონიშნულიდან გამომ-
დინარე, ვენახში ნიადაგი მუდამ გაფხვირებულ და სარეველებისაგან
თავისუფალი უნდა იყოს. ნიადაგის მარცვლოვანი აკებულების უზ-
რუნველყოფა განაპირობებს ტენიანობის, სითბოსა და ჰაერის რეჟი-
მის გაუმჯობესებას, ქიმიური და მიკრობიოლოგიური პროცესების უკე-
თესად წარმართვის. ონიშნული პირობები რომ შეიქმნას, საჭიროა
შემოდგომით ნიადაგის მოხვნა 20 სმ სიღრმეზე. მოხვნის წინ კარგი
იქნება, თუ მწყრიცები წინასწარ გაითოვნება. მოხვნება ნაღარიდ,
ვაზის ძირებზე მიწის მიყრით. შიდა ქართლის მეცნახეობის ზონებ-
ში, ისევე როგორც მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოში, ნიადაგი
შემოდგომით იხვნება. ზამთრის ჰერიონში მოსული ნალექები ღრმად
ჩადის ნიადაგში და იქნება ტენის საქმით მარაგი, რომელიც გამო-
იყენება მცენარის მიერ გაზაფხულის პერიოდში. გარდა ამისა, ნალე-
ქისა და ყინვის გავლენით ნიადაგი იშლება და ფხვიერდება. შემოდ-
გომით მოხნული ნიადაგი გაზაფხულზე 12—15 სმ სიღრმეზე გადა-
იხვნება. ვაზის ძირებს მოსცილდება შემოდგომაზე მიყრილი მიწა და
ნაზურები გაყეთდება. ეს სამუშაო ტარდება ნიადაგის შეშრობის შემ-
დეგ, რადგან ძლიერ დატენიანებული ნიადაგის მოხვნისას ჭიანურდე-
ბა შემდგომში მისი გაფხვირება და სტრუქტურის აღდგენა. როგორც
აღინიშნა, მწყრიცები ორ წელიწადში ერთხელ მაინც დაიბარება,

ხოლო იმ წელიწადს, როცა ეს არ მოხერხდება, აუცილებელია კანკრინის განვითარების თოხნა. ზაფხულის პერიოდში ტარლება მწყრივთაშორისის განვითარების საშუალება.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, მწყრივების დაუმუშავებლობა სხვა უარყოფით შედეგსაც წარმატების უფრო მეტად რთულდება და ძნელად შესასრულებელი ხდება. ძლიერ გამკვრივებულ-გატკეპნილი ნიადაგის სამუშავება. ამასთან, ფესვთა სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილი ექ-
ცევა 0—20 სმ სიღრმეზე, დაბარეისას ფესვები ეჭრება და ზიანდება, რაც ისედაც დასუსტებულ ვაზს უფრო აკრინებს. ამიტომ, უნდა გატარდეს ორგანიზაციული ღონისძიებები, რათა ერთხის ნიადაგი როგორც მწყრივთა შორის, ისევე მწყრივებში რეგულირებულად. მუშავდებოდეს.

8. ვენახის ნიადაგის განოზივერება

მევენახეთა შუღმივი ზრუნვის სავანია ნიადაგის ორგანულ-მინერალური სასუქებით განოვიერება. ვაზი მრავალწლიანი მცენარეა და ათეული წლების მანძილზე ერთსა და იმავე ნაკვეთზე იზრდება, რისთვისაც მოითხოვს დღიდი რაოდენობის საკვებ ნიერიერებებს. განვითარებისა და ნაყოფიერების შესაბამისად ვაზს ნიადაგიდან გამოიქვებინი. ამის გამო, დროთა განმავლობაში ნიადაგი ღარიბდება მცენარისათვის საჭირო საჭვები ელემენტებით. ეს გარემოება აუცილებელია ხდის ნიადაგის ნაყოფირების გამაუმჯობესებელი ღონისძიებების გატარებას. მხედველობაში ისიცა მისამები, რომ მოსაფლიანობის გასაღიბდებლად და პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად საჭიროა ნიადაგი შეიცავდეს ყველა სახის საკვებ ელემენტებს, რის უზრუნველყოფაც შესაძლებელია ორგანულ-მინერალური სასუქების შეტანით. ვაზის ნორმალური ზრდა-განვითარებისა და ცხოველმყოფელობისათვის სხვადასხვა სახის საკვებ ელემენტებს საჭიროებს. აზოტი დიდი რაოდენობით შედის ფოთლებში, ყლორტებში და სხვა ორგანოებში. აზოტის სიმცირე იწვევს ფოთლის ფერის შეცვლას, ძლიერი უკმარისობის პირობებში ისინი სრულიად ყვითლდებიან, ამ ელემენტით ნორმალურად უზრუნველყოფისას ვაზი ნორმალური ზრდა-განვითარებით ხასიათდება. იგი აუმჯობესებს ღვანის ხარისხს.

ისე, როგორც აზოტი, ფოსფორიც დიდ როლს ასრულებს მცენ-



ნარის ზრდა-განვითარებაშე. ეს ელემენტი უჭრედს წყლის დაფაზე და უნარს ანიჭებს, რაც აძლიერებს გვალვისადმი და დაბალი ტემპზე და ტურისადმი მცენარის გამდეობას. ფოსფორით უზრუნველყოფის პონობებში ჩქარდება მცენარის სავეგეტაციო ვაზის გადასვლა რეპროდუქტიულში. ფოსფორმჟავა ხელს უწყობს შაქრის დაგროვებას ყურძენში, აჩქარებს მის დამწიფებას. ფოსფორის სიმცირე იწვევს ვაზის ზრდის შესუსტებას, ფერხდება ყვავილობა, რის გამო მცირდება მოსაცლიანობა.

კალიუმი დიდ გავლენას ახდენს მცენარეში შაქრის წარმოქმნა-გადანაცვლებაში, ხელს უწყობს ფოტოსინთეზის აქტიურობას, აუმჯობესებს მცენარის პროცესლაზმის ფიზიურ-ქიმიურ თვისებებს, კერძოდ, მნიშვნელოვნად იზრდება წყლის დაფავების უნარი. ამ უკანასკნელზე კი გარკვეულად არის დამოკიდებული გვალვისა და დაბალი ტემპერატურისადმი გამდეობა. ეს ელემენტი ხელს უწყობს ნახ-შირწყლების დაგროვებას ვაზის ორგანოებში, რაც გარემო უარყოფით ფაქტორთა მიმართ გამდეობის უნარს უდიდებს, აჩქარებს რქის მომწიფებას და ყურძენს აძლევს ჭიშისათვის შესაფერის შეფერილობას. კალიუმით ვაზის კვების უკმარისობისას რქის მუხლითშორისები მცირდება, ფოთლის წვერზე ჩნდება ლაქები, ეცემა ყინვაგამძლეობა, ყურძენში მცირდება შაქრიანობა, იზრდება მუავიანობა, რაც ამცირებს პროცესუალური ხარისხს.

ნიაღაგში კალიუმის შეტანა ყდილებს ყურძნის შაქრიანობას, ღვინოს მატებს სიხალისეს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ კირიან ნიაღაგებზე მაღალი ხარისხის ყურძენი მიიღება.

ვაზის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის ხელსაყრელია ნეიტრალური ან სუსტი შეავე ნიაღაგები. ჭარბი მუავიანობის მქონე ნიაღაგებზე ვაზის განვითარება ფერხდება. ჭარბი მუავიანობის გასანეიტრალებლად საჭიროა კირის შეტანა.

ვენახში ნიაღაგის გასანოყიერებლად გამოიყენება როგორც ორგანული, საცვე მინერალური სასუქები. მათი გამოყენებისას მხედველობაში მიიღება. ნიაღაგობრივი პირობები, ნარგაობის ასკი და სხვ.

ორგანული სასუქები შედგება ორგანული ნიერთიერებებისაგან და შეიცავს მცენარის კვებისათვის საჭირო ყველა საკვებ ნიერთიერებას როგორც ორგანული, საც მინერალური ნაერთების სახით. ამიტომ ორგანული სასუქები რთული სასუქებია. ამ სასუქებიდან ვენახის ნიაღაგის გასანოყიერებლად გამოიყენება ნაკელი, ნაკელის წუნწუხი, ტორჭ-კომპოსტები, მწვანე სასუქები



(სიღერატები) და სხვა. ორგანული სასუქი შეიცავს აზოტს, ფრანკონიუმის, ფორმის, კალიუმს, კალიუმს და სხვა ელემენტებს, აგრეთვე ორგანულ ნივთიერებას, რომელიც აუმჯობესებს ნიადაგის ფიზიკურ თვასებებს, ამაღლებს მის შთანთქმითუნარიანობას და ბუფერობას, დადგებითად მოქმედებს ნიადაგში მიქროორგანიზმების განვითარებაზე, ნიადაგს ამდიდრებს ქიმიურად.

ნიადაგის ნაყოფიერებას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მასში ორგანული ნივთიერებების შემცველობა, რომელთა მინერალიზაციის პროცესში მცენარის კვების მთავარი რესურსია. ეს ნივთიერებები, როგორც ითქვა, აუმჯობესებს ნიადაგის ფიზიკურ თვისებებს და ხელს უწყობს მტკიცე სტრუქტურის შექმნას. რაც უფრო მდიდარია ნიადაგი ორგანული ნივთიერებებით, მით უფრო მაღალია მისი ნაყოფიერება.

ნიადაგში ასესტული ორგანული მასა მცენარეული, ცხოველური და მიქრობული წარმოშობისაა, რომლის 89—90%-ს სპეციფიკური ბუნების მქონე ჰუმუსოვანი, ანუ ნეშმებილი ნივთიერებები შეადგენს. დანარჩენი 10—15% მოდის ე. წ. არაპუმიფიცირებულ ნივთიერებებზე, რომელიც მკვდარი, მაგრამ ჯერ გაუსრუწნელი ან ნახევრად გახრმილი ორგანული ნარჩენების პროდუქტია. მიადაგის ორგანული ნაწილი შეიცავს მცენარის საკვებად აუცილებელ მინერალულ ელემენტებს და ბიოლოგიურად აქტიურ შენაერთებს. ეს უკანასკნელი ერთვება მცენარეში მიმდინარე ბიოქიმიურ პროცესებში და დადგებითად მოქმედებს მის განვითარებაზე. მრავალწლიანი მცენარეები ჰუმუსით მდიდარ ნიადაგებზე მძლავრად ვითარდებიან და უხვად მსხმოარობენ. განსაკუთრებით იქ, საღაც ჰუმუსიანი პორტაციონტები დადგი სიღრმისაა, ვინაიდან აღნიშვნულ ფენტში ფენტი სისტემის განვითარებისათვის სელშემწყობი პირობებია შექმნილი.

ნაკელი მნიშვნელოვანი ორგანული სასუქია. იგი მოსავლის გადიდების მეტად ეფექტური საშუალებაა. შეიცავს მცენარისათვის აუცილებელ ჭველა საკვებ ნივთიერებას — აზოტს, ფოსფორს, კალიუმს და სხვა. ახალი ნაკელი შენახვისას მიქროორგანიზმების ზემოქმედებით გარდაიქმნება. ამის შედეგად საგრძნობლად იცვლება მისი ჭიმიური, ფიზიკური და ბიოლოგიური თვისებები; ამასთან, უმჯობესდება მისი გამოყენებითი თვისებებიც. ნაკელი თასნარ ნიადაგს უკარგავს ზედმეტ სდექვრივეს და გაგლესვის თვისებებს, რის შედეგად იღლად დასამუშავებელი ხდება, უმჯობესდება ერაციისა და წყალგამტარობითი თვისებები, უფრო ჩქარა ზურდება. ქვიშნარი ნი-

აღაგი კი პირიქით — ნაკელის შეტანისას უფრო შეკავშირებული ხდება, მასში იზრდება წყლის შეკავების უნარი (ი. ნაკაძე).

ნაკელით განოყიდება ნიადაგის ნაყოფიერების სწრაფად აღდგნისა და შენარჩუნების საკუთხევლის ღონისძიებაა. მასი შეტანით ნიადაგში საგრძნობლად იზრდება ნეშომპალის რაოდენობა. იგი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ნიადაგის სტრუქტურას.

ნაკელი განსაკუთრებით დადგებითად მოქმედებს ბიცობი ნიადაგების ფიზიკური თვისებების გაუმჯობესებაზე. მეუკე ნიადაგების ნაკელით განოყიდებისას ხდება მუჭაიანობის მავნე მოქმედების ნაწილობრივი განერიტრალება. ნაკელით განოყიდებულ ნიადაგზე აღზრდილი მცენარე გაუღლებით მეტ ვიტამინებს შეიცავს, ვიღრე გაუნოყიდებელზე. ეს სასუქი ხელს უწყობს ნიადაგში ტენის შენარჩუნებას.

ნაკელი, ისევე როგორც სხვა ორგანული სასუქები, ენერგეტიკული მასალა და წყაროა მიკროორგანიზმების კვებისათვის და გამოიყოფა დადი რაოდენობით ნახშირმჟავები, რომელიც იწვევს ნიადაგის ჰაერის და ატმოსფეროს მიწისზედა შრის გაფერებას. ეს მკეთრად აუმჯობესებს მცენარის ჰაერის კვებას. რაც უფრო დიდი რაოდენობითაა ნიადაგში შეტანილი ნაკელი, მათ მეტი ნახშირმჟავები წარმოიქმნება მათი გახრმნისას და უფრო ზელსაყრელი პირობები იქმნება მცენარის ჰაეროვანი კვებისათვის. ორგანული სასუქების მაღალი ღოზების შეტანა იწვევს ნიადაგის ძლიერ კულტივირებას. იგი მდიდრდება ჰუმუსით, უმჯობესდება მასი ბიოლოგიური, ფიზიკური, ქიმიური, ფიზიკო-ქიმიური თვისებები, ჰაერისა და წყლის რეაქტი. იზრდება შთანთქმის ტევადობა და ნიადაგის ფუძეებით (Ca , Mg , K) მაძლრობის ხარისხი, კლებულობს ნიადაგის მუჭაიანობა, მცირდება ალუმინის, რკინის, მანგანუმის მოძრაობა და უმჯობესდება ბუფერობა.

აღნიშნულ დადებით თვისებებთან ერთად, მცენარის ზრდა-განვითარებაზე ნაკელის დადებითი მოქმედება განპირობებულია მასში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების — ვიტამინების, აუქსინების, ზოგიერთი ამინმჟავის, ანტიბიოტიკებისა და სხვათა შემცველობით. ფესვთა სისტემა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს იყენებს უშუალოდ, პირდაპირი სხით. ამიტომ აღნიშნულ ნივთიერებათა როლი უდავთად დიდია მცენარის განვითარების ჩეგულირებაში.

მიუხედავად ამისა, ნაკელი — სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გაზრდის ეს მძლავრი საშუალება — ხშირად ვერ გამოიყენება რაციონალურად. მეურნეობებში ნაკელები ყურადღება აქციება ტიპური სანაკელების მოწყობას. ნაკელი გამლილ ჰატარა გროვ. ა. ჭავჭავაძე



ცებად ყრია ფერმებთან ან მინდვრებსა და ბალ-ვენახებში, რაც უფრო ვებელია. ნაკელის თვისებები უარესდება, კარგავს მცენარის საკუთრების საკვებ ელემენტებს. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით იკარგება აზოტი — ნაწილი ირეცხება მოსული ნალექებით, ნაწილი გადადის გაზის მდგომარეობაში და ფუჭად ორთქლდება.

როგორც წესი, საჭიროა ყველა მეურნეობაში მოწყოს სანაკელე. მისი სიღრმე 1—1,5, სიგანე კი — 2—3 მეტრი უნდა იყოს. სიმაღლე ნიაღავის ზედაპირიდან — 1—1,5 მეტრი. სიგრძე ნებისმიერია, უფრო სწორად, დამოკიდებულია მეურნეობაში არსებული ორგანული სასუქების რაოდენობაზე. სანაკელეში ყოველი ჩაყრისას ნაკელი უნდა დაიტკეპნოს. ამგვარად მომზადებულ გროვს ზემოდან დაყყრება ფხვიერი მიწის თხელი ფენა. ასეთი წესით შენახვისას საგრძნობლად მცირდება აზოტის დანაკარგები, მასში მიღინიარე ბიოქიმიური პროცესების შედეგად ნაკელი განიცდის მთელ რიგ თვისებრივ გარდა მნებს. გადამწვარი ნაკელი ზელსაყრელი ხდება მცენარის კვებისათვის.

თუ მეურნეობაში დროებით არ ხერხდება სანაკელეს მოწყობა, ნაკელი არ უნდა დაიყაროს გროვების სახით, უკიდურეს შემთხვევაში, იგი 1,5—2 მეტრის შტაბელებად უნდა განლაგდეს, გვერდებსა და ზემოდან 10—15 სმ მიწის ფენით დაიფაროს.

ნაკელის შენახვის წესი გავლენას ახდენს მასში ნივთიერებების შემცველობაზე. ჩვეულებრივ გროვაში — პირუტყვის ქვეშსაფენად ნამჯის გამოყენებისას ორგანული ნივთიერებების დანაკარგები 32,6%-ია, დატკეპნილ შტაბელში — 12,2%. აზოტის დანაკარგები შესაბამისად — 31,4—10,7%.

ნაკელის შედგენილობა დამოკიდებულია პირუტყვზე, მის საკვებზე, გამოყენებულ ქვეშსაფენზე. როცა პირუტყვის საკვები მაღალი კვებითი ღირებულებისაა, ნაკელის ხარისხობრივი მაჩვენებელიც უმჯობესდება — უფრო მდიდარია აზოტითა და ფოსფორით.

თივა და ნამჯი კარგ ქვეშსაფენად ითვლება. ისინი კარგად იწოვენ სისველეს და ამიტომ აზოტის დანაკარგებიც მცირდება. აღნიშნული ქვეშსაფენის გამოყენებისას ნაკელის ეფექტიანობა ჩვეულებრივ ნაკელთან (უქვეშსაფენიდ) შედარებით 20—30%-ით იზრდება. სასუქების ყოფილი საკავშირო ინსტრუმენტის მონაცემებით დასტურდება, რომ ერთ სულ პირუტყვზე 2—6 კგ ქვეშსაფენის გამოყენებით ნაკელში აზოტის დანაკარგები 3—4-ჯერ მცირდება. ასევე კარგია ქვეშსაფენად ტორფი (მისი ტენიანობა 60%-ს არ უნდა აღემატებოდეს), კარტოფილის ლერო და სხვ.



ნაკელის ზარისხის გაუმჯობესებაზე, კერძოდ, მასში აზოტის ფრანგულის კარგების შემცირებაზე დადებით გავლენას ახდენს აკრეოცე ფოსფოროვანი რიანი სასუქების შერევა. ტონა ნაკელს უნდა დაემატოს 15—25 კგ ფოსფორიტის ფევილი ან სუპერფოსფატი, მეტი რაოდენობით შერევისას ნელდება მიკრობიოლოგიური მოქმედება. ნაკელში კარგად ვითარდებიან მიკროორგანიზმები, რის შედეგადაც თითქმის მთლიანად შთანთქმება ამიაკი, ხოლო ბიოქიმიური პროცესები, როგორც ითქვა, იწვევს მთელ რიგ თვისებრივ გარდაქმნებს. ამიტომ ფოსფოროვანი სასუქის მეტი რაოდენობით შერევისას ნელდება მიკრობიოლოგიური მოქმედება. კარგ შედეგს იძლევა ნაკელთან ტორფის შერევაც. მ. იაზვილების მონაცემებით, ნაკელში (ფოსფორიანი სასუქების გარევის გარეშე) ორგანული ნივთიერებების დანაკარგები შეადგენდა 30%-ს, აზოტისა — 28%-ს, 2% ფოსფორიტის ფევილის დამატებისას — შესაბამისად 15—12%-ს. 2% სუპერფოსფატის შერევისას კი 14—6%-ს. საინტერესოა, რომ 20% ნაკელისა და 80% ტორფის შერევისას ორგანული ნივთიერებების დანაკარგი 14%-ია, აზოტისა — 12%, ხოლო ნაკელისა და ტორფის აღნიშნულ ნარევზე 2% სუპერფოსფატისა ან ფოსფორიტის ფევილის შერევისას ორგანული ნივთიერებების დანაკარგი მხოლოდ 6% იყო, აზოტისა კი — 1—2%.

ეს მონაცემები უაღრესად მნიშვნელოვანია და ადგილებზე სასუქების გამოყენებისას მხედველობაშია მისაღები. მეურნეობებში რატომლაც ნაკლები ყურადღება ექცევა ფრინველის ნაკელის შეგროვებას და მის გამოყენებას ნიადაგის გასანობიერებლად. ფრინველის ნაკელი მცენარის მრავალ საკვებ ელემენტს შეიცავს, მასში 0,6—1,6% აზოტია, 0,5—1,5% P_2O_5 და 0,6—0,9% K_2O .

ტორფი და ტორფის სასუქები. ტორფი მცენარეული და ცხრველური ორგანიზმების მასაა, რომელმაც განიცადა ნაწილობრივი ლპობა ჭარბი წყლის პირობებში. ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე გავრცელებული წველა სახეობის ტორფის უმეტესობა გადაუმუშავებლად, უშუალოდ ორგანულ სასუქად არ გამოდგება, რადგან ნაკლებადად დაშლილი, მიკროორგანიზმით ლარიბია, მცენარისათვის შესათვისებელი ფორმის საკვებ ნივთიერებებს მცირე რაოდენობით შეიცავს. ტორფისან ორგანულ სასუქს ამზადებენ მასზე სხვა ორგანული ან მინერალური ნივთიერებების მიმატებით და მათთან დაკომპისტებით. ორგანული ნივთიერება ტორფს ემატება მიკროორგანიზმებით გასამდიდრებლად და მისი ორგანული ნაწილის დაშლის დასაჩქარებლად, ხოლო მინერალური ნივთიერებები ემატება მოჭარ-

ბებული მუვიანობის გასანეიტრალებლად, აგრეთვე ორგანულ ნივ-
თიერებათა დაშლისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად დამაკი

ტორფიდან მზადდება ორგვარი ორგანული სასუქი—ტორფის კომ-
პოსტები და ტორფის სასუქები. პირველი სეთი ორგანული სასუქია,
რომელშიც ტორფი რაოდენობრივად სჭარბობს დასაკომპოსტებლად
მასზე მიმატებულ ორგანულ ან მინერალურ ნივთიერებას, ტორფის
სასუქი კი ეწოდება ისეთ ორგანულ სასუქს, რომელშიც ტორფის რა-
ოდენობა თანაბარია ან ნაკლებია დასაკომპოსტებლად მიმატებულ
ნივთიერებებზე (ა. მენაღარიშვილი).

კომპოსტები. ყველა მეურნეობაში მაქსიმალურად უნდა გა-
მოვყენოთ ნაკელი. თუმცა აღნიშნული რესურსებიც არ ქმარა სასოფ-
ლო-სამეურნეო კულტურების გასანყიფრებლად. ამიტომ ყოველნა-
ირად უნდა ვიზრუნოთ მეურნეობაში არსებული სხვადასხვა სახის
ანარჩენებისაგან კომპოსტების დასაშადებლად. საკვებად გამოყენე-
ბული ასეთი ანარჩენებია: ნამჯა, ჩალა, თივა, ძირხვენები, სხვადასხვა
სარეველა ბალახები და ა. შ. აღნიშნულ ორგანულ მასას დამატება
10% ნაკელი ან ტორფი. თუ არსებული საკომპოსტე მასალა მცირე
რაოდენობით შეიცავს აზოტს, მაშინ მას ემატება საერთო წონის
10% ამონიუმის სულფატი ან 0,7% ამონიუმის გვარჯილა. საკომ-
პოსტე—მასალა ერთიმეორები კარგად ირჩევა, შემდეგ დაიტექნება,
დაიღვება შტაბელად და ზემოდან 10—15 სმ-ზე ფხვიერი მიწის ფე-
ნით დაიფარება. დაკომპოსტების ხაგრძლივობა დამოკიდებულია
გროვის შემადგენელ ნივთიერებათა წარმოშობასა და ხაიათზე. იგი
შეიძლება წლიადეც გაგრძელდეს.

მწვანე სასუქები (სიღრატები). ვენახში ნი-
აღავის ორგანული სასუქებით გამდიდრების ერთ-ერთი ზნიშვნელო-
ვანი წყარის უხვი მწვანე მასას მომცემი მცენარეების თესვა და მათი
ნიადაგში ჩახვნა. სასიდერაციოდ გამოიყენება სხვადასხვა კულტურა:
ცერცვი, სოიი, მუხუდო, ესპარცეტი, ხანკუოლა, იონჯა, სამყურა და
სხვა, რომელთა შერჩევა დამოკიდებულია კლიმატურ და ნიადაგურ
პირობებზე. სიღერატები დაითესება შემოდგომით, ხოლო ჩახვნე-
ბა — ვაზაფხულზე. მათი ჩახვნა ვაზის ინტენსიური ზრდის პერიოდს
ან უნდა ემთხვეოდეს, რათა ნაკლებად დაიჩრდილოს ბალახებისაგან.
მწვანე სასუქების ჩახვნა ნიადაგში წარმოებს ყვავილობის ფაზაში
15—18 სმ-სიღრმეზე.

როგორც ჭ. ონიანის (51) ცდებით დასტურდება, ვენახში ნაკელი-
სა და NPK შეტანით, აგრეთვე NPK და ბარდის საშემოდგომო ნა-



თესის) ჩახვნით 0—50 სმ ფენაში ჰუმუსის შემცველობა ჰა-ზე გადაიხდა ანგარიშებირ 10 წლის განმავლობაში 30,8—35,4 ტონით იზრდებოდა კონტროლო ქსასუქო ვარიანტის ამავე ფენასთან შედარებით. ჰუ-მუსის შესაბამისად იზრდება N, P და K-ის ორგორც საერთო, ისე მცენარისათვის შესათვისებელი ფორმების შემცველობა.

საჩუავ ფართობებში შეიძლება სიღერატების გაზაფხულზე თეს-ვა, მაგრამ გაზის მოვლის გაადგილებისა და ნათესის დაზიანების თა-ვიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია სიღერატების თესვა ვაზის მშერივების რიგგამოტოვებით. მომდევნო წელს დათესება წინა წელს დაუთესავ რიგგებში. საგაზაფხულო სიღერატების ჩახვნისას საჭიროა სიფრთხილე, რათა ვაზი არ დავაზიანოთ.

მინერალური სასუკები ნივთიერებების ნაწილი მცენარისათვის მისაწევდომი ხდება მინერალიზაციის შემდეგ. შეიძლება ორგანული სასუკების მინერა-ლიზაცია ნიადაგში წავიდეს ისეთი არასაქმაო ინტენსიურობით, რომ მცენარე ვერ დაემაყოფილდეს საკვები ნივთიერებებით მაქსიმალური მოთხოვნილების პერიოდში. ორგანულიდან ვანსხვავებით, მრავალი მინერალური სასუკი ითვლება სწრაფმოქმედად. მათში შემავალი საკ-ვები ელემენტები შეიძლება გამოვიყენოთ მცენარის მიერ ნიადაგში შეტანისთანავე. ორგანული და მინერალური სასუკების შეთანაწყო-ბით შესაძლებელია მცენარის მოთხოვნილების დაემაყოფილება საკ-ვებ ელემენტებზე. მინერალური სასუკებიდან ძირითადად გამოიყენ-ბა აზოტიანი, ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუკები.

აზოტიანი სასუკებიდან გამოიყენება ამნიუმის ვაპ-ჯილა, სულფატამონიუმი, ნატრიუმის გვარჯილა და შარლოვანა, მათ-ში აზოტის შემცველობა შესაბამისად 34—35; 20—21; 15—16 და 46%-ია.

ფოსფორიანი სასუკებიდან ვენახში ძირითადად გა-მოიყენება სუპერფოსფატი და ფოსფორიტის ფქვილი, რომლებიც ფოსფორს შეიცავენ შესაბამისად 18—20 და 15—20%-ის ოდენობით.

კალიუმიანი სასუკებიდან მნიშვნელოვანია ქლორქა-ლიუმი და კალიუმის სულფატი (მათში შესაბამისად K_2O 50—60 და 45—52%-ია).

სასუკების შეტანა. მათი შეტანისას მხედველობაშია მი-სალები ნიადაგის დამუშავებისა და განხოყიერების წინა წლებში გამო-ყენებული ღონისძიებები, ნიადაგის ნაყოფიერების დონე.

როგორც ორინიშნა, ნიადაგის ნაყოფიერების ამოლებისათვის

ზრუნვა იშეუბა ჭერ კიდევ ახალი ვენახის გაშენებამდე. პლანტაციები წინ განკუირება ნიაღავში ზრდის საკვები ელემენტების შეტაცი-ლობას, მაგრამ გარკვეული წლების შემდეგ კვლავ ტარდება ღონისძიებები ნიაღავის ნაყოფიერების აღდგენა-შენარჩუნებისათვის.

ორგანული და ფოსფორ-კალიუმინი მინერალური სასუქების შეტანა საჭირო ნიაღავის შემოღვიმით დამტავებისას. როგორც ორგანული, ასევე ფოსფორ-კალიუმინი სასუქების შეტანა შეიძლება ყოველწლიურად, ასევე გადიდებული დოზებით 3—4 წელიწადში ერთხელ. ახალგაზრდა ვენახში სრულმასხმიარესთან შედარებით გატოლებით ნაჯები დოზებია საჭირო, ვინაიდან გაშენებიდან 2—3 წლის განმავლობაში ვაზის ფესვთა სძსტემას მთლიანად არ ითვისებს მის-თვის გამოყოფილი კვების არე. ყველთესია ახალგაზრდა ვენახში შევიტანოთ ორგანულ-მინერალური სასუქების ნარევი მწერივში და ჩავბაროთ. თითოეულ ჰექტარზე შეგვაძვს 10 ტონა ნაკელი, ფოსფორი — 60—70 კგ, კალიუმი — 40—60 კგ (ფოსფორი და კალიუმი ნა-ანგარიშევია წმინდა ნივთიერებაზე გადაყვანით).

მსხმოიარე ვენახში შეგვაძვს ყოველწლიურად 12—13 ტონა ნა-კელი ან 40—50 ტონა 3—4 წელიწადში ერთხელ. ფოსფორი 100—120 კგ და კალიუმი — 80—90 კგ (მინერალური სასუქები ნაანგარი-შევია წმინდა ნივთიერების სახით). ორგანული სასუქების ნაკელის მაგივრად — ტორფ-კომპოსტები. ორგანული სასუქები შეიძლება შეიცვალოს რიგთაშორის სიღერატების აღზრდის შემდეგ მათი მწვანე მა-სის ჩახვნით.

აზოტი სწრაფად აქროლადია და ნიაღავის ქვედა ფენებშიც სუვე სწრაფად გადაინცვლებს, ამიტომ აზოტოვანი სასუქების შეტანა უმ-ჯობესია ვეგეტაციის ჰერიონდში. მისი შეტანა უნდა დავუკავშიროთ ნიაღავის საგაზაფხულო-საზაფხულო დამტავებას (თონხა, კულტივა-ცია) და რწყვას. კარგ შედეგს იძლევა აზოტით გამოკვება ყვავილო-ბის წინ ან დამთავრებისთანავე. ვაზის ნარგაობის თითოეულ ჰექტარზე საჭიროა 60—120 კგ (წმინდა ნივთიერება) აზოტი.

ახალგაზრდა, სრულმასხმიარებაში შესვლამდე ვენახში მინერა-ლური სასუქების გამოყენებისას ბ. ვაშაყმაძემ, გ. გაფრინდაშვილმა, ნ. კირეტაძემ ც. ნებიერიძემ (17) დააღვინეს, რომ ვაზის გასწვრივ მეტრიან ზოლში NPK-ს შეტანა (თითოეულის 100 კგ, სუფთა ნივ-თიერების სახით) იწვევს ჰა-ზე მოგების მიღებას.

ავტორთა ჯგუფის (ბ. ვაშაყმაძემ, მ. ვაშაყმაძე, ლ. გელეიშვილი, მ. რობიტაშვილი, გ. კორშია — 16, გვ. 96—101) ცდებით დადგინდა,



რომ ქართლის შევენახეობის ზონაში (გალაციის ექსპერიმენტული მდგრადად ურნეობა), ალვიურ-კარბონატულ ნიადაგებზე რეაქტიულის ჭირის ვაზით გაშენებულ ვენახში PK-იანი სასუქების 4 წლის დოზის 4 წელიწადში ერთხელ შეტანისას უსასუქო ვარიანტთან შედარებით ყურძნის მოსავლიანობა ჰექტარზე 21,6 ცენტნერით გაიზარდა, აგროტექნიკით გათვალისწინებულ ყოველწლიურ დოზებთან (P₂₀, K₉₀, N₈₀ კგ) შედარებით კი — 12,6 ცენტნერით.

შევლევართა მიერ დადასტურებულია ცენაზის ნიადაგის ორგანულ-მინერალური სასუქებით ორმაღ განიყიფერების მაღალი ეფექტიანობა. სასუქების 35—45 სმ სიღრმეზე შეტანისას ვაზის ფესვები ექცევიან და დროხანს რჩებიან საკვები ელემენტებით გამდიდრებულ კერაში, რითაც იქმნება მათი ფუნქციონირების სხელსაყრელი პირობები. ეს მოელენა თავის მხრივ განაპირობებს ვაზის ნორმალურ განვითარებას.

ღონისძიებანი ვაზის ქლოროზის პროცესი და მკურნალობის ათვის.

ვაზის ქლოროზი შეტად რთული დაავადებაა და მას მნიშვნელოვანი ზარალი მოაქვს. ქლოროზით დაავადებულ ვაზს ფოთლები უყვითლდება, რაც გამოწვეულია მასში ქლოროფილის წარმოქმნის შეფერხებით. ამ დაავადების გამომწვევე — მიზეზები სხვადასხვაა: ნიადაგში მცენარისათვის შესათვასებელი რეინს ნაკლებობა, ჭარბყირიანობა და მისგან გამოწვეული კვების პირობების დარღვევა, ნიადაგში ჭარბი ტენი ან ნაჯლებობა, ტოქსიკური ნივთიერებების არსებობა და სხვ.

შეიძლება შემთხვევაში ქლოროზის გამომწვევ მიზეზად გვევლინება ნიადაგის ქვედა ფენების კარბონატობა და დატერნულობა, რაც რეინის შეუთვასებლობის საფუძველი ხდება. ქლოროზის იწვევს აგრეთვე სხვადასხვა მარილით ნიადაგის დამლაშება.

როგორც შევლევართა ცდებით დატერნდება, ქლოროზით დაავავადების თავიდან აცილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა ფაზის საძირისა და სანამყენეს სწორად შერჩევა. ქლოროზისადმი გამდლეობა დამოკიდებულია არა მარტო საძირებე, არამედ სანამყენეზე-დაც, ქლოროზგამძლე საძირების შერჩევასთან ერთად სანამყენეც ძლიერი ზრდის გამოიწვიან უნდა ავილოთ, რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს საძირის ქლოროზისადმი გამდლეობა, რასაც განაპირობებს ძლიერი ფესვთა სისტემის ჩამოყალიბება.

ქლოროზის გამომწვევ მიზეზთა შორის აღსანიშვია ნიადაგის კვედა ფენებში მინერალური ნივთიერებების ნაჯლებობა. ამიტომ ყუ-

რადღება უნდა მიექცეს ნიადაგის ლრმად კულტივირებას — ორგანიზაცია
მინერალური სასუქებით ნიადაგის ლრმად შეტანით, სიდერატურის ფა-
მოყენებით და რწყვის რეჟიმის რეგულირებით შესაძლებელია ვაზის
ფესვთა სისტემის ნორმალური განვითარება.

ნიადაგობრივი პირობების გაცლენით ნორმალურად რომ წარიმარ-
თოს ვაზის ფესვთა სისტემის განვითარება, საჭროა ამ პირობების
გასაუმჯობესებლად ვიზრუნოთ ვენახის გაშენებამდე, მნიშვნელოვა-
ნია ნიადაგის სწორად შერჩევა, რვეისტინა დამუშავება მაღალაგრო-
ტექნიკურ ღონებზე და ორგანულ-მინერალური სასუქებით სათანადო
დოზებით განყოირება, საღრენავე ქსელის მოწყობა ჭირბტენიან ნი-
ადაგებზე ან შრალი ადგილების რაციონალური მორწყვა, ტურე ნი-
ადაგების გამევაინება, ნიადაგში რეინის მარილების შეტანა, ხელატე-
ბის გამოყენება და სხვა. ვაზის გაშენების შემდეგ კი მუდამ მაღალ
ავტოტექნიკურ ღონებზე უნდა ტარდებოდეს ნიადაგის მოვლისა და
განრყიდვების სამუშაოები ვენახში. სასუქების შეტანის ღოზები შე-
მუშავდეს ნიადაგური და კლიმატური პირობების მიხედვით, ვენახების
ცალკეული მასივისა და ქლოროზის გამოვლინების გათვალისწინებით.
განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორგანულ-მინერალური სასუქების
კომბინირებული შეტანა.

უნდა გვახსოვდეს, რომ სხელის დროს გადატვირთვის შემთხვევა-
ში მცირდება ვაზის ზრდა. დასუსტებული ვაზი შედარებით ძლიერდება
ავადდება ქლოროზით. ამიტომ გასხვლისას სწორად განისაზღვრება
ვაზის სიძლიერე და მის შესაბამისად მიეცემა დატვირთვა.

მიკროსასუქების გამოყენება. მეორ წლების განმავლობაში წარმოებული კვლევითი მუშაობის შედეგად
დაგინდა, რომ ვაზის ნორმალურ ზრდა-განვითარებას ხელს უწყობს
მიკროსასუქების გამოყენება. ისინი უკეთ წარმართვენ ფიზიოლო-
გიურ, ბიოქიმიურ და სხვა პროცესებს, რომელთა სრულად მიმდინა-
რება აღიდებს ყურძნის მოსავლისნობას და აუმჯობესებს მის ხა-
რისხს. მიკროელემენტების გამოყენებით ფოტოსინთეზი ინტენსიურად
მიმდინარეობს, იზრდება ფერმენტების აქტივობა, უმჯობესდება ნივ-
თიერებათა ცვლა, ძლიერდება ქლოროფილის სინთეზი. ამ სასუქე-
ბის რაციონალური გამოყენება აღიდებს ავადმყოფობათა წინააღმდეგ
მცენარის გამძლეობას და არახელსაყრელ გარემო პირობებისადმი შე-
გუების უნარს. მიკროელემენტების გამოყენებაზე წარმოებული ექს-
პრერეზენტებით საინტერესო მონაცემები აქვს მიღებული ზ. ბაღდასა-
რაშვილს (3). დადასტურებულია, რომ ქლოროზის გამოვლინების კე-



რებში ბორი, მანგანუმი და თუთია ცალ-ცალკე და ერთად მოსაფალისადა
აღიდებენ 25—40 პროცენტით, ყურძებში შექრიანობა 0,5—2%^{მარტივია}
იზრდება. მიკროსასუქების გამოყენება ხდება როგორც ნიადაგში შე-
ტანით, ასევე შესხურებით.

ვენახებში მიკროსასუქები უნდა შევიტანოთ გაზაფხულზე ნიადა-
გის სკნისას. დადგებით შედეგს იძლევა. ყვავილობამდე გამოყვებაც.
ნიადაგში შეტანის წინ თათოეულ ჰექტარზე შესატანი მიკროსასუქი
უნდა შეერთოს 400—500 კგ სილას. სუფთა ბორი ქლოროზისაგან თა-
ვისუფალ მიქრორაიონებში, კარბონატებით ღარიბ, ნეტრალურ და
მეუვე რეაქციის ნიადაგებში ჰექტარზე შეიძლება გამოვიყენოთ 1—
1,5 კგ, მანგანუმი და თუთია — 3—4 კგ (წმინდა ნივთიერებაზე გადა-
ანგარიშებით). ქლოროზის სუსტად გავრცელების ადგილებში, კარბო-
ნატულ და სუსტი რეაქციის ნიადაგში შეაქვთ ბორი — 2—3, მანგა-
ნუმი — 4—7 და თუთია — 4—6 კგ; ქლოროზის ძლიერ კერებში, კარ-
ბონატულ და ძლიერ ტუტე რეაქციის ნიადაგებში: ბორი — 3—5, მან-
განუმი — 8—10 და თუთია — 6—8 კგ თათოეულ ჰექტარზე.

შევენახებაში გამოიყენება ბორის, მანგანუმის, თუთიის, მოლიბ-
დენისა და სხვა სახის მიკროლემენტები.

მანგანუმის შემცველი მიკროსასუქებიდან: მანგანუმის სულფატი
(24,6%), მანგანუმის ქლორიდი (22,6%), აზოტმეტავა მანგანუმი (19,1%),
მანგანუმის შლამი (9—15%), მანგანუმის სუპერფოსფატი (1,8%).

თუთიის შემცველი სასუქებიდან — თუთიის სულფატი (22,8%) და
თუთიის ქლორიდი (48,1%).

მოლიბდენის შემცველი მიკროსასუქებიდან — მოლიბდენმჟავა ამო-
ნიუმი (54%).

როგორც შევლევარები მიუთითებენ, მიკროსასუქებში მიკროლე-
მენტები ხშირად ძნელად ხსნად ფორმებშია. ამიტომ ისინი უნდა გა-
მოვიყენოთ ძარითადად მეუვე რეაქციის ნიადაგებში. ნაკლებ შედეგს
იძლევა ტუტე. რეაქციის პირობებში ხსნადი ფორმების შეტანა. ალ-
ნიმნულის გამო, უპირატესობა ეძლევა შესხურების წესს, ქლოროზის
გავრცელების ზონებში ამ წესს იყენებენ. შესასხურებლად გამოიყე-
ნება წყალში ადვილად ხსნადი ნაერთები: ბორის მეუვა, ბორაკი, მან-
განუმისა და თუთიის სულფატი. თუ მცენარეს აკლია ერთდროულად
რამდენიმე ელემენტი, უმჯობესია მათი გამოყენება ცალ-ცალკე, 2—
3-ჯერ. ქლოროზის გავრცელების ადგილებში პარველი შესხურება
ტარდება ყვავილობამდე გაცილებით ადრე პერიოდში, მეორე — ყვა-
ვილობამდე 5—10 დღით ადრე, ხოლო მესამე შესხურება ხდება ყვა-



ვილობის დამთავრების შემდეგ, რისთვისაც გამოიყენება 0,5% კუნძულის დასამზადებლად შესუქების საჭირო მოცულობა მცირე რაოდენობის წყალში ისანება, შემდეგ ის კარგად აირევა საჭირო რაოდენობის წყალში, რის შემდეგაც შზად იქნება შესასხურებლად. მიკროსასუქების ნიადაგში შეტანას ახდენენ ისე, როგორც მინერალური სასუქებისას. სარწყავა ნაკვეთებზე მიკროსასუქების შეტანის შემდეგ ნიადაგი უნდა მოიხსნას და მოიჩინოს.

4. ვენახის მორჩვა

ვენახის რწყვის რეჟიმის სწორად წარმართვა საყურადღებო ღონისძიებაა. ნიადაგში ტენის სასურველი ოპტიმუმის შექმნა განპირობებს ვაზის ნორმალურ განვითარებას, მაღალმოსავლიანობას და ხარისხის გაუმჯობესებას. ტენის ნაკლებობისას მცენარეს არ შეუძლია საკვები ელემენტებით დაკმაყოფილება, ვინაოდან მათი შეთვისება ხდება წყალთან ერთად, ეცემა ნიადაგში მიმდინარე მიკრობიოლოგიური პროცესების ქტივობა; ამის გამო უარესდება მცენარის კვების რეჟიმი, მცირდება ყურძნის მოსავლიანობა და ხარისხი.

მ. სოლოვიოვა წყალს განიხილავს არა მარტო როგორც საკვები ნივთიერებების გამსხველსა და საშუალებას, რომელიც მონაწილეობს მცენარის სასიცოცხლო პროცესებში, არამედ როგორც ნივთიერებას, რომლის ელემენტები იხარჯება და კვლავ იღებს ნივთიერებათა ცვლის სინთეზში მონაწილეობას.

ი. რახტენკოსა და ლ. კროტის შეხედულებით, მცენარის ცხოველ-მყოფელობისათვის დიდ როლს ასრულებს ფიზიოლოგიური ქეტიური ფესვები. მათს ზრდასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე დიდ გავლენას ახდენს ნიადაგის ტენის რეჟიმი. ნიადაგის ტენის ოპტიმალური რეჟიმის პირობებში ქეტიური ფესვების ახლად წარმოქმნა და სიცოცხლის ხანგრძლივობა დაახლოებით ორჯერ მეტია, ვიდრე ნიადაგის ტენის სასურველი ოპტიმუმიდან მინიმუმამდე პერიოდულად ცვალებადობის პირობებში.

ნიადაგის ტენიანობის განსაზღვრული რეჟიმის შექმნით შესაძლებელია ვაზის ფესვთა სისტემის მოცულობისა და განლაგების რეგულირება, ამით ზრდასა და პროდუქტიულობაზე ზემოქმედება.

ტენის ნაკლებობა უარყოფითად მოქმედებს ფესვთა სისტემის



განვითარებაშე. ტენის სასურველი ოპტიმუმის პირობებში კი ფესტივალის ტემაზე უხვად იტოტება და ძლიერი ზრდით ხასიათდება.

პროფ. ი. ნაკაიძე აღნიშნავს, რომ წყალს უდილესი მნიშვნელობა აქვს მცენარეში მძღვნიარე ისეთი პროცესებისათვის, როგორიცაა ნივთიერებათა ცვლა, სუნთქვა, ზრდა და უჯრედის გამრავლება. წყალი მცენარისათვის საჭირო საკვები ნივთიერებების გამხსნელია. სხვადასხვა ნივთიერებები, როგორც მაგარი, ისე გაზისებური, უჯრედის პლაზმაში მხოლოდ წყალსნადი ფორმის სახით შედის.

რეკონის დაბლობი და მთისწინა ზონა ხასიათდება მცირე ნალექებით, ცივი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით. ნალექების შედარებით დიდი რაოდენობა და ხშირი წვიმები დამაზანდებელია გაზაფხულზე. ზაფხულის პერიოდში კი ნალექები მცირე რაოდენობით მოდის, რის მნიშვნელოვანი ნაწილის აორთქლებაც ინტენსიურია ჰაერის მაღალი ტემპერატურის გამო. ამიტომ ვენაზის მორწყვა აუცილებელ ღონისძიებად ითვლება.

ამასთან ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ჭარბი ტენიანობა მთელ რიგ უარყოფით მოვლენებს იწვევს. მაგალითად, სავეგეტაციო პერიოდს ახანგრძლივებს, აფერხებს ყვავილობის დროულად დამთავრებას, აგვიანებს ყურძნის დამწიფებას.

ჭარბტენიანობის პირობებში ყლორტები ღებულობენ მსხვილ უჯრედოვან აგებულებას, რის გამოც იძენენ სიმყიფეს და ადვილად ტყუდებიან, მარცვალს უთხელდება კანი და სკდება, რის გამოც აღვილად ავადდება. თუმცა წვენის გამოსავლიანობა დიდდება, მაგრამ ნაყოფში შაქრიანობა შემცირებულია, ნაყოფს ახასიათებს სუსტი შეფერვა და არომატი, შენახვის ცუჭი უნარიანობა და ტრანსპორტაციულობა; ნაკლებ ექსტრაქტიანი და ნაკლებ ბუკეტიანი ლვინო დგება. ნიადაგში ტენიანობის სიმცირისას მარცვლები უფრო პატარა ზომისაა, ნაკლებ გამოსავლიანი, გასქელებული კამით და მცვრივი რბილობით, მომატებული შაქრიანობით, კარგი არომატითა და შეფერვით. ნაყოფი ხასიათდება შენახვის კარგი უნარიანობით და ტრანსპორტაციულობით, მისგან დგება ექსტრაქტული, მძიმე და ძლიერ ბუკეტიანი ლვინო. ტენის ნაკლებობა აფერხებს ვაზის საერთო განვითარებას.

ნიადაგში ტენის მაღალი შემცველობა მეტად უარყოფითად მოქმედებს, განსაკუთრებით სიმწიფის პერიოდში. იწვევს დამწიფების გაჭიანურებას, ვეგეტაციის გახანგრძლივებას, ნამხრევების გაძ-



ლიერებულ ზრდას, ნაყოფის დასკლომის და ლპობას, რეა მოსახლეობა
ფეხელი აჩება, რის გამოც ადვილად ზიანდება ყინვებით.

ტენის სიჭარბე ვაზის ცალკეული ორგანოების დაავადების მიზე-
ზიც ხდება, ხშირია ფეხსვების სიღამილე, ყლორტების წევრობის
პკნობა და ხმობა, ფოთლების ჭრნობა და ცვენა, ძლიერი ყვავილ-
ცვენა და ა.შ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვენახების მორწყვის საკათხს სიფრ-
თხილით უნდა მოვეკიდოთ. იგი უნდა წყდებოდეს ადვილობრივი
კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე. ვაზი ირწყვება მხოლოდ
საჭიროების შემთხვევაში.

ჩეგიონში ვაზის გვერცელების ზონები ერთი მეორისაგან განსხ-
ვავდება ნიადაგობრივ-კლიმატური პირობებით. ფერდობ აღგალებზე
წყალშე მოთხოვნილება უფრო მეტი, ვიდრე სწორ რელიეფურ პი-
რობებში. გასათვალისწინებელია ნიადაგების ფიზიკური, წყლიერ-
ჰეროვანი და სხვა თვისებები.

ეფიქტობოთ, ვენახების 2-ჯერ მორწყვა საკმარისად უნდა ჩაითვა-
ლოს.

თავი VIII

ვაზის მავნებელ-დაავადებანი და გათ ზინააღმდეგ გრძოლის ღონისძიებები

ვაზის კულტურის მრავალი სახის მავნებელი და დაავადება აზი-
ანებს. მათ წინააღმდეგ ჯროულად თუ არ ვატარდა ქმედითი ღონის-
ძიებები, უერც მოსავალს მივიღებთ და ვაზის ზრდა-განვითარებაც
მკვეთრად შეფერხდება, შესაძლებელია ნარგაობა მოლიანადაც და-
ილუპოს. ყველა მეურნეობაში დროულად და მაღალხარისხოვნად უნ-
და ტარდებოდეს პროფილაქტიკური ღონისძიებები, რათა ვაზის მავ-
ნებლებსა და დაავადებებს არ მიეცეს გავრცელების საშუალება. ზოგ-
ჯერ მათ ფართოდ გვირცელებას ხელს უწყობს ვენახში გატარებული
ავროტექნიკური ღონისძიებების დაბალი დონე. მდგომარეობას ისიც
ართულებს, რომ მოუვლელ ნარგაობაში მავნებელ-დაავადებათა წინა-
აღმდეგ ბრძოლის ეფექტი მნიშვნელოვნად ეცემა. სოკოვანი დაავადე-
ბები იქ იჩენს თავს, სადაც დაბალია ნიადაგის დამუშავების კულტუ-
რა, რიგთაშორის და მწყრივში სარეველების გავრცელება მრავალი



დააკადების წარმომშობის კერა ხდება. მიტომ ვენახში მავნებელი გამოყენების პარალელური რეგულარულად უნდა ხდებოდეს ნიაღავის თოხნა-კულტივაცია, ვაზის ფურჩენა-აკვრა და სხვა ლონისძებები. მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი ვაზის ძლიერი ზრდა-განვითარების შენარჩუნება და მომავალ წლებში უხვი მოსავლის მიღება.

მავნებლები. საქართველოს მევნენახობის რაიონებში ვაზის კულტურის დაზიანებას მრავალი სახის მავნებელი იწვევს. აღსანიშნავია, რომ შეიდა ქართლში დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მევნენახობის სხვა ზონებთან შედარებით, მავნებლებით ვაზის ნარგაობის მასობრივი დაზიანება ნაკლებად შეინიშნება. ამიტომ აქ ზოგიერთი სახის მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლის ლონისძებებს გავეცნობთ.

ამიერკავკასიური მარმარა ღრაჭი. მისი მატლი მრავალი კულტურული მცენარის ნიაღავში მოთავსებულ ნაწილს აზიანებს, ყველაზე შეტან ვაჩს.

6. ალექსიძის (4) გამოკვლევებით დატურდება, რომ აღნიშნულ მავნებელს ვაზის ნარგაობა ზოგჯერ სანახევროლაც კი დაუღუბია. მარმარა ღრაჭა ინტენსიურად მრავლდება ლამიან და ქვიშიან, აგრეთვე სილნარ, ალუვიურ და ნეშომპალა-კარბონატულ ნიაღავებზე. ხოჭო კვერცხებს დებს ნიაღავში 10—12 სმ სიღრმეზე. 20—25 დღეში იჩეკება მატლი, რომელიც ჰუმურისთვის და სარეველა ბალახოვანი მცენარეების ფესვებით იყვებება. იგი ზიანებს ვაზის ბუსუსა ფესვებს, მომდევნო წლებში ვაზს დიდ ზიანს აყენებს 3—4 წლის მატლები. ისინი ნიაღავში ცხოვრობენ 10—35 სმ სიღრმეზე, რაც დამოყიდებულია პიღროოთერმულ პირობებზე. შემოდგომით, ნიაღავის 20 სმ სიღრმეზე ტემპერატურის 10° -მდე დაცემისას დაბლა ფენებში გადაინაცვლება. 12° სითბოზე კვლავ მაღლა ამოდის. მე-3, მე-5 წელს მატლი ჭუპრდება 10—15 სმ სიღრმეზე. დაჭუპრებიდან 22—30 დღის შემდეგ ხოჭო გამოღის.

მავნებლის წინააღმდეგ გამოიყენება ბრძოლის როგორც ქიმიური, ასევე მექანიკური ლონისძებები. ახალშენ და მოსავლიან ვენახებში სექტრემოლისა და პრილის თვეებში ნიაღავის გადაბარვის, მოხვნის ან კულტივაციის დროს მავნებლები უნდა შეგროვდეს და მოისპოს.

როცა ნიაღავში 10 სმ სიღრმეზე ტემპერატურა 15° -ზე ნაკლები არ არის, შეგვაქვს ჰექსაქლორანის პრეპარატი ჰექტარზე 50—60 კგ-ის ოდენობით 10—15 სმ სიღრმეზე. იგი უნდა ჩაიხნას და ჩაიბაროს.

ტკიპები. ოლსანიშნავის ორმ ამ ზონაში უაზს მავნებელი ქადაგის არის ყველაზე მეტად აზიანებს ტკიპები. მათი სახეობებიდან ძირის ქლიავის აბლაბუდიანი ნარინჯისფერი (ბრტყელტანიანი), გალებიანი და კვირტის ტკიპა გავრცელებული.

ქლიავის აბლაბუდიანი ტკიპა ძირითადად აზიანებს ვაზის ფოთლებს, რომლებიც უფერულდება და ნააღრევად ცვიდა. გაზაფხულზე გამოზამთრებული ტკიპა აზიანებს ახალგაშლილ კვირტებს, მომდევნო პერიოდში კი ფოთლებსა და ყლორტებს. წუწნის შედეგად მავნებელი უჩრედში ანადგურებს ქლოროპლასტებს. დაზიანებულ ადგილებში ფოთოლსა და ყლორტზე ჩნდება მოშავო-ყავისფერი წერტილოვანი ლაქები. დაზიანებული ყლორტი შავდება და ილუპება. დაზიანებით ფოთლის ფირფარტა არათანაბრად ცითარდება, იყრუნჩხება და ცვიდა, ქვედა მხრიდან ჭამის მსგავსად შეიზნიქება. დაზიანებულ ფოთლებში ძლიერდება ტრანსპორტია, მცირდება ფერშენტ კატალიზას აქტიურობა, რის გამოც ნახშირწყლების დაგროვება კლებულობს. როგორც ი. ბათათაშვილი და გ. დეკანოვი (4) მიუთითებენ, ტკიპებით ინტენსიურად დაზიანებულ ვენახებში ყურძნის მოსავალი 20%-ით მცირდება, ხოლო შაქრიანობა 3%-მდე კლებულობს.

ქლიავის აბლაბუდიანი ტკიპა იზამთრებს ზრდასრულ ფაზაში ამსკდარი ქვერქის ქვეშ, კვირტებში, ბზარებსა და სხვა ადგილებში. გამოზამთრების შემდეგ ტკიპა იკვებება ნორჩი ფოთლებითა და ყლორტებით. წელიწადში 10-მდე გენერაციას იძლევა. მავნებლის ინტენსიურ განვითარებას ხელს უწყობს მაღალ — 25—30° ტემპერატურა, დაბალი ტენიანობა და წენიანი საკვები — ვაზის ფოთლები და ნორჩი ყლორტები.

ვაზის ნარინჯისფერი (ბრტყელტანა) ტკიპა აზიანებს ვაზის ახალგაშლილ კვირტს; მტევნის კლერტსა და მარცვალს. გამოზამთრებული ტკიპები გაზაფხულზე ძლიერ აზიანებენ ახალგაზრდა ყლორტებს. ნაწუწნ ადგილას წარმოიქმნება ჩაღრმავება — ამონაბურტი. ქსოვილების დაზიანების გამო ყლორტი კოტრდება, ვერ ვითარდება და მახინჯდება. მავნებელი ასევე ძლიერად აზიანებს ყვავილებს, მარცვალს. დაზიანებული მარცვლის კანი სკდება და მასზე სიღამპლის გამომწვევი მიკროორგანიზმები სახლდება. დაზიანებული ყლორტი და მტევანი მოშავო-ყავისფერია და დაფარულია ტკიპას გამონაცვალი კანითა და ექსკრემუნტებით, რაც ყურძნის ხარისხის გაუარესებას იწვევს.

ვაზის ნარინჯისფერი ტკიპა იზამთრებს ზრდასრულ ფაზაში ვაზის

ამსკლდარ ქერქქვეშ და სხვა ადგილებში... გამოზამთრების შემდეგ, როდესაც ტემპერატურა 13° ასცილდება და ვაზის ყლორტზე 4—5 დღეში მანძილზე თოლი განვითარდება, ახალგაზრდა ყლორტზე მაქსიმალური რაოდენობით გადადის. მათი უმრავლესობა შევანე ყლორტის ფუძესთან სახლდება, რის გამო იგი მოშვერ-მოყავისფერი ხდება. ასევე თავს იყრინან შტამპიდან ამონაყარ, ზედმეტ ყლორტებზე. მტევანზე მათი დაღი რაოდენობა გადადის მარცვლის შეთვალების პერიოდში. მავნებელი სახლდება ფოთლის ფირფიტის ოჩივე მხარეს ძარღვების გასწორივ და ყუნწზე. წელიწადში 4 გენერაციას იძლევა.

ვაზის გალებიანი ტკიპა გვხვდება ტევენასხეობის ყველა რაიონში. ეს მავნებელი იკვებება ახალგაზრდა უჯრედების შევთავსით. კვების ადგილებში ტკიპა გამოყოფს ტოქსიკურ ნივთიერებებს, რაც ეპიდერმისის უჯრედის გადიდების იწყევს. ასეთი უჯრედი იყოფა, წარმოიქმნება ე. წ. გალები, რომელშიც ტკიპა იკვებება და მრავლდება. გალების გაუხეშებისა და ჭინობის დაწყების შემდეგ, ტკიპა იქცედა გამოდის, ახალ ადგილზე, იწყებს წუშნას და გალების წარმოქმნას.

ვაზის გალებიანი ტკიპა სახლდება და მრავლდება ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარეზე, საღაც ჩნდება ბუსუსა ფალები, ზედა მხარეს კი წარმოიქმნება ამონაბურცი. ფოთლის ქვედა მხარეს დაზიანებული ადგილები პირველ ხანებში თეთრია, ხშირად მას ჭრაჟით დაავადებულში ურევენ. დაზიანებული ფოთოლი ჭინობა და ხმება. ტკიპა ისამთრებს ზრდასრულ ფორმაში კვირტების ქერცლებში. წელიწადში 5—6 გენერაციას იძლევა.

ვაზის კვირტის ტკიპა სასიცოცხლო ციკლს ვაზის კვირტებში ატარებს. დაზიანების შედეგად ადგილი აქვს კვირტის ჩავარდნას, მუხლოთშორისის შემოკლებას და ფოთლის დაწვრილებას. წელიწადში 8—9 თაობას იძლევა.

ტკიპების წინააღმდეგ ეფექტიან ღონისძიებად ითვლება კელტანის 0,2%—იანი ემულსია. ვაზის კვავილობამდე საჭიროა ორჯერ მანქც ჩატარდეს წამლობა, პირველად ყლორტზე 4—5 ფოთლის განვითარებისთანავე. კარგ შედეგს იძლევა ღვრეთვე აღნიშნული პრეპარატის კომბინირება 1%—იან კოლოიდურ გოგირდთან.

ვაზის ფილო ქსერა. როგორც ცნობილია, ვასული საუკუნის ბოლოს ფილოქსერამ დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს მევენასხეობას. ამჟამად ფილოქსერასთან ბრძოლის ძირითადი ღონისძიებაა ფილოქსერაგამძლე ხაძირებზე ვაზის გიშების მყნობა. ქვიშნარ და მძიმე თხენარ ნიადაგებში ფილოქსერა ცერ ვითარდება, რასაც იმით ხსნას,

რომ ასეთ ნიადაგებში ფილოქსერას უძნელდება მოძრაობა და ფილოქსერას პერია. ამასთან, ფილოქსერას გამოჩენისას, მის მასობრივად უფაფულებამდე, საჭიროა შესაბამისი მცურნალობის ჩატარება.

ვაზის ფილოქსერით ღაზიანებულ ფესვზე წარმოქმნება ამონა-ბურცი. ღაზიანებული შემწოვი ფესვები ველარ აწოდებენ შეცნარეს საკვებს. მცენარე ცდილობს აღიიღინოს ღავარგული ფესვთა სისტე-მა, რაზედაც ხარჯავს საკვები. ნივთიერების მარაგის მნიშვნელოვან ნაწილს, მაგრამ ფილოქსერით ღაზიანებული ფესვების მიერ საკვების მიწოდება ძლიერ შემცირებულია, როთაც ნელდება მცენარის ზრდა. ეს საბოლოოდ ვაზის დაღუპვასაც იწვევს. მკვლევართა მიერ დადგენი-ლია, რომ ნიადაგის 15 სმ სიღრმემდე მოთავსებულია ვაზის ფესვე-ბის 59% და ფილოქსერას 61%, ხოლო 50—70 სმ სიღრმეზე შესაბა-მისად 30% და 20%. ერთი წლის განმავლობაში ფესვის ფილოქსერას 7—8-მდე გვერაცია უვითარდება.

ფოთლის ფილოქსერა ფილოქსერაგამძლე ვაზის საღელებში იწ-ვეს ფოთლებზე გალების წარმოქმნას. გალი პირველად ყლორტის ძველა ფოთოლზე ჩნდება, შემდეგ კი ზედა ფოთოლზე ვითარდება. ნ. ალექსიძის გამოკვლევით ფოთლის ფილოქსერა 5—9 გვერაციას იძლევა.

ფოთლის ფილოქსერას წინააღმდეგ, ყლორტზე 10—12 ფოთლის განვითარებისას, გამოიყენება ფოზალონის 0,2%-იანი ან კარბოფოსის 0,3%-იანი ემულსია.

ფესვის ფილოქსერას წინააღმდეგ ურჩევენ ჰექსაქლორბუტადიენს. ეს ფუმიგანტი ნიადაგში შეაქვთ ვაზის მწერივთაშორის ღრმა ხვნის დროს 15—20 გ კვადრატულ მეტრ ფართობზე.

და ა დ ე ბ ე ბ ი. მევენახეთა მთავარი ყურადღება ყოველთვის იქით უნდა იყოს მიმართული, რომ ვაზის არ მოედოს ჭრაქი და ნაციარი. მეურნეობებში ცენახები ხშირად ამ დაავადებებით ზიან-დება.

განსაკუთრებით დიდია ჭრაქით გამოწვეული ზარალი. ეს ავად-მყოფობა აავადებს ვაზის ყველა ნაწილს — ფოთოლს, ყლორტს, პწელს, ყვავილსა და ნაყოფს. ხშირია შემთხვევა, როცა მასობრივად ფავრცელების დროს მოსავალი მთლიანად იღუპება. ჭრაქის მასობრივი ფავრცელების სელშემწყობი ფაქტორები სითბო და ტენია. ჭრაქი თავს იჩინს ხშირად ივნისსა და ივლისში, როცა პატიოს მაღალ ტემპერატუ-რას (24° -მდე) თან ერთგის ხშირი ნალექები. მოუხედავად მრავალ-ჯერადი წამლობისა, მაინც ინტენსიურად ვრცელდება და იწვევს მო-



სავლის დადი რაოდენობით დაკარგვას. ჭრაქი პირველად ფოთონის მასაზე გამოიყენებოდა — მოყვითალო-მომწვანო ფერის სახით. შალე ლაქის მოპირდაპირები, ფოთლის ქვედა მხარეზე ვითარდება ფიტქი, რაც ხელსაყრელ ფაქტორთა გავლენით სწრაფად ვითარდება. ლაქები შეიძლება მთელ ფირფიტასაც მოედოს, რის შედეგადაც ფოთოლი ხმება და ცვივა. ასევე ზიანდებიან ყვავილებიც. დავადებული ნაყოფი კარგავს ზრდის უნარს, ჭრაქი და ხმება.

ჭრაქის გავრცელება უფრო ინტენსიურია დაბლობ აღვილებში გაშენებულ ვენახებში, სადაც შედარებით შეზღუდულია ქარის გავრცელება. ამ დავადების განვითარებას მნიშვნელოვნად იფერხებს ქარები, რომლის მოქმედებით სველი ფოთოლი სწრაფად შრება. ამიტომ უფრო შემაღლებულ ფართობებზე გაშენებულ ვენახებში, სადაც ქარის მოქმედება შეტია, ეს დავადებაც ნაყლებად ჩნდება.

ჭრაქის გავრცელების შესახებ შეტაც საყურადღებო მოსაზრებებს გვთავაზობს ლ. ჭრელაშვილი (39). იგი მოუთითებს, რომ ჭრაქის პირველი გამოჩენა ერთი და იგივე ფაზაში — ყვავილებში კორების განცალკევებისას და არა ვეგტაციის დაწყებისთვავე — იმის მანიშნებელია, რომ ვაზი სოკოსათვის სასურველ საკვებ არეს წარმოადგენს და ეს არ კი სწორედ აღნიშნულ ფაზაშია, რათაც იქმნება ხელსაყრელი პირობები დაავადების გამოვლინებისათვის, მკვლეფარის მიერ წარმოებული ცდებით დასტურდება, რომ ხშირი ნალექიანობის დროს, როცა აქტიურდება ვაზის ფესვთა სისტემა, შცენარეში ძლიერდება წვენთა მიმოქცევა. ასეთ შემთხვევაში აღვილი აქვს სოკოს ფარულად გავრცელებას, დიფუზიურად მის სწრაფად გადაადგილებას მცენარეში. აღნიშნული ფაქტი იმის საშუალებას გვაძლევს, რომ მეცნიერების პრაქტიკოსებმა უნდა გაითვალისწინონ იგი და ღროულად ჩაატარონ საჭირო ღრონისძიებები: როგორც ირკვევა, ჭრაქი ვრცელდება არა მარტო მცენარეზე ზემოდან ჩვენთვის სილულ ფორმებში, არამედ ფარულადაც, რომლის პროგნოზირება უფრო ქმედით გახდის მის წინააღმდეგ ბრძოლას.

ჭრაქის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი საშუალებაა ბორდოს 1-პროცენტიანი სსნარიით წამლობა. აქვე დავსძენთ, რომ პრაქტიკოსები ხშირად მიმართავენ ბორდოს სსნარის ნაცვლად ცინების 0,5%-იანი სსნარით წამლობას ყვავილობის დაწყებამდე. ხაზი უნდა გაესვის იმ გარემოებას, რომ ვენახებში ხშირია ტკიპებისა და ნაცრის გავრცელება. ამიტომ სასურველია ვაზს ყვავილობამდე კომბინირებული სსნარის პრაქტიკის გამოყენება.



რით ვუმკურნალოთ. ამისათვის საჭიროა ცინების 0,5, კურატის 0,2 და კოლოდიფური გოგირდის 1%-იანი ნაზავის დამზადება.

უვავილობის შემდეგ სასურველია გავრცელდეს ბორდოს ხსნარით წამლობა ჭრაქის წინააღმდეგ. ამ რჩონისათვის ფოთოლი უკვე შედარებით ზრდასრულია, მასზე ხსნარის უარყოფითი ზემოქმედება შენელებულია, ხოლო მოსული წვიმების შემდეგაც იგი დიდხანს რჩება ფოთოლზე, რაც ჭრაქის გავრცელების ზღუდვის. შაბიამნის ხსნართან ერთად ნაცრის საწინააღმდეგოდ გამოიყენება კოლოიდური გოგირდი. მანენებელთა გავრცელების შემთხვევაში ცალკე ტარდება შესაბამისი ღონისძიებები.

წამლობის ვადები განისაზღვრება ვაზის ზრდა-განვითარებისა და მოსული ნალექების სიხშირის შესაბამისად. ვეგატაციის პერიოდში უხვი ნალექების შემთხვევაში მსხმოიარე ვენახი 5—6-ჯერ უნდა მეტი მილიმეტრის. ამასთან, უვავილობაში უნდა 2-ჯერ ჩავატაროთ მკურნალობა.

თბილ და ნესტიან პირობებში ვაზის ასევე ძლიერ აზიანებს ნაცარი, მისი ფანვითარება იწყება დღე-ღამიური ტემპერატურის 7 გრადუსის ზევით, ოპტიმალურ განვითარების აღწევს 26—28°-ის დროს. ნაცარი ვითარდება ვაზის ცველა მწვანე ნაწილზე და უფრო მეტად ფურმნის მარცვალზე. ნაცარი ფოთოლზე თავდაპირველად ჩნდება მოთეთრო ფიფქის სახით, რომელმაც ფოთოლი შეიძლება მოლიანად დაფაროს. ნაცრით დაავადებული ფოთოლი აღარ ვითარდება, ყვითლდება და ცვივა, ასევე ფიფქით იფარება ნორჩი ყლორტები, რომელიც შემდეგში ზრდას ანელებენ, ხმებიან ან ველა მწიფდებიან და ზამთრის ყინვებით აღვილად იღუპებიან. ყურძნის მარცვლის კანი უხეშდება, მისი გამო კანის უჩრედები აღარ იზრდება. რბილობის უჩრედების ზრდით კანი სკდება, ზოგჯერ მარცვლის დასკდომა ძლიერია, რაც მოლოს მის კენობას და ძირს ცვენას იწვევს.

ნაცრის წინააღმდეგ გამოიყენება დაფქვული გოგირდი, რომელიც უნდა შეეფრქვეს ვაზის დაავადების გამოჩენისთანავე. კარგ შედეგს იძლევა გოგირდის შეფრქვევა ვაზის მასობრივი უვავილობის პერიოდში: აღნიშნულ ფაზაში ნაცარი აფეილად აზიანებს ყვავილედს. მსხმოიარე ვენახში გოგირდი 2—3-ჯერ უნდა შეეფრქვეს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კოლოიდური გოგირდის გამოიყენება შეიძლება შაბიამნის ხსნართან ერთად, რის შემდეგაც ცალკე გოგირდის შეფრქვევა სტირო აღარ არის.

სერიოზული დაავადებაა ავრეთვე ყურძნის თეთრი სიღამპ-



ლ. ინტენსიურად ვითარდება მაღალ — 25—30° ტემპერატურაზე გავრცელებულ მომცემებით როცა ჰაერის ტენიანობაც მაღალია. მისი მასობრივი გავრცელებულ მაღალი სალოდნელია ვაზის დასტრუქციის შემდეგ. პირველად ივანდება ვაზის მწვანე ნაწილები, ხოლო შემდეგ ნაყოფზეც კრცელდება. ზიანდება ვაზის ყველა მწვანე ნაწილი, მტევანი და მარცვალი. თეთრი სიღამ-პლის წინააღმდეგ გამოიყენება ბორდოს 2%-იანი ხსნარი.

ყურძნის შავი სიდამპლე იწვევს ვაზის ყველა მწვანე ნაწილის — ფოთლის, ყლორტის, მტევნისა და დამსხვილებული მარცვლების დაზიანებას. დაავადებული მარცვალი კვება და სმება. ისევე როვორც ყურძნის თეთრი სიღამპლე, ყურძნის შავი სიღამპლეც განვითარებისათვის საჭიროებს მოალ ტემპერატურასა და ტენიანობას. ამ დაავადების წინააღმდეგ გამოიყენება ბორდოს 2%-იანი ხსნარი. წამლობა ტარდება რამდენჯერმე, თუკი საჭიროება მოითხოვს. უკანასკნელი მუურნალობა უნდა ჩატარდეს ყურძნის მწიფობის დაწყებამდე.

ყურძნის მწიფობის პერიოდში ზოგჯერ ყურძნის ნაცრისფერი ნიდაპლე ვითარდება, იშვიათად შევსედებით ისვრიმობის პერიოდშიც.

დაავადების გამომწვევი სოკოს მასობრივი განვითარება ხდება ნალექიან ამინდებში, რაც იწვევს ყურძნის მასობრივ ლპობას.

თუ მეურნეობაში შეინიშნება ნაცრისფერი სიღამპლით ნარგაობის დაავადების შემთხვევები, ვაზს უნდა მიეცეს მაღალი შტამბი. ისვრიმობის პერიოდში აუკილებელია ბორდოს ხსნარით შესხურება, შეთვალების შემდეგ კი მტევნების ზონაში ფოთლების შეცლა.

ამ დაავადების წინააღმდეგ იხმარება კაფტანის 0,5%-იანი ხსნარი. მისი შესხურება მიზანშეწონილია რთვულამდე ერთი თვით ადრე.

თავი IX

ვაზის მასობრივი საღებავი

ვენახების ფართობების მკვეთრი შემცირების მიუხედავად, შეიძალობები ასევე ული ნარგაობის დამუშავება მაინც არა უზრუნველყოფილი სათანადო დონეზე. წლების გამმავლობაში ყურძნის დაბალი საჭერაო მოსავლიანობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი სწორედ ესაა. ჩამორჩენის დაძლევა გულისხმობს ვაზის მოვლის აკროტექნიკური ღონისძიებების დროულად და ხარისხოვნად გატარებას. მაგ-

რამ, იმისათვის, რომ დარგის ინტენსიფიკაციას მივალშით, უძრავთ/ზების ზრდისთან ერთად, სერიოზული ყურადღება უნდა ჰქონდეთ/ წარმოებაში მეცნიერულ-პროგრესული ღონისძიებების ფართოდ დანერგვის. ამრიგად, ყურძნის მოსავლიანობის მნიშვნელოვანი გადიდება და მისი ხარისხის გაუმჯობესება განპირობებულია ღონისძიებათა მთელი სისტემით. მასში მნიშვნელოვანი როლი განკუთვნება ვაზის პრობაციას და მასობრივ სელექციას.

მეცნიანე უნდა ზრუნავდეს იმისათვის, რათა ვაზის ნარგაობა იყოს სრულფასოვანი — რაც მეჩერიანობის აღმოფხვრასთან ერთად გულისხმობს ვენახში პერსპექტიული ჭიშების უხევოსავლიანი ნარგაობის გაშენებას. აღსანიშნავია, რომ შიდა ქართლის მეურნეობებში სათანადო ყურადღება არ ექცევია უნიფალური ჭიშების გაერცელებას, ხოლო არსებული ნარგაობებიც ძირითადად ჭიშთა მინარევების სახით იყო წარმოდგენილი, რამაც მეტად სავალალო შედეგებიმდე მიგვიყვანა.

სადღეისოდ არსებული 188 ჰექტარი ვენახიც ასევე მეტად ღარიბია უნიფალური ჭიშებით და იგი ასეთ სურათს იძლევა:

შავკაპიტო — 4,5 ჰექტარი;

ალიგოტე — 3,6 ჰექტარი;

გორული მწვანე — 40,5 ჰექტარი.

თუ ძირფესვიანად არ შეიცვალა მეცნიანეობისადმი დამოკიდებულება და თანაც, ზემოთ სსენებული „ტემპით“ გაგრძელდა ვაზის ამონირება და შესაბამისად — ფართობების შემცირება, რეგიონში საერთოდ გაქრება ეს დარგი. ასე რომ არ მოხდეს, რადიკალური ღონისძიებების გატარებაა საჭირო. გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს არსებული ნარგაობის მოვლა-პატრონობა. ამასთან, ახალი ვენახები უნდა გაშენდეს ზონისათვის შესაფერისი ვაზის პერსპექტიული ჭიშებით, სანერგე მეურნეობებშაც ნამყენი აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა დაამზადოს.

ვაზის მასობრივი სელექციის მიზნია:

1. სელექციური სადედებებისა და საწარმოო ვენახების გასაშენებლად პერსპექტიული ჭიშების წინასწარ შერჩეული უხევოსავლიანი, კრიკეტი მოზარდი ვაზიდან სამყნობი მასალის დამზადება.

2. არსებული ვენახების მოსავლიანობის გადიდება უმოსავლო, მცირემოსავლიანი და დაავადებული ვაზის აღრიცხვისა და მათი შეცვლით უხმისავლიანი ვაზიდან წარმოებული ნამყენით.

სელექციური სადედებებისა და ახალი ვენახების გაშენებისათვის

საკვირტე მასალის დასამზადებლად, როგორც წესი, საჭიროა შეიჩინებული პირველი კატეგორიის წინასწარ აპრობირებული ვენახები, სადაც კურსული ჯიშის ვაზი 10%-ს არ აღემატება. თუ მის საშუალება არ ვაძეს, საკვირტე მასალა მზადდება მეორე კატეგორიის ვენახშიც, სადაც სხვა ჯიშის ვაზი 25%-ს არ აღემატება, და ხსნათდება კარგი მსმოიარობით.

სასელექციოდ შერჩეულ ვენახში, ჯიში სიწმინდის გათვალისწინებით, გამოყენება სელექციის ორი მეთოდი: ვაზის შერჩევა უარყოფითი ან დადებითი ნიშან-თვისებების მიხედვით.

ვაზის მასობრივი სელექცია უარყოფით ნიშან-თვისებებით მიხედვით უმარტივესი წესია და ატარებენ მშინ, როცა ვენახში მცირე რაოდენობითაა უმოსავლო ვაზი და გამორეული ჯიშება. ამ შემთხვევაში სტანდარტული ჯიშის უმოსავლო (ან ნაკლებმოსავლიანი) ვაზისა და გამორეული ჯიშები მოინიშნება.

მეორე წესის მიხედვით, სელექციის ჩატარებას მიმართავენ მაშინ, როცა ვენახში სტანდარტული ჯიშის ცაზის რაოდენობა მცირეა. ამ შემთხვევაში მოინიშნება ჩვენთვის საინტერესო ჯიშის დადებითი ნიშან-თვისებების ვაზი.

ვაზის მასობრივი სელექციის ჩატარებამდე უნდა მოვიმარავოთ საჭირო რაოდენობის ლითონის ან სის იარღიყები. ამისათვის შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე ფერადი ზეთიანი საღებავები. მონიშვნის ასეთი საშუალებები რმიტომაა საჭირო, რომ მათ სამ წელიწადს მაინც უნდა გაძლონ.

ვაზის მასობრივი სელექცია პირველი და მეორე ჯგუფის ნაკვეთებში ტარდება უარყოფით ნიშან-თვისებებით მიხედვით — პირველ წელს სხვადასხვა სახის იარღიყით ან სხვადასხვა ფერის ზეთიანი საღებავით აღნიშნავენ უმოსავლო, მცირემოსავლიან და სხვა ვაზის ჯიშებს.

სელექციის ჩატარების პირველ წელს ვენახში იქნება სამი ჯგუფის ვაზი: სტანდარტული ჯიშის უმოსავლო ან მცირემოსავლიანი, ანუ უარყოფითი ნიშან-თვისებების ვაზი, გამორეული ჯიშის ცაზი ან მოუნიშნავი ვაზი — ე. ი. სტანდარტული ჯიშის უცვმოსავლიანი ან საშუალომოსავლიანი ვაზი. სხვა ჯიშის ნარევი, აგრეთვე უარყოფითი ნიშან-თვისებების ვაზი ვენახში საკვირტე მასალის აღებამდე გაისხვლება წინასწარ და გაიტანება ანასხლავი ვენახიდან. დადებითი თვისებების მქონე აღუნიშნავი ვაზიდან აღებული საკვირტე მასალიდან მი-



ლეპული ნამყენით გაშენდება ახალი ვენახები და აღირიცხება სისულეები გორც პირველადი შერჩევის სადედე ვენახო.

ვაზი ისევე, როგორც სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები, ძალიან განიცდის გარემო პირობების ზეგავლენას. ამიტომ, შესაძლებელია ვაზის სელექციის პირველ და მეორე წელს აღნიშნულმა უმოსავლო ან მცირებოსავლიანმა ვაზმა კარგი თვისებები გამოამჟღავნოს. შეიძლება მოხდეს პირიქითაც: სელექციის მეორე წელს მოუნიშნავმა — ე. ი. ჩევნოთვის საინტერესო სტანდარტული ჯიშის დადებით ნიშან-თვისებიანმა ვაზმა უარყოფითი თვისებები გამოამჟღავნოს. ორივე შემთხვევაში სელექციის მეორე წელს მივიღებთ როგორც ერთ, ისე მეორე სახის ვაზს. ყველა უმოსავლო და მცირებოსავლიანი ვაზი, რომელმაც პირველ და მეორე წელს ერთი ან ორი უარყოფითი ნიშანი მიიღო, საკვირტე მასალის დასამზადებლად არ გმოლგება. ისინი წინასწარ უნდა გავსხლოთ და ანასხლავი გავიტანოთ ვენახიდან; საკვირტე მასალა აიტენდა მხოლოდ აღუნიშნავი, დადებითი ნიშან-თვისებების ვაზიდან და წარმოებული ნერგით გაშენებული ახალი ვენახი აღირიცხება, როგორც მეორადი შერჩევის სელექციური ნაკვეთი.

მცირე რაოდენობის არასასურველი ნარევი პირველ წელს ვე უნდა შეიცვალოს სტანდარტული ჯიშის მოსავლიანი ვაზით.

ანალოგიური სამუშაო ტარებება მესამე წელისაც. წლის ბოლოსათვის ვენახში გვექნება სტანდარტული ჯიშის ვაზების შემდეგი ჯგუფები:

1. ვაზი სამი უარყოფითი ნიშნით, რომელმაც სამი წლის განმავლობაში არ მოვეცა მოსავალი ან მოვეცა მცირე რაოდენობით.

2. ვაზი, ორჯერ უარყოფითი და ერთხელ დადებითი ნიშნით. — ორ წელს გამოამჟღავნა უარყოფითი თვისებები და ერთ წელ — დადებითი.

3. ვაზი ორი დადებითი და ერთი უარყოფითი ნიშნით — ორ წელს გამოამჟღავნა დადებითი და ერთ წელს უარყოფითი ნიშან-თვისებები.

4. აღუნიშნავი ვაზი, რომელმაც სამი წლის განმავლობაში გამოამჟღავნა მხოლოდ დადებითი ნიშნები.

პირველი ჯგუფის, ე. ი. სამჯერ უარყოფითი ნიშნის მქონე ვაზი ამონირეცხება და მის ნაკვლად ვენახი შეიცსება მეზობელი, მოსავლიანი ვაზის გადაწილებით.

მეორე და მესამე ჯგუფის ვაზს აღარ ვამრავლებთ. ის წინასწარ გაისხვლება და ანასხლავი ვაზიდება ვენახიდან.

მეოთხე ჯგუფის, აღუნიშნავი, დადებითი ნიშან-თვისებების ვაზი იძლევა ძვირფას საკვირტე მასალს. აღნიშნული საკვირტე მასალით



გაშენებული ვენახი უნდა აღირიცხოს, როგორც სასელექციური სამსახური
და ნაკვეთი.

ზემოთ აღინიშნა, რომ საკვირტე მასალა მზადდება მეორე კატე-
გორის ვენახშიც, სადაც სწავლის ვაზი 25%-ს აღწევს. ასეთ ვე-
ნახში პირველ წელს მიიღება კარგი მოსავლიანობის სტანდარტული
ჯიშის ჯანსაღი, ნორმალური ზრდის ვაზი. ასევე გრძელდება მეორე
და მესამე წელსაც. მესამე წლის ბოლოს ვენახში გვექნება ოთხი
ჯგუფის ვაზი: სამი დადებითი ნიშნით, ორი დადებითი ნიშნით, ერთი
დადებითი ნიშნით, აგრეთვე აღნიშნავი სტანდარტული ჯიშის უმო-
სავლო და გამორეული ჯიშის ვაზი.

ერთი დადებითი ნიშნიანი და აღუნიშნავი ვაზიდან საკვირტე მა-
სალა არ მზადდება. ორი დადებითი ნიშნიდან აჭრილი რქები გამოიყე-
ნება საწარმოო ვენახების გასაშენებლად. სამჯერ დადებითი ნიშნიანი
ვაზი ძვირფასი მასალაა ახალი ვენახების გასაშენებლად. ამ ვაზიდან
აჭრილი საკვირტე მასალით გაშენებული ნაკვეთი უნდა აღირიცხოს,
როგორც სასელექციო სადედე ვენახი.

ვაზის მასობრივი სელექციის ჩატარებისას მის მიზანს მარტო
სტანდარტული ვაზის ჯიშებიდან საუკეთესო ზარისხის საკვირტე მა-
სალის აღება კი არ შეადგენს, არამედ ჯიშობრივი სიწმინდის დაცვა
და ვაზის მოსავლიანობის შემდგომი ამაღლება უკეთესთა შერჩევის
გზით. ამიტომ, სამი წლის განმავლობაში ჩატარებულმა მუშაობამ უქ-
მად არ უნდა ჩაიაროს. სტანდარტული ჯიშის უმოსავლო და მცირემო-
სავლიანი ვაზი უნდა ამონირეკვოს და უკეთესით შეიცვალოს.

დღი ურადღება ეთმობა სელექციის შედეგებს აღირიცხვას.
დავთარში სწორად უნდა აღირიცხოს მონიშნული ვაზი. ამ საქმისათვის
უნდა გამოვიყენოთ გამოცდილი, ჯიშების კარგი მცოდნე მევენახები.
ისინი აღნიშნულ სამუშაოს ატარებენ მევენახე სპეციალისტის — აგ-
რონომის ან ავროტექნიკოსის მითითებით. ავრონომი (ავროტექნიკო-
სი) მწერივების მიხედვით გამოავლენს ვაზს და სასელექციო უურ-
ნალში შეიტანს, დამხმარე მუშა კი შეაბასს შესაფერის ნიშანს.

ვაზის მონიშვნისას იარლიყების შებმა ხდება ვაზის შტამპზე ან
ისეთ დაგილზე, რომელიც გასხვლის შედეგად არ მოსცილდება, ხო-
ლო ზეთვანი საღებავის გამოყენებისას იჯი წაესმება ვაზის შტამპს
გამხმარი ქრექისაგან კარგად გასუფთავების შემდეგ.

ვაზის მასობრივი სელექციის ჩატარებისას ჯიშობრივი სიწმინდის
დაცვა, ვაზის თვისებების სწორად შეფასება და საწარმოო ვენახების
გაშენება სტანდარტული ჯიშის ვაზის ნამყენით, ყურძნის უხვი და
მაღალხარისხოვანი მოსავლის მიღების საწინდარია.

හාමොජෙවෙහුණු දියුණුරාත්මක

1. අදාගත් ඩ. — මොයිනුල වාණි — මාලාලි ඇත්තැයේනියා. ගාන්. „සොයුලිස උත්තු-රුදා“, 9.IV. 1976.
2. අධ්‍යකාරී ආ., නානිතාජ්‍යෝලි ආ., කුන්සියෝ ග. — සාම්පූර්ණ ප්‍රතිසේ-දිස ගාවලුනා සාක්ෂිතවෙළත් මතින් ජාවමිත්ත්බිස් ප්‍රාමූල්‍යානි මුශ්‍යෝධිස් ජ්‍යෙෂ්ඨීන්ලංඡ-ඟා දා තුවිසේක්ඩ්ඟේ. නිවාගතම්පුරුණුරුධිස්, ඇත්තැයේනිසා දා මෙලිංගාපිස් එ/ජ මි-රිංඩුරිස් ජ්‍යෙෂ්ඨීන්ලංඡ. තධිලිසි, 1986.
3. ඩායුදාසාරාජ්‍යෝ ඩ. — වාණි ජ්‍යෙෂ්ඨීන්ලංඡ, මිසි ගාම්ප්‍රිවෝටි මින්නේදි දා ඩිංගු-ලිස ත්‍රොගුරාති සාම්පූර්ණයා. පාඨ. මුශ්‍යා. ආයා. ගාම්ප්‍රි. තධිලිසි, 1960.
4. ඩායිතාජ්‍යෝ මි., දුයානිත්ත් ඩ. — ග්‍රේම්ඩ්‍රාන්. ගාම්ප්‍රි. „ගාන්තලුදා“, 1974.
5. ඩිංගුදාජ්‍යෝ ඩ. — මාසාලුදි වාණි ඉත්තැයේනුරුධියා-දාංච්‍රුවිරුත්වී ජ්‍යෙෂ්ඨීන් දාසං-ගුණ මිදා ජාත්‍යානික මුශ්‍යානුරුධියා. පාදිංචුරුදායාපිය නාම්‍රමි, තධිලි-සි, 1950.
6. ඩේරිත් ඩ. — ජාත්‍යානු දුටිනෝදි. ගාම්ප්‍රි. „සාඩ්‍යෝනා සාක්ෂිතවෙළත්“, තධි-ලිසි, 1961.
7. ඩාත්‍රීනිජ්‍යෝලි ගාත්‍රුජ්‍යිත් ඩ. — ග්‍රිජ්‍රා සාම්පූර්ණ සාක්ෂිතවෙළත්, තධිලියිරි, 1941.
8. ගෙශ්‍රාජ්‍යෝලි ඩ. — ජාත්‍යානු ජාම්ප්‍රිනාහාප අලුවුදුගිනිත දුශ්‍යා දියුදා. ගාන්. „සොයුලිස උත්තු-රුදා“, 8.II.1984.
9. ගාධිසේනියා ත, නිජාරුතිජ්‍යෝලි ඩ. — ඩිරිතාලි ඉජ්ංඩුරුදියා මැත්‍රිමින්භාපිය ප්‍රකා-රාම්පිරුදුජ්‍යෝලි මිසාවලියා මිසාලුදා. මේදාලුගියා, මුශ්‍යානුරුධියා දා මුශ්‍යානුරුධියා එ/ජ මි-රිංඩුරිස් සාම්ප්‍රිනිරුහා ජ්‍යෙෂ්ඨීන්ලංඡ. තධිලියිරි, 1990.
10. ගාසුරින්දාජ්‍යෝලි ඩ., ගාම්ප්‍රිලිත් ඩ., ගෙවුලුහිත් ඩ., කුම්ඩාකිත් ඩ. — විෂ්රා-ම්ප්‍රිරියානි වෙනාන්දියා රුදුම්බ්‍රාහ්මියා, මාතින් ඉජ්ංඩුම්ප්‍රිරියානි දා මාලාල්ම්ඩාම්ඩානි ගුරුම්ඩ්ජ් ගාඛායානියා ගුප්පේරිජ්‍රානා. මේදාලුගියා, මුශ්‍යානුරුධියා දා මුශ්‍යානුරුධියා එ/ජ මි-රිංඩුරිස් සාම්ප්‍රිනිරුහා ජ්‍යෙෂ්ඨීන්ලංඡ. තධිලියිරි, 1990.
11. දාර්ඩිනාජ්‍යෝලි රු. මායිතාජ්‍යෝලි ආ. — ගුණාත් අර යුලදුස් අරප ග්‍රති ඩිරි. ගාන්. „සොයුලිස උත්තු-රුදා“, 11.I.1975.
12. දුගාලාජ්‍යෝලි ආ., උශක්‍රිජ්‍යෝලි ඩ., ජ්‍යෙෂ්ඨීලා ල. — රිගුතාම්‍රානිසිසා දා ජ්‍යෙෂ්ඨී සිංහලුලි ගාවලුනා යුතුරුදින් මිසාවලුනාන්ධානා දා තෙක්කිස්ස්. මේදාලුගියා, මුශ්‍යානු-ක්‍රියානුරුධියා දා මුශ්‍යානුරුධියා එ/ජ මි-රිංඩුරිස් සාම්ප්‍රිනිරුහා ජ්‍යෙෂ්ඨීන්ලංඡ. තධි-ලියිරි, 1989.
13. දුගාලාජ්‍යෝලි ආ., උශක්‍රිජ්‍යෝලි ඩ., පාක්ෂාජ්‍යෝලි ආ., ජ්‍යෙෂ්ඨීලා ල. — ජ්‍යෙෂ්ඨීලා-ලා ගුරුම්ඩියා ගාවලුනා වාණි ත්‍රිඵාලා දා මිසාවලුනාන්ධානා. මේදාලුගියා, මුශ්‍යානු-ක්‍රියානුරුධියා දා මුශ්‍යානුරුධියා එ/ජ මි-රිංඩුරිස් සාම්ප්‍රිනිරුහා ජ්‍යෙෂ්ඨීන්ලංඡ. තධි-ලියිරි, 1989.
14. ශාජ්‍යමාධ්‍ය ඩ. — ඇන්ත්‍රියානි සාසුජ්‍යෝධියා ගුප්පේරිජ්‍රානා මුශ්‍යානියා ඝ-

ლის ალევიურ ნიადაგებზე გაშენებულ ვენახებში. მებალეობის, მევენახეობის, მელვინეობის ს/კ ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული. თბილისი 1986 წლის იანვარის 29-ით

15. ვაშაყმაძე ბ., გელიძე მ., ვაშაყმაძე გ., ნებიძერიძე ც. — მინერალური სასუქეობის ნორმებისა და შეტანის წესების ეფექტიანობა ახალგაზრდა ვენახებში. მებალეობის, მევენახეობისა და მელვინეობის ს/კ ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული, თბილისი, 1989.

16. ვაშაყმაძე ბ., გელიძე შვილი ღ., რობიტაშვილი მ., ვაშაყმაძე მ., კორშია გ.—ფისფორ-ალიუმინი სასუქების ჯერადობით შეტანის ეფექტიანობა მსხმიარე ვენახებში. მებალეობის, მევენახეობისა და მელვინეობის ს/კ ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ. XXXV, თბილისი, 1989.

17. ვაშაყმაძე ბ., გაურინდაშვილი გ., კორიტაძე ნ., ნებიძერიძე ც. — ახალგაზრდა, სრულმსხმიარობაში შესვლამდე ვენახში მინერალური სასუქების ოპტიმალური ღონიერის გამოყენება. მებალეობის, მევენახეობისა და მელვინეობის ს/კ ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული. თბილისი, 1990.

18. თვალიშვილი კ. — მევენახეობის შემდგომი აღმავლობისათვის. სკრის საცდელი სადგურის სამეცნიერო სესიის თემისები, ცხინვალი, 1970.

19. თურმანიძე თ. — ყურძენებები და ლენინის ხარისხზე აგროკლიმატური პირობების გავლენის, დარგის გადაადგილებისა და სპეციალიზაციისათვის საჭირო რაოდენობრივი მაჩვენებლების დაფენის შესახებ. მებალეობის, მევენახეობისა და მელვინეობის ს/კ ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული, თბილისი, 1990.

20. კეჭკველი ნ., რამიშვილი მ., ტაბიძე დ. — საჭართველოს ამპელოგრაფია. საქ. მეცნ. ყვად. გამომც. თბილისი, 1960.

21. ლომიჟკი ს. — ყურძნის უხვი მოსავლის ფორმულა. გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 2.VI.1974.

22. ზათიაშვილი ა. — ალვადგინოთ და მოსავლის სამსახურში ჩავაყენოთ მოზინული და დასერტყვილი ვაზი (ვაზის ფურჩენის სიკეთე). გაზ. „სოფლის ცხოვრება“. 21.V.1976.

23. მარგველაშვილი გ., ქაპანაძე ნ. — ფოსფატების მივრაცია ყავისფერ კარბონატულ ნიადაგებში. ნიადაგთმოლნეობის, აგრძელებისა და მელიორაციის ს/კ ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული, თბილისი, 1986.

24. ონიანი თ. — აგროქიმია. გამომც. „განათლება“, თბილისი, 1983.

25. ონიანი ჭ., ბაჩალიაშვილი ა., გელუტაშვილი გ. და სხვ. — ნიადაგის დამუშავების სისტემა ბალებსა და ვენახებში. მებალეობის, მევენახეობისა და მელვინეობის ს/კ ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული, თბილისი, 1986.

26. ონიანი ჭ., ხატიაშვილი ა., დევდარიანი ნ., მუხაიძე ჭ. — ნაცვენახარი ნიადაგების ნაყოფიერების აღმდეგნელი აგროლონისძიებების გაელენა ჰუმუსის შემცველობასა და ჩქარითლის ვაზის ჭიშის მოსავლიანობაზე. მებალეობის, მევენახეობისა და მელვინეობის ს/კ ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული, თბილისი, 1989.

27. ონიანი ჭ., პიტურიშვილი თ., მუხაიძე ჭ., დევდარიანი ნ., გელუტაშვილი გ. — სასუქებისა და ბალახების გაელენა ყავისფერი ნიადაგის თვისებებზე და ვაზის ზრდა-განვითარებაზე. მებალეობის, მევენახეობისა და მელვინეობის ს/კ ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული, თბილისი, 1989.

28. უღენტი ნ. — საქართველოში შემპანური ჭიშის ვაზების გავრცელების ზონები და შემპანურის წარმოება. გამომც. „საჭოოთა საქართველო“. თბილისი. 1964.

29. რამიშვილი გ. — ვაზის სანერგე მეურნეობა. გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1964.
30. სახელაშვილი ა., ცუხიშვილი ბ., შენგალია ლ. — სუსტი ზრდის ვაჭრის გაძლიერება ქირურგიული ოპერაციების გამოყენებით. მებაღეობის, მეცნიერებისა და მეცნიერების ს/კ ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული, თბილისი, 1990.
31. სირბილიძე ა. — სადისერტაციო შრომის ხელნაწერი, თბილისი, 1949.
32. ტაბიძე დ. — საქართველოს ვაზის ჯიშები, თბილისი, 1954.
33. ქანთარია გ., რამიშვილი გ. — მეცნიერება. გამომც. „განათლება“, თბილისი 1983.
34. ჩხარტიშვილი ნ. — როგორ მოვუაროთ ვაზს (ზამთრის ყინუებისაგან ვენახების დაცვისა და დაზიანებული ვაზის მოვლის ღონისძიებანი). გაზ. „კომენტი“, 13.III.1976.
35. ჩახნაშვილი ნ. — ქართლის ვაზის ჯიშები, თბილისი, 1939.
36. ცუხიშვილი ბ. — საჩხერის რაიონის მეცნიერება და მისი აგროტექნიკა. გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1969.
37. ცოტნიაშვილი გ. — ცხინვალის ისტორიისათვის, სტალინირი. 1961.
38. ჭამიშვილი ა. — ვამრავლოთ ვაზი, სიკეთის წყარო. გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 11.III.1976.
39. ჭრელაშვილი ლ. — თუ სწორი პროგნოზი გვექნება. გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 27.VII.1984.
40. ვაზის კვირტის ფორმირება და ზოგიერთი აგროწესის გავლენა ყვავილედის ჩასახვა-განვითარებაზე. გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1979.
41. ჭავახიშვილი ივ. — ქართველი ერის ისტორია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობა, თბილისი, 1960.
42. ჭავახიშვილი ივ. — საქართველოს ისტორია, XI—XV სს., თბილისი, 1949.
43. მეცნიერების აგროწესები. გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1985.
44. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეკომენდაცია — ვაზის მიმართულებითი აღზრდის ფორმირებისა და მსხმიარობის დაჩქარების მეთოდის შესახებ. შემდგენელი გ. მანჯავიძე, თბილისი, 1980.
45. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის რეკომენდაცია — ვაზის ქლოროზის პროფილაქტიკა და მეურნალობა. შემდგენელი ვ. ჩხილვაძე, თბილისი, 1983.
46. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეკომენდაცია — ზამთრის ყინვებისაგან ვენახების დაცვისა და დაზიანებული ვაზის დაჩქარებითი აღდგენის მეთოდები. თბილისი, 1982.

საერთო მიმოწილვა

3

თავი II

ვაჭის გაზევების ზონები რეგიონი

1. ჩეგიონის გეოგრაფიული და ეკოლოგიური დახასიათება	13
2. მეცნიანეობის თანამედროვე მდგრადირობა და განვითარების პერსპექტივები	13
3. შიდა ქართლში გასაშენებლად ჩეკომენდებული პერსპექტიული ვაზის ჭიშების მოყლე სამეურნეო-ბიოლოგიური დახასიათება	21
	30

თავი III

ვარახის გაზევება და ახალშეიქმნა ნარჩაობის მოვლა

1. ნიადაგის მომზადება და ვენახის გაშენება	56
2. ახალშენი ნარგაობის მოვლა	56
	65

თავი IV

ვაჭის სევლა და ფორმირება

1. ვაზის სხვლა	69
2. ვაზის მწვანე ნაწილების ოპერაციები	69
	87

თავი V

შინაგარებისა და სერვისების დაზიანებული ვაზის მოვლა

1. ყინვისაგან დაზიანებული ვაზის მოვლა	92
2. სეტყვისაგან დაზიანებული ვაზის მოვლა	92
	97

თავი VI

მიზანით მოვლის საჭიროებები - ღონისძიებები

99

თავი VII

ვარახის ნიადაგის ნაყოფიერების აგაღლება

1. ნიადაგის ნაყოფიერება და მისი გაუმჯობესების გზები	105
2. ვენახის ნიადაგის მოვლა	108
3. ვენახის ნიადაგის განვითარება	110
4. ვენახის მორწყევა	122

თავი VIII

ვაჭის მავნეები - დაპარაგება და მათ წინააღმდეგ

გარეობის ღონისძიებები

124

თავი IX

ვაჭის გასობილი ცელები

131

გამოყენებული ლიტერატურა

136

139

რედაქტორი ინ. მდებრიშვილი
 მხატვარი გ. ტუხაშვილი
 მხატვრული რედაქტორი ლ. ღვინძილია
 ტექნიკური რედაქტორი ჭ. გვიმრაძე
 კორექტორი ლ. გულიაშვილი
 გამომუშები ნ. თათარაშვილი

გადაეცა წარმოებას 14.05.93. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.11.94.
 საბეჭდი ქაღალდი № 2. 60×84¹/16. გარნიტური ვენა. ბეჭდეა მაღა-
 ლი. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 8,14. სააღრ.-საგამომც. თაბაზი 7,6.
 ტირაჟი 500. შეკვ. № 222.

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „საქართველო“
 თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს რესპუბლიკის პოლიგრაფიისა და საგამომცემლო
 საქმიანობის სახელმწიფო კორპორაციის ბეჭდური სიტყვის
 კომინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

ა/25. 333

[2phs]

73.

